

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართველური ენათმეცნიერება

ეთერ შენგელია

სამოსელთან დაკავშირებული ლექსიკა მებრულ-ლაზურში
(ისტორიულ-შეღარებითი ანალიზი)

ფილოლოგიის დოქტორის (Ph. D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ ასოც. პროფესორი მერაბ ჩუხუა



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

თბილისი

2014

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს, წარმოაჩინოს სამოსელთან დაკავშირებული ძირითადი ლექსიკური ერთეულები მეგრულ-ლაზურში; გამოავლინოს საკუთრივ მეგრულ-ლაზური ენობრივი მონაცემები; გამოიყოს ის ლექსემები, რომლებსაც შესატყვისები მოეპოვება სხვა ქართველურ ენასა თუ დიალექტებში; შეისწავლოს დიალექტებში მეგრულ-ლაზურიდან გასული და, პირიქით, დიალექტებიდან მეგრულ-ლაზურში შეთვისებული, უცხო ენებიდან დამკვიდრებული ან ქართველურიდან სხვა ენებში გასული ლექსიკური ერთეულები.

ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის ასახვა, მისი შესწავლა მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია ლექსიკოლოგიისათვის და, საერთოდ, ენისა და ერის ისტორიისათვის.

ლექსიკის დარგობრივად შესწავლის მეთოდს გარკვეული უპირატესობა ენიჭება, რამდენადაც ამა თუ იმ დარგის თანმიმდევრულად აღწერა მეტი სისრულით გამოავლენს ლექსიკას, დააზუსტებს ლექსიკურ ერთეულთა მნიშვნელობებს და სათანადო ადგილს მიუჩენს მათ ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, რადგანაც წარმოდგენილი საანალიზო მასალა ერთ-ერთი საინტერესო უბანია ქართველური ეროვნული ჩაცმულობისა და იმ წესჩვეულებების შესასწავლად, რომლებიც სამოსელს უკავშირდება.

ლექსიკის ამგვარი აღწერა საინტერესო და ფასეულია ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც.

წინამდებარე ნაშრომი, ენათმეცნიერული თვალსაზრისით, სამოსელთან დაკავშირებული ლექსიკის მონოგრაფიულად შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენს.

ლექსიკის დარგობრივი შესწავლა მნიშვნელოვანია კონკრეტულ სიტყვათა ძირეული და მეორეული მნიშვნელობებისა და ენის ლექსიკური ფონდის შევსების თვალსაზრისით.

ლექსიკის დარგობრივ შესწავლას აწარმოებდნენ ეთნოგრაფებიც, ცხადია, არა ენათმეცნიერული კუთხით. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დამყარებით ლექსიკის დაჯგუფება სათანადო კულტურული წრის სურათს იძლევა, რამდენადაც ეს კულტურა ლექსიკაშია

ასახული. რა თქმა უნდა, ამგვარი დაჯგუფება, როგორც ბ. ფონხუა აღნიშნავს, „გარეეობრივია“ (ფონხუა 1974, 240). ამდენად, მნიშვნელოვანია ეთნოგრაფიული მასალის გათვალისწინებით, დარგობრივი, ამ შემთხვევაში, სამოსელთან დაკავშირებული ლექსიკის საკუთრივ ენათმეცნიერული თვალსაზრისით შესწავლა, რომელიც განსაზღვრავს, ერთი მხრივ, სპეციალურ ლექსიკასა და საერთო ენას შორის არსებულ ურთიერთობას და, მეორე მხრივ, წარმოდგენილი მასალის ადგილს ქართული ენის ისტორიაში.

საკითხის შესწავლის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია ივ. ჯავახიშვილის, ი. ციციშვილის, ნ. ჩოფიკაშვილის, ოსმან ბეის, გ. ყაზბეგის, ა. ლამბერტის, მ. ვანილიშის, ა. თანდილაეასა და სხვათა გამოკვლევები თუ ეთნოგრაფიული ჩანაწერები, რომლებიც მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ ცალკეულ სიტყვათა განმარტებისა თუ ისტორიისათვის.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ სამოსლის ისტორიის დასადგენად ეთნოგრაფიულ მონაცემებთან ერთად არსებითია მისი ენათმეცნიერული შესწავლა. ამ მხრივ, საყურადღებოა ლ. ბინიაშვილის სადისერტაციო ნაშრომი: „სამოსლის აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში“. საერთოქართული ვითარების გამოსავლენად, ვფიქრობთ, წარმოდგენილი ნაშრომიც, „სამოსელთან დაკავშირებული ლექსიკა მეგრულ-ლაზურში“, გარკვეულ წვლილს შეიტანს ქართული სამოსლის ისტორიის შესწავლასა და მისი ენათმეცნიერული თვალსაზრისით კვლევის საქმეში.

ნაშრომში განხილული მასალის წყაროს წარმოადგენს სპეციალურ ლიტერატურაში არსებული მონაცემები, კერძოდ, ივანე ჯავახიშვილის „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის“, გამოცემული ტექსტები, ლექსიკონები, ეთნოგრაფიული მასალები, ლაზური დიალექტის სალექსიკონო ფონდი (დაცული არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში), უცხოელ მოგზაურთა აღწერილობებსა და გამოკვლევებში მოძიებული ლექსიკური ერთეულები. ამასთანავე, 2004 წლიდან დისერტაციის ავტორის მიერ სამეგრელოსა (ჩხოროწყუს, მარტვილის, სენაკის, წალენჯიხის, ზუგდიდის, ხობის, აბაშის, ქალაქ ფოთის) და ლაზეთში (ხელვაჩაურის რაიონის სარფის თემსა და თურქეთის შემადგენლობაში არსებული ისტორიული ლაზეთის ტერიტორიაზე – ხოფაში, არქაბესა და ვიწეში) სავსე სამუშაოების შედეგად მოპოვებული სამოსელთან და

შინამრეწველობასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები და სათანადო ზეპირსიტყვიერების ნიმუშები.

დისერტაციაში შეძლებისდაგვარად სრულად აღიწერა სამოსელთან დაკავშირებული ლექსიკა მეგრულ-ლაზურში. სამოსელში განვიხილავთ: ტანისამოსს, თავსაბურავს, ფეხსამოსს; ჩაცმა-გახდის, მასალის აღმნიშვნელ თემატურ ჯგუფებს.

ნაშრომში გამოიყო სამი თავი:

I თავი – სამოსელი;

II თავი – სამოსლის ჩაცმასთან და გახდასთან დაკავშირებული სიტყვები;

III თავი – სამოსელთან დაკავშირებული მეგრულ-ლაზური ლექსიკა ფრაზეოლოგიზმებში.

თითოეულ თავში გამოიყო ქვეთავები და პარაგრაფები სემანტიკური ჯგუფების მიხედვით.

სამოსელთან დაკავშირებული ლექსიკა თემატურად არის გაანალიზებული. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სიტყვის მხოლოდ იმ მნიშვნელობაზე ან მნიშვნელობებზე, რომლებიც სამოსლის თემატურ ჯგუფში შემოდის, სხვა მნიშვნელობები კი ამჯერად გათვალისწინებული არ არის.

მეგრულ-ლაზური ერთეულები ცალ-ცალკე არის განხილული. საანალიზო სახელები წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით, ზმნური ერთეულები კი მოცემულია მასდარისა ან პირიანი ფორმით.

მასალა სემანტიკური ჯგუფის შიგნით განვიხილეთ სტრუქტურული და ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით, რათა სემანტიკური ერთიანობა არ დარღვეულიყო.

ჩვენ მიერ მოპოვებული მასალა ტექსტში მითითებულია: ჩვენი მასალა.

თავი I

სამოსელი

ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ მსჯელობს სამოსლის სახეობების შესახებ. მისი შეხედულებით, შეიძლება გამოიყოს ტანისამოსის ჯგუფები: „ყოველის რიგის ტანისამოსი (ყოველგვარი ტანისამოსი). ე. ი. აქ შედის დანიშნულების მიხედვით: ქალის, კაცის, ბავშვის, ქუეშეთი საცმელი, სამოსელი ზეთ; სამოსელი განსხვავდებოდა ადგილმდებარეობის მიხედვით: შიგნითა, გარეთა, წელიწადის დროისა და სითბო-სიცივის მიხედვით, საშინაო, საგარეო, სამუშაო და უქმე დღეებში ჩასაცმელი, სამოსელი ქვრივობისა, პატიოსანი, შესაფერისი და კარგი ჩაცმა, სხვადასხვა წოდებისა და სოციალური მდგომარეობის პირთათვის განკუთვნილი ტანისამოსი: სამეფო, სადედოფლო და მეფის მოხელეთა ტანისამოსი. იყო აგრეთვე სავაჭრო – ვაჭართათვის, შემდეგ ე. წ. მონათა ტანისამოსი, მოგზაურთა ანუ საღარიბო ტანისამოსი და ასაკის მიხედვით დაჯგუფებული“ (მასალები 1962, 85).

შესავალში აღვნიშნეთ, რომ სამოსელს განვიხილავთ სამი ასპექტის მიხედვით: ტანისამოსი, ფეხსამოსი, თავსაბურავი. ივ. ჯავახიშვილის მოცემული კლასიფიკაციის გათვალისწინებით, მივიჩნით, **I თავში**, რომელიც ეხება სამოსელს ზოგადად, გამოგვეყო ექვსი ქვეთავი შესაბამისი პარაგრაფებით.

I ქვეთავი

ტანისამოსი

მოცემულ ქვეთავში განვიხილავთ ტანისამოსის სახელწოდებებს ზოგადად, კონკრეტულ სახეობებს, სამოსელს ადგილმდებარეობისა და დანიშნულების მიხედვით, რომლებიც განაწილებულია სათანადო პარაგრაფებში:

§ 1. ტანისამოსის აღმნიშვნელი ზოგადი სახელები

ამ ჯგუფში გაერთიანებულია მეგრულ-ლაზური ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ტანისამოსის ზოგად სახელწოდებას წარმოადგენენ. მასალა

გამოვლენილია როგორც მეგრულში, ასევე ლაზურში წარმოდგენილია, როგორც ქართველური, ასევე ნასესხები ლექსიკა.

მეგრული

მეგრ. ბარგ-ი 1) „ტანსაცმელი“. ბარგი ოკო ქემიქუნე, მუთა გოხვარ მეტია „ტანსაცმელი უნდა ჩაიცვა, არაფერი გიშველის მეტით“. 2) „ბარგი, ქონება“ თუთაშა დიფრთუქუ დო ბარგი კირილო ქედმოხვამილევა „თვემდე დავბრუნდები და ბარგი (ქონება) შეკრული დამახვედრეო (წასაღებად)“ (ქაჯაია I, 2001). დასტურდება ამ ფუძიდან ნაწარმოები სხვა ფორმაც: ბარგობუა „ჩასაცმელი ზოგადად“ (ქაჯაია IV, 2009). (იხ. ლაზ. ბარგ-). ბარგ-ი ქართულშიც გვხვდება ამ მნიშვნელობით: 1. მოძრავი ქონება (ქვეშაგები, ავეჯი და მისთ.); 2. ტვირთი; 3. გადატ. მზითვად გატანებული ქვეშაგები, ტანისამოსი, ავეჯი (ქეგლი I, 2008).

თ. სახოკია აღნიშნავს, რომ მეგრულში ტანისამოსის მნიშვნელობით ბარგს იყენებენ ზუგდიდისა და სამურზაყანოსკენ. ამ თვალსაზრისით მას სამეგრელოში სხვაგან არ ხმარობენ, ისევე როგორც საქართველოს სხვა ნაწილებშია დავიწყებული“ (სახოკია 1979, 66). მეგრულში ეს ფუძე წარმოდგენილია რთული ფუძის შემადგენელ ნაწილად: ბარგე-ბარხანა, შდრ. ქართ. ბარგი-ბარხანა „ნაირ-ნაირი ბარგი, ყოველგვარი ბარგი“ (ქეგლი I, 2008). იგივე ძირი რთული ფუძის შემადგენელ ნაწილად დასტურდება თუშურში, სადაც: ბარგ-ბანდრ „ძველმანი, ბარგიბარხანა“ (ცოცანიძე 2012). გვხვდება ხევსურულშიც: მარტივი ბარგ-ი „ტვირთი“ და რთული სიტყვის შემადგენელ ნაწილად ბარგ-ბანდი „ბარგ-ბარხანა“ (ჭინჭარაული 2005).

ამრიგად, მეგრულისგან განსხვავებით, დიალექტებში ბარგ-ს ტანსაცმლის მნიშვნელობა არა აქვს, სალიტერატურო ქართულში მხოლოდ გადატანით ნიშნავს ტანსაცმელს.

ბარგ- ფუძეს აქვს ზმნური მნიშვნელობაც: მეგრ. ა-ბარგ-ება „იძულება, რომ აბარგდეს“ (ქაჯაია IV, 2009). ერთ-ერთი მთქმელისაგან ჩავიწერეთ: ე-ბარგ-ება-ა || ე-ბარგ-აფ-ა „ოჯახიდან წასვლა ძირფესვიანად“. ა. ქობალიასთან დასტურდება პარალელური ფორმა ე-ბარგ-ინ-ი „აბარგება, აბანაკება“ (ქობალია 2010). ზმნური მნიშვნელობით ქართულშიც გვხვდება: ბარგ- (ა-ბარგ-დ-ებ-ა) „ბარგს აიკრავს, წასასვლელად მოემზადება“ (ქეგლი I, 2008).

საანალიზო სიტყვის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია ვ. აბაევის შეხედულება. ის ქართ. ბარგ- ფუძეს ადარებს ოს. **twarǵ** „ტვირთი, საპალნე“, სპარს. ფაღ. **bār** „ტვირთი“, სპარს. **xarvār** „ვირის საპალნე“ (აბაევი IV, 1989, 49). აღნიშნულ ფუძეს დასახელებულ ენებში ტანსაცმლის მნიშვნელობა არ უდასტურდება. შეიძლება ეს მნიშვნელობა ქართულ ნიადაგზეა განვითარებული. როგორც ჩანს, ბარგ-ფუძე მეგრულში სალიტერატურო ენის მეშვეობით არის შესული.

მეგრ. **მიკაქვენჯ-ი** (მიკა-ქვენ-ჯ-ი) „ჩანსაცმელი“ || **ტანმიკოქვენჯ-ი** (ტან-მიკო-ქვენ-ჯ-ი) (ქაჯაია II, 2002). (შეიძლება ამ ფორმითაც იყოს: ტან-მიკო-ქვენ-ჯ-ი) || **ტან-მიკოქვენჯ-ი** (ტან-მიკო-ქვენ-ჯ-ი) || **ტან-მუკოქვენჯ-ი** (ტან-მუკო-ქვენ-ჯ-ი) „ტანისამოსი“ (ქობალია 2010) || **მუკოქვენჯ-ი** (მუკო-ქვენ-ჯ-ი) || **მუკოქუნალ-ი** (მუკო-ქუნალ-ი) „ტანსაცმელი“ (ფიფია 2008) || მეგრ. **მუკაქუნალ-ი** (მუკა-ქუნალ-ი) ← ***მუკოქუნალ-ი** (*მუკო-ქუნალ-ი) (ქაჯაია II, 2002); მეგრ. **მუკაქუნალ-ი** (მუკა-ქუნალ-ი) „ტანსაცმელი, ჩაცმულობა“ (ქობალია 2010). ჩვენი მასალის მიხედვით, ეს ფორმაც დასტურდება: **მუკაქუნალ-ი** (მუკა-ქუნალ-ი).

გაანალიზებული ფუძეები ნაწარმოებია ზმნური **ქუნ-** || **ქვ-** „ჩაცმა“ ძირისაგან. მათ შორის გამოიყოფა მარტივი და რთული ფუძეები. მარტივი: **მიკა-ქვენ-ჯ-ი** || **მუკო-ქვენ-ჯ-ი**, სადაც **მიკა-** || **მუკო-** რთული ზმნისწინებია, **ქვენ-** ძირი, **-ჯ კი** – სუფიქსი. **მუკო-ქუნალ-ი** || **მუკა-ქუნალ-ი** ← **მუკო-ქუნალ-ი** – მომავალი დროის ვნებითი გვარის მიმღებობია. აქაც შეიძლება გამოიყოს რთული ზმნისწინები: **მუკო-** || **მუკა-** ← **მუკო-**, **ქუნ-** ძირი და მიმღებობის მაწარმოებელი – **ალ** სუფიქსი, ხოლო კომპოზიტებში, **ტან-მიკო-ქვენ-ჯ-ი** || **ტან-მუკო-ქვენ-ჯ-ი**, შეიძლება გამოიყოს მარტივი **ტან-** „ტანი“ და ნაწარმოები **მიკო-ქვენჯ-** || **მუკო-ქვენ-ჯ-**, რომლებიც დაიშლება ზემოთ მოცემული ფუძეების მსგავსად.

ზოგადი მნიშვნელობისაა, აგრეთვე, **ქუნ-** ძირისაგან ნაწარმოები მეგრ. **დაქუნალ-ი** (და-ქუნალ-ი) „დასათბუნებელი, დასაბური, დასახური (ქვეშაგები)“ (ქობალია 2010). ეს ლექსემა თბილ მოსაცმელსაც ნიშნავს. მოცემული ერთეული სტრუქტურულად მომავალი დროის მიმღებობაა.

სამეცნიერო ლიტერატურის თანახმად, საანალიზო სიტყვა საერთოქართველური ფუძეა: ქართ. **სარქველ-ი** || ძვ. ქართ. **სარქველ-ი** ***სა-რ-ქველ-ი** || **სა-რ-ქუ-ელ-ი** „ჭურის პირსაფარი“ შეიძლება დაუკავშირდეს: მეგრ. **ქუნ-** (ქიმკაქუნუ) „ჩააცვა, დაახურა“, **მიკაქუნალ-ი** || **მუკოქუნალ-ი** „ტანისამოსი“,

გინოქვენჯ-ი „წამოსასხამი“ : ჭან. **ქუნ-** (ქოლოქუნუ) „ჩაცვა“, **დოლოქუნუ** „ტანისამოსი“ : სვან. **ქჷ-** (პოქჷემ) „ჩაცმა“, **ლე-რექჷ** „ტანისამოსი“ (ჩიქობავა 1938, 177, 341-342; როგავა 1962, 93-94; უდენტი 1956, 103; თოფურია 1979, 269).

მეგრ. **ომორსალ-ი** || **ომოსალ-ი** || **გამორსალ-ი** (ო-მორს-ალ-ი || ო-მოსა-ლ-ი || გამორს-ალ-ი) „სამოსელი, შესამოსელი“ (ეს ფორმა გამოცემულ მეგრულ წყაროებში ვერ დავადასტურეთ), რომელიც ნაწარმოებია „ჩაცმის, შემოსვის“ აღმნიშვნელი **მორს-** || **მოს-** ძირისაგან (ამის შესახებ იხ. მეგრ. **მორს-** || **მოს-** ძირთან, გვ. 113).

მეგრ. **ტალავარ-ი** „ტანსაცმელი (ზოგადად)“. (გამოცემულ წყაროებში ვერ დავადასტურეთ). გადატანით ნიშნავს „ძვირფასს“: კონი ვარი ტალავარი რღუა (ჩვენი მასალა) „ძვირფასი ადამიანი იყო“. ქართულშიც დასტურდება **ტალავარ-ი** ძვ. „ტანისამოსი, ტანსაცმელი“ (ქეგლი VI, 1961), გვხვდება დიალექტებშიც. შდრ. თუშ. **ტალავარ** „ტანსაცმელი, მორთულობა“ (ცოცანიძე 2012), ხევს. **ტალავარ-ი** „ტანისამოსი“, **ტალავარ-ნ-ი** „მიცვალებულის სიკვდილის შემდეგ მის ტანსაცმელს ჩააწყობენ ლოგინში. ზოგჯერ ამ ტანისამოსს გამოიტანენ გარეთ და დასტირიან. ამას ეწოდება ტალავარნი“ (ჭინჭარაული 2005).

მეგრ. **ტან(ი) დო კუჩხ-ი** 1) „ტანი და ფეხი“ || 2) გადატ. „ტანსაცმელი და ფეხსაცმელი“. დიდა გაგებოჩ ტანი დო კუჩხიშა (ხუბუა 1937, 82) „დედა გაყიდა ჩასაცმელზე (ტანსა და ფეხზე)“. საინტერესოა თუშური მონაცემი, სადაც **ტან** „დაჩითული ნაქსოვის ფონს“ აღნიშნავს (ცოცანიძე 2012).

მეგრ. **ტანისამოს-ი** „ტანსაცმელი“ (ჭარაია 1997). შდრ. ჯავახ. **ტანისამოს-ი** „ტანისამოსი“ (ბერიძე 1981). მოცემულ ფორმაში ფუძისეული **ნ** დაკარგულია. ვფიქრობთ, ეს ფუძე მეგრულში ქართულის მეშვეობით არის დამკვიდრებული.

ლაზური

ლაზ. **დოლოქუნუ** (დოლო-ქუნ-უ) „ტანსაცმელი“ (ზოგადად) (იხ. ჩაცმის მნიშვნელობითაც) || **დოლოქუნალე** (დოლო-ქუნ-ალ-ე) „ჩასაცმელი“ || **დოლოქუნი** (დოლო-ქუნ-ი) „ტანსაცმელი“ (თანდილავა 2013). დოლო-ქუნ-უ და დოლო-ქუნ-ი წარმოქმნილი სიტყვებია, **ქუნ-** „ჩაცმა“ ძირიდან ნაწარმოები, **დოლო-** რთული ზმნისწინია ქართული „ჩა“-ს მნიშვნელობით. –ე და –ი სახელობითი ბრუნვის ნიშნები, **დოლო-ქუნ-ალ-ე** მომავალი დროის ვნებითი გვარის მიმდებარეა. **დოლო-**

ქუნ-უ ნაზმნარი სახელია, -უ საწყისის მაწარმოებელია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის საერთოქართველური ფუძეა (მის წარმომავლობასთან დაკავშირებით იხ. მეგრ. მიკაქვენჯ-ი). შდრ. კათანდღერი დოლოქუნა (ფურტ.) „ყოველდღიური სამოსი“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007).

ზოგადი მნიშვნელობით ლაზურში დასტურდება ქუნ- ძირიდან ნაწარმოები დოლო-ქუნ-უ-ში (დოლო-ქუნუ-ში) „(სახელდახელოდ) ჩასაცმელი“, ზედმიწ. „ჩასაცმლისა“ (ჩვენი მასალა). იგი წარმოშობით არის ნანათესაობითარი სახელი, -ში – ნათესაობითი ბრუნვის მაწარმოებელი.

ლაზ. ურუბა „ტანსაცმელი“ (არაბ.-თურქ. uruba) (თანდილავა 2013).

§ 2. ტანისამოსის სახეობები

ტანისამოსის სახეობებზე საუბრისას მნიშვნელოვანია სამეგრელოსა და ლაზეთში მოგზაურთა თუ მკვლევართა ცნობები იქაურ მკვიდრთა ჩაცმულობის შესახებ, რის მიხედვითაც მათთვის დამახასიათებელ სამოსელსა და ჩაცმულობას ვეცნობით. საყურადღებოა ოსმან ბეის მიერ ლაზების ჩაცმულობის აღწერა. მისი შეხედულებით, „ლაზების ტანთჩაცმულობა თითქმის არ განსხვავდება აჭარულ-გურულსაგან. ლაზურ ჩაცმულობას შენარჩუნებული აქვს მხედრული ხასიათი: ფეხებზე მჭიდროდ გაწყობილი მუქი ფერის შალისაგან შეკერილი შარვალი, მოკლე და ვიწრო ზედატანი იმავე ქსოვილისა. ზედატანს წინა მხარეზე აქვს ორი საქილე (ვაზნებისათვის), წელზე შემოხვეული აქვს აბრეშუმის სარტყელი, ხოლო თავზე – ყაბალახი. მხარზე ატარებენ გრძელ თოფს, რომლის კონდახი შემკულია მოსევადებული ვერცხლით ხანჯალი ჩერქეზულის მაგვარი ჰკიდიათ“ (ოსმან-ბეი 1874, 364).

ლაზების ჩაცმულობის გასაცნობად მნიშვნელოვანია გიორგი ყაზბეგის ჩანაწერები. ის ასე ახასიათებს ხოფელ ლაზებს: „მათი ტანსაცმელი გურულსა და აჭარულს ემსგავსება ... ხოფას, განსაკუთრებით ორთა-ხოფას მიდამო, ულამაზესი კუთხეა. აქაური მოსახლეობაც სილამაზითა და კოხტა ტანსაცმლით გამოირჩევა“ (ყაზბეგი 1878, 133). „ჩვენ გვხვდებოდნენ ბაზარში მიმავალი ქალები, ჭრელი სადღესასწაულო ტანსაცმლით გამოწყობილნი, ქალებს ტვირთი კალთებით მიჰქონდათ. თხელ პირბადეში (ჩადრი) გამოკრთოდა აქაური ქალების ცნობისმოყვარე თვალები“ (ყაზბეგი, 1878, 107).

ტანისამოსის სახეობებში განვიხილავთ სამოსლის გაუდიფერენცირებელ სახეებს, რომლებიც არ არის განსაზღვრული ადგილმდებარეობის მიხედვით (ამ შემთხვევაში იგულისხმება შიგნითა, ქვედა თუ ზედა სამოსი).

მეგრ. ბირდუ-ბარდუ „ძველი, უგვანი, შეუფერებელი ტანსაცმელი“. ბირდუ-ბარდუ „აბდაუბდა“ (ქობალია 2010). ის აგებულია კომპოზიციით.

მეგრ. გადიდულ-ი „ხამის (თხელი ხამის) კაბა, ზედა და ქვედა წელი ერთმანეთთან შეერთებული“ (ჭანტურიას არქივი, № 434). ვფიქრობთ, ის წარმოქმნილი სიტყვაა. შეიძლება დაიყოს ამგვარად: *გა-დიდ-ულ-ი ე. ი. *„გადიდებული“. ჩანს, ნაწარმოებია დიდ- „დიდი“ ძირისაგან და არის წარსული დროის, ვნებითი გვარის მიმღეობა, სადაც შეიძლება გამოიყოს გა- ზმნისწინი და –ულ მაწარმოებელი.

მეგრ. ელამოსა „აბრეშუმის კაბა“ (დარაიასი, იისფერი). შეიძლება ის წარმოქმნილი სიტყვაა, სადაც ელა ზმნისწინი უნდა იყოს (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. კაბა „კაბა; ახალუხი“ (ჩოხის ქვეშ ჩასაცმელი). შდრ. კაბამ-ი „კაბიანი, ახალუხიანი“ (ქაჯაია II, 2002).

სამეცნიერო ლიტერატურაში კაბის წარმომავლობის შესახებ ასეთი შეხედულება არსებობს:

მეგრ. კაბას პ. ჭარაია სპარსულად მიიჩნევს (ჭარაია 1997). კაბა სვანურშიც დასტურდება კაბ ფორმით, რომელიც ვ. თოფურიას შეხედულებით, ქართულიდან არის შესული (თოფურია 2002, 14).

გ. წერეთლის აზრით, ქართ. კაბა ← არაბ. **qabā** „კაბა (მამაკაცის ხალათი) „ხალათი“, სადაც ის შესულია ← სპარს. **qabāh** (წერეთელი 1951; წერეთელი 1992, 91). მ. ანდრონიკაშვილის აზრით, კაბა უშუალოდ სპარსულიდან არის შემოსული ქართულში და აქედან არის დამკვიდრებული მეგრულში (ანდრონიკაშვილი 1966, 207). მაშასადამე, ქართ. კაბა ← სპარს. **kabā** → ზან. (მეგრ.) კაბა „ქალის ან კაცის ზედა სამოსი.

სიტყვის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია ვ. აბაევის შეხედულება. ოსურში დასტურდება **kaba** „ქალის კაბა“, რომელიც მკვლევარს ქართულიდან შესულად მიაჩნია, ხოლო ქართული კაბა არაბულ-სპარსულ **qabā**-დან, რაც ნიშნავს: „ზედა სამოსი, მოსასხამი (კაბა, ჩოხა, მანტია)“ (აბაევი 1958, 615).

ი. ყიფშიძე იზიარებს, რომ ქართ. კაბა მომდინარეობს სპარს. **qābā-** დან (ყიფშიძე 1994, 453).

საყურადღებოა ივ. ჯავახიშვილის მსჯელობა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. მისი აზრით, ქართ. კაბა „ზევითი ტანისამოსი“ ← ახ. სპარს. კაბა-დან „ზევითი ტანისამოსი ბეწვიანი“, შდრ. ძვ. ბერძნ. **kabadio** „აღმოსავლური ტანსაცმელი“, ბერძნ. **kabbadion** „ზევითი ტანსაცმელი სპარსული ყაიდისა“ (მასალები 1962, 30, 60, 79).

ი. ციციშვილიც მსჯელობს ამ სიტყვასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ „კაბა ორივე სქესის ზედა სამოსის სახელწოდებაა, ის გვხვდება XII-XIII საუკუნეების ძეგლებში: „ვეფხისტყაოსანში“, „ამირან-დარეჯანიანში“ და „ვის-რამიანში“. მკვლევარი მიუთითებს, რომ ქალის ზედა სამოსელსაც კაბა ეწოდება. ამას ჩვენამდე მოღწეული XVII-XVIII საუკუნეების „მზითვის წიგნებიც“ ამოწმებენ და ეთნოგრაფიული მონაცემებიც; ის მიუთითებს, რომ კაბა არაბ. წარმოშობისაა, გამოითქმის სამგვარად: ყაბა/აბა/კაბა ქართულში სამივე ფორმა დაცულია (ციციშვილი 1954, 52, 55-57).

მკვლევართა შეხედულებებიდან გამომდინარე, მეგრულში კაბა შესულია ქართულიდან, ქართულში კი, ზოგის ვარაუდით, უშუალოდ სპარსულიდან არის შესული, ზოგის აზრით, კი – სპარსულის გზით არის გასული არაბულში და მისი მეშვეობით ქართულში, აქედან კი – ოსურში.

მეგრულში დასტურდება კაპოტი-ი „კაბა“ (ქობალია 2010). ზოგიერთი მთქმელის აზრით, ეს არის „მთლიანი კაბა“, ზოგიერთმა კი ასე განმარტა: კაპოტი რე კაბა დო ეშეიანი || (რუბაშკა) „კაპოტი არის კაბა (ქვედაბოლო) და ზედა (ტანზემთ ჩასაცმელი || პერანგი“. ა. ქობალია „მეგრულ ლექსიკონში“ აღნიშნავს, რომ მოცემული სიტყვა რუსულ კოფტიდან მომდინარეობს. ჩვენ კი გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ საანალიზო ფუძეში შეიძლება გამოიყოს -ოტ სუფიქსი, რომელიც საფიქრებელია, იყოს ქართ. -ოტ სუფიქსის დანიშნულებით, რომლის შესახებაც სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია: „-ოტ სუფიქსი აწარმოებს სახელის კნინობით ფორმას. მაგ., კინჭ-ოტი „თონიდან პურის ამოსაღები კავიანი შამფური (რკინისა)“ (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988, 354). შესაძლოა, ფუძეზე -ოტ სუფიქსის დართვამ გამოიწვია ფუძისეული ა-ს დაკარგვა და სუფიქსისეულმა მკვეთრმა ტ-მ გაამკვეთრა ბ და, შესაბამისად, *კაპ-ოტი ← კაბ-ოტი ← კაბა-ოტი). ეს სიტყვა გვხვდება ლაზურშიც.

მეგრულში დასტურდება ნო- წინავითარების პრეფიქსით (რომელიც ფარდია ქართ. ნა- პრეფიქსისა) და -ია კნინობითობის, თვისების ან მსგავსების მაწარმოებელი სუფიქსით ნაწარმოები **ნო-კაბ-ია** „ერთი ძველი, გასაცოდავებული კაბა“ (ქობალია 2010).

კაბა შეიძლება იყოს სხვადასხვა სახისა. ამ მხრივ მეგრული მასალა საკმაოდ მდიდარია. აკაკი ჭანტურია გამოყოფს კაბის სახეებს: **მოვის, სალამარჯის** „მოხატული ქსოვილის“, **ჟი დო თუდლიანი** „ქვედაბოლო და ზედატანი“, **კუდეღამი** „კუდიანი, ბოლოიანი“, **ხაბარდამ-ი** „მავთულებიანი, შესაკრავებიანი“, **ჟი დო თუდო ართო ტანიშა მოფუნაფილი ფრიალეფით** „ტანზეგამოყვანილი, მორთული კაბა“ (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. **კორთხიში-ი კაბა** „ძვირფასი აბრეშუმის კაბა“ (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. **ლაგუჯ-ი** (ხართა) „ცხვრისა და თხის ტყავისაგან გაკეთებული ხალთა, ტყაპუჭი“. ოქრო-ვარჩხილით ეფშა თქვან(ი) ლაგუჯი დო ხართა „ოქრო-ვერცხლით სავსე თქვენი გუდა და ხალთა“ (ქაჯაია II, 2002); „ამგვარივე ტყავისაგან გაკეთებული ტანსაცმელი“ (ჭარაია 1997). სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ ზან. (მეგრ.) {გუჯ-}, ლაგუჯ-ი „საზურგე ტომარა, დაუმუშავებელი ცხვრის ან თხის ტყავისაგან“ მომდინარეობს **გოჯ-ი** ფუძიდან (ჩუხუა 2002-2003, 77).

მეგრ. **ლობიღანი** „კაბა ზოლებიანი, ჩინური ხელოვნების, ძვირფასი, ფოთლებიანი“ (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. **პალტო**, ქართ. **პალტო** [ფრან. ppaletot] ზევიდან ჩასაცმელი გრძელი, სახელოებიანი სამოსელი. ზამთრის პალტო. – საზაფხულო პალტო. – დარბაზში აიშაღნენ, ... ყველა გაჩქარებით იცვამდა პალტოსა (ს. მგალობ.). ქალმა ... გაიხადა პალტო, დაკიდა (ა. ბელ.) (ქეგლი VI, 1960).

მეგრ. **პლაში-ი** (ჩვენი მასალა). შდრ. ქართ. **პლაში-ი** (რუს. плащ) 1) უსახელოებო განიერი ზედა ტანსაცმელი (წამოსასხამი); 2) „საწვიმარი პალტო“ (ქეგლი VI, 1960).

მეგრ. **ჟაკეტ-ი**, ქართ. **ჟაკეტ-ი** (ფრანგ. **jaquette** რუს. ენის მეშვეობით) „ქალის მოკლე ზედა ტანსაცმელი (წამოსასხამი)“; 2) „საწვიმარი პალტო“ (ქეგლი VI, 1960).

მეგრ. **საკღდრო** || **საკიდრო** „სამკერდე, ჩასაცმლის სახეობა“. თინა ილაჯაფუდუნი, მუში ოქროში საკღდროთ „ის რომ თამაშობდა თავისი ოქროს სამკერდულით!“ (ქაჯაია II, 2002). **საკღდრო** ლენტივით იყო ფართო (მასალები 1983, 246). წარმოქმნილი სიტყვაა (**სა-კღდრ-ო** || **სა-კიდრ-ო**). ვფიქრობთ, ნაწარმოებია **კღდრ-** || **კიდრ-** ფუძეზე ქართულიდან შეთვისებული **სა-ო** დანიშნულების პრეფიქს-სუფიქსის დართვით.

მეგრ. **ფაფანაკი**-ი „ფაფანაკი, - ტანისამოსი“ (ქაჯაია III, 2002).

მეგრ. **ქულაჯა** „ქურქისნაირი ტანსაცმელი ქალისა, აბრეშუმისგან კერავდნენ, წელზე ნაოჭებიანი იყო, ძირს კურდღლის თავს შემოაყოლებდნენ“ (მასალები 1983, 242). შდრ. ქართ. **ქულაჯა** (ქულაჯისა) [თურქ. kulac „ბეწვი“] (ქეგლი VII, 1962). როგორც ჩანს, სიტყვა უცხო წარმომავლობისაა, დასტურდება სალიტერატურო ქართულში და მეგრულში, ალბათ, ქართულის გზით არის დამკვიდრებული.

მეგრ. **ქურქი**-ი „ქურქი“ (მასალები 1983, 246). ქართ. **ქურქი**-ი (ქურქისა) [თურქ. kurk] 1. ადამიანის ზედა სათბილობელი სამოსელი ბეწვეულისა; 2. ბეწვიანი ტყავი ცხოველთა (ქეგლი VII, 1962). ის შესაძლოა მეგრულში ქართულის მეშვეობით არის დამკვიდრებული (იხ. ლაზ. **ქურქი**).

მეგრ. **ღართი**-ი „ჩოხა“, „საწვიმარი ნაბადი“. მეკოჯინი ქემეურს, ... ღართის ქემეუშხვართუანს „რომ გაგხედე, მიდის, ... ჩოხას მიაქანავენს (მიაშხვართალებს)“ (ყიფშიძე 1994, 114). ღართს უკან ყურები ჰქონდა და წინ გულზე საქილეები ეკერა. ღართს მატყლისგან ქსოვდნენ, მამაკაცს ღართი ეცვა, პერანგიც მისი ჰქონდა (მამაკაცებს პერანგზე კაბა ეცვათ და კაბაზე ღართი (ჩოხა). „ღართი საყელოიანი იყო. ზოგი ღართის გულისპირს ქარგავდა მწვანე და წითელი ძაფით“ (მასალები 1983, 241). გვხვდება რთული სიტყვის შემადგენელ ნაწილად: **ურადართამი**-ი „გველი (უხსენებლის ტაბუირებული სახელი)“ (სიტყასიტყვით „შაქოხიანი“) (ქობალია 2010). გვაქვს ნაწარმოები სიტყვა **ღართ-ამი**-ი, რაც ნიშნავს „ჩოხოსანი“ და, აგრეთვე, ტაბუირებული სახელია უხსენებლისა (ქობალია 2010).

ო. ქაჯაია **ღართ**-ს განმარტავს როგორც „კაცის ზედა ტანსაცმელი მაუდისაგან შეკერილი“ (ქაჯაია III, 2002). || **ღართა**. **ღართა-ღართა** „უხარისხო ტანსაცმელი (ფართხალია)“ (იხ. იგივე ფუძე ქსოვილთან).

ღართი გვხვდება შესიტყვებაში: ქუნი დო ღართი „ჩოხა-ნაბადი“. ღართი დო კაბა „ჩოხა-ახალუხი“; ღართი დო ნაბადი „ჩოხა-ნაბადი“; ღართი დო ძიქვა „ჩოხა-შარვალი“; ღართიშ კარე „ნაბდის ქოხი“ (ქობალია 2010).

ღართ-ი დასტურდება საბასთან „საწვიმარი ნაბადი“ (ორბელიანი II, 1993). ახალ ქართულში „ღართი არის წამოსასხამი ნაბადი მწყემსისათვის, გურულ დიალექტში კი – „შინ მოქსოვილი საჩოხე“ (ქეგლი VII, 1962).

საერთოდ, ნაბადი მოსასხამებში გავიტანეთ, მაგრამ რადგანაც მისი ერთ-ერთი მნიშვნელობა არის „კაბა“, ამიტომ აქ განვიხილეთ.

მეგრ. შინელ-ი სამოსლის ერთ-ერთი სახეა. ეს სიტყვა გამოცემულ ტექსტებში ვერ დავადასტურეთ. ერთ-ერთმა მთქმელმა განმარტა, როგორც „ნაბადივით თბილი მოსასხამიანი პალტო“. ქართულშიც გვხვდება შინელ-ი ფუძე, რომელიც რუსულიდან არის შემოსული. შდრ. რუს. шинель 1. სამხედრო ფორმის პალტო; 2. ძვ. „ზედ წამოსასხმელი“ (საბა). (ქეგლი V, 1958). ალბათ, აღნიშნული ერთეული მეგრულში ქართულის გზით არის შეთვისებული რუსულიდან.

მეგრ. ჩოხა „ჩოხა, შალი“ (ჭარაია 1997). ჩოხაში ძიქვა მამაძულუ „შალის შარვალი ეცვა“ (ქაჯაია III, 2002). ჩოხაში „ლაზლისა, ნაქსოვი, ქსოვილი (საზოგ.)“ (ქობალია 2010). საბას განმარტებით, ჩოხა || ჩოკა „მატყლის სამოსელი (სქელი)“ (ორბელიანი II, 1993).

საინტერესოა ჩოხის აღწერილობა, რომელსაც გვაძლევს ივ. ჯავახიშვილი. ის წერს: „ჩოხა შედგებოდა რამდენიმე ნაწილისაგან: უკანა ბედანი (ზურგი), რომელიც წელზე შეიჭრებოდა, წინა ორი ბედანი და კალთები“. კალთები შედგებოდა ოთხი ან ექვსი ნაჭრისაგან. „ძველად მამაკაცს ეცვა ჩოხა და ფორჩის პერანგი“. საჩოხეს ქალები ქსოვდნენ, ჩოხა მოკლე იცოდნენ, მუხლამდის, უკან ნაოჭიანი, სახელოები განიერი ჰქონდა, იკვრებოდა დუგმებით (მასალები 1983, 242, 246). როგორც ჩანს, ის სამოსელიც არის და მასალაც.

ჩოხის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია ი. ციციშვილის მსჯელობა, რომელიც აღნიშნავს: „ჩოხა XIX საუკუნეში მამაკაცის ზედა სამოსს ეწოდებოდა. იგი ზოგჯერ ჩერქეზულის სახელითაც აღინიშნებოდა. ძველად ქართულში სიტყვა „ჩოხა“ ორივე სქესის ბერ-მონაზონთა სამოსელს აღნიშნავდა. XIII, XVII, XVIII საუკუნეების ცნობების მიხედვით, ჩოხა ეწოდებოდა მონაზვნის ზედა სამოსს, კაცისას თუ ქალისას. ჩოხა ქსოვილის ერთ-ერთ სახეობადაც მიიჩნეოდა“ (ციციშვილი 1954, 58). მკვლევარი დასძენს: „ჩოხა“ სამი გაგებით იყო ნახმარი: 1)

როგორც ხალხური ზედა სამოსის ერთ-ერთი სახე; 2) როგორც მონაზონთა შესამოსელი და 3) როგორც ქსოვილის სახესხვაობა“ (ციციშვილი 1954, 59).

დ. ჩუბინაშვილი ჩოხა-ს ასე განმარტავს: მაუდი ან დრაპი აქლემის მატყლისაგან ნაკეთები, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც ზედა სამოსი (ჩუბინაშვილი 1961, 85).

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართ. ჩოხა, შედარებულია ოსურ. **cuqqa** || **coqa** „ჩოხა“, სპარს. **čuxā** „შალის ზედა ჩასაცმელი“, თურქ. **čuxa, čuqa, čoxa** „მაუდი, მაუდის ტანსაცმელი“ ფუძეებთან (აბაევი 1958, 316).

მეგრ. ხალათ-ი „ხალათი.“ მუსუ ლოგინც ქიგლუჯირუ დარაიაში ხალათით „თვითონ ლოგინზე წამოწოლილა დარაიას ხალათით“ (ქაჯაია III, 2002). შდრ. ქართ. ხალათ-ი, რომელსაც უდასტურდება რამდენიმე მნიშვნელობა: 1. აღმოსავლური გრძელი და ფართო ზედა ჩასაცმელი; 2. გრძელი ხალვათი საშინაო ჩასაცმელი; 3. ტანსაცმელს ზემოდან ჩასაცმელი სამოსი (სისუფთავის დასაცავად); 4. მამაკაცის ზედა ტანსაცმელი, რომელზედაც ქამარს ირტყამენ, – ბლუხი; 5. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. სპეცხალათი. შარვალ-ხალათი (ქეგლი VIII, 1964).

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ქართ. ხალათ-ი მომდინარეობს სპარსულიდან. შდრ. სპარს. **chal'at**. მისი აზრით, ეს სიტყვა შემოდის ჯერ როგორც ტანისამოსის, შემდეგ კი სპარსი და ოსმალთა მებატონეებისგან საჩუქრის ანუ წყალობის მნიშვნელობით (მასალევი 1962, 115).

სპარსული წარმომავლობის ხალათ-ი სიტყვა შეიძლება მეგრულში ქართულის გზით არის დამკვიდრებული.

მეგრ. ჯიგანია „ტყავ-კაბა; ამტანი“ (ქობალია 2010). შდრ. იგივე გვარსახელი სამურზაყანულ მეგრულში.

ტანისამოსის სახეობებთან შეიძლება განვიხილოთ ხელთათმანი. მეგრ. ხეში თათმან-ი (ქობალია 2010) || ხეშეთათმან-ი „ხელთათმანი“. იგი შეიძლება იყოს: კითამ-ი „თითიანი“ (კით-ი „თითი“ + -ამ ქონების მაწარმოებელი სუფიქსი). შდრ. თუშ. თათმანჷ „უთითო ხელთათმანი“ (ცოცანიძე 2002).

ხელთათმანის მნიშვნელობით მ. ჩუხუას გამოვლენილი აქვს საერთოქართველური ფუძე: ხან. {ქუჯ-ი}, „ხელთათმანი“, რომელიც შეესატყვისება : ქართ. (თუშ.) ქურ-ო „ხელთათმანი“ (ქურ-ო „არის ორთავე კელთა

შესაყოფელი ფართო ბეწვიანი სითბოსათვის“ (საბა) : სვან. ქუჭ (ზს), ქუჯ (ლშს.) „სახელური (კოტა, მაჭო)“ (ჩუხუა 2000-2003, 258).

ლაზური

ლაზ. ატეტი-ი (ათინ.), აკლეტი-ი (ფურტი), აკლეთ-ი (ვიწ.), „პერანგი“ (თურქ. atlet) (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, აღექსივა 2007).

ლაზ. ელბისე „კაბა, ტანისამოსი, ჩასაცმელი“ (თანდილავა 2013). ელბისეფემუში დონახუ „მისი ტანსაცმლები გარეცხა“ (ჩიქობავა 1936, 97). ეს სიტყვა თურქულშიც დასტურდება, შდრ. თურქ. elbise. შეიძლება ის თურქულიდან არის შესული ლაზურში.

ლაზ. ზუპინა 1. „კაცის პერანგი“. 2. (არტი) „ვიწრო კაბა; ვიწრო და მოკლე კაბა“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, აღექსივა 2007).

ლაზ. კაპოტი-ი 1. „ფარაჯა“. 2. „ზოგადად რუხი ფერის მოკლემკლავიანი ლაზური ჟაკეტი“. 3. (ფურტი, ვიწ.) „სქელი და მაგარი ქსოვილი“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, აღექსივა 2007); „განიერი ჩასაცმელი, იცვამენ ჯარისკაცები, ლაზური ვიწრო კურტკა“ (თანდილავა 2013). იხ. მეგრ. კაპოტი-ი.

ლაზ. კიკილი¹ (ვიწ.) „შესაკრავი პალტო“ (თანდილავა 2013).

ლაზ. ლაბადა „ზედა თბილი ჩასაცმელი ლაბადა“ (თანდილავა 2013). შდრ. გურ. ლაბადა „დედათა წელქვედა სამოსი, დაბამბული (შარაშიძე 1938). ლაბადა დასტურდება ქართულშიც, რომელიც შედარებულია სპარს. lābādā „მოკლე, წელში გამოყვანილი, ახალუხის მსგავსი სამოსელი ქალისა“ (კახ., ქიზიყ., ინგილ.); 2) „ქალის დაბამბული წელქვედა სამოსელი“, 3) „წვიმის დროს წამოსასხამი, – საწვიმარი“ (ქეგლი IV, 1955). ლიბადა გეხვდება აჭარულშიც „ახალუხის მსგავსი ქალის სამოსი“, იკერებოდა ხავერდისგან (კობერიძე 2011, 91).

ლაზურში გამოვლენილია ლიბადი ფუძეც „ზედ ჩასაცმელი ბამბის“ (თანდილავა 2013).

საანალიზო ფუძის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია მ. ჩუხუას თვალსაზრისი. მკვლევარი ზან. (ჭან.) ლი-ბად-ი, რომელსაც აქვს მნიშვნელობა – „პალტო, მოსასხამი“, აკავშირებს ქართ. ბად-, ნა-ბად-ი ფუძესთან, აღადგენს ს.ქართვ. *ნი-ბად- „ნაბადი“ ფორმას, რომლისგანაც მიღებულია ქართ. ნა-ბად-ი, რომლისთვისაც ამოსავალი არის *ნი-ბად-ი. მკვლევარს ზან. ლი-ბად-ისთვის ამოსავლად მიაჩნია *ნი-ბოდ-ი (ჩუხუა 2000-2003, 56, 229), თუმცა სამეცნიერო

ლიტერატურაში, ქართ. ნაბად-ი უცხო ენის მონაცემებთან არის შედარებული (იხ. მეგრ, ნაბად-ი).

ლაზ. მანთო „ქალის ჩასაცმელი თხელი პალტო“. ჩორკაშ გალე მანთო დოლოქუნაპტეს „კაბის გარეთ „მანთოს“ ჩააცმევდნენ“ (თანდილავა 2013).

ლაზ. მოქუნუ „ჟაკეტი, პალტო“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007).

ლაზ. პიჟამა „პიჟამო“ (თანდილავა 2013) (წარმომავლობისთვის იხ. მეგრ. პიჟამო).

ლაზ. ფალთო || ფალტო || პალტო (თანდილავა 2013) || ფალთუ „პალტო“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007). დიდი ფალთო ქოდილიქუნუ „დიდი პალტო ეცვა“ (ჩიქობავა 1929, 7). შდრ. ქართ. პალტო (ფრან. **ppaletot**) „ზევიდან ჩასაცმელი გრძელი, სახელოებიანი სამოსელი“ (ქეგლი VI, 1960). ე. ი. სიტყვა ფრანგული წარმომავლობისაა, თუმცა იგი palto ფორმით გვხვდება თურქულშიც და, შესაძლოა, ლაზურში სწორედ თურქულიდან იყოს შეთვისებული.

ლაზ. ფორკა იხ. ჩორკა „კაბა“ (თანდილავა 2013) || ჩოკა „კაბა“ (ჩვენი მასალა) || ჩოგა 1. „კაბა, სამოსელი“. 2. „ქალის სამოსი“. შდრ. ჩოგინა „პატარა კაბა“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007). ემუს ჩორკაში უჯი ქანუჭკიუ „იმას კაბის წვერი მოუჭრა“ (ჩიქობავა 1929, 127).

აჭარულშიც ქვხვდება ფორკა „მთლიანი კაბა“, რომელიც, ალბათ, ლაზურიდან არის აჭარულში შესული.

ლაზ. ფორჩა „კაბა“ (ზოგადად), „კაცის ზედა ჩასაცმელია (ყველანაირი), „პერანგი“ (თანდილავა 2013). სარი ფორჩას კაი მეგომსქუ ქემერი „ყვითელ კაბაზე ძალიან გშვენის ქამარი“ (ჩიქობავა 1936, 85). „შდრ. მეგრ. ფორჩა, რომელიც ერთგვარი სამოსელიც არის და ქსოვილიც.

ლაზ. ფრაკ-ი (თურქ. **frak**) (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007) „ფრაკი“. ფრანგული წარმოშობის სიტყვაა, რომელიც ლაზურში თურქულის გზით უნდა დამკვიდრებულიყო. შდრ. ქართ. ფრაკ-ი (ფრანგ. ფრაც) „მამაკაცის საზეიმო ტანსაცმელი, - ერთგვარი სერთუკი, წინ ამოჭრილი და უკან გრძელი, ვიწრო კალთებიანი“ (ქეგლი VII, 1962).

ლაზ. **ქურქი** || **ქურქი** „ქურქი“. შდრ. თურქ. kürk. ჩანს, სიტყვა თურქულიდან არის შემოსული (თანდილავა 2013). ქურქი დიჭუ დო ქეშახთუ „ქურქი შეიკერა და ამოვიდა“ (ჩიქობავა 1936, 60). იხ. მეგრ. **ქურქი**.

ლაზ. **შკაწალე** „კაბა; წელს ქვემოთ სამოსი“. საინტერესო ლექსემაა. კომპოზიტი ჩანს, რომელიც მიღებული უნდა იყოს ლაზ. **შკა** „წელი“ და **წალე** „ქვემოთ“ ფუძეების შეერთებით (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007).

ლაზ. **ჩარკეტი**-ი „ქაკეტი“ (ლაზურის ფონდი). შდრ. ამავე მნიშვნელობით თურქ. **žeket**. უ. დიუმეზილი აღნიშნავს, რომ მონადირეები იცვამენ სპეციალურ ტანსაცმელს, რომელსაც ლაზურად **ავჯი ჩექეთი** ჰქვია. (შდრ. თურქ. **avžek-žeket**) (ლაზურის ფონდი). ლაზურში ასევე დასტურდება ამ ფუძის შემცველი ფონეტიკური ვარიანტები: **ჩარკეჩი** || **ჩექეთი** „პიჯაკი“ (თანდილავა 2013) || **ჯექეთი** (ვიწ.) (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007) (ისტორიისთვის იხ. მეგრ. **ქაკეტი**).

ლაზ. **ჩოხა** „ჩოხა-ახალუხი“ || **მჩოხა** (თანდილავა 2013). ჩოხა ვა ეჭოფაშა ხაი მო იზუმომ „სანამ ჩოხას არ იყიდი, ლაჯს რად იზომავ?“ (კარტოზია 1972, 227). (ერთ-ერთი მთქმელისაგან საინტერესო გადმოცემა ჩავიწერეთ ჩოხის ფორმისა და გამოყენების შესახებ: „ჩოხა ჟურონენდოვითი წანაში წოხლე რტუ. ემუთე ხორონაპტეს. ჩოხას შკას ქემერი უღუტეს. ჩოხა კოჭიშა რტუ „ჩოხა ორმოცდაათი წლის წინ იყო. ამით ცეკვაგდნენ. ჩოხაზე, წელზე ქამარი ჰქონდათ. ჩოხა კოჭებამდე იყო (ჩვენი მასალა) (ჩოხის ვრცელი ისტორიის შესახებ იხ. მეგრ. ჩოხა).

ლაზურში **ჩოხა** არის რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი: **ჩოხა-ძიქვა** „ჩოხა-ახალუხი“.

ფორმის მიხედვით ჩოხა შეიძლება იყოს: **ტოტი მკულე** „მოკლემკლავიანი“ (ვანილიში, თანდილავა, 1984, 156, 37-38). შდრ. გურ. **ჩოხა კვერტო** – მოკლე ჩოხა სკალატისა, შავი (ზოგჯერ წითელი), სირმით გაწყობილი (შარაშიძე 1938).

ლაზ. **ხალათი** (ქართ.) „ხალათი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. **ხერთეში** „პალტო“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007); „უხეშად ნაკერი ქურთუკი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. **ხიკა** || **ხირკა** „დაბამბული ზეზე ჩასაცმელი პალტოს მაგიერი“ (თანდილავა 2013). ხიკა გოქთეი მოთ დოლოგოქუნს „ხიკა უკუღმა რატომ გაცვია?“ (კარტოზია 1972, 54).

სამოსლის სახეობებში შეიძლება განვიხილოთ ლაზ. **სეი დოლოქუნუში**-ი „ღამის პერანგი“ (ასათიანი 1974, 89) || **სერდოლოქუნუში**-ი || **სერდოლოქუნალ**-ი (ჩვენი მასალა). ერთ-ერთმა მოქმედმა განმარტა, რომ ის დღისითაც ეცვათ. ამავე მნიშვნელობით ლაზურში დასტურდება **გეჯელუღ**-ი (თანდილავა 2013) || **გეჯენლუღ**-ი (ჩვენი მასალა). აღნიშნული ერთეული მომდინარეობს თურქულიდან (შდრ. თურქ. **geçelik**, რომელიც წარმოქმნილი სიტყვაა, ნაწარმოებია **geçe-** „ღამე“ და **-lik** დანიშნულების პრეფიქსის მეშვეობით, რომელიც ფუნქციით ქართ. სა- პრეფიქსის ფარდია). როგორც ვხედავთ, ლაზურის **გეჯენლუღ**-ი ფორმაში **ნ** განვითარებულია. ჯავახურ დიალექტში დასტურდება პარალელური ფონეტიკური ვარიანტი **გეჯალუღ**-ი „ღამის პერანგი ან ქუდი ფესა, რომელსაც უმეტესად ქალები ხმარობდნენ“ (ბერიძე 1981, 321).

სამოსლის სახეობებთან მეგრულში განვიხილეთ ხელთათმანი. ამ სემანტიკის სიტყვა ლაზურშიც დასტურდება. კერძოდ. **თათმანი**-ი „ხელთათმანი“ || **ხეში თათმანი**-ი || **ხათათმანი**-ი || **ხე-თათ**-ი || **ხეშ-თათ**-ი „ხელთათმანი“ (თანდილავა 2013), შდრ. ქართ. **თათმანი**-ი 1. უთითო ხელთათმანი, წინდასავით ნაქსოვი (საბა). || იგივეა, რაც ხელთათმანი; 2. ბაწრისაგან მოქსოვილი ძირის გამოსადგმელი გაცვეთილ წინდაზე («დიალ.») (ქეგლი IV, 1955). მეგრულში ეს ფორმაც გვაქვს და სხვა ერთეულიც დასტურდება (იხ. მეგ. ხეში თათმანი).

სამოსლის სახეობებში შეიძლება განვიხილოთ ლაზ. **ხჩეონ**-ი (ამსე, თაინ 2004) და მისი პარალელური ვარიანტები: **ქჩეონ**-ი (ჩვენი მასალა), || **ქჩონ**-ი (მარი 1910, უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007) || **ჩონ**-ი (მარი 1910) „თეთრტანისამოსიანი“, „თეთრიანი“. მართან აგრეთვე გვხვდება **ქჩე-ფორჩონ**-ი „თეთრსამოსიანი“.

საანალიზო ერთეულები ნაწარმოები სიტყვებია: ***ხჩე-ონ**-ი || ***ქჩე-ონ**-ი || ***ქჩ-ონ**-ი || ***ჩ-ონ**-ი, სადაც ***ხჩე-** || ***ქჩე-** || ***ქჩ-** || ***ჩ-** „თეთრის“ აღმნიშვნელია, ხოლო ***-ონ** – მაწარმოებელი სუფიქსი, რომელიც არსებით სახელისაგან აწარმოებს ზედსართავ სახელს, აღნიშნავს რისამე ქონებას ან სიტყარბეს (მარი 1910, 73). – **ონ** სუფიქსი ფუნქციურად ქართული –**იანი**, **-ოვანი**, **-ოსანი**, **-იერი** აფიქსების ფარდია (ჩიქობავა 2008, 548; შანიძე 1980, 122-126).

საანალიზო ლექსიკური ერთეულები, მითითებული ლიტერატურის მიხედვით, აღნიშნავს: „თეთრტანისამოსიანი“; „თეთრიანი“. სემანტიკური კვლევის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალებში **ხჩეონ**-

ი || **ქნონ**-ი ფორმებს უდასტურდებათ სხვა მნიშვნელობაც: „თეთრთმიანი, ჭადაროსანი“ – ხნონი გუიტუ „თეთრთმიანი, ჭადარა დადიოდა“ (ჩვენი მასალა). ვფიქრობთ, მოცემული სიტყვების ამოსავალი სემანტიკა სწორედ ეს უნდა იყოს. შდრ. **თიხნე** „თავთეთრა“.

საანალიზო ერთეულები, როგორც ჩანს, ფონეტიკური ვარიანტებია, ამოსავალია **ხნე-ონ**-ი ფუძე (რომლისგანაც მედერი ხ-ს დაყრუების შედეგად მივიღეთ ქნონ-ი (შდრ. ქართ. ხნე → ქნე), რომლისგანაც მიღებულია → **ქნე-ონ**-ი. **ხნე** || **ქნე**- ძირზე –**ონ** სუფიქსის დართვამ გამოიწვია ფუძისეული ე ხმოვნის დაკარგვა, რის შედეგადაც მივიღეთ → **ქნ-ონ**-ი, შემდეგ კი **ქნ-** კომპლექსის გამარტივებით მივიღეთ → **ჩ-ონ**-ი (შდრ. ლაზ. **ხნე** → **ქნე** → **ჩე** (ჩიქობავა 2008, 237-238)).

მიგვაჩნია, რომ საანალიზო ლაზური **ხნე-ონ**-ი → **ქნე-ონ**-ი → **ქნ-ონ**-ი → **ჩ-ონ**-ი ლექსიკური ერთეულები ქართ. **მხცოვან**- || ძვ. ქართ. **მჯცოვან**- „ჭადაროსანი“ - თეთრი თმის, წვერის მატარებელი“ (ქეგლ V, 1958) ფუძის ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისია. ქართ. **მხცოვან**-ი || ძვ. ქართ. **მჯცოვან**-ი, როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, წარმოქმნილი სიტყვაა და ამგვარად დაიშლება: **მ-ხც-ოვან**- || **მ-ჯც-ოვან**-, სადაც **მ-ხც-** || **მ-ჯც-** ძირი „თეთრს აღნიშნავს“, **-ოვან** კი მაწარმოებელი სუფიქსია. ქართ. **მ-ხც-ე** ძვ. ქართ. **მ-ჯც-ე** „ჭადარა“: მეგრ. **რჩე** || **ჩე** „თეთრი“: ჭან. **ხნე** || **ქნე** || **ჩე** „მოხუცი“, „თეთრი“: სვან. **მეჩ**-ი „მოხუცი“ ფუძეთა კანონზომიერი შესატყვისობა დადგენილია (თოფურია 1979, 17, 266; ულენტი 1953, 75, 79, 135, 185; ჩიქობავა 2008, 237; კლიმოვი 1964, 144, 267; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 501-502), საერთოქართველურ სუფიქსად აღდგება ***-ან**, (**-ოვან**, **-ოსან**, **-იან**), რომელმაც ლაზურში მოგვცა **-ონ**.

ამდენად, ლაზ. **ხნე-ონ**-ი → **ქნე-ონ**-ი → **ქნ-ონ**-ი → **ჩ-ონ**-ი: ქართ. **მხც-ოვან**-ი || ძვ. ქართ. **მ-ჯც-ოვან**-ი.

საერთოქართველურ ფუძედ აღდგება ***ჯც-**, ხოლო სუფიქსად **-ან**. შდრ. საერთოქართველური **-ჯც-**, **ჯც-ან**-. ქართ. **-ან** (**-ოვან**, **-ოსან**, **-იან**) შესატყვისია ლაზ. **-ონ**-ისა.

§ 3. შიგნითა სამოსი

ამ პარაგრაფში შეიძლება გამოიყოს ორი ქვეჯგუფი: 1) შიგნითა სამოსლის აღმნიშვნელი ზოგადი სახელები და 2) კერძო ანუ ამ ჯგუფში შემავალ ელემენტთა კონკრეტული სახელწოდებანი.

1) ზოგადი სახელწოდებანი მეგრული

მეგრ. მილაქუნალ-ი (მილა-ქუნ-ალ-ი) || დინახლე მილაქუნალ-ი (მილა-ქუნ-ალ-ი) „შიგნით ჩასაცმელი“ || დინახლენ-ი || დინოხლენ-ი ბარგ-ი „შიგნითა ტანსაცმელი“ || (თუდონ-ი) ათაქუნალ-ი (ათა-ქუნ-ალ-ი) „ნებისმიერი სახის სამოსლის ქვეშ ჩასაცმელი“ || მილაყუნაფალ-ი (მილა-ყუნ-აფ-ალ-ი) „შიგნით ჩასაცმელი კაბის, პიჯაკის, პერანგის, ან ნებისმიერი გარეთა ჩასაცმლის ქვეშ ჩასაცმელი“ || ათაყუნაფალ-ი (ათა-ყუნ-აფ-ალ-ი) „კაბის ქვეშ, წელს ქვემოთ ჩასაცმელი“ (ჩვენი მასალა). მოცემული სიტყვები ძირითადად დანიშნულებას გამოხატავენ. ისინი წარმოქმნილი სახელებია და ნაწარმოებია: ქუნ- „ჩაცმა“ და ყუნ- „გაყოლა, თანხლება“ ზმნური ძირებისაგან.

ლაზური

ლაზ. მეშაქუნუ (მეშა-ქუნ-უ) „შიგნით ჩასაცმელი“ მეშაქუნუში || დოლოხე დოლო-ქუნ-უ-ში (მეშა-ქუნ-უ-ში || დოლოხე დოლო-ქუნ-უ-ში (დოლოხე „შიგნით“ || დოლოხენი „შიგნითა“) (თანდილავა 2013). || მილახიშე „შიგნითა ჩასაცმელი“ (ჩვენი მასალა). მეშა-/მილა- შე-/გა- ზმნისწინების ფარდია (თანდილავა 2013). ლაზურშიც, მეგრულის მსგავსად, მოცემულ ჯგუფში წარმოქმნილი სახელები გვაქვს. ამოსავალი არის ქუნ- „ჩაცმა“ ძირი.

2) კერძო ანუ ამ ჯგუფში შემავალ ელემენტთა კონკრეტული სახელწოდებანი

აქ გაერთიანებულია კაბის ქვეშ ან, საერთოდ, ნებისმიერი გარეთა ტანისამოსის ქვეშ ჩასაცმელი და საცვლები.

მეგრული

მეგრ. აბუო „კაბის შიგნით ჩასაცმელი“ (ქობალია 2010), პარალელურად ჩვენი მასალების მიხედვით დავადასტურეთ აბუუ.

მეგრ. ბანდაჟი (ფრანგ. bandage) „ქირურგიული ელასტიკური მჭიდრო შემოსაკრავი“; ტექნ. „ფოლადის სალტე ორთქმავლის ან ვაგონის თვლისა (ბორბლისა)“ (ქეგლი I, 2008). მეგრულში სალიტერატურო ენიდან არის შესული.

მეგრ. ბელიო, ბილიო (რუს. белие) „თეთრეული, საცვალი“. ვოსვეწუდი, ბელიო გეგმომთირესიკონი „ვეხვეწებოდი, თეთრეული (საცვალი) რომ გამოეცვალათ“ (ქაჯაია 2001). მოცემული სიტყვა რუსულიდან არის შემოსული.

მეგრ. კურთა „გრძელი ნიფხავი“ || კურთა ოფახვალაია || კურთა კირკინტამი || კურთა კუნტა (მოკლე ნიფხავი) || კურთა ხუჭილი || კურთა პაჭანაკამი დო უპაჭანაკო (ჭანტურიას არქივი, № 434). კურთა „კვართი, ქვედა საცვალი“ (ქობალია 2010). დაქ დას კურთა ქათხუა დო ვეგედოხოდავა „დამ დას ნიფხავი ათხოვა და არ დააჯდო (უთხრა)“ (ქაჯაია II, 2002).

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვა შეხედულება ამ სიტყვის წარმომავლობასთან დაკავშირებით:

გ. აბაევი ქართ კვართ-ი, კურტაკ-ი აღარებს ზან (მეგრ. კურთა „ქვედა საცვალი“) და ოს. **koyræt** || **kuræt** „ბეშმეტი“ (აბაევი 1958, 609).

მ. ანდრონიკაშვილი აღარებს ამ ფუძის შემცველ სხვადასხვა ენობრივ მონაცემს, კერძოდ: ჭან. კურთა, მეგრ. კურთა, ქართ. კუართ-ი „პერანგი, ქვედა საცვალი“, ქართ. კურტაკ-ი, სოღდური **kwrd'k** || **qwrty** „პერანგი“, ირან. **kurt** || **kurta** „შალის სამოსლის სახე“, ოს. **koyræt** „ბეშმეტი“, თურქ. **körtö** „დალიანდაგებული ხალათი“, ლეზგიური **kurt** „მოკლე ქურქი“. მკვლევარს აღნიშნული ფუძე ირანულიდან მომდინარედ მიაჩნია (ანდრონიკაშვილი 1966, 223).

კ. დანელია ძვ. ქართ. კუართ-ს „ზედა ტანსაცმელი“, ქართ. კუართ- (განკუართვა) „კვართის გახდა, კვართის კალთების აკეცვა“ უკავშირებს კოლხ. კურთა „ქვედა საცვალი“ (დანელია 1991, 113).

ივ. ჯავახიშვილიც ქართ. კუართ-ს აკავშირებს მეგრ.-ჭან. კურთა-სთან „ქალის პერანგი“ (მასალები 1962, 85, 91, 199).

გ. როგავაც იზიარებს ივ. ჯავახიშვილისა და კ. დანელიას თვალსაზრისს და აღადგენს ***კურთა** ფორმას, რომელიც ← **კორთა**–სგან მიღებულად მიაჩნია (როგავა 1962, 90).

არნ. ჩიქობავაც ძვ. ქართ. **კუართ**-ს „ჯუბა, გინა პერანგი“ აკავშირებს ზან. **კურთა**-სთან „ნიფხავი“, თუმცა ამოსავლად მიაჩნია ← ***კორთ**- ← ***კვორთ**- ვ-ს დაკარგვით (ო-ს წინ) და შემდეგ ო-ს დავიწროებით (ჩიქობავა 1938, 178).

ი. ყიფშიძე აღნიშნავს, რომ მეგრ. **კურთა** ჯერ კიდევ მარი ბროსემ დააკავშირა ძვ. ქართ. **კუართ**- ფუძესთან (ყიფშიძე 1994, 263).

მეგრ. **ლენიში**-ი „ლაინისა, ლურჯი ნარმისა; საცვლები“ (ქობალია 2010). სიტყვა სტრუქტურულად ნანათესაობითარი ჩანს (***ლენი**-ში – **ლენი** „ლაინი“, **ში** – ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი).

მეგრ. **ლიფუ** || **ლიფ**-ი „ლიფი“, „ქალის წელზევით ტანისამოსი უსახელოებო“. იგივე სიტყვა ქართულშიც დასტურდება [ჰოლან. lijf რუს. ენის მეშვე.] ქალის ან ბავშვის ტანისამოსის ნაწილი, წელს ზევით მჭიდროდ ჩასაცმელი, უსახელოებო (ქეგლი IV, 1955).

მეგრ. **მათირალ**-ი || **მთირუ** || **ომა/ოთირალ**-ი „გამოსაცვლელი; შემცვლელი“ (ქობალია 2010) || **ომათირე** „საცვალი“ (ჩვენი მასალა). ეს სიტყვა წარმოქმნილი ფუძეა. ნაწარმოებია **თირუა** „შეცვლა, გაცვლა ზმნისაგან, დანიშნულებას გამოხატავს, მომავალი დროის ვნებითი გვარის მიმდებარა (იხ. ლაზ. **მოქთირუშ**-ი).

მეგრ. **მაიკა** „მაისური ან ბლუზის ქვეშ ჩასაცმელი პერანგივით“ (ჩვენი მასალა). ეს ლექსემა შემოსულია რუსულიდან. შდრ. რუს. майка „მაისური“.

მეგრ. **ოსარე** „პერანგი, ხალათი (ზევითა პერანგი, ქვედა პერანგი); ურმის ნაწილი; კვართი; მომყოლი (ახალშობილისა); ღამის სამოსი (სადამური“ (ქობალია 2010). ვოულდ კოს ოსარე დო კურთა „არ ჰქონდა არავის (კაცს) პერანგი და ნიფხავი (ხუბუა 1937, 40). მნიშვნელოვანია პერანგის ივ. ჯავახიშვილისეული აღწერილობა: „პერანგს გრძელს კერავდნენ, მუხლებამდის, ჰქონდა სახელოები და საყელო. გვერდები გარღვეული ჰქონდა და ამას **ჩაქს** უწოდებენ; ის სხვადასხვა დანიშნულებისა იყო: საღამოს, დღის, აბანოსი. (მასალები 1962, 242).

სხვადასხვა ავტორთა ნაშრომებში გვხვდება მეგრ. **ოსარე**-ს სახეობები: **რკინაში ოსარე** „აბჯარი“ (ჭანტურია 1996, 220). **ოსარე, ხეფორჩა დო**

ოფალეშიანი „პერანგი სახელოიანი, საყელოიანი“; **ოსარე უოფალეშე დო კუნტა ხეფორჩამი** „უსახელო და მოკლემკლავიანი“; **ოსარე ჯამფეზიში** „ჯამფეზის პერანგი, წითლად შეღებილი“; **ოსარე ჩარქამი** (ჩალიკა) „ხამის პერანგი“ (კოჭებამდე გრძელი), **კოჩიში** „კაციხა“, **ოსარე ბაბაფიში**, **ვარდა ფსუში** „პერანგი ბაბაფის ან სელისა“; **ოსარე ბაიბურში** „ბაიბურის პერანგი“; **ოსარე გადიდულიშ** „გადიდულის პერანგი“ (ჭანტურიას არქივი, № 434). მეგრ. **რშვილ-ოსარე** „ჯაჭვის პერანგი“ (ქობალია 2010); **ჩარქამ-ი** **ოსარე** „გვერდებზე ძირიდან აჭრილი პერანგი“; **სუშ** **ოსარე** „სელის პერანგი“ (კაცებს ეცვათ); (მასალები 1983, 245).

საანალიზო სიტყვა გვხვდება შესიტყვებებში:

მეგრ. **ოსარე დო კურთა** „ნიფხაგ-პერანგი; საცვლები“ (ქობალია 2010).

მეგრ. **ოსარე დო მუში ამხანაგი** იგივეა, რაც **ოსარე დო კურთა** „პერანგი და მისი ამხანაგი, ნიფხაგ-პერანგი“ (ქაჯაია IV, 2009).

მეგრ. **სადამური** **ოსარე** „სადამური“. ამ მნიშვნელობით სხვა სიტყვაც გვხვდება: მეგრ. **სადამურ-ი** ← ქართ. **სადამურ-ი** „ღამისათვის განკუთვნილი, ღამით სახმარი (ჩვეულებრივ, ტანსაცმელი)“ (ქეგლი VI, 1960).

მოცემული ლექსიკური ერთეული რთული ფუძის შემადგენელი სიტყვაცაა – **ოსერაფალო** „პერანგისამარა“ (ქობალია 2010). ის შეიძლება დაიშალოს მარტივ ფუძეებად: **ოსარე** „პერანგი“ და **ფალო** „ამარა, ცარიელი“.

მეგრ. **კიფიშ** **ოსარე** „კანაფის პერანგი (ჯაჭვის პერანგის შიგნით ხმარობდნენ, სხეულს იცავდა)“ (ქობალია 2010).

დასტურდება კინობითობის –ია-თი ნაწარმოები ფუძეც: **ოსარია** „უბადრუკი პერანგი, პატარა პერანგი“ (ქობალია 2010).

სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა შეხედულება არსებობს ამ ფუძის შემცველი ძირის წარმომავლობის შესახებ. მ. ჩუხუა აღნიშნავს, რომ მეგრ. **ოსარე**-ში ადრე **სერ-ი** „ღამე“ ფუძის შესატყვის კანონზომიერ **სარ-** ფუძეს ხედავდნენ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 160-170), რაც არ არის მართებული. ზანური **ოსარე** კანონზომიერად ასახავს საერთოქართველურ ***ა-საღ-ა** ფუძეს, ოღონდ თანამედროვე ოსარე უძველესი ***ოსორა-(ღ)** ფორმისაგან (ქართ. ა : ზან. ო, ქართ. ღ : ზან. რ) მომდინარეობს. შუა საფეხურად აღდგება ***ოსორა-(ღ)**, სადაც ინლაუტური **ღ** ა-ში მომდევნო –ა სუფიქსის ზეგავლენით გადავიდა.

აუსლაუტური ე ზანურში ა-ფ თანმიმდევრობის გვიანდელ რეალიზაციას წარმოადგენს.

მაშასადამე: ქართ. **ასალ**-ი „ცხენის ზურგზე გადაფარებული ქსოვილი“; გურ. **ასალა** „ქეჩა კეხის ქვეშ დასაფენი“, სვან. **ჟოსჰრ** (ზს., ლნტ.), **ჟოსარ** (ღშხ.) „ჩოხა“. ს.ქართვ. ***ა-სალ-ა** „ქეჩა, ჩოხა, პერანგი“ → **ასალა** → || **ასალ**-ი. ზან. **ოსარე** ← ***ოსარა-(ფ)** ← **ოსორა(ფ)**. სვან. **ჟოსჰრ** || **ჟოსარ** || (**ჟ**)**ოსჰლ** (ჩუხუა 2000-2003, 224).

მეგრ. **პიჟამო**. შდრ. ქართ. **პიჟამა** (ინგ. **pyjamas** ინდურიდან) 1) „საშინაო ან ღამით ჩასაცმელი ტანისამოსი; შედგება შარვლისა და კურტაკისაგან“; 2) „ინდოეთში – თხელი ქსოვილის განიერი შარვალი“ (ქეგლი VI, 1960). როგორც ვხედავთ, სიტყვა უცხო წარმომავლობისაა და მეგრულში შესაძლოა სალიტერატურო ენის მეშვეობით არის დამკვიდრებული (იხ. ლაზ. **პიჟამა**).

მეგრ. **რეიტუზი**-ი „გრძელი ქვედა საცვალი“. შდრ. ქართ. **რეიტუზი**-ი „ნაქსოვი გრძელი ქვედა საცვალი“. ის გერმანული წარმომავლობის სიტყვაა (შდრ. გერმ. **reitouzen** „ცხენზე საჯდომი შარვალი“), რომელიც რუსულის მეშვეობით არის ქართულში დამკვიდრებული (ქეგლი VI, 1960) და აქედან შესულია მეგრულში.

მეგრ. **საგულო** „თასყუნთისაგან შეკერილი, ზოლებიანი, სირმით მოქარგული, ქალებს ეცვათ შიგნით კაბასავით, მკერდი გაწყობილი იყო ვერცხლით, ოქროთი ან ძვირფასი თვლებით, სახელოს ბოლოს ენასავით შევრილი ფარავდა ხელის გულს; ფონები ჰქონდა საუცხოოდ მოწყობილი; საყელო არ ჰქონდა“ (ჭანტურიას არქივი, № 434). **საგულო** ნაწარმოებია სა-ო დანიშნულების პრეფიქს-სუფიქსით გულ- ძირისაგან.

მეგრ. **ყანთარი**-ი || **კანთარი**-ი „ლიფი“ (ყიფშიძე 1994), **ყანთარი**-ი „ქალის წელზევით ტანისამოსი უსახელოებო“ (შდრ. გურ. **ყანტარი**) (ჭარაია 1997). ნაგურალენქ ებყარიოთ, მონძალუნა ყანთარევი „რჩეულები (გულადები) ავმოდრავდით, გვმეტობენ ქალები“ (ხუბუა 1937, 358). **ყანთარი**-ი „სამკერდული, ლიფი, ნაქსოვი კოსტუმი, რომელიც ბავშვს ეცვა სიარულის დაწყებიდან 6-7 წლის ასაკამდე, რომ კარგი საჩოხე თუ საკაბე ტანი ჰქონოდა (ქობალია 2010).

მეგრ. **ჩარაქა** „ჩარეჩიანი პერანგი, მუხლებს ქვემოთ სწვდება“ (ჭანტურიას არქივი, № 434). ჩარაქა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ **ოსარე**-ს ნაწილიც არის. მისი პარალელური ფორმა ჩანს მეგრ. **ჩარექი**-ი „მამაკაცის გრძელი პერანგის ქვედა გვერდგახსნილ ნაწილს ჩარექს უწოდებენ. ამიტომ პერანგსაც **ჩარექამ**

ოსარეს ეძახდნენ“ (მასალები 1983, 241) || **ჩარქამ-ი** || **ჩარქამ ოსარე** „ხამის პერანგი კოჭებამდე გრძელი, ხელის დაზგაზე სელისაგან მოქსოვილი, რომლის საყელო ზონრებით იკვრებოდა“. შეიძლება ამ ფუძეს შეიცავდეს გვარი **ჩარქიშვილი**).

მეგრ. **ჩეშ-ი** „კაცის პერანგი“. ძველად კაცებს გრძელი პერანგი ეცვათ, მუხლებამდის, ქალებს კი – კოჭებამდის“ (მასალები 1983, 241). ვფიქრობთ, მოცემული სიტყვა ნანათესაობითარია (*ჩე-ში – ჩე „თეთრი“, -ში ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი. ე. ი. ეტიმოლოგიურად ნიშნავს *„თეთრისა“).

მეგრ. **ხაბარდა** „ქალის ტანისამოსი მავთულებიანი, კაბის ქვეშ ჩასაცმელი“ (ჭარაია 1997; მასალები 1983, 244).

ლაზური

ლაზ. **დოღოხენი გეჯელუდი** „საცვალი“. ზედმიწ. „შიგნითა პერანგი“. (დიუმეხილი 2009, 24). გეჯელუდი ბახჩიში ქომეჩერენ „ღამის პერანგი საჩუქრად მიუცია“ (თანდილავა 2013). სიტყვის ისტორიისთვის იხ. ლაზ. **გეჯელუდი**.

ლაზ. **ეშკაქუნაშე** „პერანგის შიგნით ჩასაცმელი საცვალი“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007).

ლაზ. **იჟღონ-ი** (ხოფ.) და მისი ფონეტიკური ვარიანტები || **იშთონ-ი** (არქ.) || **დონ-ი** „ნიფხავი, ქვედა საცვალი“ (შდრ. თურქ. icdon) (თანდილავა 2013) || **იშღონ-ი** (ამსე, თაინი 2004).

ლაზ. **კურთა** „ქალის ქვედასაცვალი კოჭებამდე“ (თანდილავა 2013). ოხორჯაში კურთა ელაკორერი იმტუ „ქალის ქვედასაცვალახვეული გაიქცა“ (ჩიქობავა 1936, 48). მას ჰქონდა „შარვლის“ მნიშვნელობაც: მითი ნა მიმაგატუ – „მერჰება, კურთა!“ მიწუმერტეს. „ვინც შემხვდებოდა – „გამარჯობა შარვალს!“ – მეუბნებოდნენ“ (ასათიანი 1974, 29). საინტერესო ფორმა დასტურდება ფურტუნას ხეობაში: **კურთასტე** (ფურტ.) „(ქალებზე) ნიფხავისამარა“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007). მეგრ.-ლაზ კურთას შესახებ იხ. მეგრ. **კურთა**.

ლაზ. **მეშაქუნუ** (ვიწ.) || **მეშკანქუნუ** (ათინ.) 1. „შიგნით ჩასაცმელი“. 2. „პერანგი, ფანელი“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007).

ლაზ. **მონქთურუ** || **ოქთურუ** (ფურტ.) „სუფთა საცვალი“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007). ნაწარმოებია ლაზ. **ქთ-** „ცვლა“ ძირისაგან.

ლაზ. **ეღლეღ-ი** „ლიფი“. ერთ-ერთი მთქმელის განმარტებით, ყოველგვარ უხელო ჩასაცმელს **ეღლეღი-ს** ეძახიან (ჩვენი მასალა). **ეღლეღი**, აგრეთვე, განმარტებულია როგორც „ჟილეტი“ (თანდილავა 2013). მიშ ეღლეღის მიში კოპჭა

გიოჩანი „ვის ჟილეტზე ვისი ფოლაქი (კოპჭა) დააბი“ (კარტოზია 1972, 213). შდრ. ქართ. (გურ. აჭარ.) **ელეგ**-ი 1. მამაკაცის წელზევითა ტანსაცმელი, უსახელოებო, დილებით შესაკერელი, იცვამენ ჩოხის ქვეშ, – ჟილეტი. 2. ქალის წელზევითა სამოსი, უსახელოებო, იცვამენ გულ-მკერდის დასაფარავად და შესაკრავად, – ლიფი. შდრ. თურქ. **yelek** „ჟილეტი“. ეს სიტყვა ლაზურში, გურულსა და აჭარულში თურქულიდან უნდა იყოს შემოსული.

§ 4. ზედა სამოსი

მოცემულ პარაგრაფში შეიძლება გამოიყოს ორი ქვეჯგუფი: 1) ზოგადი სახელები, რომლებიც ამ ჯგუფში შემავალ ელემენტთა ზოგადი სახელწოდებანია და 2) კერძო სახელები, რომლებიც მოიცავს ამ ჯგუფში შემავალ ელემენტთა კონკრეტულ სახეობებს.

1) ზოგადი სახელები

მეგრული

მეგრ. **ჟიდლიანი მიკაქუნალ-ი** || **ჟიდლიან-ი** || **ჟიდონ-ი** || **ეშეიან-ი** „ზემოდან ჩასაცმელი, ტანზედა || ზედა სამოსი“ (ჩვენის მასალა).

ლაზური

ლაზ. **ეონქუნაშე** || **გოონქუნაშე** 1. „ზედა ჩასაცმელი ზოგადად“. 2. „ბლუზა“ (უზუნჰასანოდლე, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007).

ლაზ. **მოქუნუშ-ი** (მო-ქუნ-უ-ში) „მოსასხამი“ (ზედმიწ. „მოსაცმლისა“); მოქმელის განმარტებით, ის არის გარედან, ზემოდან მოსაცმელი (მათ შორის, პალტო და პიჯაკი) || **მოჟაქუნუშ-ი** || **მოქუნუშ-ი** (მოჟა-ქუნ-უ-ში || მო-ქუნ-უ-ში) „მოსაცმელი“ (გახსნილი) || **გეჟაქუნუში** (გეჟა-ქუნ-უ-ში) „ზემოდან ჩასაცმელი ან მოსაცმელი“ || **ეჟაქუნუშ-ი** (ეჟა-ქუნ-უ-ში) „მოსაცმელი“ (მასალა) || **შქაშ ჟინ დო-ლოქუნუ** (დოლო-ქუნ-უ) „ზედა ჩასაცმელი“ (ჩიქობავა 1929, 151).

მოცემული ლაზური ზედა სამოსლის აღმნიშვნელი სახელები წარმოქმნილია, დანიშნულებას გამოხატავენ, ნაწარმოებია **ქუნ-** „ჩაცმა“ ძირისაგან, ახლავს: **მოჟა-**, **გეჟა-**, **ეჟა-** ზმნისწინები, რომლებიც ფარდია ქართული **მო-** და **და-**

ზმნისწინებისა. მოქუნუშის სემანტიკისაა მოუაქუნუში, ეუაქუნუში და ნანათესაობითარი სახელებია (-ში – ნათ. ბრუნვის ნიშანი).

2) კონკრეტული სახელები

მეგრული

მეგრ. **ახალუხ-ი**, **ახაფუხ-ი** „ახალუხი“ (შდრ. კაბა) (ყიფშიძე 1994). ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ახალუხი იკერებოდა ან აბრეშუმისაგან, ან მატყლგარეული აბრეშუმისაგან, ბამბაგარეული აბრეშუმისაგან (მასალები 1983, 246) (იხ. ლაზ. ძიქვა-**ახალუხ-ი** „ჩოხა-ახალუხი“ (ჩვენი მასალა). ქართულშიც დასტურდება **ახალუხ-ი** შემდეგი მნიშვნელობით: 1. წელში გამოყვანილი (ნაოჭასხმული ან ჩაქებდაყრილი) ჩასაცმელი მამაკაცისა, წელამდე სარჩულდადებული; ღილ-კილოებით შესაკრავი; საყელოიანი, ვიწრო სახელოებიანი (ჩვეულებრივ ჩოხის ქვეშ ჩასაცმელი). 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. **ჩოხა-ახალუხი** (ქეგლი I, 2008).

ივ. ჯავახიშვილის აზრით, **ახალუხი** თურქული სიტყვაა, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება: **ახა** და **ლუხ**. **ახა**-ს სრული და თავდაპირველი მნიშვნელობა აჭარულს აქვს დაცული, სადაც **იახა**-ს ხმარობენ ტანისამოსის ზედატანის საყელოს აღსანიშნავად. თურქული **jaka** კიდეს, ნაპირს და ტანისამოსის საყელოს ეწოდება, **lik** ან **luk** კი განყენებულ ცნებათა მაწარმოებელი თურქული ბოლოსართია. თურქულში თვით ტერმინ **დაყალყუ-ი** ან **აქალყუ-ი** არსებობს და საყელოს გასაკეთებლად განკუთვნილ მაუდის ან ქურქის ნაჭერს ნიშნავს (მასალები 1962, 152).

მეგრ. **ბლუზა** „ქალის ან მამაკაცის ზედა ჩასაცმელი ნახევრად ჩაღილული (ქაჯაია I, 2001). ნოტე გინმურთინუას ჭითა ბლუზათ, ვარა ღართო „ნეტავი გადამაქცია წითელ ხალათად, ანდა ჩოხად“ (სამუშია 1971, 99). ქართ. **ბლუზ-ი**, **ბლუზა** (ბლუზისა) [ფრან. **blouse** რუს. ენის მეშვე.] მამაკაცის ხალვათი ზედა ტანსაცმელი, რომელზედაც ქამარს ირტყამენ, – ხალვათი (ქეგლი I, 2008). როგორც ჩანს, სიტყვა უცხო ენიდან არის შემოსული, ხოლო მეგრულში ქართულის გზით არის დამკვიდრებული. იხ. ლაზ. **ბლუზა**.

მეგრ. **კასტუმ-ი** „პიჯაკი“ (ჩვენი მასალა). შდრ. რუს. **костюм** „ტანსაცმელი, ტანისამოსი, კოსტუმი“. ქართულშიც დასტურდება **კოსტიუმი** || **კოსტუმ-ი**. ქეგლი-

ს მიხედვით, ის შედარებულია ფრანგ. costume-თან, რომელსაც აქვს მნიშვნელობები: 1. ადამიანის ტანსაცმელი. ნაციონალური კოსტუმი. 2. მამაკაცის თანამედროვე სამოსის სრული კომპლექტი (პიჯაკი, ჟილეტი, შარვალი) (ქეგლი IV, 1955). როგორც ჩანს, სიტყვა ფრანგულია, იქიდან არის რუსულში გავრცელებული, რუსულიდან შემოსულია ქართულში და მისი მეშვეობით დამკვიდრებულია მეგრულში.

მეგრ. **კიტელ**-ი „ზედა ჩასაცმელი“ || **კიტეი**. (ჩვენი მასალა). მოქმელის განმარტებით, კოსტუმივით შეკერილი, გალიფე შარვალთან ჩასაცმელი ზედა სამოსელია. ეს სიტყვა ქართულშიც დასტურდება, რომელიც განმარტებულია, როგორც „სამხედრო ფორმის ქურთუკი (ჩვეულებრივ საზაფხულო)“. **კიტელ**-ი უცხო, გერმანული წარმომავლობის სიტყვად არის მიჩნეული. შდრ. გერმ. Kittel რუსული ენის მეშვეობით არის შემოსული ქართულში (ქეგლი IV, 1955). მეგრულში ის ქართულის გზით უნდა იყოს დამკვიდრებული. იხ. ლაზ. **კიტელი**.

მეგრ. **რუბაშქა** „პერანგი, ხალათი“ (ქაჯაია II, 2002) || **რუბაშკა** (ჩვენი მასალა). ჩე რუბაშქა დოგიჭუ დო ჰავა გიქაქალუანს „თეთრი ხალათი შეგიკერავს და ჰაერი (ნიავი) გიქიქინებს“ (სამუშია 1971, 235). შდრ. რუს. **рубашка**. მას იგივე მნიშვნელობა უდასტურდება. ჩანს, რომ სიტყვა რუსულიდან არის შემოსული მეგრულში.

მეგრ. **საროჩკა** „პერანგი“ (მამაკაცის ან კაცის გარედან ჩასაცმელი გახსნილი, დიღებიანი) (ჩვენი მასალა). შდრ. რუს. **сорочка** „პერანგი“. ეს სიტყვა მეგრულში რუსულიდანაა დამკვიდრებული.

მეგრ. **ტალმა** „ქალის ზედა ჩასაცმელი“ (ქაჯაია IV, 2009). ა. ჭანტურია აღნიშნავს, რომ ეს იგივეა, რაც ქათიბა (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. **ფორჩა** „სელის ძაფისაგან ნაქსოვი“ (ჭარაია 1997). ხოლო ყიფშიძესთან **ფორჩა** „პერანგი, ხალათი (ზევითა) უხეში ძაფისაგან ხელით მოქსოვილი“ (ყიფშიძე 1994). ქათირჩეს ფორჩა ფალო „ქვეშ დაიგეს მხოლოდ ფორჩა“ (ქაჯაია III, 2002). ეს ლექსემა დასტურდება ლაზურშიც. სიტყვის წარმომავლობისთვის იხ. **ხეფორჩა**.

მეგრ. **ქნზ**-ი „ტყავისა იყო, სახელოები არ ჰქონდა. ზევით ჩასაცმელად ხმარობდნენ“ (მასალები 1983, 244; ქაჯაია III, 2002).

მეგრ. **ქნჩ**-ი || **ქნჩე** „ზედა ჩასაცმელი ტყავისა“. ცხვარს გაატყავებდნენ, სათანადოდ დაამუშავებდნენ და სახელოიან გრძელ „ქნჩეს“ იკერავდნენ

(მასალები 1983, 241). არძაქ ქნხე დიიჭეს ოში კოჩიქ „ყველამ ქნხე შეიკერეს, ასმა კაცმა“ (ხუბუა 1937, 262).

მეგრ. **ჯემპრ-ი** „ზემოდან ჩასაცემელი ნაქსოვი უღილებო, ყელიანი ან უყელო“. ის შეიძლება იყოს: **დაბალი კისერამი** (ჯემპრი) „დაბალყელიანი“ და **ხურხამი** (ჯემპრი) || **კისერამი** (ჯემპრი) „ყელიანი“. ეს სიტყვა დასტურდება ქართულშიც: **ჯემპერ-ი** (ჯემპრ-ი). ის ქართულის მეშვეობით არის მეგრულში შესული. ქართული ფორმა კი შედარებული არის იმავე მნიშვნელობის ინგლ. jumper-თან. (ქეგლი VIII, 1964).

ლაზური

ლაზ. **ანთერ-ი** || (რ-ს დაკარგვით) **ანთე-ე** „ქალის ზედა მოკლე ტანსაცემელი, ქალის ზედა ხალათი (უმკლავო)“ (თანდილავა 2013). ბუმლული მუ ღოდაფტუ, ღაზი-ანთერი მუში „მეშლული (ხუთთუმნიანი ოქროს ფული) რად უნდოდა ჩითის ხალათი მისი!“ (კარტოზია 1972, 207). მოქმელების განმარტებით, ლაზ. **ანთერ-ი** || **ანთე-ე** არის „კაცის ზედა ჩასაცემელი“ (ჩვენის მასალა). ანთერ-ი წარმოქმნილი სიტყვა ჩანს.

ლაზურში დასტურდება ამ ფუძიდან ნაწარმოები **ანთერონ-ი** „ანთერჩაცემული“ (*ანთერ-ონ-ი ზედმიწ. „ანთერიანი“) (ლაზურის ფონდი).

ლაზ. **ბლუზა** || **ბურზა** „ხალათი“ (თანდილავა 2013). ნა-მოძიტუ შარვალი დო ბლუზაფე, გამოსთუ „რომ ეცვა შარვალი და ბლუზები, გაძვრა“ (ქლენტი 1938, 87). ეს სიტყვა დასტურდება ქართულში (რომლის წყაროდ ფრანგული ენის მონაცემი არის მიჩნეული) და მეგრულში, სადაც ეს სიტყვა ქართულიდან არის შესული, ხოლო ლაზურში შეიძლება ის თურქულის გზით იყოს დამკვიდრებული. || **რუზა** (ვიწ.) || **ბურზა** (ფურტ., ხოფ.) 1. „სქელი ნაჭრისაგან დამზადებული ჟილეტის ფორმის გრძელმკლავიანი სამოსი“. 2. „დღევანდელი მონადირის სამოსის მსგავსი დიდი და ფართო ჯიბიანი ჟილეტი“. 3. (ფურტ.) „სკოლის წინსაფარი“. 4. „ქალის ზედა სამოსი, ბლუზა“ (უზუნჯასანოღლუ, ბუ-ჯაკლიში, ალექსივა 2007).

ლაზ. **კასთუმი-ი** „კოსტიუმი (პიჯაკი)“ (თანდილავა 2013). ამა კოჩიქ ქუჭოფუ კასთუმი დო შარვალი „ამ კაცმა უყიდა კოსტიუმი და პიჯაკი“ (კარტოზია 1972, 143). მისი წარმომავლობისთვის ის. მეგრ. **კასტუმი-ი**.

ლაზ. კიტელ-ი „მამაკაცის ჩასაცმელი (ზედა)“ (ჩვენი მასალა). სიტყვის ისტორიისთვის იხ. მეგრ. კიტელ-ი.

ლაზ. კოქტა || კოქთა || კოფტა „კოფთა“; „პერანგი“ (თანდილავა 2013; უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007). შქაშ ჟინ-ნა დოლოქუნს, კოქთა რენ „წელს ზევით რომ აცვია, კოფთა არის“ (თანდილავა 2013). ამ მნიშვნელობით ქართულში დასტურდება კოფთა, რომელიც რუსულიდან არის შემოსული. შდრ რუს. кофта (ქეგლი IV, 1955). ეს ლექსემა გვხვდება მეგრულშიც.

ლაზ. საროჩკა „პერანგი“ (ასათიანი 1974, 102). სიტყვის ისტორიისთვის იხ. მეგრ. საროჩკა.

ლაზ. ფორჩა „პერანგი“ (თანდილავა 2013); ჰიმ ფორჩა ბითუმ დიცხირი დოტუ „ის პერანგი მთლად სისხლი გახადა“ (ჩიქობავა 1936, 118). მთქმელების განმარტებით – „კაბა“ (ჩვენი მასალა). გვხვდება ამ ფუძიდან ნაწარმოები ფორჩასთე „პერანგის ამარა“. იხ. მეგრ. ფორჩა.

ლაზ. ჭანელა „ზედა ჩასაცმელი“ (შდრ. თურქ. fanila) (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა). იხ. მეგრ. ფანელ-ი.

§ 5. ქვედა სამოსი

ამ პარაგრაფში გაერთიანებულია ქვედა კაბა და შარვალი, რომლებიც ზოგადი მნიშვნელობისაა და აგრეთვე, მათი კონკრეტული სახელები.

მეგრული

მეგრ. გიმეიანი || გიმეიანი კაბა „ქვედა კაბა“ (ჩვენი მასალა). ამ მნიშვნელობით მეგრულში უცხო წარმომავლობის იუკა || იუბკაც გვხვდება (ყიფშიძე 1994), რომელიც მომდინარეობს რუსულიდან. შდრ. რუს. юбка. იუკა გამკინწყუ „ქვედაკაბა გაიხადა“ (ხუბუა 1937, 140).

მეგრ. შალვარ-ი || შალუარ-ი || შადვარ-ი „შარვალი“. სი ძიქვა მიგოხირუნი, თითი ჯგირი კოჩი ცოფერენია „შენ შარვალი რომ მოგპარა, ისიც კარგი კაცი ყოფილაო“ (ქაჯაია III, 2002) ← ქართ. შარვალ-ი ← სპარს. šālvar (ანდრონიკაშვილი 1966, 213).

შარვლის სხვადასხვა სახე გამოიყოფა:

მეგრ. აფხაზურ-ი შარვალ-ი (მასალები 1983, 246).

მეგრ. გალიფე შარვალ-ი „გალიფე შარვალი“ – მუხლებს ქვემოთ ვიწროდ და ზემოთა ნაწილში ფართოდ გამოყვანილი შარვალი. ამ სახის შარვალი დასტურდება ქართულშიც. სიტყვა უცხო წარმომავლობისაა. შდრ. ფრანგ. Gallifet, რომელიც რუსული ენის მეშვეობით დამკვიდრდა ქართულში (ქეგლ I, 2008).

მეგრ. ძიქვა || ძექვა „ერთგვარი წელში ანაოჭებული და ტოტებმოვიწროებული შარვალი, რომლის ჩაცმა შეიძლებოდა შეუბრუნებლადაც, რადგან წინაც და უკანაც ერთნაირი იყო, ჰქონდა ღილები, სარტყელი და წელზე მაგრდებოდა ხვანჯრით (კურთალარით); უპირატესად იქსოვებოდა ხელით, ყაისნალით, ძირითადად იცვამდნენ მოხუცები და ბალები“ (ქობალია 2010). ძიქვა ლაზურშიც დასტურდება.

ლაზური

ლაზ. გოტკიმალე „ქვედა კაბა“. შქაშ თუდენი გოტკიმალე რენ „წელს ქვემოთ (ქვედა) ქვედა კაბა არის“ (თანდილავა 2013). ეს ფუძე წარმოქმნილია, ნაწარმოებია გოტკიმუ „შემორტყმა“ ზმნური ფორმისგან (*გო-ტკიმ-ალ-ე).

ლაზ. იუბკა „ქვედაბოლო“ (ჩვენი მასალა). წარმომავლობისთვის იხ. მეგრ. იუბკა || იუკა.

ლაზ. შარახ-ი „ერთგვარი შარვალი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. შარვალ-ი || შალვარ-ი || შავალ-ი || შარვაჲ (შდრ. თურქ. şalvar). შალვარი – შიბი გომადვალერი იყვენ „შარვალზე შნური (ნაჭრის) გაყრილი იქნება“ (ჩიქობავა 1929, 15). როგორც ზემოთ, მეგრულ მასალაზე მსჯელობისას აღვნიშნეთ, შარვალ-ი ქართულის მეშვეობით არის შესული მეგრულში, მაგრამ ლაზური ერთეულები შედარებულია თურქულთან (თანდილავა 2013). შესაძლებელია ის თურქულის გზით დამკვიდრდა ლაზურში.

ლაზურშიც შარვლის სხვადასხვა სახე გამოიყოფა:

მეგრულის მსგავსად, ლაზურშიც დასტურდება ძიქვა || (დეზაფრიკატიზაციით) ზიპკა || ძიძა (ხოფ.) || ძიკვა (ვიწ.) || წიკვა (ათინ.) „შარვალი“, „ჩოხა“. ძიკვა გელეგუდვიკო თოქმე შარვალი-კალა „ძიქვა დამედო ... შარვალთან ერთად“

(ჩიქობავა 1929, 68). ეს ფუძე გამოვლენილია შესიტყვებაში: **ბიქვა-ახალუხ-ი** „ჩო-ხა-ახალუხი“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. **დუზ-ი შარვალ-ი** „სწორი, ინგლისური შარვალივით“ (ჩვენი მასალა). შდრ. ლაზ. **დუზი** „სწორი“.

ლაზ. **მკულე** || **კულე შარვაჲ** „მოკლე შარვალი“ (ჩვენი მასალა). შდრ. ლაზ. **მკულე** || **კულე** „მოკლე“.

ლაზ. **შიბილონ-ი შალვარ-ი** „ზონრიანი შარვალი“ (ჩიქობავა 1929, 150). შდრ. ლაზ. **შიბ-ი** „მწერი, ზონარი (ნაჭრის)“ (თანდილავა 2013), მისგან –ონ სუფიქსით უნდა იყოს ნაწარმოები შიბილონი.

ლაზ. **გოლფ-ი** || **გალიძე** || **კალიფე** || **კალიფე** (გ-ს გამკვეთრებით) (ასათიანი 1974, 36; ჩვენი მასალა). მისი წარმომავლობის შესახებ იხ. მეგრ, გალიფე.

ლაზ. **ფონთულ-ი** || **ფონთოლონ-ი** „შარვალი“ (შდრ. ფრანგ.-თურქ. pantolon) (თანდილავა 2013) || **ფონტულ-ი** (ათინ.) „შარვალი“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007). ამა ფონთოლონი ენ „ეს შარვალი არის“ (ჩიქობავა 1929, 150). როგორც ჩანს, სიტყვა თურქულის გზით არის დამკვიდრებული ლაზურში.

ლაზ. **ტორველა** 1. (ჩხალ.) „მოშვებული შარვალი“. 2. (ფურტ.) „ულამაზოდ, უსუფთაოდ ჩაცმული“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007).

ლაზ. **ჭაკ-ჭირინა** „თხელი ქსოვილისაგან შეკერილი შარვალი“ (თანდილავა 2013; უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007).

სიტყვა **შარვალ-ი** ორივე ჯგუფისთვის, როგორც მეგრულისთვის, ასევე ლაზურისთვის, შარვლის ზოგად სახელადაც შეიძლება მოვიაზროთ.

§ 6. მოსასხამი, მოსაცმელი

ამ პარაგრაფში გაერთიანებულია ორი ჯგუფი: 1) ზოგადი სახელები, რომლებიც მოიცავს ამ ჯგუფში შემავალ ელემენტთა ზოგად სახელწოდებებს და 2) კერძო – ამ ჯგუფში შემავალ ელემენტთა კონკრეტული სახელწოდებანი.

1) ზოგადი სახელები

მეგრული

მეგრ. მაქუნალ-ი || გინაქუნალ-ი „მოსასხამი“; „ჩასაცმელი“ (მასალები 1983, 243); || გალენ-ი გინაქუნალ-ი „გარედან მოსაცმელი“ || გალეიან-ი „გარეთა“ || გალენ-ი მუკაქუნალ-ი || მგაქუნალ-ი „გარედან ჩასაცმელი“ (ჩვენი მასალა).

ლაზური

ამ ჯგუფის ლაზური სახელები საზიაროა ტანზემთ ჩასაცმელი ზოგადი სახელებისა. იხ. ამ ქვეთავის § 4.

2) კონკრეტული სახელები

მეგრული

მეგრ. ანაფორა || ანაფარა „ანაფორა“ || მაფორ-ი „საბურველი, ანაფორა, ონფორი, ხუცის სამოსი, მფარველი“ (ქობალია 2010). ანაფარა ფორმათ უღუ, ომაჟალუ აბრაგებუც „ანაფორა ფორმად აქეს, მეგობრობს ყაჩაღებთან (ქაჯაია I, 2002). შდრ. ქართ. ანაფორა (ბერძნ. anaphoro) „მღვდლის სამოსი, ფართო და გრძელი“ (ქეგლი I, 2008).

მეგრ. ბარჭოშ-ი „გრძელბეწვიანი, ჭავლიანი ნაბადი, ითელეობდა დახუჭუჭებული, ნარჩენი ან საგანგებოდ დაუპენტავი ბოჭკოსაგან“. ბარჭოშ ნაბად-ი || ბარჭოში. ბარჭო –გრძელი ბეწვი, ჭავლი ნაბდისა; მატყლის ნარჩენი გაპენტვის შედეგ (ქობალია 2010).

მეგრ. ბინიშ-ი „ერთგვარი ნაქსოვი მოსასხამი“ (ქობალია 2010). ეს შეიძლება ნანათესაობითარი სახელია, ბინ- „შებნევა“ ძირზე ნათესაობითი ბრუნვის –იშ ნიშნის დართვით მიღებული.

მეგრ. გაროზ-ი „ნაქსოვი, მოსასხამი“ (ჭარაია 1997); „თავსახურავი“ (ჭანტურიას არქივი, № 434). გაროზიში შარფი უღუღუ „გაროზის შარფი ჰქონდა“ (ქაჯაია I, 2002). შდრ. აჭარ. გურუზ-ი „ქსოვისას ერთ-ერთი სვლა“ (თვლის წამატება). იმერ., რაჭ. გაროზ-ი „ნაქსოვი მოსასხამი“, რუს. гарус (ბერიძე 1912).

მეგრ. **გაფორაფალ**-ი „შემოსაფარი, შემოსაბური (ნაბადი)“ (ქობალია 2010). იგი მომდინარეობს ფორ- „დაფარვა“ ზმნურ ძირზე გა- ზმნისწინისა და -ალ სუფიქსის დართვით.

მეგრ. **გაქუნალ**-ი „დასაბური, მოსასხამი, შესაფუთი“ (ქობალია 2010). ლექსემა მიღებულია ქუნ- ძირზე გა- ზმნისწინისა და -ალ სუფიქსის დართვით.

მეგრ. **გვაბანა** „წამოსასხამი“. მზადდებოდა მატყლისაგან, ნაბადივით თოვლში, ქარსა და წვიმაში ზევით ჩასაცემლად. გვაბანა მუხლამდე იყო, სახელოიანი (მასალები 1983, 244-245). **გვაბანა** „ქეჩა“ (კილანავა 1998; ქაჯაია I, 2001).

მეგრ. **გინოქვენჯი**-ი (გინოქვინჯი) „ყარყუმის, სიასამურის ან წავის ბეწვ-გადაკრული“ (ჭანტურიას არქივი, № 434). მის წარმომავლობასთან დაკავშირებით იხ. **მიკოქვენჯი**.

მეგრ. **კაპუჭი**-ი „მოსასხამი მთელი ტანის სიგრძეზე, იკვრებოდა ერთი კავით, აბრეშუმის, ზოლიანი, გაწყობილი ოქროთი და სხვა ძვირფასეულებით“ (ჭანტურიას არქივი, № 434). „ცხვრის ან თხის გამოქნილი ტყავი და მისგან დამზადებული ტყაპუჭი, აბგა, გუდა და სხვ.“ (ქობალია 2010).

მეგრ. **კოჭილულუ** „მთლიანად სირმით მოქარგული მაუდის ან აბრეშუმის მოსასხამი (ჟაკეტივით), სახელო იდაყვამდე ჰქონდა“ (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. **ლაბად**-ი „ლაბადა“ (ქობალია 2010). წარმომავლობისათვის იხ. **ლაზ. ლაბადა**.

მეგრ. **მოსასხან** „ქალის ზევითა ჩასაცემელი, სახელოები არ ჰქონდა, აბრეშუმისა და შალისაგან კერავდნენ, გვერდებში იქით-აქეთ მოყვანილი იყო, მთლიანად მიივებით გაწყობილი. იგი მუხლებამდე წვდებოდა, ტოლმაზე უფრო მოკლე იყო“ (მასალები 1983, 243).

მეგრ. **ნაბად**-ი „ნაბადი; თექა“. **ნაბადამ**-ი „ნაბდიანი“ (სოკოს ჯიში) (ქობალია 502). ალექსანდრე მუში ჭითა ნაბადია „ალექსანდრემ გადაიგდო თავისი წითელი ნაბადი“ (ხუბუა 1937, 159). ჯავახური **ნაბადა** „ვაშლის ჯიშია, ძალიან მსხმოიარეა, სქელი ქერქი აქვს“ (ბერიძე 1981). ჯავახ. **ნაბდ**-ი **ხმალ**-ი „ნაბდისაგან გაკეთებული ხმალი“ (ბერიძე 1981). ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით, ქართ. **ნაბად**-ი სხვა ენებთან არის დაკავშირებული. კერძოდ: ქართ. **ნაბად**-ი, ირან. nymet nimæet „ქეჩა, ნაბადი“, ოს. namata „ქეჩა“, ძვ. ინდ. namata, არაბ. namat (აბაევი 1973). შდრ. მეგრ. **უჩანაბადამ**-ი „შავნაბდიანი, ჭიანჭველას

ტაბუირებული სახელი (ჭიანჭველას არ ახსენებენ, როცა აბრეშუმის ჭია უზით)“ (ქობალია 2010). ამ სიტყვის წარმომავლობისთვის იხ. ლაზ. **ლაბადა** || **ლიბადი**.

მეგრ. **ორტაფი-შარშაფი** „ნაქსოვი, აბრეშუმის, ჭრელი და ფართო, შემოსაკრავი“ (ჭანტურიას არქივი, № 434). კომპოზიტია, მიღებული მეგრ. **ორტაფი**-ი და თურქული **çarşaf** „ზეწარი“ სიტყვისაგან.

მეგრ. **ტოლომა** || **ტოლგმა** „ნაბადივით მოსასხამი ქალისა, უსახელოებო (მასალები 1983, 243).

მეგრ. **ქეჩა** „თექა, შეუღებავი ნაბადი“ (ქობალია 2010). ქართულშიც დასტურდება **ქეჩა**, რომელიც განმარტებულია როგორც „ნაბადი“ და შედარებულია თურქ. **keçe** ფუძესთან, რაც ნიშნავს: „ქეჩა, თექა“ (ქეგლი VII, 1962).

მეგრ. **ქუნ-ი** „დასახური, საბან-გობანი, საბურველი; ნაბადი, გარე მოსასხამი“ (ქობალია 2010).

მეგრ. **ქუნჩი**-ი „ქურქი, ბეწვიანი მოსასხამი“ (ქაჯაია III, 2002); „საზოგადო სახელი ქურქისა, ჯუბისა, გვაბანაკისა, ტყაპუჭისა; გადაბრუნრბული ტყავი, ზურგზე მოსასხამი, საზამთრო სამოსია ერთგვარი, ნაბდის სათბურა“ (ქობალია 2010). ქუნჩი ჭყიშიშ გინაქუნალი რე, ჩხურუშე დო ჭვიმაშე იცვენს „ქუნჩი“ მწყემსის წამოსასხამია, სიცივისა და წვიმისაგან იცავს“ (ხუბუა 1937, 69). შდრ. **ქუნჩა** || **ქუნჩარ-ი** „ტყაპუჭიანი, ბეწვიანი“ (ქობალია 2010). შდრ. ლეჩხ. **ქუნჩი**-ი „ქურქი, ბეწვიანი წამოსასხამი“ (ლლონტი 1984).

ლაზური

ლაზ. **კაბალახუნტკა** „მოსასხამი, რომელიც თხის ტყავისაგან მზადდება, წყალგაუმტარია“ (თანდილავა 2013).

ლაზ. **კირკი** || **კიკი** „მოსაცმელი (ძვირფასი – ოქროსი)“ (თანდილავა 2013). ნედმეს მოძიტუ კირკი ალთუნიში „ნეიმეს ეცვა ოქროს მოსაცმელი“ (ულენტი 1938, 170).

ლაზ. **ლაბადა** || **ლიბადი** „ზედ თბილი ჩასაცმელი ბამბის“; „მოსასხამი“. საანალიზო ფუძის ისტორიისთვის იხ. ლაზ. ლაბადა სამოსლის სახეობებში.

ნაბდის მნიშვნელობით ლაზურში დასტურდება, აგრეთვე, **დამჩი**-ი || **დამჭი**-ი (თანდილავა 2013), რომელიც შეიძლება მომდინარეობს თურქულიდან. შდრ.

თურქ. yamcı. დამნი ჰომუჟიკიდუ მსუჯის „ნაბადი გადაიკიდა ზურგზე“ (კარტოზია 1972, 36).

ლაზ. ჩეპქენ-ი „მაუდის გრძელმკლავიანი მოსასხამი გახსნილი მკლავებით“ (შდრ. თურქ. çepken) (თანდილავა 2013).

ლაზ. ჯუბბე „ანაფორა“ (არაბ. cubbe) (თანდილავა 2013). ქოდილიქუნუ ჯუბბე „ჩაიცვა ანაფორა“ (კარტოზია 1970, 27). შდრ. ქართ. ჯუბა 1. „განიერი წამოსასხამი ხალათი“. 2. „დაბამბული კურტაკი“ (ქეგლი VIII, 1964).

I ქვეთავში, რომელიც ტანისამოსს ეხება, მასალა საკმაოდ ფართოდ გამოვლინდა. ეს ქვეთავი პარაგრაფებად არის დაყოფილი. მასში აღწერილი და განხილული არის ტანისამოსის აღმნიშვნელი ზოგადი სახელები, რომლებიც ძირითადად წარმოქმნილი სახელებია, ნაწარმოები საერთოქართველური ქუნძირისაგან. ამ ქვეთავში, გარდა ზოგადი სახელებისა, განხილულია სამოსლის კონკრეტული სახელები, რომელსაც გაუდიფერენცირებელი ვუწოდეთ და შემდეგ კი დავაჯგუფეთ სამოსელი ადგილმდებარეობის მიხედვით. შესაბამისად, გამოიყო: შიგნითა სამოსი, ზედა სამოსი, ქვედა სამოსი, მოსასხამი. სემანტიკურ ანალიზთან ერთად განვიხილეთ მათი სტრუქტურა. გამოვლინდა მარტივი, და რთული სახელები, საკუთრივ მეგრულ-ლაზური, საერთოქართველური და უცხო წარმომავლობისა.

II ქვეთავი ფეხსამოსი

ამ ქვეთავში განხილულია ფეხსამოსი. გამოიყოფა: 1) ზოგადი – ჯგუფში შემავალ ელემენტთა ზოგადი სახელწოდებანი და 2) კერძო – კონკრეტული სახელწოდებანი ანუ ფეხსამოსის სახეობები.

§ 1. ფეხსამოსი

1) ზოგადი სახელები მეგრული

მეგრ. მადვალარ-ი (მა-დვალ-არ-ი) „ფეხსაცმელი“ (ქობალია 2010) წარმოქმნილი ფუძეა, ნაწარმოებია მეგრ. დვალა „დება“ ზმნისაგან. წარმოების

მიხედვით მიმდებარა, გამოხატავს დანიშნულებას, ზედმიწ. ნიშნავს „(ფეხზე) მოსადები“ (მარტვილურში **მადვალარ-ი** ითქმის, როგორც ტანისამოსის, ასევე ფეხსაცმლის შესახებაც). ამ მნიშვნელობით დასტურდება შესიტყვებაც და რთული სიტყვაც: **კუჩხიში მადვალარ-ი** || **კუჩხემოდვალ-ი** || **კუჩხემოდვალუ/გ.** ისინი შეიძლება დაიშალოს კუჩხიშ- ან კუჩხ- „ფეხის“ და მადვალი ან მადვალარი „მოსაცმელი, მოსადები“. კუჩხიშ ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა, რომელიც გამარტივებული სახითაც გვხვდება, ჩავარდნილია ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი **-იშ**, სიტყვის მეორე კომპონენტი, როგორც ვხედავთ, არის **მოდვალ-ი** || **მადვალარ-ი**. მსგავსი წარმოება გვაქვს ლაზურშიც. წარმოების მხრივ, ქართულშიც მსგავსი ვითარებაა. შდრ. ქართ. ფეხ-სა-ცმ-ელ-ი.

ლაზური

ლაზ. **მოდვალუ** (მო-დვალ-უ) || **მოდვალუში-ი** (მო-დვალ-უ-ში) „ფეხსამოსი (ზოგადად)“ (თანდილავა 2013) || **კუჩხეში-ი მოდვალუ/ი** || **კუჩხეში მოდვალუში** „ფეხსაცმელი“ (მარი 1910, ჩვენი მასალა). წარმოების მხრივ, მოცემული ფუძეები წარმოქმნილია. მეგრულის მსგავსად, საყრდენი ფუძე ნაწარმოებია **დვალ-ზმნური** ძირისაგან. **მოდვალუ** || **მოდვალუში** დანიშნულების სახელებია, სადაც ზმნურ ძირთან ერთად გამოიყოფა **მო-** ზმნისწინი, **-უ** საწყისის მაწარმოებელი და **-ში** – ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, რომელიც დანიშნულების ფუნქციას ასრულებს, ხოლო რთულ ფუძეებში: **კუჩხეში-ი მოდვალუ/ი** || **კუჩხეში მოდვალუში** პირველი შემადგენელი ნაწილი არის კუჩხე „ფეხი“ ნათესაობითი ბრუნვის ფორმით: **კუჩხე-შ** || **კუჩხე-ში** „ფეხის“.

2) ფეხსამოსის კონკრეტული სახელწოდებანი

ფეხსამოსში გამოვყავით სამი ჯგუფი: 1) ფეხსაცმლის სახეობები, 2) ფეხსაცმელი ფორმის მიხედვით.

1) ფეხსაცმლის სახეობები

ამ ქვეჯგუფში გაერთიანებულია ფეხსაცმლის **სახეობები**: ქოშები, ჩუსტები, ჩექმები, წინდა-ფეხსაცმელი; **ფორმის** მიხედვით: ქუსლიანი, მაღალყელიანი, უყელო || დაბალყელიანი, მსხვილ ან წვრილცხვირიანი; **მასალის** მიხედვით:

რეზინის, მატყლის, ქსოვილის, ხის; **ხარისხის** მიხედვით: ძველი, უვარგისი, უბრალო, ძვირფასი, მდიდრული; **დანიშნულების** მიხედვით: გლეხური, სპორტული, ბავშვის, ქალის, წულის ქვეშ ჩასაცმელი, საცეკვაო, მთაში, თოვლზე, ჭაობში სასიარულო; გამოვლენილია ისეთი სახეობები, რომლებიც განმარტებულია, როგორც „**ერთგვარი ფეხსაცმელი**“, არ არის განსაზღვრული მათი დანიშნულება. ფეხსაცმლის ჯგუფში გამოიყოფა ისეთი სახეობებიც, რომელთა სახელწოდება გამომდინარეობს ფეხსაცმლის საწარმოებლად გამოყენებული მასალისაგან. მაშასადამე, ფეხსაცმლის სახეები გამოყოფილია: ფორმის, მასალის, დანიშნულების მიხედვით. მნიშვნელოვანია ლექსიკურ ერთეულთა სტრუქტურა – გვაქვს როგორც მარტივი, ასევე ნაწარმოები სიტყვები; მნიშვნელოვანია მათი სხვა ენებთან მიმართების საკითხი. რადგანაც თითოეულ სახეობას გააჩნია რამდენიმე მახასიათებელი ერთდროულად, ამიტომ მათ სახეობებში ვაერთიანებთ და ცალ-ცალკე ჯგუფებად არ განვიხილავთ.

მეგრული

მეგრ. **ჩაფლა** || **ჩაფულა** (მასალები 1983, 243) „**ფეხსაცმელი**“ || **ჩაფლა** || **ჩაფია** „**ფეხსაცმელი**“, „ქალამანი“ (ხის ქერქისაგან მზადდება) (ყიფშიძე 1994) || **ჩაფილა**. ბალანას ჩაფლა კვარჩხიშე ქუმუდვალე „ბავშვს ფეხსაცმელი უკუღმა ჩაუცვამს“ (ჩვენი მასალა). შდრ. ლაზ. **ჩაფლა** (თანდილავა 2013) || **ჩაფულა** || **ჩაბლა** „წულა“ (მარი 1910); ქართ. **ჩაფულა** „ფერკის საცმელი“ (საბა II, 1993). ძვ. ქართ. **ჩაფლა** 1) „ქალამანი“ (აბულაძე 1973); 2) „ჩექმაზე ჩასაცმელი მაშია, გალოშის მსგავსი“ (ჯავახიშვილი 1930, 219-220). ქართ. **ჩაფულა** (იმერ.) „უქუსლო, დაბალყელიანი ფეხსაცმელი, – წულა“ (ქეგელი VII, 1962).

ჩაფულა-ს ფორმის შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერს: „ჩაფულა და წულა ერთნაირად იკერება, ცხვირი წვეტიანი აქვს, კალაპოტი სწორია და ამიტომაც მარჯვენა და მარცხენა ჩაფულა ერთი მეორისაგან არ გაირჩევა“ (მასალები 1983, 249).

საანალიზო სიტყვა რთული ფუძის შემადგენელი ნაწილია. კერძოდ: **კუნხჩაფულამ**-ი (კუნხ-ჩაფულ-ამ-ი – კუნხ- „ფეხი“, ჩაფულ-ამ-ი „(ფეხ)საცმელიანი“), **კუნხუნაფულე** (კუნხ-უნაფულ-ე – კუნხ- „ფეხი“, უნაფულ-ე უ(ფეხ)-საცმელ-ო) „ფეხშიშველი“ (ქაჯაია II, 2002).

სიტყვის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია, რომ ეს ფუძე შედარებულია სხვა ენის მონაცემთან: ქართ. **ჩაფულა** „ფეხსაცმელი“, სვან. **ძაბურ** „ფეხსაცმელი“, სვან. **ჩაფელ** „წული“, ზან (მ) **ჩაფულა** || **ჩაფოლა** „ქალამანი“, ზან (ჰ) **ჩაფულა**, ოს. **zabir** „წული“ (აბაევი 1958, 387).

მოცემული სიტყვის ისტორიის შესახებ მსჯელობს კ. დანელია. მას მიაჩნია, რომ ქართ. **ჩაფულა** || **ჩაფლა** („ფერვის საცმელი, მონაზუნის ფეხსაცმელი, ქალამანი“) ქართულში კოლხურიდან არის შესული. ფუძის ამოსავალი სემანტიკისთვის ის აღადგენს კოლხ. ***ჩან-ფულა** და ხსნის ამგვარად: **ჩან-** || **ჩალ+ფულა** „ფეხის დაფარვა, ფეხი+დაფარვა“. მისი აზრით, კოლხ. ***ჩალ-** || **ჩან-** „ფეხი, შეფერხება“ (ქართ. ჩანჩალ- (ჩან-ჩალ-) „ფეხის თრევით სიარული“), **ფულ-** (ფულა) „დაფარვა“ (დანელია 1991, 622).

განმარტებებიდან გამომდინარე, მეგრ. **ჩაფულა** ფეხსაცმლის ერთგვარი ზოგადი სახელია, ამდენად, ამიტომ განვიხილეთ ის უპირველესად.

მეგრ. **ჩაფლა** შეიძლება იყოს სხვადასხვა სახისა:

ჩაფლა შხურიში-ი (კაცის), **ჩაფლა ჭაბრულ-ი** (კაცის), **ჩაფლა ხუჭილ-ი** (კაცის) (ჭანტურიას არქივი, № 434). ვეიქრობთ, **ჩაფლა შხურიში** მატყლის ფეხსაცმელია, ხოლო **ჩაფლა ხუჭილი** არის „დანაოჭებული ფეხსაცმელი“

მეგრ. **კანიშ ჩაფლა** || **კანიშ ჩაფულა** „ქალამანი“ (მასალები 1983, 243); **კანიშჩაფლა** || **კანჩაფულა**, **კანჩაფლა**, **კანჩაფია** „ქალამანი, ტყავის ფეხსაცმელი“ (ქაჯაია II, 2002).

მეგრ. **ბურთულ-ი ჩაფლა** (კაცის) „გარდიგარდმო შეკრული თხის ტყავის ფეხსაცმელი“ (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. **კაკამ ჩაფლა** – ფეხსაცმელი ერთგვარი, შესაკრავებიანი (კაკა „მძივი“, ე.ი. კაკამი “მძივებიანი”) (ქობაღია 2010).

მეგრ. **მეშიში-ი ჩაფლა** „მეშის ფეხსაცმელი“; მეგრ. **მეში-ი** „მეში“ – „ცხვრის ტყავი“ (მასალები 1983, 250); **მეშინ-ი** „ნებისმიერი დამუშავებული ტყავი“ (ქაჯაია II, 2002).

მეგრ. **ოზგილიტაია ჩაფლა** „სრიალა ფეხსაცმელს“ (ჩვენი მასალა). შდრ. მეგრ. **ოზგილიტაია** „სრიალა, სასრიალო, მოლიპული“ (ქაჯაია 2010).

მეგრ. **აზიაცკ-ი** „აზიური უქუსლო, წვრილჭვინტიანი, ფეხზე შემოტკეცილი ტყავის მაღალყელიანი ჩექმა“. აზიაცკი მააძუდუ კუნხის „იმ კაცს აზიურები ეცვა ფეხზე“ (ქაჯაია I, 2001). შემოსულია რუსულიდან. შდრ. რუს. азиатский.

მეგრ. **ბალად-ი** „ფეხსაცმელი ერთგვარი (ძროხისა და ხბოს ტყავისაგან მზადდებოდა)“ (მასალები 1983, 250).

მეგრ. **ბალეტკა** „ჩუსტივით ფეხსაცმელი“. ასევე მიშართ ბალეტკემქ „ახლახან შემოვიდა ბალეტკები“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ბანდილ-ი** „ბლონდი, შორიშორ ნაქსელი, დაბლანდული; ბანდული (ერთგვარი ძირგაბანდული ტყავის ფეხსაცმელი თოვლსა და ყინვაში სასიარულოდ)“ (ქობალია 2010). **ბანდილ-ი** (ბანდ-ილ-ი) მიმდებარა, რომელიც

მეგრ. **ბანდ-** (ბანდ-უა) „ბლანდვა, შორიშორ ქსელვა“ ზმნური ძირიდან არის ნაწარმოები. შდრ. ქართ. **ბანდულებ-ი** 1. ღანჩა-დაწნული ფეხსაცმელი (საბა); „მთაში სასიარულო ქალამანი, რომელსაც ძირები წვრილის ღვედითა აქვს დაწნული“; 2. კუთხ. (იმერ.) ნაბღისაგან შეკერილი თბილი ფეხსაცმელი (შდრ. ბაგვი „მატყლის სქელი წინდა თოვლში სასიარულოდ“) (ქეგლ I, 2008).

მეგრ. **ბასანოჩკა** „საზაფხულო ფეხსაცმელი“. ჩქიმი დიდაქ გოლა სკვამი ბასანოჩკა მომიღ „დედაჩემმა (ჩემმა დედამ) გუშინ ღამაზი ბოსონოში მომიტანა“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ბატინკა** || **ბაშმაკეფ-ი** „დაბალყელიანი ზამთრის ფეხსაცმელი“ (ჩვენი მასალა). ა. ჭანტურია ბაშმაკებს განმარტავს როგორც „ქალის ფეხსაცმელი“ (ჭანტურიას არქივი, № 434, ფონდი). ზოთონს ბატინკეფი ოკო მიღვე, ტიბას ქუგოკო რდედა „ზამთარში „ბათინკები“ უნდა ჩაიცვა, თუ გინდა თბილად იყო“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ბახუჩ-ი** „ჩუსტი“ ოთახის ბახუჩეფით გიღულა „ოთახში ჩუსტებით დადიან“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ბახხახხია** „ქოშები“. ბახხახხიათ გიღურს „ქოშით დადის“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ბიწკალ-ი** – (საცეკვაო ფეხსაცმელი). კოხტა, კოხტად მოყვანილი მსუბუქი ფეხსაცმელი, ცერზე მდგარივით შემართული (ქობალია 2010). შდრ.

მეგრ. **ბიწკ-ი** „ფეხის წვერი, ცერი“.

მეგრ. **ბიწკანტია** „პუნტების მსგავსი უყელო, კოხტად მოყვანილი მსუბუქი ფეხსაცმელი, უპირატესად ნაჭრისა ან რბილი ტყავისა, რომელსაც ჭვინტთან დატანებული ჰქონდა ნაჭერი ცერებზე სიარულისა და ცეკვის გასაადვილებლად. იტყოდნენ ფეხსაცმელში მეტი სითბოსათვის ჩასატანებელ ნაჭრის უყელო წინდებზეც და, იშვიათად, ობოხუაზეც, ხის ქოშზე, საბოზე“ (ქობალია 2010). ავტორს საანალიზო სიტყვასთან შესადარებლად მოჰყავს **ბიწკ-ი** „ფეხის წვერი,

ცერი“. შეიძლება ამ ძირისგან იყოს ნაწარმოები მოცემული სიტყვა, რომელიც „ცერულ ცეკვასაც“ ნიშნავს.

მეგრ. **ბერწკინტე** „ბრჭყვიალა ფეხსაცმელი“ (საპატარძლო ფეხსაცმელი) (ქობალია 2010). მოჭყუდუს ბერწკინტე მაძღდ „პატარძალს ბრჭყვიალა ფეხსაცმელი ეცვა“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ბოტ**-ი „რეზინის ჩექმა“. ჭვიმაში გილაულარო ბოტეფი ოკო უხიდე ბალანემს „წვიმაში სასიარულოდ რეზინის ჩექმები უნდა ვუყიდო ბავშვებს“ (ჩვენი მასალა). ნასესხებია რუსულიდან.

მეგრ. **ბუგ**-ი „მატყლის თბილი ფეხსაცმელი“ ← ***ბოგე**-ი. ქართ. **ბაგე**-ი „მატყლის სქელი წინდა თოვლში სასიარულოდ“; „ნაბდის თბილი, ყელიანი ფეხსაცმელი“. ს. ქართვ. ***ბაგუ** (ჩუხუა 2000-2003, 56). ბუგი ჩხურუში მადგალარო ჯგირიე „ბუგი სიცივეში ჩასაცმელად კარგია“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ესპადრელ**-ი „ჩუსტივით ფეხსაცმელი“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ვალნიკ**-ი „რეზინის ჩექმა, ბოტები“. თიცალი ჭვიმა რე, ვალნიკეფი ოკო ქიმიბდვე „ისე წვიმს, რეზინის ჩექმები უნდა ჩავიცვა“ (ჩვენი მასალა). შდრ. ქართ. **ვალენკებ**-ი (რუს. валенки) „ქეჩის ჩექმები“ (ქეგლი IV, 1955).

მეგრ. **ვიტიაშკა** „მაღალყელიანი ჩექმა მუხლზემით“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **თხილამურ**-ი || **თხიამ**-ი „თხილამური“ (ქობალია 2010). ქართ. **თხილამურებ**-ი 1. მოღუნული და რკალად შეკრული თხილის ან სხვა რისამე ტოტები გარდიგარდმო თოკით ან წნელით გახლართული; იკრავენ ფეხსაცმელებზე. ხმარობენ მთაში დიდ თოვლში სასიარულოდ; ამჟამად უწოდებენ თოვლსაბიჯ თხილამურებს; 2. ფეხებქვეშ ამოსაკრავი გრძელი და ბრტყელი ძელები, თოვლზე სასრილო, სასიარულო...) (ქეგლი IV, 1955). თუშურშიც დასტურდება **თხილამურბ** „დიდ თოვლში სასიარულოდ დაგრეხილი წნელებისაგან გაკეთებული ფეხზე ამოსაკრავი რგოლები“ (ცოცანიძე 2012).

მეგრ. **კალატოზ**-ი „ხის ქუსლიანი ფეხსაცმელი“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **კალოშკ**-ი „კალოში“. კალოშკის წყარი მენოვე „კალოშს თურმე წყალი შესდის“ (ჩვენი მასალა). შდრ. რუს. калоши „კალოშები“.

მეგრ. **კეტეფ**-ი „სპორტული ფეხსაცმელი“. ბურთის კეტეფით ლაფენა „ბურთს კეტებით თამაშობენ“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **კუნტა თათმან**-ი „მოკლე წინდა. ეს იყო თავისებური საშინაო ფეხსაცმელიც, უპირატესად ნაქსოვი, შალის ძაფებით მოქსოვილ ხალვათ

წინდას ძირში ტყავს გამოაკერებდნენ და ხევესურული თათებისა და თუშური ჩითების მსგავსად ხმარობდნენ“ (ქობალია 2010).

მეგრ. **კოთხუნჯი**-ი || **კოხუნჯი**-ი „ხის ქერქის ან ჭილის ქალამანი“; გლეხური ფეხსაცმელია ერთგვარი“ (ქობალია 2010). გვხვდება საბასთანაც.

მეგრ. **ლანჩა** „კაცის ფეხსაცმელი“ (ჭანტურიას არქივი, № 434). ქართ. **ლანჩა** (ლანჩისა) 1. სქელი ტყავი ფეხსაცმლის ძირისა. 2. კუთხ. (ქიზ.) იატაკის ფიცრის ქვეშ დატანებული სოლი ან ნაფოტი სიმაგრისათვის (ს. მენთ.) (ქეგლი IV, 1955).

მეგრ. **ლარჩემი**-ი (ლარჩიმი-ი) „ჩექმის მსგავსი ფეხსაცმელი“ (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. **ლასტი**-ი || **ლასტეფი**-ი „ჩუსტები“. ე უნორმე ბაღანაქ ლასტეფი გაღე ქომიღოთ „ამ არანორმალურმა ბავშვმა ჩუსტეფი გარეთ გამიგლო“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **მაგუია** || **მაგუ** || **მაგუნია** „შინნამზადი ფეხსაცმელი ჭაობში და ქვის კარიერზე სასიარულოდ (ადრე ითლებოდა ხისგან, მოგვიანებით იკერებოდა მანქანის საბურავისაგან)“; მაგუ „მოგვი, ტყავი, ცუდი ფეხსაცმელი.“ (ქობალია 2010). მ. ჩუხუა ამ ფუძეს საერთოქართველურად მიჩნევს – **მაგუ-ია** „წაღა“, ჭან. **მანგუ** „საბელი“. ქართ. **მოგვი**-ი „ფეხსაცმლის სახეობა“. სვან. მეგუ, სა-მეგუ „ტყავი“. ს.ქართვ. * **მეგუ** „ტყავის თასმებიანი ფეხსაცმელი“ → ქართ. **მოგვი**-ი ← ***მეგუ**-ი, ზან. **მაგუ**- → || **მანგუ**, სვან. **მეგუ, სა-მეგუ** (ჩუხუა 2000-2003, 151).

მეგრ. **მატატია** || **მატატაფალი**-ი „ფლოსტი, ჩუსტი, ფეხის წასადგმელი.“ (ქობალია 2010). კუჩხიქ თეში დომშინდგ, მატატიაშ მეტი მუთუნი ვამმადვინე „ფეხი ისე დამისივდა, ჩუსტის მეტს ვერაფერს ვერ ვიცვამ“ (ჩვენი მასალა). შდრ. **მოტატაფა** „ჩაცმა, ფეხის წადგმა ფოსტლებში“ (ქობალია 2010). მოცემული ზმნური ფუძიდან არის ნაწარმოები ეს სიტყვა.

მეგრ. **მაშია** || **მაში**-ი || **მაშია** „ფეხნასადგმელი (ქალისა, ქოშივით), ძირი რკინისა იყო დაჭედელი“; „ფეხსაცმელი (ქალის) უქუსლო; „საპირე მხოლოდ წინ აქვს, ჩადგმული ფეხის ქუსლი ღიაა, საპირე მუყაოსი აქვს. ფეხნასადგმელი (ჩუსტივით)“ (მასალები 1983, 244-249); „უქუსლო ფოსტალი ან ქოში (ჭანტურიას არქივი, № 434). შდრ. ქართლ. **მაშია** 1) ახ. ქართ. „ქალის საზაფხულო ფეხსაცმელი, უცხვირო და უსაქუსრო“ (იხმარება ე. წ. ბოსონოჟკის მნიშვნელობით). 2) ძვ. „ქოშის მსგავსი ფეხსაცმელი“ (ქეგლი V, 1958).

მეგრ. **მაჩარხაფალ-ი** || **ჩარხია** „ფეხის წასადგმელი ძველი ფეხსაცმელი, ჯღანები“ (ქობაღია 2010). მი რე ამდღა, ჩარხიათ გიღურსუნი „ვინ არის დღეს, ჯღანებით რომ დადის?“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **მესთ-ი** || **მესტ-ი** „ყელიანი ფეხსაცმელი წულის ქვეშ ჩასაცმელი, იკერება ცხვრის ტყავისაგან, უძირო დაბალყელიანი ფეხსაცმელია (მასალები 1983, 244-249). შდრ. თურქ. **mest**, ოსური **mest** „ტარსიკონის წინდა, ჩექმები“.

მეგრ. **ობაწკაია** „კოხტა, ჭრაჭუნა, ბაკუნა (ფეხსაცმელი)“ (ქობაღია 2010). ჭიჭელემს უფორა ობაწკაია ჩაფლაში მოღვაღა „პატარებს უყვართ ბაკუნა ფეხსაცმლის ჩაცმა“ (ჩვენი მასალა). ვფიქრობთ, ეს სიტყვა წარმოქმნილია, ნაწარმოებია მეგრ. **ბაწკ-** ზმნური ძირიდან. შდრ. მეგრ. **ბაწკინი** „ბაკა-ბუკი, ჭრაჭუნი (ფეხსაცმლისა)“ (ქობაღია 2010), შეიძლება გვაქვს ორმაგი წარმოება: **ბაწკ-** ზმნური ძირიდან პირველ საფეხურზე -ა (ის შეიძლება იყოს ქონების ან კნინობითობის) სუფიქსის მეშვეობით არის ნაწარმოები **ბაწკ-ა** „ბაკუნა“ და მეორე საფეხურზე **თ-** დანიშნულების პრეფიქსისა და კნინობითობის -ია სუფიქსით მივიღეთ ეს ფორმა. მაშასადამე, ***თ-ბაწკ-ა-ია** (შდრ. ჩელ-ა, ჩელ-ა-ია).

მეგრ. **ობოხუა** „ბრახუნა, ფეხის ხის პროთეზი, ხის ქოში, საბო, ოჩოფეხები, ჭაობში სავალი გრძელი ჯოხი, რომელსაც ფეხის დასადგმელი აქვს მიჭედებული“ (ქაჯაია III, 2002). ჩქიმი მუმას უღუღუ ობოხუა, ფშუ „ჩემს მამას (მამაჩემს) ჰქონდა ობოხუა, მახსოვს“ (ჩვენი მასალა). ეს იგივე ოჩოფეხია. ვფიქრობთ, სიტყვა ნაწარმოებია **ბოხ-** „ბრახუნი“ ზმნური ძირისაგან, -უა საწყისის მაწარმოებელია, ხოლო თავსართი **თ-** ქართული დანიშნულების სა-პრეფიქსის ფარდი უნდა იყოს. ე. ი. ***თ-ბოხ-უა** „ბრახუნით (ხმაურით) სიარულისთვის განკუთვნილი“. ვფიქრობთ, ბგერწერითი სიტყვაა. ა. ქობაღიასთან გვხვდება **ობოხუაშ გერინა** „შეჯიბრება ოჩოფეხებით სიარულში“ (ქობაღია 2010). საინტერესოა ერთი მეგრული ანდაზაც: **კოჩი ჯაშა ობოხუაში ეშმეშუა დო ეშმაკიქ თქუა: ასე გეგლანთხასინი, მა ქოდმაბრაღენსია** „კაცი ხეზე ობოხებიანი აღიოდა, ეშმაკმა თქვა: ახლა რომ ჩამოვარდეს, მე დამაბრაღებსო“ (მემიშიში, შეროზია 1990, 74).

მეგრ. **ორშვალეფ-ი** „ბანდულები“ (ქობაღია 2010). შდრ. ქართ. **ბანდულ-ი** „ერთგვარი ხის ფეხსაცმელი მაგუიას ტიპისა“ (ქეგლი II, 2010). მეგრ. **ორშვალეფ-ი** დანიშნულების სახელია, ნაწარმოებია მეგრ. **რშუ-** || **შუ-** (რშუ-ალა || შუა-ლა) „ქსოვა, წვნა“ ზმნური ძირისაგან **თ-**ალ კონფიქსით.

მეგრ. **ორჩოფეს**-ი „ქოშივით ფესსაცმელი“. ეს არის იგივე **ორჩოკუნხ**-ი „გრძელი ჯოხები, რომელსაც კაცის სიმაღლეზე ფეხის დასადგმელი შვერილები აქვს (ქობალია 2010). ბალანობას მიძივრე ორჩოფესი მაძღდესხნი „ბავშვობისას მინახავს, ორჩოფესა რომ ეცვათ“ (ჩვენი მასალა). შდრ. ქართ. ორჩოფესა „ფოსტლის მსგავსი ფეხის ხის ძირიანი ფესსაცმელი“ (ქეგლი VI, 1960).

მეგრ. **პაჭიჭი**-ი „პაიჭი“ (ბავშვის ფესსაცმელი) (ქობალია 2010). ჭიჭე ვორდინი, ბები პაჭიჭის მუშოდვანდღ „პატარა რომ ვიყავი, ბებია პაიჭს მაცმევდა“ (ჩვენი მასალა). შდრ. ქართ. **პაიჭი**-ი „წვივზე წამოსაცმელი (ჩვეულებრივ მასში არის ჩატანებული შარვლის ტოტი)“ (ქეგლი VI, 1960).

მეგრ. **რანტი**-ი „ბოტი“. სო რე რანტით ულინხნი, ონჯლორე ვარდუო „სად არის ბოტით რომ წასულა, სირცხვილი არ იყო?“ (ჩვენი მასალა). შდრ. ქართ. **რანტი**-ი, გერმ. **rand** „ნაპირი, არშია“, „ფესსაცმელზე შემოვლებული ტყავის ვიწრო არშია, რომელზედაც მიკერებულია ფესსაცმლის ძირი“. ის რუსული ენის მეშვეობით არის ქართულში შემოსული (ქეგლი VI, 1960), აქედან კი – მეგრულში.

მეგრ. **საბო** || **საბოია** „სქელძირიანი, მაღალქუსლიანი, უქუსლო ფესსაცმელი“. მა მუჭო ფშუნი, საბოს ქური ვაუღუდუ „მე როგორც მახსოვს, საბოს ქუსლი არ ჰქონდა“. (ჩვენი მასალა).

მეგრ. **სამგე** „ფესსაცმელი ერთგვარი (ძირს ქუსლი რკინით იყო დაჭედებული)“ (მასალები 1983, 243). შდრ. გურ. **სამუგე** „თხის ტყავი, მეში“ (შარაშიძე 1938).

მეგრ. **სანდალი**-ი „ფესსაცმელი“ (ბასანოჩკასავით) (მასალები 1983, 249). ქართულშიც დასტურდება **სანდალი**-ი, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა „მსუბუქი საზაფხულო ფესსაცმელი“; ძვ. საბერძნეთსა და რომში ხმარებული ფესსაცმელი, წარმოადგენდა ხის, კორპის ან ტყავის საძირეს, რომელსაც ფეხზე ტასმებით ამაგრებდნენ (ქეგლი VI, 1960).

მეგრ. **საცვეთი**-ი (კაცის საცვეთი) (წყლის ქვეშ ჩასაცმელი) „წულის შიგნით ჩასაცმელი (ყელიანი), თხელი ტყავისგან კერავდნენ“; „დაბალყელიანი უძირო წულა“; „წვივზე ჩასაცმელი, ზევითა და ქვევითა ნაპირს ქვემოდან ქობა ჰქონდა . ქვემოთ პაჭანაკი აქვს ფეხის გასაყრელი, იკერებოდა უკუღმა პირიდან“ (მასალები 1983, 243, 249). ქართ. **საცვეთი**-ი 1. წვივებზე ჩასაცმელი ტყავისა (ან შალისა); ფარავს ფეხს მუხლიდან კოჭებამდე, – საწვივე; 2. კუთხ. (იმერ.) იგივეა, რაც დათვა. (ქეგლი VI, 1960). შდრ. აჭარ. **საცვეთი**-ი „უძირო ფესსაცმელი,

მოკლევება, დაბლა ვიწროა, მაღლა – ფართო, კოჭთან არის შესნილი, ტყავის თასები აქ და იმით იკვრება“ (კობერიძე 2011, 80).

მეგრ. **ტატაბია**. განუმარტავია. ავტორი განიხილავს ქალის ფეხსაცმელთა რიგში (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. **ტუფლი**-ი „ლანჩიანი უყელო ფეხსაცმელი“. გუშულირშო ტუფლი მოკო იბჭუენი „გაზაფხულისთვის (გამოსულისთვის) ტუფლი მინდა შევიკერო“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ტუფლი-ბასანოჩკა** „ნახევრად ღია და ნახევრად დახურული ფეხსაცმელი“. (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ფაჩუჩი**-ი „ჩუსტი“. ყუდეშ მაღვალარო ფაჩუჩის ხვარენა „სახლში ჩასაცმელად ჩუსტს ხმარობენ“ (ჩვენი მასალა). ქართულშიც დასტურდება **ფაჩუჩი** 1. საშინაო თბილი, უქუსლო ფეხსაცმელი. || ჩუსტი; 2. ბავშვის ფეხსაცმელი რბილი ტყავისა (ქიზ.) შინაური ფრინველის ფეხზე შებმული ნიშანი (ქეგლი VII, 1962).

მეგრ. **ფოსტალი**-ი „ფლოსტი“. ფოსტალს ეუდეს მიდვანა „ფლოსტს სახლში ჩაიცვამენ“ (ჩვენი მასალა). ქართ. **ფოსტალი**-ი იგივეა, რაც ფლოსტი (ქეგლი VII, 1962). ქართ. **ფლოსტი** „უქუსლო ფეხსაცმელი; ჩვეულებრივ საშინაო; საპირე მხოლოდ თათზე აქვს“ (ქეგლი VII, 1962). **ფოსტალი**-ი წარმოქმნილი სიტყვაა, ნაწარმოებია სპარს. **ფოსტ-** „ტყავი“ ძირიდან. შდრ. აჭარ. **ფოსტ-**ი „ქექხო“ (კობერიძე 2011, 30).

მეგრ. **ფოჩიში**-ი „ტყავის ფეხსაცმელი“ (ჭანტურიას არქივი, № 434). წარმოების მიხედვით, დანიშნულების სახელი ჩანს: *ფოჩი-ში „ტყავისა“.

მეგრ. **ქალამანი**-ი „ხამი ტყავის ფეხსაცმელი“ (გლეხური ფეხსაცმელი) (მასალები 1983, 250). ჩქიმი ბაბუ ჭანდუ ქალამანს ტყეში „ჩემი ბაბუა (ბაბუაჩემი) კერავდა ქალამანს ტყავისგან“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ქოსალა** „ფეხსაცმელი ერთგვარი“ (ქობალია 2010). დასტურდება ქართულშიც: **ქოსალა** [შდრ. სპარ. gosala „ბოჩოლა“] 1. ხბოს ტყავი, დაბახანაში გამოყვანილი ფეხსაცმლის საპირედ. 2. კუთხ. (გურ.) „სქელი და უხეში საწუდე ტყავი“ (ქეგლი VII, 1962).

მეგრ. **ქოში**-ი „მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, უპირატესად საშინაო“ (ჭანტურიას არქივი, № 434). ქოში დინახალე მუმოდენა, მარა კანკალეშა

საგარეოთ ხოლო ფხვარენტ „ქოში შინ გვაცვია, მაგრამ ზოგჯერ გარეთ ჩასაცემლადაც (საგარეოდაც) ვხმარობთ“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ლაშია** || **ღარშია** || **ნოდარშია** „ცუდი ტყავისაგან დამზადებული ფეხსაცმელი საერთოდ ძველი, უვარგისი“. გალე კალოში მიმოძუ დო დინახალე ღარშია „გარეთ კალოში მაცვია და შიგნით – ღარშია“ (ქაჯაია III, 2002).

მეგრ. **ყაყაბ-ი** || **ყაყაფი** (ქოში) „ხის ძირიანი ქუსლებიანი მძიმე ფეხსაცმელი, ქოშები (მასალები 1983, 244; კილანავა 1998); „ქალების ფეხსაცმელი“ (ჭარაია 1997). იოსებ ყიფშიძესთან **ყაყაბ-ი** არის „ტყავის ცხვირიანი ფეხსაცმელი მაღალქუსლიან ხის ძირზე“ (ყიფშიძე 1994). ძღაბ მირულე ყაყაბამი, ბოშ გეთხოზუ ნაბაღამი „გოგო მირბის ქოშიანი, ბიჭი მისდევს ნაბღიანი“ (ქაჯაია III, 2002). **ყაყაფ-ი** მიღებული არის ბ-ს დაყრუებით. **ყაყაბი** შეიძლება იყოს: **ჭირი ბორკამი** „ორფეხა“, ოთხი ბორკამი „ოთხფეხა“; **ბირკულამი** „რიკულეებიანი“ (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. **შუზ-ი** || **შუზეფ-ი** „მაღალყელიანი ზამთრის ფეხსაცმელი“. ზოთონს მაძენა **შუზეფი** „ზამთარში აცვიათ შუზები“ (ჩვენი მასალა). შდრ. ინგლისური **shoes** „ფეხსაცმელი, ჩექმა“ (სიტყვა შედარებით ახალი შემოსულია).

მეგრ. **შლოპანცეფ/ბ-ი** „რეზინის, თითგასაყრელი ფეხსაცმელი“. შლოპანცეფი კითიმ მითარღვაფალი ჩაფლა რე „შლოპანცები თითის გასაყრელი ფეხსაცმელი არის“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ჩაკაბოხუ** „ფეხსაცმელი“ (ჭანტურიას არქივი, № 434). ვფიქრობთ, ის რთული სიტყვაა და შესაძლოა დაიშალოს: **ჩაკა** და **ბოხუ** ფუძეებად. სიტყვის მეორე შემადგენელი ნაწილი შეიძლება არის „ბოხ“ ძირის შემცველი და, შესაბამისად, **ჩაკაბოხუ** „ობოხუასავით დიდი, ბრახუნა ფეხსაცმელი“.

მეგრ. **ჩექმა** „ჩექმა“ (ჭარაია 1997). მის შესახებ საბა წერს: ჩექმა თურქთა ენაა, ქართულად „მოგვი“ ჰქვიან (საბა 1993). გვაქვს ამ ძირიდან ნო- და -ია აფიქსებით ნაწარმოები მეგრ. **ნოჩექმია** „ერთი უბადრუკი ჩექმა“ (ქობალია 2010). ქუმულირზაფუ ჩექმა დო ქიმურს კამპანიაშა „ჩაუცვამს ჩექმა და მიდის ქორწილში“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ჩუსტი** „ჩუსტი“; „კალოშისნაირად ამოღებული ფეხსაცმელი“ (ქალის); „ქალების ფეხსაცმელი. გული ამოღებული აქვს, ფერადი ტყავით მოქობილი, ზოგჯერ ქუსლიც უკეთდება“ (მასალები 1983, 244, 249). ჩუსტი გემუანი მაღვალარი მაფუ „ჩუსტი მოხერხებული (გემრიელი) ჩასაცმელი მაქვს“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ჩხარკი**-ი „ჩუსტი, ძველი ფლოსტები“. დასტურდება ამ ძირიდან ნო- და -ია აფიქსებით ნაწარმოები მეგრ. **ნოჩხარკია** „ფოსტლები, ჯღანები, ნაგდები ფეხსაცმელი“ (ქობალია 2010). სოდგარენი მიღუღუ ჩხარკი დო სოთინი ვაორწყექ „სადღაც მქონდა ძველი ფლოსტები და ვერსად ვერ ვხედავ“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ჩხაპუტია** იგივეა, რაც **ჩხარკი**, **ჯღარკი**, – ქუსლჩაპეცილი წულა. (ქაჯაია III, 2002). ირდიხაშა ჩხაპუტია მიკუძე „ვევლგან ჩხაპუტი უდევს“ (ჩვენი მასალა). შდრ. გურ. **ჩხაპუტი** ძველი უქუსლო ფეხსაცმელი (დლონტი 1984). გურულში ჩხაპუტი ხანიზმი უნდა იყოს.

მეგრ. **ცარცკი**-ი „სამეფო ფეხსაცმელი, მდიდრული“. ჯვეშო მდიდარემს ცარცკი მაძღეს „ძველად მდიდრებს „ცარცკი“ ეცვათ“ (ჩვენი მასალა). შდრ. რუს. цар „მეფე“, ე.ი. „სამეფო ფეხსაცმელი“.

მეგრ. **ციბლიკი**-ი „შვერილი; ხის მაღალქუსლიანი ქოშები“ (ქობალია 2010).

მეგრ. **წულა** || **წულაზი**-ი „წულა; მაღალყელიანი, ქუსლიანი ფეხსაცმელი“ (ქობალია 2010); „უყელო ფეხსაცმელი“ (საპირე ამოდებული აქვს, ძირი შემოკერებულია). დიდაქ ქემულე სკუას ჩანი კითიში მაშხვა წულაზეფი „დედამ მოუტანა შვილს ცერი თითის სიმსხო წულები“ (ციფშიძე 1994, 60). **წულის** შესახებ ივ. ჯავახიშვილი ამბობს: „წულას გამოჭრიდნენ ფეხის ზომის მიხედვით. ის ქვევიდან იკერებოდა. ზევით ერთი თითის სიფართეზე იყო გინოზეკილი (გადაყოლებული) და სილამაზის მიზნით ათასნაირად ხანტურანდეს (მოხატავდნენ) ზოგი მწვანე ძაფით და ზოგი სირმით (მასალები 1983, 243). შდრ. ქართ. **წაღა** „მაღალყელიანი, ქუსლიანი ფეხსაცმელი“, სვან. **წად-არ-აღ** „წულები“. მ. ჩუხუა ამ ფუძეს აღადგენს ს.ქართველურში. კერძოდ: ზან. (მეგრ.) **წულა** „უყელო ან დაბალყელიანი ფეხსაცმელი“, ჭან. **წულა** „ჩაფულა, ფეხსაცმელი“, ქართ. **წაღა** „მაღალყელიანი, ქუსლიანი ფეხსაცმელი“, სვან. {**წად**}, **წად-არ-აღ** „წულები“. ს.ქართვ. ***წად-ა** „ჩასაცმელი, ფეხსაცმელი“ → ქართ. **წად-ა**, ზან. **წულ-ა** ← ***წოდ-ა**, სვან. **წად-არ-აღ** (ჩუხუა 2000-2003, 355).

მეგრ. **წულა-მესტი**-ი წულის შიგნით იცვამდნენ არა მარტო წინდებს, არამედ თხელი ტყავისაგან შეკერილ მესტებს (|| მესთებს), აქედან: წულა-მესტი (ქაჯაია III, 2002).

მეგრ. **წულაზიშ ჩაფლა** „წულის შიგნით ჩასაცმელი სათბურა“ (ქობალია 2010). **წაღა** „უძირო ფეხსაცმელი“ (მასალები 1983, 250). ის. ლაზ. **წულა** „ფეხსაცმელი“.

მეგრ. ჯურაბ-ი || ჯორაბ-ი „ერთგვარი ფეხსაცმელი“ (ჩვენი მასალა). შდრ. სპარს. *žurāb* „წინდა (როგორც მოკლე, ასევე გრძელყელიანი)“ (რუბინჩიკი 1983). დასტურდება თურქულშიც: შდრ. თურქ. *çorap* „წინდა“.

მეგრ. ჯღარკ-ი იგივეა, რაც ჩხარკ-ი, – „ძველი ფეხსაცმელი (უვარგისი), რომელსაც არ აქვს საქუსარი, – მოცილებულია ან ჩაკეცილი“. ჯღარკიჯგურა ჩაფლა მიმოძუდეს „ჯღანი ფეხსაცმელი გვეცვა“ (ქაჯაია III, 2002). შდრ. რაჭ. ჯღარკ-ი ჯღანი“ (ბერიძე, 1912). ჯავახ. ჯღან-ი „თასმის გამოწნული ძველი ქალამანი“, ჯღანაი (მეტსახელია მამაკაცისა), ჯღანი-მანი „ძველმანი ტანისამოსი თუ ფეხსაცმელი“ (ბერიძე 1981). ქართ. ჯღან-ი 1. გაცვეთილი, დახეული ფეხსაცმელი; 2. გაბანდული ქალამანი. 2. საუბ. გადატ. ცუდი, უშნო რამ. (ქეგელი VIII, 1964).

ამ ჯგუფში განვიხილავთ: წინდებს, ფეხზე შემოსახვევებს.

მეგრული

მეგრ. გამაშ-ი „ჩექმისა და წულის მოსაცმელი“ (ელიავა 1997). ჩვენი მასალის მიხედვით, გამაში არის მუხლამდე გრძელი წინდაც, რომელიც აცვიათ ფეხბურთელებს.

მეგრ. გეტრ-ი (ფრანგ. *guêtre* „ტყავის ან ქსოვილის საწვივე სათბური (სამოსი)“. ტიბუ გეტრი მუმოძე „თბილი გეტრი მაცვია“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. ელასტიკ-ი „რეიტუზის მსგავსი ჩასაცმელი“. ი ძღაბის ელასტიკი მაძღღე „იმ გოგოს ელასტიკი ეცვა“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. თათქიმან-ი || თათგმან-ი || კუჩხიშ-ი თათმან-ი „თათმანი“, „წინდა“ (გრძელი) „წინდა-ფეხსაცმელი, ფეხის თათმანი“ (ჭარაია 1997; ქაჯაია II, 2002; ჩვენი მასალა). ართ თათმანს კვარჩხიშე ქიმიბღვანქია „ერთ წინდას უკუღმა ჩავიცვამო“ (ხუბუა 1937, 246). „თათმანი“ შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის: აჟურნ-ი თათმან-ი „ზიგზაგებიანი მოკლე ან გრძელი წინდა“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. ბრეზრაზმერაშ-ი თათმან-ი „წელვადი წინდა, მოკლე ან გრძელი“ (ჩვენი მასალა). შესიტყვების პირველი წევრი ნასესხებია რუსულიდან და გაჩენილია რ ფონემბა. შდრ. რუს. *безразмера*.

მეგრ. **გაქიტალ**-ი „ჩექმის შიგნით შიშველ ფეხზე შემოსახვევი ნაჭრები, სახვევი“ (ქობალია 2010). ამის პარალელურად გვხვდება მეგრ. **გაქტალ**-ი „ფეხზე შემოსახვევი ნაჭერი“ (მასალები 1983, 244). იხ. **ქიტუა**.

მეგრ. **გოდგემილ**-ი **თათმან**-ი „უკან გაკერილი, ხაზი, ნაკერი რომ გასდევს ისეთი წინდა“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **კუნტა** **თათმან**-ი „მოკლე წინდა. ეს იყო თავისებური საშინაო ფეხსაცმელიც, უპირატესად ნაქსოვი. შალის ძაფებით მოქსოვილ ხალვათ წინდას ძირში ტყავს გამოაკერებდნენ და ხევესურული თათებისა და თუშური ჩითების მსგავსად ხმარობდნენ“ (ქობალია 2010).

მეგრ. **ნასკ**-ი „წინდა“. კეტეფიში დინახალე ნასკი ინომიუნს „კეტების შიგნით წინდა მაქვს ჩაყოლებული“ (ჩვენი მასალა). შდრ. რუს. **носок** „წინდა“.

მეგრ. **შემუხ**-ი || **შუმუხ**-ი „პაიჭზე გარეთ იდებდნენ მუხლზე. ის აგრეთვე სირმით იყო გაწყობილი.“ მეორე განმარტება: „მუხლზე დასადები (ვაჟებისთვის) პაჭიჭის ქვემოთ;“ მოქსოვილი იყო ღართისაგან (მასალები 1983, 243-244).

ლაზური

ლაზ. **ჩაფულა** „ფეხსაცმელი“ და მისი ფონეტიკური ვარიანტები, საერთო მასალის გამო, განვიხილეთ მეგრულ ფეხსაცმლის სახეობებთან. იხ. II ქვეთავის, § 2.

ლაზ. **აზატსკი**-ი „აზიური ფეხსაცმელი კაცის ჩექმასავით“ (დიუმეზილი 2009). მჯვეშეფეს აზატსკეფე მოძიტეს „ძველებს აზიურები ეცვათ“ (ჩვენი მასალა). მის წარმომავლობასთან დაკავშირებით იხ. მეგრ. აზიაცკი.

ლაზ. **ბაშმაყან**-ი „ფეხსაცმელი ერთგვარი“. მასალაში მითითებულია, რომ ის თათრულია (ლაზურის ფონდი).

ლაზ. **ბორჩხალ**-ი „ერთგვარი ფეხსაცმელი, ფორმით დიდი“ (ლაზურის ფონდი).

ლაზ. **ვალინკი**-ი „რეზინის ჩექმა“. მან ვალინკი ვა მიღუნ „მე რეზინის ჩექმა არ მაქვს“ (ჩვენი მასალა). იხ მეგრ. **ვალინკი**.

ლაზ. **თხეელ**-ი „ძროხის ფეხის ტყავისაგან გაკეთებული ფლოსტები“ (თანდილავა 2013).

ლაზ. **თხელამურე** „თოვლის ფეხსაცმელი, ხედეკი“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკ-ლიში, ალექსივა 2007).

ლაზ. **კალოში**-ი „კალოში“ (შდრ. თურქ. kalos) (ლაზურის ფონდი). **კალოში-ფოთინი**-ი „კალოში და ფეხსაცმელი“ (ლაზურის ფონდი) || **ფოთინი კალოში** || **კალოში** „კალოში, რეზინის ფეხსაცმელი“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007). სი არ კალოში ქომეგინჯღონი „შენ ერთი კალოში გამოგიგზავნე“ (უღენტი 1938, 163). იხ. მეგრ. **კალოშკი**.

ლაზ. **კაპჭინი**-ი „ფეხსაცმელი“; „ნახევარწინდა, მატყლისგან მოქსოვილი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. **კატირ-ი**² (ხოფ., მარი) „ქალის ფეხსაცმელი, რომელსაც პატარძალს ჩუქნიდა დედამთილი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. **ლასტიკი**-ი (ჩხალ.) || **ლასტიღი**-ი (ფურტ.) „კალოში“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007). მჭიმას-ში ლასტიკი მოიდგამინონ „თუ იწვიმებს, კალოშს ჩავიცვამ“ (ჩვენი მასალა). შდრ. თურქ. lastik „რეზინი, რეზინისა“.

ლაზ. **მესთი** || **მესტი**-ი. ამ სიტყვის რამდენიმე განმარტება გვაქვს მოცემული: 1) „ყელიანი ფეხსაცმელი წულის ქვეშ ჩასაცმელი“ (ჩვენი მასალა) 2) ჩაფულა – „ტყავის ჩუსტი“ (ლაზურის ფონდი); 3) „უძირო წულა“. ბადეფექ ზამანის მესთი მუიდუმეტეს „მოხუცები ძველად უძირო წულას იცვამდნენ“ (თანდილავა 2013). შდრ. არაბ.-თურქ. **mest**. იხ. მეგრ. მესტი.

ლაზ. **მიღი**-ი „ფლოსტი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. **ნალინი**-ი „ხის ქოში“ (შდრ. არაბ.-თურქ. nalin) (თანდილავა 2013). ნალინითე გოულუ „ქოშით დავდივარ“ (კარტოზია 1972, 216).

ლაზ. **ნალჩონი**-ი „ნალინი“ (ფეხსაცმელი). ეს სიტყვა წარმოქმნილია, ნაწარმოებია თურქ. თურქ. nalca-დან -ონ სუფიქსის მეშვეობით.

ლაზ. **პაპუწი**-ი „სახლში ფეხზე ჩასაცმელი, რომელსაც უკანა მხარე არა აქვს, ფლოსტი“, „ჩუსტი“ (შდრ. თურქ.-სპარს. pabuç) (თანდილავა 2013). წკაის მეღტუში, პაპუწი ქოდოღალუ „წყალში რომ გადიოდა, ფლოსტი (ქოში) ჩაუვარდა“ (უღენტი 1972, 134).

ლაზ. **საფოღი**-ი „ჩექმა“ || **საფოხი** „ჩექმა“ (თანდილავა 2013). ამა კოჩის საფოღეფე მოძინ „იმ კაცს ჩექმები აცვია“ (ჩვენი მასალა). შდრ. რუს. сапог.

ლაზ. უპირუ „ფეხზე ჩასაცემელი ყელიანი ჩუსტი, რომელსაც ძირში ტყავი არა აქვს“ (თანდილავა 2013). ნაწარმოებია ძირ- ფუძეზე უქონლობის უ- აფიქსის დართვით.

ლაზ. ფოთინ-ი „ფეხსაცმელი“ (შდრ. ამავე მნიშვნელობის ფრანგ. bottin). კუჩხეს ფოთინი ქომუიღუ „ფეხზე ტუფლები ჩაიცვა“ (ჩიქობავა 1929, 7).

ლაზ. ფოსთალ-ი || ფოსტალ-ი „წულა“ (თანდილავა 2013). ბოშინე ფოსტალი მო ბიწუფ „ტყუილად წულას ნუ ხევ!“ (ჩიქობავა 1929, 134).

ლაზ. ქალმან < ქალამან || ქელმან-ი (მარი 1910). ქართ. ქალამან-ი || გურ. ქალაბან-ი (უღენტი 1936, 24). ქალამანი ქომოვიღვით „ქალამანი ჩავიცვით“ (ჩიქობავა 1929, 96). სამეცნიერო ლიტერატურაში ქართ. ქალამან-ი შედარებულია ოს. gala || galatae „ფეხსაცმელი“ (აბაევი 1958, 507).

ლაზ. ქონტრა „ფეხსაცმელი“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007) || ქონთრა „ყელიანი ფეხსაცმელი“ (თანდილავა 2013). ქონთრაში ნოკუჩხენი ლეტას ქოგოხენ „ბატინკის ნაფეხური მიწას ამჩნევია“ (ჩიქობავა 1936, 140). შდრ. მეგრ. კონდრა „მამაკაცთა ხის ქოში“ (ქაჯაია II, 2002).

ლაზ. ჩასტარა „ფლოსტები“ (თანდილავა 2013).

ლაზ. ჩიზმე || ჩიზე „ჩექმა, წალა“ (შდრ. თურქ. çizme) (ლაზურის ფონდი). არ ეპერი, ართი ბაბა მუშიში ჩიზმე წუტელას ქოდოსქიდუ „ერთი უნაგირი, ერთიც მამამისის ჩექმა უმცროსს დაურჩა“ (ციფშიძე 1994, 56). ლაზურში ამ მნიშვნელობით ჩექმაც დასტურდება (ჩვენი მასალა).

ლაზ. ხედეკ-ი || ხედიკ-ი „თოვლზე სასიარულო თხილამური“ (თანდილავა 2013). ამავე მნიშვნელობით გვაქვს: თხილამურე (ჩვენი მასალა).

ლაზ. წანგ-ი (ბერძნ.) „ქალის ყელიანი ფეხსაცმელი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. წულა || წულაზი „მადალყელიანი, ქუსლიანი ფეხსაცმელი“. კუჩხე წულას მეშამალერი მიღუტუ „ფეხი ჩუსტებში შეყოფილი მქონდა“ (ჩიქობავა 1936, 73). ამ ფუძის შესახებ იხ. მეგრ. წულა.

ამავე ჯგუფში განვიხილავთ წინდებს.

ლაზური

ლაზ. თითხუ წინეკ-ი „თხელი წინდა“ (თანდილავა 2013).

ლაზ. თოზლოდან-ი „მატყლის წინდა მუხლებამდე“ (თანდილავა 2013).

ლაზ. კაპჭინ-ი „ნახევარწინდა, მატყლისგან მოქსოვილი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. კუჩხეში-ი მოტკუში-ი „პაჭანაკი“ (ჩვენი მასალა). ზედმიწევნით ნიშნავს ფეხის მოსარტყმელს.

ლაზ. ნასკ-ი „წინდა“. ეს სიტყვა ქართულის მეშვეობით არის რუსულიდან შემოსული (ლაზურის ფონდი). საინტერესოა, რომ ერთ-ერთი მთქმელის გადმოცემით, წინდებზე ქსოვისას გამოსახავდნენ სხვადასხვა სახის დეკორებს.

ლაზ. წინეკ-ი || წინდექ-ი || წინექ-ი „წინდა“ (თანდილავა 2013, ლაზურის ფონდი). კაპინერ-კაპინერი ოხოიშა მოხთუ დო კუჩხეს წინეკი მოიწკუ „სირბილ-სირბილით სახლში მოვიდა და ფეხზე წინდა გაიძრო“ (ქლენტი 1938, 32).

ეს ქვეთავი ეხება ფეხსამოსს. ის მოიცავს: ფეხსაცმელსა და წინდებს. საერთო პრინციპიდან გამომდინარე, აღიწერა და გაანალიზდა ზოგადი და კონკრეტული სახელები. ზოგადი სახელები წარმოქმნილი სახელებია, ნაწარმოები საერთოქართველური ფუძისაგან: ქართ. დეფ- || დე- || დ- „დება“ : მეგრ. დე- || დ- : ლაზ. დე- || დ-. მასალა მრავალფეროვანია. ხოლო კონკრეტულ სახელებში გამოვლინდა საკუთრივ მეგრულ-ლაზური, საერთოქართველური და ნასესხები ლექსიკა. სტრუქტურული თვალსაზრისით: მარტივი და რთული.

2) ფეხსამოსი ფორმის მიხედვით

ამ ჯგუფში განვიხილავთ: ფეხსაცმლის მოყვანილობას, ძირის ფორმას.

მეგრული

გვიგვალ-ი ნიჩვამ-ი (ჩაფლა) „მსხვილცხვირა ფეხსაცმელი“; გვეგვერია ნიჩვამ-ი (ჩაფლა) „id.“; წვანდამ-ი || წკვენტამ-ი ჩაფლა „წვეტიანი ფეხსაცმელი“; ნიჩვამ-ი (ჩაფლა) „უშნო ცხვირიანი ფეხსაცმელი“; ლაფართია (ჩაფლა) „ფართო, უშნოდ დიდი“ (ჩვენი მასალა); ჭიფე ქურამი (ჩაფლა) „წვრილქუსლიანი ფეხსაცმელი“; შხუ ქურამი (ჩაფლა) „მსხვილქუსლიანი ფეხსაცმელი“; ოთხკუნთხური ქურამი (ჩაფლა) „ოთხკუნთხა ქუსლის მქონე ფეხსაცმელი“; ლაბარტყია ქურამი (ჩაფლა) „ბრტყელძირა ფეხსაცმელი“; ქურამი (ჩაფლა) (|| მადვალარი) „ქუსლიანი ფეხსაცმელი“; უქურო ჩაფლა „უქუსლო ფეხსაცმელი“ (ჩვენი მასალა).

ლაზური

ლაზ. ქუოლონ-ი მოდვალუ „ქუსლიანი ფესსაცმელი“ (ჩვენი მასალა). ამავე მნიშვნელობით: ლაზ. ქურონ-ი „ქუსლიანი“ (თანდილავა 2013). ქურონი ნაწარმოებია ლაზ. ქურ- „ქუსლი“ სიტყვისაგან –ონ სუფიქსის მეშვეობით.

ლაზ. აღწა || ახომ-ი „ფესსაცმლის ფორმა“ (უზუნჰასანოდლუ, ბუჯაკლიში, აღექსივა 2007).

III ქვეთავი

თავსაბურავი

თავსაბურავი სამოსლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ამ სემანტიკურ ჯგუფში შეიძლება გამოიყოს ზოგადი და კერძო – ამ ჯგუფში შემავალ ელემენტთა კონკრეტული სახელწოდებანი. სტრუქტურული თვალსაზრისით, გვაქვს: მარტივი, ნაწარმოები, რთული, კერძოდ, ერთ-, ორ-, სამკომპონენტისანი ერთეულები ან შესიტყვებანი.

თავსაბურავში გამოიყო შემდეგი ძირითადი ჯგუფები:

§ 1. თავსაბურავის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინები მეგრული

მეგრ. აწართუმალარ-ი „შუბლზე ჩამოსაფხატი“ (ქობალია 2010).

მეგრ. გახვასვალ-ი || დუდიში-ი გახვასვალ-ი (გა-ხვასვ-ალ-ი) „თავის შესაკრავი, შემოსახვევი“. ჩხურუქ მახუ დო მუდგაინი დუდიში გახვასვალი დობგორე ოკო „შემცივდა (სიცივე მექნა) და რაიმე თავის შესახვევი უნდა მოვძებნო“ (ჩვენი მასალა). წარმოებით მიმდებარა, მეგრ. ხვას- „შეფუთვა, შემოსხვევა“ ძირისაგან მიღებული.

მეგრ. გიორთუმალარ-ი (გი-ორ-თ-უმ-ალ-არ-ი) || დუდიში-ი გიორთუმალარ-ი „თავსაბურავი“ (ნებისმიერი სახის). დუდიში გიორთუმალარი ვაილუნო მუთუნი, მუჭო რე გილურქუნი „თავზე დასაფარებელი არა გაქვს რაიმე, როგორ არის, რომ დადიხარ?“ (ჩვენი მასალა). მოცემული სიტყვა ნაწარმოებია გერთუმალა

„დაფარება“, „დახურვა“ ზმნისაგან ო- და -არ მაწარმოებელი აფიქსების მეშვეობით. პარალელურად ამავე მნიშვნელობით გვხვდება შესიტყვება **დუდიშ-ი გიორთუმაღარ-ი** ზედმიწ. „თავის დასაფარებელი, დასახური“ (ელიავა 1997) || მეგრ. **ობურაღ-ი** (ობურ-აღ-ი) „დაქსაბურავი“ (გამოხატავს დანიშნულებას, მიღებულია ბურ-ძირისაგან ო- და -აღ აფიქსების დართვით) || მეგრ. **გიოქუნაღ-ი** „დასახურავი“ (ქაჯაია II, 2002).

მეგრ. **გიოტატაფაღ-ი** (გი-ო-ტატ-აფ-აღ-ი) || **დუდიშ-ი გიოტატაფაღ-ი** „თავზე მსუბუქად დასახური, დასაფარებელი“. დუდიშ გიოტატაფაღი ქომუჩი მუდგაინი „თავზე დასაფარებელი მომეცი რაიმე“ (ჩვენი მასალა). ესეც დანიშნულების სახელია, ნაწარმოებია მეგრ. **ტატუა** „ცაცუნი, თათუნი“ ზმნისაგან, ე. ი. „მსუბუქად შეხება“.

მეგრ. **დუდიშ-ი გიონუაფაღ-ი** (გი-ო-ხუ-აფ-აღ-ი) „თავზე ჩამოსამსობი“ (ჩვენი მასალა). დანიშნულების სახელია, ნაწარმოებია მეგრ. **ხუაფა** „დამსობა“ ზმნისაგან. წარმოებით მიმდებარა.

მეგრ. **დუდიშ-ი გიოფოთამაღ-ი** (გი-ო-ფოთ-ამ-აღ-ი) „თავზე მოსაგდები“ (ჩვენი მასალა). დანიშნულების სახელია, მიღებული **ფოთამა** „გდება“ მასდარისაგან.

მეგრ. **კი/კუნაკირაღ-ი** (კინა-კირ-აღ-ი) || **დუდიშ-ი კი/კუნაკირაღ-ი** „თავზე წასაკრავი“. აკა დუდიში კინაკირაღი ვამაპალუ „ერთი თავზე წასაკრავი არ მახადია (მომეპოვება)“ (ჩვენი მასალა). დანიშნულების სახელია, ნაწარმოებია მეგრ. **კირუა** „შეკვრა“ ზმნისაგან. წარმოებით მიმდებარა.

ლაზური

ლაზ. **გოთვაღუ** (გო-თვ-აღ-უ) || **მოთვაღუ** (მო-თვ-აღ-უ) || **მოთვაღუშ-ი** (მო-თვ-აღ-უ-შ-ი) || **თიში გოთუმაღე** „თავზე დასახურავი“ (ჩიქობავა 1929, 150); || **თის ეოთვაღა** || **თის ეოთვაღუ** „თავსახურავი“ (ამსე, თაინი 2004). ყველა ეს ლექსიკური ერთეული ნაწარმოებია დახურვის აღმნიშვნელ ლაზურ თვ-ძირზე სხვადასხვა ზმნისწინის დართვით.

§ 2. თავსახურავის აღმნიშვნელი კონკრეტული ტერმინები

ამ სემანტიკურ ჯგუფში გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი: 1) თავსაფარი და 2) ქული.

1) თავსაფარი და მისი სახეობანი

მეგრული

მეგრ. **არამცელია** იგივეა, რაც **გაგურჯელა**, – ქალთა თავსაბურავის ნაწილი, რგოლი, ლეჩაქთან რომ იხმარებოდა, – ჩიხტი, ჩიხტა (ქაჯაია IV, 2009). ჭანტურიასთან არის: **გაგურჯელა** = **არამცელია** = **ჩიხტიკოპი ასალი** „ცხენის ზურგზე გადასაფარებელი ქსოვილი“ (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. **გაგურჯელა** || **გარგუჯელა** || **გაურჯელა** || **გაგურჯელა** (მასალები 1983, 244) || **გაგურკლა** (ციფშიძე 1994); „გვირგვინი; ჩიხტიკოპი, ქალების თავსაბურავი“. ქალები კაკულარს ზევით იხურავდნენ სირმით გაწყობილ გაგურჯელას; მოქსოვილი იყო აბრეშუმისაგან, ფოჩებიანი („ჩხვიჩხვამი“). თავმომწონე ვაჟები კისერზე იკეთებდნენ (ყელზე შემოსახვევი კაშნესავით) (მასალები 1983, 244). შდრ. **კაკულა** „კაგები“ (ქაჯაია II, 2002; მასალები 1983, 244). || **გაგუჯა** „ლეჩაქის მსგავსი“ (მასალები 1983, 248). **გარგუნჯელა** „გვირგვინი, გრეხილი“, **გარგუნჯია** „წნული გვირგვინი, ერთმანეთში ჩაწნული და რგოლად შეკრული რამ. შდრ. **გარგუნჯუა** „დახვევა, გვირგვინად შეკვრა“ (ქობალია 2010). სწორედ ამ ზმნიდან უნდა იყოს ნაწარმოები **გარგუნჯელა**. შდრ. (რაჭ.) **გაურჯილა/ე-ე**, **გორჯელა** „ჩიხტიკოპის სამკაული“ || **გეგელ-გორჯელა** „ჩიხტიკოპი“ (ბერიძე 1912).

მეგრ. **დარაია** 1. „აბრეშუმის თავმოსახსამი“ (მაკალათია 1941, 21) „აბრეშუმის ქსოვილი“ (ციფშიძე 1994).

მ. ანდრონიკაშვილის აზრით, მეგრ. **დარაია** ← ქართ. ← სპარს. **darāiya** „აბრეშუმის ქსოვილი“ (ანდრონიკაშვილი 1966, 205).

მეგრ. **ელამორსა** „ერთგვარი თავსაფარი“ (ჭანტურიას არქივი, № 434). ამ ფუძეში ხომ არ შეიძლება გამოიყოს „შემოსვის“ აღმიშვნელი მეგრ. **მორს-** ძირი?

მეგრ. **თავშალი-ი** (მარტვი) „თავშალი, დიდი თავსაფარი“ (ჩვენნი მასალა). შესაძლოა, ქართულიდან არის შესული. ქართ. **თავშალი-ი** ← თავი შალი (თოფურია 1971, 107).

მეგრ. **კაკულარ-ი**, **კაკულა** „კაგები“; „კაგებიანი ჩიხტა (ქალების თავზე დასახურავი (მასალები 1983, 242). შდრ. **კაკულარ-ი** „ჩიხტი“ (ქობალია 2010). შდრ. **კაკულ-ი** „კულული, კავი (თმისა), კაკულარზე (ჩიხტზე) ჩამოსაკიდებელი

ფლურები“ (ქობალია 2010). **კაკულარ**-ი შეიძლება ნაწარმოები იყოს მეგრ. **კაკულა** „კაკები“ || **კაკულ**-ი „კულული, კავი (თმისა)“ ფორმისაგან.

მეგრ.-ლახ. **კასინკა** „პატარა თავსაფარი“. დუს სკვამი კასინკა გიორთუდუ „თავზე ღამაზი პატარა თავსაფარი ეხურა“ (ჩვენი მასალა). ნასესხებია რუსულიდან.

მეგრ. **ლაკოლკა** „კოჭის ძაფით, რიფსით ნაქსოვი პატარა სამკუთხა თავსაფარი, რომელსაც ჩხვიჩხვებით „ბახრამით“ ამშვენებდნენ“ (რუს.) (ქობალია 2010).

მეგრ. **ლენქი**-ი || **ლექენ**-ი „ლენქი“ (ჭარაია 1997; ყიფშიძე 1994). ჯგეშო ოსურემს ლენქი გიორთუდეს დუს „ძველად ქალებს ლენქი ეხურათ თავზე“ (ჩვენი მასალა). როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, თხელი ნარმისგან იყო შეკერილი, კარგ, თავმომწონე ქალებს ჰქონდათ (მასალები 1983, 244). ეს ლექსემა დასტურდება ქართულში: **ლენქი**-ი 1) „ქართული თავსაბურავი ქალისა, აბრეშუმის წმინდა ბადისებრი ქსოვილი, იხურავენ ჩიხტი-კოპთან ან ბაღდადთან ერთად“ (ქეგლი IV, 1955). გურულში გვხვდება **ლანქი**-ი ფორმით (შარაშიძე 1938).

მოცემული სიტყვის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს შეხედულება, რომ **ლენქი**-ი მომდინარეობს სპარსულიდან, შდრ. სპარს. **lānāk**, დასტურდება აზერბაიჯანულში **leček** და თურქულში **leček** (ქავთარაძე 1964, 252, 318).

ივ. ჯავახიშვილი ამ სიტყვის შესახებ წერს: „ლენქი კუბასტია, დედათა თავსაბურავი“ (საბა). ეს ტერმინი ძველისძველი უნდა იყოს. სვან **ლენქე** „სამოსელს, ტანისამოსს ნიშნავს, **ლექემ** კი წამოსასხამს ჰქვია. როგორც **ლექემ** შედგენილია **სა**-ს გამომხატველი **ლე**- თავსართისა და მოხვის აღმნიშვნელი **ქემ**- ძირისაგან, ისევე **ლენქე** იმავე ფორმანტისა და **ჩექე**-ძირისა, თუ ფუძისაგან უნდა იყოს შემდგარი“ (მასალები 1983, 134, 135).

მეგრ. **მასკა** „ნილაბი“. მახინს მასკა ენოძედ „ქურდს ნილაბი ეკეთე თურმე“ (ჩვენი მასალა). ქართ. მასკა „ნილაბი“ (ლათ. mascha, რუსული ენის მეშვეობით) (ქეგლი V, 1958).

მეგრ. **ომორგუალო** (ო-მო-რგუ-ალო) || **ორგაშე ქიცა** (ო-რგ-აშ-ე) || **სამორგუალო ქიცა** (სა-მო-რგუ-ალო) || **ომორგუალე** (ო-მო-რგ-უ-ალო) „სამგლოვიარო თავსაფარი“ (სა- და -ო აფიქსებით ნაწარმოები). ომორგუალე ქიცას ართ წანას იშენ გირთვანა „სამგლოვიარო თავსაფარს ერთ წელს მაინც

იფარებენ“ (ჩვენი მასალა). შდრ. **გარგუება** „მარადი გლოვა, გლოვას გადაყოლა; უშვილძიროდ დარჩენილი მგლოვიარე, რომელიც მთელი სიცოცხლე ატარებს შავს, გლოვას გადაყოლილი“ (ქობალია 2010). მოცემული ერთეულები წარმოქმნილი სახელებია, ნაწარმოებია მეგრული **რგუალა** „გლოვა“ ზმნისაგან ო-ო (ო-მო-რგუ-ალ-ო), სა-ო (სა-მო-რგუ-ალ-ო) პრეფიქს-სუფიქსით, ხოლო ო-რგ-აშ-ე ფორმაში შეიძლება გამოიყოს ო-ე დანიშნულების აფიქსი და -შ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი. ამდენად, **ორგაშე** ზედმიწევნით ნიშნავს „გლოვისა“.

მეგრ. **საგურგუნო** (სა-გურგუნ-ო) „საქორწილო ფატა, საგვირგვინო“ (ჭანტურიას არქივი, № 434). წარმოქმნილი სიტყვაა, ნაწარმოებია მეგრ. **გურგინ-გვირგვინი**“ ფუძისაგან სა-ო დანიშნულების აფიქსით.

მეგრ. **ფატა** „ფატა“. კამპანიას მოჭყუდუ ფატას გირთვანდღ „ქორწილში პატარძალი ფატას იფარებდა“ (ჩვენი მასალა). შდრ. ლაზ. **ფატა** || **ჩატა**.

მეგრ. **ფოჩვამ-ი ქიცა** || **ფოჩოჩამ-ი ქიცა** „ფოჩებიანი თავსაფარი“. ჩქიმი ძღაბიქ მომიღჳ ფოჩვამი **ქიცა** „ჩემმა გოგომ მომიტანა ფოჩებიანი თავსაფარი“ (ჩვენი მასალა). **ფოჩვამ-ი**, **ფოჩოჩამ-ი** წარმოქმნილი სიტყვებია, სადაც –ამ რაღაცის მქონებლობას გამოხატავს.

მეგრ. **ქიცა** „ლექაქი“; „მანდილი“ (ჭარაია 1997); „ლექაქი“ (ყიფშიძე 1994); „ლექაქი“; „მანდილი“ „თავსაფარი“; „თხელი თავსაკრავი; ქალების თავსახურავი თხლად ნაქსოვი“ (მასალები 1983, 241). გვაქვს მისგან ნო- და –ია აფიქსებით ნაწარმოები **ნოქიცია** „უბრალო, ძველი თავსაფარი“ (ჩვენი მასალა).

ა. ჭანტურია მეგრ. „**ქიცას**“ ორ სახეს გამოყოფს: 1) **ქიცა** უმოსო სუმი კუნთხური რე „თავსაფარი მეტწილად სამკუთხაა“. 2) **ქიცა განიში** „თავსაკრავი განის“ (ჭანტურიას არქივი, № 434).

გარდა ამისა, ფორმის მიხედვით, თავსაფარი შეიძლება იყოს: **სუმკუნთხურ-ი** „სამკუთხა“, აგრეთვე **წკვენტურ-ი** || **წვეტურ-ი ცახოც-ი** „პატარა სამწვერა თავსაფარი, თავშალისგან განსხვავებით, მას შუბლთან გაინასკვავენ (იგივეა, რაც ჭიჭე ქიცა)“ (ქობალია 2010). ნაწარმოებია **წ(კ)ვეტ** ფუძეზე –ურ სუფიქსის დართვით.

მეგრულში ასევე გვხვდება თავსაფრის შემდეგი სახეები:

მეგრ. **ოთხკუნთხურ-ი** „ოთხკუთხა“. (ჩვენი მასალა).

მეგრ. **სალაფართო** (სა-ლა-ფართ-ო) || **ოლაფართე** (ო-ლა-ფართ-ე) „გრძელი და ფართო თავსაფარი“ (ჩვენი მასალა). მოცემული ერთეულები დანიშნულების სახელებია, ნაწარმოებია მეგრ. **ფართ(ო)** „ფართო“ ფუძისაგან სა-ო და ო-ე აფიქსებით.

მეგრ. **სალაბო ქიცა** „გრძელი ოთხკუთხა (შედარებით ვიწრო)“ (ჩვენი მასალა). აგებულებით წარმოქმნილი ჩანს, სა-ო დანიშნულების მაწარმოებელი უნდა იყოს.

მეგრ. **ყრუჟაოამ-ი** || **ყურჟაოამ-ი** || **კრუჟაოამ-ი** ქიცა „მაქმანიანი თავსაფარი“ (ჩვენი მასალა). შესიტყვების პირველი წევრი ნასეხებია რუსულიდან. შდრ. რუს. кружево „მაქმანი, არშია“.

მეგრ. **ღაზ-ი** 1) „შალის მსხვილი ძაფით მოქსოვილი ქალის თავსაბურავი“, „ღაზლი“; 2) „ხაზი“. **ღაზლ-ი**, **ღაზლა**, „ღაზლი“, „მატყლის მკედი სხული“ (საბა), შდრ. გურ. **ღაზლ-ი** „შალის თავსაბურავი“ (დლონტი 1984). აჭარ. **ღაზლა** „მატყლის ძაფი“ (კობერიძე 2011, 81). მაშასადამე, მეგრულშიც, როგორც ქართულის მასალამ გვიჩვენა, **ღაზ-ი** ძაფის სახეობა იყო და, შესაბამისად, მასალის სახელწოდებამ განსაზღვრა საგნის სახელდება.

ქართ. **ღაზლ-ს** არაბ. **ğazl** „როვა, ნართი“ უკავშირებს გ. წერეთელი (წერეთელი 1951).

მეგრ. **ყარაოზ-ი** „ელამორსას მეორე სახელი“ (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. **შარშაბ-ი** „აბრეშუმის თავსაფარი“ (ჭანტურიას არქივი, № 434). იხ. ლაზ. **ჩარჩაბ-ი**.

მეგრ. **ცახორც-ი** „თავსახურავი თხელი რამე“ (ჭარაია 1997). **ცახორც-ი** || **ცახოც-ი** (მარტვი) „თავსაფარი“. ოსურიში ცახორციტ ქირხოლო თოლი გუუთელჷ „ქალის თავსაფრით ორივე თვალი გაუმთელა“ (ყიფშიძე 1994, 44). იმერულ დიალექტში დასტურდება **ციცახოც-ი** „თავსაფარი“, რომელიც ო. კახიძის აზრით, მეგრული **ცახორც-ი** || **ცახოც-ისაგან** მომდინარეობს (კახაძე 1997, 93). ის გვხვდება სხვა დიალექტებშიც. შდრ. აჭარ. **ცახოც-ი** „თავსაფარი“. გურ. **უსკუდარის ცახოცი** „თალხი ფერის მსუბუქი თავსაფარი. სტამბოლიდან შემოჰქონდათ გურიაში (უსკუდარი სტამბოლის აზიური ნაწილის ერთი უბანია)“ (შარაშიძე 1938). მეგრულშიც დასტურდება **უსქუდარი**, რომელსაც ა. ქობალია განმარტავს, როგორც გაუნასკვავად დასახურ დარაიას, ცხვირსახოცს (ქობალია 2010). მეგრ. **უსქუდარს** ა. ჭანტურია განმარტავს, როგორც „ახალგაზრდა ქალების ფერადი თავსახური, ძალიან ლამაზი და ძვირფასი“ (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრულში მანდილი უშუალოდ თავსაფრის აღმნიშვნელად არ გვხვდება, მაგრამ გვაქვს მისგან ნაწარმოები ფუძე: მეგრ. **მადილოსან-ი** || **მადგლოსან-ი** „მანდილოსანი“.

მეგრ. **ჩხინხველ-ი ქიცა** „შემოუქობავი თავსაფარი“. ჩხინხველი ქიცას ომორგუალებით გირთვანა „შემოუქობავ თავსაფარს სამგლოვიაროდ იფარებენ“ (ჩვენი მასალა). (სამეგრელოში სამგლოვიარო შემოუქობავ შავი ქსოვილის ნაჭერს კაცებიც წაიკრავდნენ თავზე დიდი მწუხარების ნიშნად. სამეგრელოში ეს წესი ზოგან დღესაც ცოცხალია).

მოქმედების გადმოცემით, მგლოვიარობის ნიშნად კაცები პიჯაკზე მარცხენა მხარეს საყელოზე ჯიბესთან ახლოს მიიკერებდნენ შავ ქსოვილს, ძირითადად სამგლოვიარო ტანსაცმლის ნაწილს. ქალები კი პალტოზე გარედან, ან საერთოდ სამგლოვიარო კაბის გარეთ რაც ეცვათ, იმაზე ზონარივით, დაახლოებით 20 სანტიმეტრის სიგანის ქსოვილს დაიკერებდნენ. სამგლოვიაროდ აუცილებლად იკრავდნენ კაბას, თუ ძალიან „სანწარო“ „სამწარო“ იყო, არ შემოქობავდნენ არც ფესვზე, არც მკლავზე. სამგლოვიარო პერიოდის გასვლის შემდეგ სამგლოვიარო ტანსაცმოსს წყალს გაატანდნენ, ან დაწვავდნენ. სამგლოვიარო ტანსაცმელი ძალიან უბრალო ქსოვილისგან იკერებოდა, ძირითადად სატინა. ეს წესი ახლა ფართოდ გავრცელებული არ არის, მაგრამ ზოგი ამ წესს ახლაც იცავს. დიდი მწუხარების ნიშნად კაცებიც იცვამდნენ შემოუქობავ პერანგს. ქალები წაიკრავდნენ პატარა თავსაფარს ისე, რომ შუბლი არ გამოჩენილიყო, გარედან, ზემოდან კი დიდ თავსაფარს გადაიფარებდნენ.

მეგრ. **შაღ-ი** „თავშალი, დიდი თავსაფარი“. ი დედიბის დუს ტიბუ შალი გიორთუდუ „იმ მოხუცს თავზე თბილი თავშალი ეფარა“ (ჩვენი მასალა). შდრ. **შაღ-ი** „ქსოვილის სახელი“, რომელსაც დ. ჩუბინაშვილი სპარსულად მიიჩნევს (ჩუბინაშვილი 1961).

მეგრ. **შარფ-ი** „შარფი“. ართი შარფიქ მემეწონ, მარა ფარაქ ვამბაღ დო ვამაგიდირ „ერთი შარფი მომეწონა, მაგრამ ფული არ მეყო და ვერ ვიყიდე“ (ჩვენი მასალა). ჩვენებურების ქართულში დასტურდება **შარფა** (თურქ. **şarfa**) (ფუტკარაძე 1993, 627). იხ. ლაზ. **შარფი**.

აქვე გავაერთიანებთ კაშნესაც.

მეგრ. **კაშნ-ი** „კაშნე“. კისერს ჩხურუქ მაცუ დო კაშნი ქიგთიბდვი „ყელზე შემცივდა (სიცივე მექნა) და კაშნე შემოვიხვიე (შემოვიდე)“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. კისერიში-ი გითაკირალ-ი || გუთაკირალ-ი „ყელზე მოსახვევი“ || კისერიში-ი გითადვალარ-ი//გუთადვალარ-ი ზედმიწ. „ყელზე მოსადები“.

ლაზური

ლაზ. დუად-ი || დუვად-ი „პატარძლის თავსაბურავი“. დუადი ნოდამისაში მოთუმაღლე რენ „დუადი პატარძლის თავსაბურავი არის“ (ჩვენი მასალა). შდრ. აჭარ. დვად-ი ← **duvak** „სადედოფლო შარფი“ (ნიჟარაძე 1975, 21).

ლაზ. ვალა „იგივეა, რაც კაზი, დედოფლები იხურავენ“ (ვანილიში, თანდილავა 1984, 79). მუფერ ნომსქუნ სატინა-კალა ვალა „როგორ შვენის სატინასთან ვალა“ (ყიფშიძე 1994, 47).

ლაზ. თაბლა (ვიწ.-არქ.) „ჩიხტიკოპი; „ქალის თავსაბურავი, მრგვალი მოყვანილობის, ირგვლივ მიბმულია ოქროს მონეტები“ (თანდილავა 2013).

ლაზ. თავშალ-ი „თავშალი“ (ჩვენი მასალა). იხ. მეგრ. თავშალი.

ლაზ. თის გოლაკიუში-ი || გოლაკიუში-ი „თავზე წასაკრავი“ (ჩვენი მასალა). შდრ. ქართ. თავსაკრავი.

ლაზ. თი მოჟაკიუში-ი „თავზე მოსახვევი“ (ჩვენი მასალა). შდრ. ქართ. თავმოსახვევი.

ლაზ. კაზ-ი „თავსაფარი, პირბადესავით“. შდრ. თურქ. **kaz**. ← ფრანგ. **gaz**. როგორც ა. თანდილავას აზრით, კაზი „ერთგვარი მაღალი ხარისხის ქსოვილის სახელია, რომელსაც წამოახურავენ დედოფალს“ (ვანილიში, თანდილავა 1984, 79). ნოდამისას მოგოლაფანში კაზი „დედოფალს რომ მოგაფარებენ კაზს“ (უღენტი 1938, 168).

ლაზ. მანდილ-ი „ქალის თავსაფარი“. ქჩე მანდილის ქჩე ბედალი გოდვერი, მომემაშკუმ გურის ქვა დოლობდერი „თეთრ მანდილზე თეთრი არშია შემოვლებული, არ დამტოვო გულში ქვაჩაყრილი“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლი-ში, ალექსივა 2007). იხ. მეგრ. მანდილ-ი.

ლაზ. მგააში-ი (მოთვალუში-ი) „სამგლოვიარო“ (ზედმიწ. „ტირილის თავსაფარი“) (ნათესაობითი ბრუნვის –ში ნიშნით ნაწარმოები).

ლაზ. მენდილ-ი „მანდილი“. შდრ. (თურქ. mendil ← არაბ. **mindil** „პირსაბურავი“; „ხელსახოცი“ (მასალა 1983, 249).

ლაზ. მთვალუ || მთუმალე || მთვალუშ-ი || თი-მთვალუშ-ი || თიშ-მთვალუ || მთუმუშ-ი || თი-მთვალონ-ი || თიშთიმალე „თავსაბურავი ზოგადად“ (ჩვენის მასალა). ამათგან მთუმალე მარტივი ფუძეა, ხოლო მთვალუშ-ი || მთუმუშ-ი ნათესაობითი ბრუნვის –ში ნიშნით არის ნაწარმოები და ზედმიწ. ნიშნავს „თავსაბურავისა“.

ლაზ. მუჟეოკირალე „თავსაფარი“ (თანდილავა 2013). ნაწარმოები სიტყვაა შეკვრის აღმნიშვნელი ლაზური კირ- ძირიდან ზმნისწინისა და –ალ და –ე სუფიქსების დართვით.

ლაზ. მშალ-ი „თავშალი“ (თანდილავა 2013). იგივე ძირია, რაც შალ- ფუძეში გვაქვს, ოღონდ ლაზურში სიტყვის თავში გაჩენილია მ.

ლაზ. ფატა || ჭატა „ფატა“. იხ. მეგრ. ფატა.

ლაზ. ფერდე „ჩადრი“; ეს სიტყვა სპარსულია, თუმცა ლაზურში ნასესხებია თურქულიდან. შდრ. სპარს.-თურქ. perde „ფარდა“. ჩადრის სემანტიკა საკუთრივ ლაზურში უნდა იყოს განვითარებული.

ლაზ. ფეჩე „ფატა“ (ჩვენის მასალა); „სახეზე ჩამოსაფარებელი“ (თანდილავა 2013). ნოლამექ ხამითე ფეჩე ელაწკამს „საქმრო დანით სახეზე ჩამოსაფარებელს ახსნის“ (ქლენტი 1938, 30). დასტურდება აჭარულშიც. შდრ. თურქ. peçe „პირბადე“ (კობერიძე 2011, 30).

ლაზ. შათხ-ი „შალისაგან ხელოვნურად მოქსოვილი თავსაბური“ (თანდილავა 2013).

ლაზ. შარფ-ი „შარფი“ (ლაზურის ფონდი). მა ართი თიში შარფი ვარ მიღუნ- და „მე ერთი თავზე დასახური თავსაფარი არ მაქვსო“ (ჩიქობავა 1936, 15). შდრ. თურქ. şarfa „თავსაბური“. სწორედ თურქულიდან არის შემოსული ლაზურში. იხ. მეგრ. შარფ-ი.

ჩადრის მნიშვნელობით ლაზურში გვაქვს რამდენიმე სიტყვა:

ლაზ. ჩადრ-ი „ჩადრი“. შდრ. ქართ. ჩადრ-ი ← სპარს. čadir „ზეწარი“, სპარს. čadre || čador „ფართო ერთფეროვანი წასაბურავი, რომელშიც იფარებიან ფეხებამდე სპარსთა ქალები“ (ანდრონიკაშვილი 1966, 527); ეს სიტყვა დასტურდება თურქულშიც და ლაზურში თურქულიდან შეიძლება იყოს შეთვისებული.

ლაზ. ჩარჩაბ „ჩადრი, პირბადე“ (ვანილიში, თანდილავა, 1984, 115) || ჩარშაფ-ი || ჩარშაფ-ი „ჩადრი, ქალის საბურავი (მუსლიმანური“ (სპარს.-თურქ. çarşaf).

ჩარშაფი მოთვალერი არ ოხორჯა ნიტუ „ჩადრმოსურული ერთი ქალი მიდიოდა“ (თანდილავა 2013).

ლაზ. ხანჯულა „მოხუცი ქალების თავსაბური“ (თანდილავა 2013).

ლაზ. ხასე || ხასა „თავსაფარი ერთგვარი“ || ხასე „დოლბანდი (თავზე სახურავი), მასალა“ (თანდილავა 2013). ჰომომფინუ ხასე „გადამაფარა დოლბანდი“ (კარტოხია 1972, 143). შდრ. აჭარ. ხას-ი არაბ. „სალოცავი, ფარდაგი“ (კობერიძე 2011, 89); ჯავახ. ხას-ი 1) „ძვირფასი, საუკეთესო ხარისხისა, რჩეული ქსოვილი“; 2) „მოქნილი, რბილი, ადვილად წვევალი“ (ბერიძე 1981, 175).

ლაზ. ჰიჯაბ-ი (არაბ.) „ჩადრი, რომელიც მთლიანად ფარავს სახეს“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. დაზმა || ადაზმა (თურქ. *yazma*) „თავსაფარი“. ერთ-ერთი მთქმელის განმარტებით, ეს ერთგვარი პირბადეც იყო. დაზმა მოთვალეი ნულუნ „თავსაფრით დადის“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. ძალუღ-ი (ათინ.) || ძაღლუღ-ი (ფურტ.) „თავსაფარი“. ძალუღი დუღის ქეინკორუ „თავსაფარი თავზე წაიკრა“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007).

1) ქუდი და მისი სახეები

მეგრული

მეგრ. ქუდი-ი „ქუდი“; „ქუდი, თავსაბურავი“ (ჭარაია 1997). ქართ. ქუდი-ი ← ძვ. სპარს. *xauda* (ანდრონიკაშვილი 1966, 196). მ. ჩუხუა არ იზიარებს ამ თვალსაზრისს და მიაჩნია, რომ ქართ. ქუდი ნასესხებია ნახურ ენათა ქუდი-სგან. შდრ. ბაცბ. ქუდ ← ქუდი-რ (ჩუხუა 2008).

მეგრ. ბოხოხ-ი, ბოხოხია „ბოხოხი, ცხვრის ტყავის ქუდი“. დუცუ გიორთუ ბოხოხია „თავზე ახურავს ბოხოხი“ (ქაჯაია I, 2001). ბოხოხ-ი ქუდი-ი – იკერებოდა ბატკნის ტყავისაგან (მასალები 1983, 241). ჩვენებურების ქართულშიც გვხვდება ბოხოხ-ი „ცხვრის ტყავის ქუდი“ (ფუტკარაძე 1993, 403).

მეგრულში გვაქვს სიტყვა ქუდის შემცველი შესიტყვებანი:

მეგრ. ბოწოწამ-ი ქუდი-ი || ბოწოწიშ-ი ქუდი-ი „ბეწვიანი ქუდი“ (ჩვენი მასალა). შდრ. მეგრ. ბოწორია „გრძელბეწვიანი“.

მეგრ. **ბოხონიაშ-ი** || **ბუნარიშ-ი ქუდ-ი** „ბუნარის ქუდი“, „ცხერის ტყავის ქუდი“ (ყიფშიძე 1994). შდრ. ქართ. **ბუნარის ქუდი-ი** „კრაველის ქუდი, საერთოდ ცხერის ტყავის ქუდი“ (ქეგლი I, 2008).

მეგრ. **კონწოლამ ქუდი** „წვეტიანი, კუნკულიანი ქუდი“ (მეგრ. **კონწოლ-ი** „კუნწული, თმის კულული; ლოლუა (ყინულისა), ცაცხვისა და სხვათა ნაყოფი, წაწვეტებული რამ, წვეტიანი“ (ქობალია 2010).

მეგრ. **კრაველიშ ქუდ-ი** „კრაველის ქუდი“. შდრ. თუშ. **კრაველ-ი** „ბატკნის მატყლი“ (ცოცანიძე 2012).

მეგრ. **ნაბადიაშ-ი ქუდ-ი** „ნაბდის ქუდი“ (ქაჯაია II, 2002).

მეგრ. **ტეტიაშ-ი ქუდ-ი** „ტეტის ქუდი“ (ქაჯაია III, 2002).

მეგრ. **შონურ-ი ქუდ-ი** „სვანური ქუდი“ (ქაჯაია III, 2002).

მეგრ. **ფართხვია ქუდ-ი** „ფართხუნა ქუდი“ (ქაჯაია III, 2002).

მეგრ. **მონტყორიშ-ი ქუდ-ი** „მატყლის თბილი ქუდი“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ჭილიშ-ი ქუდ-ი** || **ჭოლიშ-ი ქუდ-ი** „ჭილის ქუდი“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **უშანკა ქუდ-ი** „ხამთრის თბილი ქუდი, ყურებიანი“ (ჩვენი მასალა).
შესიტყვების პირველი წევრი ნახეხებია რუსულიდან.

მეგრ. **ბაშლაყუ** (მასალები 1983, 248) || **ბაშლაყე-ი** || **ბაშლაყე** || **ბაშდაყუ** „ყაბალახი, ბაშლაყვი“ (ქაჯაია I, 2001), დასტურდება ი. ყიფშიძესთანაც და მიუთითებს, რომ თურქულია. ა. ქობალიასთან გვხვდება **ბაშლაყ-ი** „ყაბალახი, ჩაბალახი; მეომრის ჯაჭვის ქუდი, მუზარადი, თავსარქმელი საზოგადოდ“ (ქობალია 2010). || **ბაშილიყ-ი** (ბაშიაყ) „ყაბალახი“ (ელიავა 1997). || **ბაშლაყუ** „ირიბულად გამოჭრილი თავსახური ქალებისთვის ცხენით მგზავრობისას სახმარი“ (ჭანტურიას არქივი, № 434). ნოტე გინმორთინუას... ვარა ქვიშორ ბაშლაყუო „ნეტავი გადამაქცია... ქვიშისფერ ყაბალახად“ (სამუშია 1971, 99). თუშური **ბაშლაკაჟ** „ბაშლიყი – თექაზე მოკერებული წვეტიანი თავსაფარი ავღარში გადმოსაფარებლად“ (ცოცანიძე 2012). ზ. აჭარ. **ყაბალახ-ი**, ქვ. აჭარ. **ბაშლუდ-ი** (კობერიძე 2011, 26).

მეგრ. **ბერეტი-ი** „ერთგვარი მაღალი ქუდი“. ჩქიმბი ბოშის გოლა ბერეტი მუდი ღო ძამს მოწონს „ჩემს ბიჭს გუშინ ბერეტი მოვუტანე და ძალიან მოსწონს“ (ჩვენი მასალა). შდრ ქართ. **ბერეტი-ი** [იტ. beretta „ბრტყელი ქუდი“] „მრგვალი, უსაჩრდილო (უფარფლო) რბილი ქუდი (ჩვეულებრივ, ქალისა)“ (ქეგლი I, 2008).

მეგრ. **გურგინ-ი** „გვირგვინი“. **ნაგურგინა** „ჯვარდანაწერი, გვირგვინნაკურთხი, საქორწინო; გვირგვინოსანი“ (ქობალია 2010). შდრ. მეგრ. **გურგინ-ი** „კეფაზე

წერტილი, საიდანაც თმა წრიულად ლაგდება თავზე“ (ქობალია 2010). იხ. მეგრ. **საგურგუნო**.

მეგრ. **კეპკა** „კეპი“. კეპკა ჩხანაში გიორთუმაღარო ძამ ჯგირი ქორე „კეპი მზეზე დასაფარებლად ძალიანაც კარგი არის“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ოჩხანიე** || **საჩხანიო** || **ჩხანაშ-ი ქუდ-ი** „მზის ქუდი“ (ო- -ე, სა- -ო და ნათესაობითი ბრუნვის –ში ნიშნით ნაწარმოები). გაგანია ჩხანას საჩხანიო ქუდიშ უმშო ვეგლერთე „პაპანაქება მზეში მზის ქუდის გარეშე არ შეიძლება სიარული (არ გაივლება)“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ტატუც-ი** „ფაფანაკი“ - ძველად კერავდნენ ტყავისაგან, რგვლად იყო ამოჭრილი და თავზე ეხურათ (გიოტატუდეს); რომ არ ჩამოვარდნილიყო, საყელს უკეთებდნენ (მასალები 1983, 244).

მეგრ. **ფაყუ** „ქუდი, თავსაბურავი“ (ქაჯაია III, 2002). სამეცნიერო ლიტერატურაში არის ასეთი დაკავშირება: სვან. **ფაყუ** „ქუდი“, მეგრ. **ფაყ- (გეფაყუ)** „ქუდი დევს“, ჭემგუური **ფაყუ**, ყაბარდ. **pué** (ჯანაშია 1959, 112).

მეგრ. **ყაბალახ-ი** „ყაბალახი“. ჯვეშემს ყაბალახი გიორთუდეს „ძველებს ყაბალახი ეხურათ“ (ჩვენი მასალა). შდრ. ქართ. ყაბალახ-ი (თურქ. kabalak) „წოწოლა, ძაბრის მოყვანილობის გრძელტოტებიანი თავსაბურავი ჩვეულებრივ მამაკაცისა. || უხმარიათ კაპიუშონის მნიშვნელობით“ (ქეგლი VII, 1962).

მეგრ. **შლიაპა** (ერთგვარი ქუდი), შდრ. ქართ. შლიაპა || **შლაპა** [გერმ. Schlappe] 1. მამაკაცის ქუდი მრგვალი მოყვანილობისა, ირგვლივ ფარფლიანი. [გლახათუბნელს] თავზე ჩალის შლაპა ეხურა (გ. წერეთ.–. 2. ქალის ქუდი (ქეგლი VII, 1962).

მეგრ. **ცილინდრ-ი** „ცილინდრი“ (ჩვენი მასალა). შდრ. ქართ. ცილინდრი (ბერძნ. kyliandros) 1. გომეტრიული სხეული, რომელიც წარმოიქმნება სწორკუთხედის ტრიალით თავისი ერთ-ერთი გვერდის გარშემო. 2. ტექ. ორთქლის მანქანის ან შიგაწვის ძრავის ნაწილი ცილინდრის ფორმისა. 3. მამაკაცის ქუდი ცილინდრის ფორმისა, ვიწროფარფლებიანი და მაღალი (ქეგლი VIII, 1964). იხ. ლაზ. **ცილინდრი**.

მეგრ. **ძაფეძია** „მძივებიანი, ტოტებიანი გვირგვინი ნეფე-დელოფლისათვის, რომელსაც ადგამენ ეკლესიაში ჯვრისწერისას“ (ა. ქობ., 689).

მეგრ. **ჭყვინტიან-ი ყაბალახ-ი** (მოკლე და ვიწრო ჭყვინტებს შემოიკერავდნენ თავზე) (მასალები 1983, 242).

ლაზური

ლაზ. **ქუდ**-ი „ქუდი“ (მარი 1910). თავზე ყველანაირ ჩამოსაცმელს ეძახდნენ ქუდს. თის ქუდი გდოთუნ „თავზე ქუდი ახურავს“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. **ბაშლუ** || **ბაშლუდ**-ი 1) „ყაბალახი“ (თურქ. başlik(γi)) „ეროვნული ლაზური თავსაბურავი“. 2) **ბაშლუდ**-ი „საცოლის დანიშვნის დროს გაღებულ სიჩქარი, ქრთამი ქალის მშობლებისათვის“ (ლაზურის ფონდი). ეს სიტყვა მომდინარეობს თურქულიდან. შდრ. თურქ. **başlik** (ანდრონიკაშვილი 1966, 229), წარმოქმნილი სიტყვაა: თურქ. **baş** „თავი“, **luy** კი ფორმანტია (მასალები 1962, 145).

ლაზ. **ბოხოხ**-ი „ბოხოხი“. პაპული ჩქიმი ბოხოხი მოთუმი ნულუტუ „ბაბუაჩემი ბოხოხდაფარებული დადიოდა“ (ჩვენი მასალა). **ბოხოხ**-ი **ქუდ**-ი „ბოხოხი“ (ლაზურის ფონდი). იხ. მეგრ. **ბოხოხ**-ი.

ლაზ. **ბოხჩა** „მანდილი“.

ლაზ. **თაქია** „კახური ქუდის მსგავსია“ (თანდილავა 2013).

ლაზ. **კავეხ**-ი, **კაუხა** „ძველებური თავსაბურავი; საფარველი, გარსი“ (ლაზურის ფონდი). შდრ. თურქ. **kavuk**. შდრ. **კაული** „კაცის თავსაბურავი, რომლის ბოლოებიც თასმით იკვრება“ (თანდილავა 2013).

ლაზ. **კალფად**-ი || **კალაფად**-ი „ქუდი“. შდრ. თურქ. kalpak „ქუდი, ფაფახი“.

ლაზ. **კუკულა**¹ (ვიწ.) „ბერიკაცის ქუდი“ || **კუკული**² „კუნკული; ბერიკაცის (მოხუცის) წაგრძელებული ქუდი“ (თანდილავა 2013). შდრ. ქართ. **კუნკულ**-ი ეკლ. ძვ. 1. ბერების თავსახურავი – მაღალი ქუდი უკან ჩამოშვებული საბურავით. 2. ქსოვილის ნაჭერი, რომელშიც ხვევდნენ ემბაზიდან ამოყვანილ ახალმონათლულ ბავშვს. || ქსოვილის ნაჭერი, რომელსაც უძღვნიდა ნათლია ბავშვის დედას ან თვით ბავშვს (ქეგლი IV, 1955).

ლაზ. **მჟუაშ**-ი **ქუდ**-ი || **მჟორაშ**-ი **ქუდ**-ი „მზის ქუდი“. დიდო მხვაფა რენ დო მჟუაში ქუდი ეპჭოფამინონ „ძალიან სიცხე არის და მზის ქუდი უნდა ვიყიდო“ (ჩვენი მასალა). შესიტყვების პირველი წევრი მიღებულია მზის აღმნიშვნელ ლაზურ „მჟუა“ ფუძეზე ნათესაობითის –**შ** ნიშნის დართვით).

ლაზ. **პაპახ**-ი || **ფაფახ**-ი || **ფაფად**-ი „ქუდი“. გინონ-ნა პაპახი ჩქიმი ქომექჩა „თუ გინდა, ჩემი (ბოხოხის) ქუდი მოგცე“ (ჩიქობავა 1929, 62). აჭარ. **ფაფად**-ი „ბრტყელი, წვერფართო, მაღალი ქუდი, ცხვრის ტყავისაგან იკერებოდა,

ძირითადად მეცხვარისა იყო“ (კობერიძე 2011, 92). ქართ. **ფაფახ**-ი (ფაფახისა) [თურქ. papak] ბეწვიანი ტყავის (უპირატესად კრავლის) მაღალი ქუდი, რომელსაც ცა შეიძლება ამოღებული და ქსოვილის (მაულის) ნაჭერგამოკრული ჰქონდეს (ქეგელი VII, 1962).

ლაზ. **სემსიფერ**-ი „ფოჩებიანი ქუდი“ (თანდილა 2013).

ლაზ. **ფოთე** – მუეაში ქუდი „მზის ქუდი“ (თანდილავა 2013). მის პარალელურად ლაზურში დასტურდება: **ფოტერი** 1. „შაპკა“. 2. „ტრადიციულ ლაზურ ჩაცმულობაში თავზე დახვეული გრძელი მატერია“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007).

ლაზ. **ქაჩულა** „ბოხოხის ქუდი“ (თანდილა 2013).

ლაზ. **შაპკა, შაჟკა, შაფკა, შაგკა** „ქუდი“. სკანი შაპკა კაი მაწონენ „შენი ქუდი მომწონს“ (ჩვენი მასალა). შდრ. თურქ. **şapka** „id“.

ლაზ. **შუბარა** „მაღალი ქუდი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. **ცილინდრ**-ი „ცილინდრი“. გინონ-ნა ცილინდრი ეგიტოფა „თუ გინდა, ცილინდრს გიყიდი“ (ჩვენი მასალა). იხ. მეგრ. **ცილინდრ**-ი.

ლაზ. **ჭილობ**-ი (ქართ.) „ჭილობი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. **ხასირი**² „ჭილობი“ (არაბ.-თურქ. hasir) (თანდილავა 2013). ხასირის-თი რაზი რე, დადი ჩქიმი „ჭილობზეც თანახმა ხარ, ჩემო დეიდა (მამიდა)“ (ციფშიძე 1994, 53).

ლაზ. **ფეს**-ი (თურქ. **fes**) „თავზე დასახურავი (ფესი)“ (ფუტკარაძე 1993, 589) || „წითელი ქუდი, ფესი“. შდრ. **ჯან-ფესი** „ქუდი, ფესი“. ხოჯას ფესი გდოთუნ „ხოჯას ფესი ახურავს“ (თანდილავა 2013).

ამ ქვეთავში განვიხილეთ თავსაბურავი. ლექსიკა განვიხილეთ ორი მიმართულებით: დავაჯგუფეთ ზოგადი და კონკრეტული სახელები. როგორც მეგრულში, ასევე ლაზურში მასალა საკმაოდ გამოვლინდა. ზოგადი სახელები სტრუქტურული თვალსაზრისით წარმოქმნილია, ნაწარმოები საერთოქართველური ძირისაგან, კერძოდ: ქართ. **რთუ**- || **რთ**- : მეგრ. **რთვ**- || **რთ**- : ლაზ. **რთვ**- || **თუ**- || **თ**-. კონკრეტულ სახელებში გამოვლინდა თავსაბურავის სხვადასხვა სახე. სტრუქტურულად გვაქვს მარტივი და რთული სახელები. წარმომავლობის თვალსაზრისით, საკუთრივ მეგრულ-ლაზური, საერთოქართველური და ნასესხები ლექსკა.

IV ქვეთავი

სამოსლის ნაწილები

ზემოთ განვიხილეთ სამოსლის სახეობები: ტანისამოსი, ფეხსამოსი, თავსაბურავი. თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი შემადგენელი ნაწილი. ამ ქვეჯგუფში განვიხილავთ ტანისამოსის, ფეხსამოსის, თავსაბურავის შემადგენელ ნაწილებს, შესაკრავებს, სარტყლებს, სამკაულებს, მოსართავებს.

§ 1. სამოსლის ნაწილები

1) ტანისამოსის ნაწილები

მეგრული

მეგრ. **აბჟანდ**-ი „ავჟანდი, უზანგი, პაჭანაკი, შარვლის ან ქვედა საცვლის ტოტზე ამოკერებული ზონარი ფეხის ტერფზე ამოსადებად“ (ქობალია 2010). შდრ. მესხ. **აბჟანდ**-ი „პაჭანიკი, შარვლის ან ქვედა საცვლის ტოტზე ამოკერებული ზონარი ფეხის ტერფებზე ამოსადებად“ (დლონტი 1984).

მეგრ. **აზღოტ**-ი „აზღუდი, ტანსაცმლის გვერდებში ჩადგმული პატარა ზომის ირიბი ნაჭერი განისა და ირიბი ფორმის მისაცემად (იგივეა, რაც ბარტყი, მიშადგუმალი, აშადგუმალი)“ (ქობალია 2010). შდრ. ქართ. **აზღუდ**-ი „კაბის თედოს ურიბი“ (საბა I, 1991). თუშ. **აზღოტ** „ტყავკაბის ან ქათიბის გვერდზე ჩასაკერებელი ნაჭრები“ (ცოცანიძე 2012). ხევს. **აზღოტ**-ი „ჩოხის ნაწილია“ (ჭინჭარაული 2005).

მეგრ. **ათაფუნაფალ**-ი „ქვეშ დასატანებელი, მოსაყოლებელი.“ (ქობალია 2010). დანიშნულების სახელია, ნაწარმოები **ფუნაფა** „წაყვანა, ტარება“ ზმნისაგან. კაბაში ათაფუნაფალი ქიპიდე ოკო „კაბის ქვეშ დასატანებელი უნდა ვიყიდო“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **აწაკირალ**-ი „წინსაფარი; შუბლზე წასაკრავი (ძაძის ნაჭერი)“ (ქობალია 2010). კაბაში აწაკირალი ქუმოთხი აკა „კაბაზე წასაკრავი მათხოვე ერთი“ (ჩვენი მასალა). ამავე მნიშვნელობით გვხვდება **აწაფორალ**-ი „წინსაფარი“. შდრ. **ფორუა**

„დაფარვა, დაფარება“ (ქაჯაია I, 2001). აწაფორალ-ი მიმღეობაა და ნაწარმოებია ფორუა ზმნიდან, დანიშნულებას გამოხატავს, აწა- ზმნისწინია.

მეგრ. ბაიკარტი-ი „გულმკერდის არე“. ქომიცუეს თე კათაქ დო ქიგმოსოფეს ბაიკარტი „მომცვივდნენ ეს ხალხი და შემომავლიჯეს ბაიკარტი“ (ქაჯაია I, 2001).

მეგრ. ბარტი-ი „ტანსაცმელში ჩასადგმელი, ჩასაკერებელი“.

მეგრ. ბედანი-ი „ჩოხის შემადგენელი ნაწილი.“ ჩოხა შესდგებოდა რამდენიმე ნაწილისაგან: უკანა ბედანი (ზურგი), რომელიც უკან შეიჭრებოდა, წინა ორი ბედანი და კალთები (მასალები 1983, 247). საანალიზო ფუძეში შეიძლება გამოიყოს ბედ-(ან-ი) ძირი, რომლისთვისაც ამოსავლად მიგვაჩნია *ბოდ-(ან-ი), შდრ. ქართ.: ტყავ-ი : მეგრ.: ტყებ-ი ← *ტყობ-ი; ქართ.: ძარღვ-ი : მეგრ.: ჯერღვ-ი ← *ჯორღვ-ი. როგორც ჩანს, ქართველურ ენებში თ→ე გადასვლა დასაშვებია, როგორც შესატყვისობის, ასევე ერთი ენის ფარგლებში. შესაძლებელია, აღნიშნული ფონეტიკური პროცესის გათვალისწინებით, ზან. თ-ს მოეცა ე და შესაბამისად *ბოდ-(ან-ი) ფორმიდან მიგველო რეალურად არსებული ბედ-ან-ი.

ჰ. აჭარიანი მიიჩნევს, რომ ბადენ- ქართულში სომხურის გზით არის ებრაულიდან შემოსული (აჭარიანი 1971, 374).

ბადენ-ის ებრაულიდან წარმომავლობას იზიარებს დ. ჩუბინაშვილი (ჩუბინაშვილი 1984).

მნიშვნელოვანია ივ. ჯავახიშვილის შეხედულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მკვლევარი ქსოვაზე მსჯელობისას იმოწმებს დანიელის წინასწარმეტყველების 12,6-ს ოშკური ხელნაწერის მიხედვით და აღნიშნავს, რომ ქსოვის ერთ-ერთი სახეობა ბადეც იყო. ის ბადენ-ი სიტყვის ამოსავლად ბადე-ს ვარაუდობს (მასალები 1962, 199).

ამ მხრივ საინტერესოა მ. ჩუხუას თვალსაზრისი, რომელიც აღნიშნავს, რომ ქართ.: ბად-ენ-ი შეიძლება უკავშირდებოდეს ბად-ე-ში გამოყოფილ ბად- ძირს და აღადგენს *ბოდ-ს ზანურისთვის (ჩუხუა 2002-2003, 56, 229).

რადგანაც ქართული ბად-(ენ-ი) ძირის შესატყვისად სამეცნიერო ლიტერატურაში ზანურისთვის *ბოდ- ძირი ვლინდება, ვსვამთ საკითხს ქართ. ბადენ-: ზან.(მეგრ.) ბედან- შესატყვისობის შესახებ, რომლისთვისაც *ბოდ-ან-ი იქნებოდა ამოსავალი და, ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ გავიზიარებდით შეხედულებას ქართ. ბადენ- ფუძის უცხოური წარმომავლობის შესახებ.

მეგრ. ბეტკ-ი „სალტე“, ს.ქართვ. *ბეტკ- „სალტე; ტკეჩი“ → ქართ. ზან. ბეტკ-ი ← ბატკ-ი, სვან. ბეტკ (ჩუხუა 2000-2003, 66).

მეგრ. ბუა, ბოა „საყელო“. ბუა ბეწვსაც ნიშნავს (ქობალია 2010).

მეგრ. ეიობინალ-ი „ასაბნევი“ (ქობალია 2010). ესეც იმავე ბინ- „შეკვრა“ ძირისაგან არის ნაწარმოები.

მეგრ. ვარანდიკ-ი || ვარადნიკ-ი (რუს. воротник) „საყელო“. ჯგირი ვარადნიკი ოკო გუუკეთენი „კარგი საყელო უნდა გავუკეთო“ (ქაჯაია I, 2001). რუსულიდან ნასეხებ ამ სიტყვაში ნ ფონემის მეძობლობაში ტ გამჟღერებულია, თანაც ერთ ვარიანტში ნ გადასმულია დ-ს წინ.

მეგრ. კართე „კალთა“ (ჭარაია 1997). ართ დიხას დიმახვენც, კართეს მუთუნ ვაწუცენც „ერთ ადგილას დამჯდომს, კალთაზე არაფერი დაუცვივდება“ (სამუშია 1971, 117). სამეცნიერო ლიტერატურაში ქართ. კალთა დაკავშირებულია მეგრ. კართე-სთან (თოფურია 1979, 178).

მეგრ. კილე || კიე „მკლავი“ (სახელო). შდრ. მეგრ. ხეფორჩამი, კილეამ-ი || კიეამ-ი „მკლავიანი“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. კინკ-ი „ნაკერი, უბე შარვლისა, ნიფხვისა“. დაქ დას კურთა ქათხუა ღო კინკის ვეგემდოხოდავა „დამ დას ნიფხავი ათხოვა და ნაკერზე არ დამიჯდო“ (მემიშიში, შეროზია 1990, 35).

მეგრ. კონკ-ი „კაბის ბოლო“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. კუდეღ-ი, კუდე-ი „კუდი“ (ქაჯაია II, 2002); „კაბის ბოლო, კაბის ნაწილი“. თიშ მაგირძა კაბა მიკაქუნსუ, კუდეღი დიხას მიაჩერჩელე „იმ სიგრძე კაბა აცვია, კაბის ბოლოს (კუდს) მიწაზე მიათრევს (უწოჩიალებს)“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. ლუბა (კილანავა 1998) || ლგბა (ყიფშიძე 1994) || უბა || ლიბა (მარტვი) „უბე“ შდრ, ლაზ. უბა „უბე, მკერდი“ (მარი 1910). სქანი ღუდი ქომუჩასი ლუბაში დინახუნაფალო „შენი თავი მომცა, უბეში ჩასასმელად“ (სამუშია 1971, 143).

მეგრ. მანჯა „მაჯა“ (სამოსლის) (ჩვენი მასალა) || მანჟეტ-ი „მაჯა“ (ქობალია 2010).

მეგრ. ნათ-ი „წელი (ტანისამოსისა)“ (ჭარაია 1997) || ნათიუ || ნათია „ნაკერი; ტანსაცმლის ზედა უკანა მხარე; სხვისი კერძი; ნაწილადები“ (ქობალია 2010).

მეგრ. **ობინალ**-ი „საკინძე, საკინძი (პერანგ. და სხვ) (შესაკრავები) (ჭარაია 1997). ლექსემა წარმოქმნილია **ბინუა** „შეკვრა“ ზმნისაგან ო-ალ აფიქსებით.

მეგრ. **ოლარ**-ი „ოლარი“. ოლარა ნინა „გრძელი ენა“. შდრ. ლარაფა ნინაში (ქაჯაია II, 2002). პაპას ოლარი მუკაქუნსუ „მღვდელს ოლარი აცვია“ (ჩვენი მასალა). ქართ. **ოლარ**-ი 1) „მღვდლის ყელს საკიდი“; 2) „სარტყელი“ (საბა I, 1991). **ოლარ**-ი (ბერძნ. orarion) „მღვდლის სამოსლის ნაწილი, – ყელზე ჩამოსაცმელი გრძელი და ვიწრო, ოქრომკედით ნაქარგი ქსოვილი“ (ქეგელი VI, 1960).

მეგრ. **ოჯალე** || **ოჯალეშ**-ი „საყელო“ (კილანავა 1998). ათე კაბაშა ოჯალეში მაფუ ოკეთებელი „ამ კაბისთვის საყელო მაქვს გასაკეთებელი“ (ჩვენი მასალა). **ოჯალე** წარმოქმნილი სიტყვაა, მიღებულია **ჯალ**- ფუძისაგან ო-ე დანიშნულების აფიქსის დართვით, **ოჯალეშ**-ს კი ნათ. ბრუნვის –შ სუფიქსიც ერთვის.

მეგრ. **პიჯ**-ი „საპირე“ (პიჯი დო სარჩული „საპირე და სარჩული“) (ჭარაია 1997).

მეგრ. **რუშქო** „კირკინტი კურთაში გთაფუნაფალი (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. **რღია** „იღლია“. კაბაში რღია ნაპტანი ალაჭკირილი აფუდუ „კაბის იღლია ნამეტანი ამოჭრილი ჰქონდა“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **სარღიო** „საიღლიე ჭრილი სამოსისა; ავგაროზი, რომელიც იღლიის ხაზზე უნდა მიეკროს ბაღლის ტანსაცმელს“ (ქობალია 2010).

მეგრ. **სარჩულ**-ი „სარჩული“. **პიჯი დო სარჩული** „საპირე და სარჩული“ (ჭარაია 1997). ე კაბას სარჩული ვანოდვე „ამ კაბას სარჩული არ ჰქონია“ (ჩვენი მასალა). **სარჩულ**-ი მიღებულია **რჩ**- ძირზე სა-ულ აფიქსების დართვით. შდრ. ქართ. **სარჩულ**-ი 1. ტანსაცმლის, საბნისა და მისთ. შიგნითა პირად გამოკერებული ქსოვილი. 2. რისამე ქვეშ სიმაგრისათვის ამოდებული საგანი, – ქვესადები. 3. გადატ. მიზეზი, საბაბი (ქეგელი VI, 1960).

მეგრ. **საფულაქო** „საღილე, ღილ-კილო“ (ქობალია 2010). საფულაქო მაფუ ეშაჭკირალი „საღილე მაქვს ამოსაჭრელი“ (ჩვენი მასალა). ნაწარმოები სიტყვაა, მიღებულია **ფულაქ** „ღილი“ ფუძეზე სა-ო აფიქსის დართვით.

მეგრ. **ფოტა** „ფუთა, წინსაფარი“. ჯვეშო ოსურეფი ფოტას იჭანდეს „ძველად ქალები წინსაფარს იკერავდნენ“ (ჩვენი მასალა). ფორჩისაგან ქალები ფოტას იკერავდნენ. აიღებდნენ ერთ განს, მიაკერებდნენ ზონარს და წინ შემოიკრავდნენ. მეგრდიდან ბარძაყამდის ჰქონდათ შემოხვეული დიდი ზომის ოთხკუთხა ან

სწორკუთხა ნაჭერი, რომელსაც იყენებენ ფოთლის (თუთის, ჩაის) შესახვევად და გადასატანად (მასალები 1983, 240, 245). გურ. **ფოტა** „რაიმე თავმოკრული“. ზან. **ფოტა** „რაიმე თავმოკრული, წინსაფარი“ (ქლენტი 1936, 25). ა. ჭანტურიას განმარტებით, **ფოტას** მუშა ქალები ღომის ცეხვის დროს იკეთებდნენ, ახლანდელი წინსაფრის მაგიერ (ჭანტურიას არქივი, № 434). შდრ. ლაზ. **ფოტა**.

მეგრ. **ქილა** „ქილა (ჩოხის მასრა)“, **ქილები** „ჩოხის მასრები“. ღართი ვამოკონ დო ქილა „ჩოხა არ მინდა და მასრა“ (სამუშია 1971, 122). მასრა კეთდება ირმისა და კამეჩის რქისაგან. საჭიროა, აგრეთვე, ურთხელა. რქა განით გადაიხერხება ორ-ორი თითის სიფართოეზე, თითოეული ნაწილი ითლება ნაჯახით და **ჭიბურსანით** სუფთავდება და შემდეგ შალაშით გაიხვრიტება. ძველად ქილა გახვრეტილი იყო და რამით გამოტენილი. XX ს-ის 30-იან წლებში ქილის თავი არ არის გახვრეტილი. ურთხელა დაიჭრება, თითოეული სამი თითის სიგრძისა, შემდეგ დანით გაითლება და გაიწმინდება, გარშემოწერილობა უნდა იყოს 6 სანტიმეტრი. ამ ხეებს ერთ თავში **ჭდეები** აქვთ. რქებსა და ხეებს ერთმანეთში ჩააყენებენ და თევზის წებოთი დააწებებენ. ირმის რქას და ურთხელის ხეს შუა ჩააყოლებენ კამეჩის ან თხის რქის ზოლს. ქილების ზომა: სიგრძე – 9 სმ, ირგვლივ – 6 სმ. ერთ ჩოხას სჭირდება 20 ცალი ქილა (მასალები 1983, 240). შდრ. ქართ. **ქილა** 1. პირფართო, უმუცლო ჭურჭელი თიხისა, მინისა – ერბოსა, მურაბისა და მისთ. შესანახავად და მაწვნის ჩასადეგებლად. 2. ამ ჭურჭლის ტევადობისა. 3. კუთხ. (იმერ. გურ.) მარცვლეულის, ფქვილის საწყაო, უდრის ერთ ფუთს. 4. კუთხ. (ქართლ. იმერ. გურ.) იგივეა, რაც მასრა (ქეგლი VII, 1962).

მეგრ. **საქილო** „საქილე, სამასრე (ჩოხისა); საფქვილე (ტომარა)“ (ქობალია 2010) || **საქილე** „სამასრე“ (ქაჯაია II, 2002). საანალიზო ფორმები **ქილა**-სგან მიღებულია სა-ე და სა-ო აფიქსებით.

მეგრ. **ქუბა** „ქობა, ტანისამოსის ნაწილი“ (ჭარაია 1997; ქაჯაია III, 2002). ქუბა გეითუშქვი დო კაბა დეგინზარებუ „ქობი გამოუშვი და კაბა დაგრძელდება“ (ქაჯაია III, 2002). შდრ. ქართ. **ქობა** (ქობისა) 1. სამოსლის ბოლოზე შიგნიდან ხელის სიბრტყედ შემოვლებული სარჩული. 2. გადატ. საერთოდ, ზოლი რისამე კიდეზე (ქეგლი VII, 1962).

მეგრ. **ჩაქი** „ჩოხის გარღვეული გვერდები“ (მასალები 1983, 242). **ჩაქი** „სამოსის ჩახსნილი გვერდი, ყური სამოსლისა, რომელშიც იყრება ქამარი, ჩაქური (იგივეა, რაც **ჩარქი**); მოკლე, დამახინჯებული ფეხი“ (ქობალია 2010). შდრ. **ჩაქი** „კალთის შენახევი“ (საბა I, 1991). ქართ. ჩაქი (სპარს. čak „ხვრელი,

ტანისამოსის გახეული ადგილი“) 1. ამოუკერავად დატოვებული ადგილი ზედა სამოსის გვერდით კალთებზე. 2. კუთხ. (კახ. თუშ. ხევს.) გამოშვებული ნაწილი ჩოხის ან ახალუხის უკანა კალთების გადანაკერებში (წელთან) (ქეგლი VIII, 1964). შდრ. აჭარ. ჩაქ-ი „ჩაჭრილი მაჯა“ (კობერიძე 2011, 90). იხ. მეგრ. ჩარექამი **ოსარე**.

მეგრ. ჩხვიჩხვი-ი „ფესვი; სამოსლის შემოძენილი ბოლო; ძენძ-ფოჩი; სიმინდის, ბოსტნეულის კატარი“ (ქობალია 2010). კაბას ჩხვიჩხვი გუთაბუ „კაბას ძენძ-ფოჩი აბია ქვემოდან“ (ჩვენი მასალა). შდრ. ქართ. ჩხვიჩხვი-ი „ფესვი“. მეგრ. ჩხვიჩხვი-ი მ. ჩუხუა განხილული აქვს ს.ქართველურ ფუძედ: ქართ. ცოცხ-ი, სვან. ჩეჩხ- || ჩაჩხ- (ზს, ქს.) „ცოცხი“ და ს.-ქართვ. ადაღვენს *ცოცხ- „ცოცხი, ფესვი“ ფუძეს (ჩუხუა 2000-2003, 327).

მეგრ. წელ-ი „წელი სხეულის ან სამოსლისა“ (ქობალია 2010). შდრ. ქართ. წელი¹ „ადამიანის სხეულის ნაწილი – ნეკნების დასასრულსა და თეძოს ძვლებს შორის“ (ქეგლი VIII, 1964).

მეგრ. ხეფორჩა „სახელო (ტანისამოსის)“ (ჭარაია 1997). ხეფორჩა ← ხე+ფორჩა „ხელი + პერანგი“ (პერანგის ხელი). შდრ. ლაზ. ფორჩა „პერანგი“ (ნ. მარი). სიტყვის წარმომავლობისთვის მნიშვნელოვანია მ. ჩუხუას შეხედულება: ზან (მეგრ.) {ფორჩ-ა}, ხე-ფორჩ-ა „სახელური“. ჭან. ფორჩ-ა „პერანგი“, ხეფორჩა, ქართ. ფანც-ი „ქსოვილი“ (ზოგადად), ფაც-ერ-ი „თევზის მახე“ (საბა), ფაც-ერ-კოდ-ი „ტრედის მახე“ (საბა), სვან. ფაჩ-ი (ზს), ფაჩ-ლ-ელ „ბავშვის ნაქსოვი ფეხსაცმელი“. ს.ქართვ. *ფაც- „ქსოვა, ქსოვილი“ → ქართ. {ფაც-}, ფანც-ი (← ფაც-ი), ფაც-ერ-ი, ზან. ფორჩა (← ფოჩ-ა), სვან. ფაჩ- || ფაჩ- (ჩუხუა 2000-2003, 232).

მეგრ. ჯიბე „ჯიბე“. სქანი შარვაღს ჯიბე გოხარცქუ „შენს შარვაღს ჯიბე გახევია“ (ჩვენი მასალა). ქართულში ნასესხებია არაბულიდან, ხოლო ქართულის გზით დამკვიდრებულია მეგრულში. შდრ. ქართ. ჯიბე (არაბ. jīb) 1. ზედა ტანსაცმელზე მიკერებული პატარა პარკი ფულის, ცხვირსახოცის და მისთ. ჩასადებად. || ასეთი დანიშნულების სათავსი ჩემოდნის, პარკის და სხვა გვერდებზე. 2. ანატ. დრუ, უპე, რომელშიც თავსდება ზოგიერთი ორგანო (ქეგლი VIII, 1964). ეს მნიშვნელობები მეგრულ ჯიბესაც უდასტურდება.

ლაზური

ლაზ. ბობ-ი „საცვლის უბე“ (ჩვენი მასალა). ქართულის დიალექტებში დასტურდება: ბაბ-ლ-ი, ბაბ-ლ-ებ-ი 1) „საბნის ქვედა პირის გადმონაკეცი გულის გარშემო“; 2) „მუთაქის პირის თავები (სხვა ქსოვილისა)“; 3) „შარვლის უბის შიდა ნაწილი“. ქიზიყურში ბაბ-ლ-ი, ბაბ-ლ-ებ-ი „ნაქარგის ერთ-ერთი სახეა, სამკუთხედად ნაქსოვი“.

მიგვაჩნია, რომ ქართლურ-ქიზიყური ბაბ-ლ-ის ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისი ჩანს ლაზურ მეტყველებაში დადასტურებული ბობ- ფუძე, შდრ. ლაზ. ბობ-ი „შარვლის ან საცვლის უბე“.

მოცემული ქართულ-ზანური ფუძეები სემანტიკურად იგივეობრივია, ხოლო ფონეტიკურად ქართული ა: ზანური თ შესატყვისობა ეჭვს არ იწვევს; ქართულ დიალექტებში პოვნური ფუძისეული -ლ- ლაზურში შეიძლება დაკარგული იყოს.

ლაზ. ბობლ-ი „კონკი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. გერჩაფულე (გე-რჩ-აფ-ულ-ე) „სარჩული“ (ჩვენი მასალა). იხ. მეგრ. სარჩული.

ლაზ. გორჩალუ (გო-რჩ-ალ-უ) „წინსაფარი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. გოტკალე (გო-ტკ-ალ-ე) „სათავე (ბეტკი)“ (ჩვენი მასალა). ნაწარმოებია გოტკალა „შემორტყმა“ ზმნისაგან.

ლაზ. გოწაკი(რ)უ (გო-წა-კირ-უ) „წინსაფარი“ (ვანილიში, თანდილავა 1984, 79). ამავე მნიშვნელობით გვხვდება ფანთუკი „წინსაფარი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. გოწაკორალე (გო-წა-კორ-ალ-ე) || გოწაკორუ (გო-წა-კორ-უ) || კოწოთვალა (კო-წო-თვ-ალ-ა) „წინსაფარი“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007).

ლაზ. კოწანკორუ (კო-წა-ნ-კორ-უ) || კოწოთვალუ (კო-წო-თვ-ალ-უ) „წინსაფარი“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007).

წინსაფრის აღმნიშვნელი ეს ლექსიკური ერთეულები მიღებულია კ- „კვრის“ აღმნიშვნელი ძირისაგან, რომელიც სხვადასხვა ზმნისწინითაა გაფორმებული.

ლაზ. გურ-პიჯ-ი „გულ-მკერდი (კაბის)“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. თელიკ-ი „სალილე“. თელიკეფ-ე „სალილეები“. ამა ფორჩას თელიდეფე ვა ულუნ „ამ პერანგს სალილეები არ აქვს“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. კალამბ-ი „რეზინის გასაყრელი ადგილი ტანსაცმელში“ (თანდილავა 2013).

ლაზ. კონკ-ი „ნახევი, ჭინჭი“. კონკეფეთენ გებუელი შარვალი „ჭინჭებდაკერებული შარვალი“ (ჩვენი მასალა). შდრ. მეგრ. კონკ-ი.

ლაზ. კუნხ-ი „შარვლის ტოტი“. კუნხეფე „შარვლის ტოტები“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. (ხეში) მენდიკონ-ი „მაჯა“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. მბელა „ჭინჭი, ნაჭერი; ნაწილი“ (თანდილავა 2013). ქჩე მბელა გეგირჩარე „თეთრი ნაჭერი უნდა დაგიფინო“ (ჩიქობავა 1936, 58).

ლაზ. ობა (ობაფე) (ლაზურის ფონდი) || უბა „უბე“ (ჩვენი მასალა). კონისთი მუთხანი ობას ქომულობლუ „კაცსაც რაღაცა უბეში ჩაუყარა“ (კარტოზია 1970, 105).

ლაზ. ომუზლუდ-ი „სამსრე“ (თურქ. omuzluk). ბურზას ომუზლუდი მედგიმუში რენ „ბლუხაზე სამსრე მისაკერებელი არის“ (თანდილავა 2013). მიღებულია თურქ. omuz „მხარი“ ფუძეზე -luk „დანიშნულების აფიქსის დართვით.

ლაზ. პინტოლა || ფტილი (ვიწ.) „ნაწილი, ნაფლეთი“ (უზუნჰასანოდლუ, ბუჯაკ-ლიში, ალექსივა 2007).

ლაზ. პიშთიმალე „მოსახურავი, წინსაფარი“. უჩა პიშთიმალე მოგოთუმე დო დოგოხუნაფ, გველინი ჩქიმი „შავ მოსახურავს დაგაფარებ და დაგსვამ, ჩემო პატარძალო“ (ჩიქობავა 1929, 139).

ლაზ. პოდია „კალთა“. გოწაკირუმ პოდიას ულუნ აზული „წინსაფრით დაატარებს საჭმელსა“ (ვანილიში, თანდილავა 1984, 79).

ლაზ. ფალასქა „კაბის ქვედა ნაწილზე მომატებული ფიგურონის ნაწილი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. ფალოთეფე „სამსრეები“. მსუჯის ფალოთეფე გეჭერი ულუტუ „მხარზე სამსრეები დაკერილი ჰქონდა“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. ფეშ-ი „ნაჭერი (კაბის)“ (ჩვენი მასალა). შდრ. აჭარ. ფეშ-ი (კობერიძე 2011, 90).

ლაზ. ქენა „გვერდი (კაბის)“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. ყალ-ი || ოყალე || ყალიში || ძაქა „საყელო“. ოყალე მემიდგი || მემიჭი ფორჩაშა „კაბაზე საყელო მიმიდგი || მიმიკერე“ (ჩვენი მასალა). იხ. მეგრ. ოყალე. ა. თანდილაგასთან აღნიშნულია, რომ ლაზ. ძაქა მომდინარეობს ამავე მნიშვნელობის თურქ. yaka ფორმისაგან (თანდილავა 2013).

ლაზ. შკა || შქა „წელი, თეძო“. ჩოხას შკას ქემერი ულუტეს „ჩოხაზე, წელზე ქამარი ჰქონდათ“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. **ღალაჯიჯი**-ი || **ხელაჯიჯი**-ი „იღლია“ (მარი 1910; ლაზურის ფონდი).

ლაზ. **ხე** „სამოსის მკლავი“. შდრ. **ხეონ**-ი „მკლავიანი“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007). არ ხეონი ფორჩა ებჭოფარე „ერთი მკლავიანი (ხელიანი) პერანგი უნდა ვიყიდო (ჩვენი მასალა).

ლაზ. **ხენჭალ**-ი „მაჯა“ (თანდილავა 2013).

ლაზ. **ხეფორჩა** „სამოსის მკლავი“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007). ხეფორჩაშენ ხე ქეგამიღუ „მკლავიდან ხელი გამიღო“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. **ჯებე** „ჯიბე“ (ასათ., 32, 5) || **ჯიბი**-ი || **ჯებე** (შდრ. თურქ. *cep*) (ლაზურის ფონდი). ჯებეს ფარა ვა მიღუნ ჰინ „ჯიბეში ფული არა მაქვს სრულიად“ (ასათიანი 1974, 32). ანდრონიკაშვილის აზრით, მომდინარეობს სპარს. **ჯიბ** ფორმიდან (ანდრონიკაშვილი 1996, 215). იხ. მეგრ. **ჯიბე**.

ლაზ. **ფორკაში** **ეუჯი**-ი „კაბის კალთა (ბოლო)“. ემუს ფორკაში ეუჯი ქანუჭკიუ ე-ღო ქოშინახუ „იმას კაბის კალთა მოაჭრა და შეინახა“ (ჩვენი მასალა). შდრ. ძვ. ქართ. **ყურ**-ი „ტანსაცმლის კაბის კუდი“ (აბულაძე 1973).

2) ფეხსამოსის ნაწილები

მეგრული

მეგრ. **ბოღაზი**-ი 1) ნავისებრი ამონაჭრები ფეხსაცმლისა, წულისა“; 2) „ყურე, ნავმისადგომი; საბალახო“ (ქობალია 2010). შდრ. თურქ. *boğaz*.

მეგრ. **ინარჩაფალ**-ი „ჩასაფენი“ (ჩვენი მასალა). ჩაფლაში ინარჩაფალქ დიშირე „ფეხსაცმლის ჩასაფენი გაცვთა“. შდრ. მეგრ. **რჩ**- (რჩა-ფა) „დაფენა“. ამ ზმნური ძირიდან არის ნაწარმოები მოცემული სიტყვა: ინა-რჩ-აფ-ალ-ი. ის დანიშნულების სახელია.

მეგრ. **ნაჩა** „ენა“. იგივეა, რაც **ნარჩა** „ლანჩა, ძირი“ (ქობალია 2010); შდრ. მეგრ. **ნარჩაკუნხ**-ი „ლანჩა, ფეხის ძირი, ტერფი.“ (ქაჯაია II, 2002); ქორთული ჩაფლა მუგოქუნა ნაჩა გითოპუტორილი „ქართული ფეხსაცმელი გაცვით ლანჩა (ტერფი) გამოგლეჯილი“ (ბერიძე 1920, 11). შდრ. **ნაჩაქურ**-ი „ქუსლის ნერჩი.“ ქართ. **ლანჩა** 1) „სქელი ტყავი ფეხსაცმლის ძირისა“; 2) (ქიზ.) „იატაკის ფიცრის ქვეშ დატანებული სოლი ან ნაფოტი სიმაგრისათვის“ (ქეგლი IV, 1955).

მეგრ. **პაჭანაკი**-ი „პაჭანაკი, ფეხზე გასაყრელი.“ საცვეთს ქვემოთ პაჭანაკი აქვს

ფეხის გასაყრელი (ქაჯაია II, 2002). ადრე პაჭანაკეფი უჩქუდეს „ადრე პაჭანაკი (ფეხზე გასაყრელი) იცოდნენ“ (ჩვენი მასალა). შდრ. ჯავახ. პაჭანიკ-ი „ფეხის კოჭისა და მუხლის თვლამდე ჩასაცემელი მოქსოვილი წვივსაკრავი“ (ბერიძე 1981).

მეგრ. ჩაფლაში ნიჩვი „ფეხსაცმლის ცხვირი“. ჩაფლაში ნიჩვი დომირელე „ფეხსაცმლის ცხვირი გაცვეთილა“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. საჯინჯე „საძირე“ (წულასთვის) (მასალები 1983, 249). დანიშნულების სახელია, ნაწარმოებია მეგრ. ჯინჯ- „ძირი“ სახელისაგან სა-ე პრეფიქს-სუფიქსის მეშვეობით.

ლაზური

ლაზ. ქურ-ი || ქუი „ფეხსაცმლის ქუსლი“ (მარი 1910). ჩქარ გიძირუნი ხამფაშ კულანი მაღალი ქურონი პაპუწეფეთე „გინახავს საერთოდ ხამფას ქალიშვილი მაღალქუსლიანიფეხსაცმლით“ (ქლენტი 1938, 159).

ლაზ. მოღვალუშ-ი ნენა (ჩვენი მასალა).

ლაზ. მოღვალუშ-ი ჩხვინდ-ი „ფეხსაცმლის ცხვირი“ (ჩვენი მასალა).

2) თავსაბურავის ნაწილები

მეგრული

მეგრ. კანტი-ი „კანტი“. ქიცას სქვამას ქუგუჟუნე კანტი „თავსაფარს ლამაზად შემოატარე (შემოაყოლე) კანტი“ (ჩვენი მასალა). შდრ. ქართ. კანტი² (გერმ. kanke რუსული ენის მეშვეობით) „ქსოვილის ვიწრო ზოლი ტანისამოსის კიდეზე მოვლებული ან ნაკერში ჩაყოლებული. || რაიმე მასალის ვიწრო ზოლი, შემოვლებული რისამე კიდებზე“ (ქეგლი IV, 1955).

მეგრ. კოწოლ-ი „ნაწნავი, კონკრიხოზე დატოვებული თმა, კულულუ, ფოჩი, ნაძენძი, კენწერო, კუნწული; წვეროკინა; ქუდისა და ჩაბალახის წვეტი“ (ქობალია 2010). თუშური კოწოლ¹ 1) „თმის ნაწნავი“, 2) „სითხის დუდილის შხეფი“ (ცოცხანიძე 2012).

მეგრ. ქიცაში წკვეტი-ი || წკვენტი-ი „თავსაფარის წვეტი, წვერი“ (ქაჯაია III, 2002) || მეგრ. ქიცაში წვანდ-ი „თავსაფარის წვერი“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. ქუდიშ-ი სუჯ-ი „ქუდის ყური“ (ჩვენი მასალა).

ლაზური

ლაზ. ქუდიშ-ი კუკუტ-ი „ქუდის ყური“.

ლაზ. მიმიტი „ქალის თავსაბურავის ბოლოები“ (თანდილავა 2013).

§ 2. სამოსლის შესაკრავები; სარტყლები

მეგრული

მეგრ. ათაკირალ-ი „ქვეშ ამოსაკვრელი, მისაბმელი“ (ქობალია 2010).

მეგრ. აკაბინალ-ი „საკინძე, შესაბნევი“ (ქობალია 2010). მიმღეობა, ნაწარმოები ბინუა „შებნევა, შეკვრა“ ზმნისაგან.

მეგრ. ამპოურ-ი, ამპეურ-ი „თასმა, აპეური“. || ამპურ-ი || ამპურა. შდრ. ძვ ქართ. აპაურ-ი.

მეგრ. ბანდ-ი „ბლონდი, ბონდი, წვრილი თასმა ან თოკი, რომელსაც სახლართად იყენებენ“ (ქობალია 2010). შდრ. ქართ. ბანდ-ი (სპარს. bānd) „შეკვრა“, „ნასკვი“, „წვრილი თოკი ან თასმა სახლართად, მოსაკრავად გამოყენებული“, „ჭრილობის შესახვევი (ქსოვილი)“ (ქეგლი II, 2010).

მეგრ. ბანტ-ი „ბაფთი, ლენტი, ზონარი“ (ყოფშიძე 1994). შდრ. ქართ. ბანტ-ი (გერმ bang) „წყვილად გამოსკვნილ-გამოყუღფული ლენტი“ (ქეგლი I, 2008).

მეგრ. გასკეალ-ი || გასქეალ-ი „გასაკვანძი, შესაკრავი, გასაფსკვნელი“ (ქობალია 2010).

მეგრ. დალალ-ი იგივეა, რაც კაკულა (ქაჯაია I, 2001).

მეგრ. დუგმე-ი „შესაკრავი (ჩოხის სახელოსი)“ (მასალები 1983, 242). შდრ. ქართ. დუგმა „ლითონის ერთგვარი შესაკრავი, – ლითონის დილ-კილო, ხრიკა. ენიანი“ (ქეგლი III, 1953).

მეგრ. ემახუჭ-ი „ტომრის გადანაკეცში გაყრილი თავის მოსაკრავი ზონარი; მანუეტი, ტოტების ბოლოს შესაკვრელი, ხვანჯარი, ყითა“ (ქობალია 2010).

მეგრ. ზმეიკა „ელვა (ზმეიკა)“ (ჩვენი მასალა). ზმეიკა გაფუ გონწყემილი „ელვა გაქვს შეხსნილი“ (ჩვენი მასალა). ნასესხებია რუსულიდან.

მეგრ. **ზორტი**-ი „ზორტი, გრძელი შესაკრავი“ (ჭარაია 1997). თუშური **ზოლტბ** „ტანსაცმლის შესაკრავი ნაჭრის ბრტყელი ზონარი“ (ცოცანიძე 2012). შდრ. ქართ. **ზორტი**-ი „ლარისაგან სამოსელი შესაკინძავი“ (საბა I, 1991). ქართ. ზორტი „ქსოვილის ვიწრო ზოლი, ზონარი, რომლითაც იკრავენ ტანისამოსის ამა თუ იმ ნაწილს“ (ქეგელი IV, 1955).

მეგრ. **თასმა** „თასმა, ღვედი“ (ჭარაია 1997). შდრ. ქართ. გრძლად და წვრილად გამოჭრილი ტყავის ზონარი, –წვრილი ღვედი“ (ქეგელი IV, 1955).

მეგრ. **კაკი**-ი „დილი აბრეშუმის გრეხილისა (ზოგჯერ მასში ატმის ღერსაც ჩააწნავდნენ, რომ ბზინვარება შემატებოდა, აკერებდნენ ახალუხზე, ქალის ძვირფას სამოსზე“ (ქობალია 2010).

მეგრ. **კაკები**-ი „ლილები“. კაკები კეთდებოდა გრეხილისაგან, რომელიც აბრეშუმისგან იყო დამზადებული, ზოგჯერ კაკებს თმითაც ამკობდნენ (მასალები 1983, 241, 246). იხ. ლაზ. **კიკი**-ი „შესაკრავი“.

მეგრ. **კანცხუ** „კაუჭი, ღუმეა“ (ქობალია 2010) || **კაცხუ** „ქინძისთავი“ (ქაჯაია II, 2002).

მეგრ. **კანჯო** „კანჯო“ (ჭარაია 1997), მარტვილურში ნიშნავს „ქინძისთავს“. შდრ. ქართ. **კანჯო** 1) „ღუმეა“; „ანკესი, ნემსკავი“ 2) „გალაგნის ქონგურები, ბორბლის კბილები“ ← თურქ. **qanğa** „ღუმეა“; „ანკესი, ნემსკავი“ (ქეგელი IV, 1955).

მეგრ. **კურთაერ**-ი (ლ დაკარგულია) || **კურთალარ**-ი „ხვანჯარი“. პ. ჭარაია ამ სიტყვას შლის ამგვარად: კურთა „საცვალი“ + ლარი „ძაფი, სიმი“ ე.ი. ნიფხავის ძალი (ჭარაია 1997).

მეგრ. **ლარ**-ი „ლარი, სიმი აბრეშუმისა; ნაქსოვი სარტყელი, ხვანჯარი“ (ქობალია 2010). შდრ. ქართ. **ლარ**-ი 1. საქონლის ნაწლავისა ან მყესისაგან გაკეთებული სიმი (ჩონგურის, ფანდურის ან მისთანათათვის), – ალყა, ძალი. 2. გაჭიმული ბაწარი (თოკი, ძაფი...) სხვადასხვა დანიშნულებისა (ქეგელი IV, 1955).

მეგრ. **ლეკვერთხ**-ი || **დეკვერთხ**-ი || **აკვერთხ**-ი || **ლეკვერთხები**-ი „ლაკვერთხები,“ „წვივსაკრავი“ (მასალები 1983, 245). შდრ. **ლეკვერთხია** „ლეკვერთხი, წვივსაკრავი, პაჭიჭის შესაკრავი ენებიანი ღვედი“ (ქობალია 2010).

მეგრ. **მანიკი**-ი „ბალთა (იგივეა, რაც ბართა)“; ღილკილო; საკრავის ყელზე დაკრული ფირფიტა (იგივეა, რაც მალიკი = ხის პატარა ფირფიტა, ფანდურის ყელში გასაყრელი, რომელზედაც დაკვრის დროს თითებს დაატარებენ); აბზინდა, საჩხვლეტელი რკინისა“ (ქობალია 2010).

მეგრ. **მარტყაფალ**-ი (მა-რტყ-აფ-ალ-ი) „სარტყელი, შემოსარტყმელი“ (ქობალია 2010). წარმოებით მიმდებარა, მიღებული **რტყაფა** „მორტყმა“ ზმნისაგან მა- და – ალ აფიქსებით.

მეგრ. **ორტყაფუ** (ო-რტყ-აფ-უ) „სარტყელი“ (ქაჯაია II, 2002) || **ორტყაფუ** „სარტყელი“. ის საერთოქართველური ფუძეა: ქართ. **სარტყელ**-ი ზან (მეგრ.) || **ორტყაფუ** ზან (ჭან.) **ოტყაფუ** (ჩიქობავა 1938, 60).

მეგრ. **ოსკეალ**-ი (ო-სკე-ალ-ი) „შესაკრავი, გასანასკვი, გასაფსკენელი“ (ქობალია 2010). მიმდებარე ფორმაა, ნაწარმოები **სკუალა** „შეკვრა“ ზმნისაგან ო-ალ აფიქსებით.

მეგრ. **სადაფ**-ი „ფოლაქი, დილი“ (ჭარაია 1997). დასტურდება ლაზურშიც, რომელიც თურქულიდან უნდა იყოს შემოსული. შდრ. თურქ. sedef „დილი“.

მეგრ. **ფოლაქი** || **ფულაქი** „ფოლაქი“ (ჭარაია 1997) || **ფადაქი** (ბანძ-მარტვი) (ქაჯაია III, 2002). რაჭ. **ფოლაქი** < სპარს. (ბერიძე 1912). მეგრულში დასტურდება დილის სახეობა: **კუნხამ ფულაქი** „ფეხელა, დაფეხილი დილი სქელი ქსოვილისათვის (ჩოხაზე იციან)“ (ქობალია 2010).

მეგრ. **შიმში** – „ქამრის ძეწკვი“ (ქაჯაია IV, 2009).

მეგრ. **შქვერთ**-ი „თასმა, შოლტი“ (კილანავა 1998). მ. ჩუხუას აქვს ასეთი დაკავშირება: ზან. (მეგრ.) **შქვერთ-ი, შქვერთ-, შქვერთ-ია** „შოლტი“. ქართ. **შოლტი-, შოლტი**-ი „ტყავის ანაჭერი გრძლად“ (საბა) (ჩუხუა 2000-2003, 308).

მეგრ. **ჩაფარიაში**-ი || **ჩაფარეში**-ი „ფირფიტით ნაქსოვი აბრეშუმის ზონარი, არშია ტანსაცმლის მოსართავად ან ნაკერებზე მოსაველებად“ (ქობალია 2010). ნაწარმოებია ჩაფარია ფუძისაგან ნათ. ბრუნვის –ში სუფიქსის მეშვეობით.

მეგრ. **ჭაპუ** „ქალამნის ამოსაკრავი თასმა, წვრილი თოკი; ერთგვარი სალოცავი; ბავში რომ სიარულის დაწყებას დააგვიანდება, ჭაპუს გამოულოცავდნენ, მოზრდილ კვერს აკვაკვარს გამოაცხოებდნენ, ბაღს წითელი ძაფებით შემოკრავდნენ, სამზადის კართან დააყენებდნენ, ვინმეს მეზობლის ბაღთან აკვაკვარს ნატყეს მისცემდნენ ხელში, ეზოს შემოარბენინებდნენ და იტყოდნენ, ღმერთო, მაჩვენე, ესეც ასე დარბოდესო, მორბენალი ბოლოს შეკრულ ბაღსაც გაურბენდა და წვივებზე ძაფებს შეაწყვეტდა. სამ დღეში იგი ფეხს არ დგამდა“ (ქობალია 2010).

მეგრ. **ხართა** „შემოსაკრავი, შემოსავლები“ (კილანავა 1998).

მეგრ. ხვანჯარ-ი შესაკრავი (მასალები 1983, 241). შდრ. ქართ. ხვანჯარ-ი „შარვლის სათაურში გასაყრელი ზონარი (ქსოვდნენ აბრეშუმის ძაფისაგან“ (ქეგლი VIII, 1964).

ლაზური

ლაზ. გოტკაფუ (გო-ტკ-აფ-უ) „ქამარი“ || გოტკალე (გო-ტკ-ალ-ე) || ოტყაფუ (ო-ტყ-აფ-უ) „შკაში ქემედ“ (ჩვენი მასალა) || ოტკაფუ (ყიფშიძე 1994) || გოტკალონი (გო-ტკ-ალ-ონ-ი) || გოტკაფულე (გო-ტკ-აფ-უ-ლე) „სარტყელი“ (თანდილავა 2013). ოხოიშა მესთუ-ში ოტკაფუ ქაგუიწკუ „შინ რომ მივიდა, სარტყელი შეიხსნა“ (ასათიანი 1974, 43).

ლაზ. ზიპა „შესაკრავი თასმა“ (თანდილავა 2013).

ლაზ. თლი ფუსქულონ-ი (ლაზურის ფონდი) „წელზე შემოსარტყამი“. შდრ. თურქ. tor.

ლაზ. თოკა „ქამარი“ (ნაქსოვი „თოკი“) || თოჭ-ი || მთუკ-ი || თუკ-ი (მარი 1910, ლაზურის ფონდი) (თურქ. < იტალ.) toka „ბალთა“. თოკა ქოგოვიტკი „ქამარი შემოვირტყი“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. თორ-ი || თოფ „ერთგვარი ქამარი“ (ნაქსოვი). თოფ ფორმაში რ არის ჩავარდნილი. გვაქვს აგრეთვე თორ-ი „ნაქსოვი ქამარი“. ხეშენ ნოშვალე-თი გუშუდუმელან – და თორი ენ, მეტაქსიში და ნოკეფეში იყვენ „ხელით მოქსოვილსაც გაუყრიან, ის არის თორი, აბრეშუმის იქნება ან ძაფის“ (ჩიქობავა 1929, 150). ა. თანდილავასთან გვხვდება მისი პარალელური სახეობები, რომელთა სიტყვის თავში გაჩენილია მ ან ნ: მთორ-ი || ნთორ-ი „აბრეშუმის ფოჩებიანი ქამარი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. კოკლეწა (ათინ.) „წელზე მოსარტყმელი შავი ნაჭერი“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007).

ლაზ. კუსპიჭი || კუკული (ფურტ.) „წინდების ერთმანეთთან მისამაგრებელი, დასაკავშირებელი პატარა ღილი“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007).

ლაზ. კუშადი „წელზე შემოსახვევი“ (თურქ. kuşak) (თანდილავა 2013).

ლაზ. ლათინკა || კოლთუდა „მონადირის წელზე შემოსარტყმელი ტყვიებისთვის“ (ჩვენი მასალა);

ლაზ. **მტკაღე** „სარტყელი, ქამარი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. **ოკოკორთნ-ი** || **ოკოკირთნი** „შესაკრავი თასმა“ (თანდილავა 2013). შდრ. მეგრ. აკაკირალ-ი.

ლაზ. **ორტკაფუ** || **ორტაფუ** || **ოტკაფუ** || **ოტკაპუ** „ქამარი, სარტყელი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. **სირმი-ი** „ქალამნის გასყრელი, შესაკრავი ტყავისა.“ (ჩვენი მასალა) || **სირმა** (თურქ. sirma) „სირმა, ყაითანი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. **ფიშელულ-ი** „მონადირის ქამარი“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. **ქემე(რ)-ი** „ქამარი“ (თურქ. kemer) „სარტყელი, ქამარი“ > **ჩემერ-ი** (ლაზურის ფონდი). სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ქართ. **ქამარ-ი** ← სპარს. **kamar** „ქამარი“, ოს. **kamari** „ქალის ქამარი“ ← ქართ. (აბაევი 1958, 570).

ლაზ. **ღვეღ-ი** „ზონარი“. **ქალამანიშ-ი** **ღვეღ-ი** „ფეხსაცმლის ზონარი“. ღვეღი ვა უღუნტან-ში, კინაფითენ ხოლო ჭაფან, ამმა ორდო დოსთუნ „ზონარი თუ არ აქვთ, კანაფითაც კერავენ, მაგრამ მალე ფუჭდება“ (ჩიქობავა 1929, 165).

ლაზ. **შიბ-ი** „სარტყელი“. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ფუძე მიიხნევა ს.ქართველურად: ჭან. **შიბ-ი** „ზონარი“, ქართ. **სიბა** „სარტყელის ადგილი. სასარტყელე“, სვან. **შიბ** (ზს., ღნტ.) „ხვანჯარი“ (ჩუხუა 2000-2003, 204).

ლაზ. **პიმინჯი** „დათვის ან ღორის ტყავისაგან დამზადებული ქამარი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. **ხამაილი** (ვიწ.) || **ქმაში** || **ჰემაილი** (ათინ.) „წელის ქამარი“ (თურქ. hamail) (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007).

§ 3. სამკაულები

მეგრული

მეგრ. **ბეჭედ-ი** „ბეჭედი“. მოჭყულუს ხეს ბრილიანტიში ბეჭედი მაგულუ „პატარძალს ხელზე ბრილიანტის ბეჭედი ეკეთა“ (ჩვენი მასალა). შდრ. ქართ. **ბეჭედ-ი** 1. სამკაული თითზე ჩამოსაცმელი ძვირფასი ლითონის ან სხვა მასალის რგოლი (ხშირად, – თვლებით მოოჭვილი). (ქეგლი I, 2008).

მეგრ. **ბროჩკა** || **ბროშკა** გულსაბნევი (ჩვენი მასალა). პალტოშა სკვამი ბროშკა ქიმკუბინაფუდუ „პალტოზე ლამაზი გულსაბნევი დაებნია“. ნასესხებია რუსულიდან.

მეგრ. **კაკალ-** „კაკალი (ცალი); მარცვალი; მძივი; ღორის ავადმყოფობა, ფეტიველა (ხორცში ფეტვის მარცვალივით დააყრის და მანებელს ხდის. იხ. ჩხვერე, ფატლენჯი)“ (ქობალია 2010).

მეგრ. **კაკილა** „კრიალოსანი, მძივების ასხმულა (აკვანზე კიდებდნენ); გვირილას მსგავსი დაბალი ბალახი“ (ქობალია 2010).

მეგრ. **კობიჭა** „მკერდზე დასაკიდი ქალებისათვის, მთლიანად ვერცხლით და ოქროთი მოჭედილი სამკაული, ქალები ატარებდნენ მკერდზე, ჩაფრაზის“ (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. **მარწკინდ-**ი „ბეჭედი; მბრწყინავი, ბრჭყვიალა; საწინდარი; ციციანათელა“. შდრ. მეგრ. **მარწკინდია** „ციციანათელა; ციმციმა“ (ქობალია 2010).

მეგრ. **ოქროჭკადილ-**ი „ოქროჭედილი, ოქროს ნაკეთობა“ (ქობალია 2010).

მეგრ. **ქინისტე** „ქინძისთავი“ || **ქინძისთე** იგივეა, რაც ქინისტე „ქინძისთავი“ (ქაჯაია III, 2002). სამკაულიც არის.

მეგრ. **შიმში-**ი „ქამრის ძეწკვი“ (ქაჯაია IV, 2009).

მეგრ. **ჩაფრაზი** „ფართო, კავის მსგავსი, წაღდის ფორმის შესაკრავი, მკერდზე იკეთებდნენ“; **ჩაფრაზი ბეჭილი** „დაწნული, ძეწკვიანი, რომელიც ხმას გამოსცემდა“ (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. **ჩიღილოური** „ოქროს ან ვერცხლის სამკერდე, სამკაული, თვლებიანი (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. **ცეფ-**ი „ჯაჭვი“ (ჩვენი მასალა). ბაღანას ნანათა ცეფი ქიგიობუნე „ბავშვს ნათლობის ძეწკვი დაჰკიდე“.

მეგრ. **ძეწკე-**ი || **ძეწე-**ი „ძეწკვი“, „წვრილი ჯაჭვი“ (ქაჯაია III, 2002). გვხვდება საბასთანაც: **ძეწკე-**ი, **ძეწკეჷ** (საბა I, 1991).

მეგრ. **ძია** „მძივი“; „თევზის ქვირითის შემადგენელი ცალკეული ძაფი, ასხმულა“ (ქობალია 2010). ბაღანაქ ძია გომსოფუ „ბავშვმა მძივი დამირღვია“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ხატი ძეწკვიანი** „ოქროს ან ვერცხლის ძეწკვი, თერთმეტჯერ ჰქონდა ხატს შემოვლებული, ქალები ატარებდნენ მკერდზე სამკაულად“ (ჭანტურიას არქივი, № 434).

ლაზური

ლაზ. ბილეზული „სამაჯური“. ნასესხებია თურქულიდან. შდრ. თურქ. bilezik (თანდილავა 2013). მან ალთუნიში ბილეზული მიღუნ „მე ოქროს სამაჯური მაქვს“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. გებუნაფალე (გე-ბუნ-აფ-ალ-ე) || კისერიში გებუნაფალე „ჩამოსაკიდებელი, დასაკიდი“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. გოდვალონი (გო-დვ-ალ-ონ-ი) „სამაჯური“. ხეში გოდვალონი გინონი „სამაჯური (ხელზე შემოსადები) გინდა?“ (ჩვენი მასალა). ნაწამოები სახელია, მიღებული გოდვალუ „შემოვლება“ ზმნაზე –ონ სუფიქსის დართვით (თანდილავა 2013).

ლაზ. დადა-კაკა „აჭრელებული, ნაირ-ნაირი სამკაული“ (თანდილავა 2013).

ლაზ. დოლოკიდონ-ი (დოლო-კიდ-ონ-ი) „ჩამოსაკიდებელი (ყელზე)“ || ალის დოლოკიდონი (ასათიანი 2012). მუთუ ალის დოლოკიდონი გიღუნი „რაიმე ყელზე დასაკიდებელი გაქვს?“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. ელანჯულ-ი „ვერცხლის ძეწკვი, გულზე დასაკიდი“ (ლაზურის ფონდი) || ილანჯულ „ყელზე დასაკიდი ძეწკვი“ (ვანილიში, თანდილავა 1984, 114).

ლაზ. ზენჯირ-ი || ზენჯილ-ი || ზენჯინ-ი || ზინჯირ-ი „ჯაჭვი, ძეწკვი“. მომდინარეობს სპარსულიდან „ჯაჭვი“ (კობერიძე 2011, 30).

ლაზ. თაბლა (თურქ. tepelik) „თავსამკაული ქალისა“ (მარი 1910).

ლაზ. თაჯი „გვირგვინი“. ნასესხებია სპარსულიდან თურქულის მეშვეობით (შდრ. სპარს.-თურქ. taç) (თანდილავა 2013).

ლაზ. თინგირი „საყურე“ (თანდილავა 2013).

ლაზ. თილისიმი „თილისმა“. არ თილისიმი ქუღუტუ, ღალის დოლობუტუ „ერთი თილისმა ჰქონდა, ყელზე ეკიდა“ (ჩიქობავა 1929, 91).

ლაზ. თული „გვირგვინი“. თული გელოგოციგესი? „გვირგვინი წამოგაცეკვს?“ (თანდილავა 2013).

ლაზ. კუმბ-ი „ქალის სამკაული“ (თანდილავა 2013).

ლაზ. მაწკინდი || მაწინდრი „ბეჭედი (თითზე წამოსაცმელი)“. იხ. მეგრ. მარწკინდი.

ლაზ. მინდალ-ი „მედალი“ (ლაზურის ფონდი).

ლაზ. მონი „მძივი“. შდრ. გვარი მონიავა.

ლაზ. მუხური¹ (სპარს.) „ბეჭედი, შტამპი“ (თანდილავა 2013). ბაბა-ჩქიმიში მუხუი მიღუნდა „მამაჩემის ბეჭედი მაქვსო“ (კარტოზია 1972, 157).

ლაზ. ნუსქა || ნუსკა „ავგაროზი“. ნასესხებია თურქულიდან. შდრ. თურქ. nuska. ლაზურში გვხვდება მისი ფონეტიკური ვარიანტი: მუსკა „ავგაროზი (თილისმა) (პატარა, პირით დასაკრავი)“ (თანდილავა 2013).

ლაზ. ოფუჯე „ყურსაკიდი, საყურე“ (თანდილავა 2013). ნაწარმოები სიტყვაა, მიღებული ყურის აღმნიშვნელ სუჯ- ძირზე დანიშნულების ო-ე აფიქსის დართვით. შდრ. მეგრ. ოფუჯე „id“.

ლაზ. ქოსტელ-ი (თურქ. köstek) „ძეწკვი“ (ლაზურის ფონდი).

ლაზ. ყალიშ საატ-ი „გულის (ყელის) საათი“ (ლაზურის ფონდი).

ლაზ. ყუჯიში-ი „ყურსაკიდი, საყურე“ (თანდილავა 2013). ნაწარმოები სიტყვაა, მიღებული ყურის აღმნიშვნელ სუჯ- ძირზე ნათესაობითი ბრუნვის –იმ ბოლოსართის დართვით, ე.ი. „ყურისა“. ლაზურში ამ მნიშვნელობით დასტურდება შესიტყვებებიც: სუჯი დოლოკიდალე || ყუჯიში დოლოკიდალე || სუჯის გელაკიდონ-ი „საყურე (ყურზე დასაკიდებელი)“.

ლაზ. ქაუფე „საყურე“. ნასესხებია თურქულიდან. შდრ. თურქ. küpe „id“.

ლაზ. ჰილანჯუდი „ქალის ყელზე ჩამოსაკიდი ვერცხლის ძეწკვი“ (თანდილავა 2013).

§ 4. სამოსლის მოსართავეები

მეგრული

მეგრ. ბართა „ბალთა“ (ქობალია 2010).

მეგრ. გასანწყო || მოსანწყო „გასაწყობი, მოსართავი“ (ჭარაია 1997). წარმოქმნილი სიტყვაა, ნაწარმოებია ნწყუალა „მოწყობა“ ზმნისაგან სა-ო დანიშნულების აფიქსებისა და გა- ან მო- ზმნისწინების დართვით. შდრ. ლაზ. მოწყვინუ.

მეგრ. კრუჟაო || ყრუჟაო || ყურუჟაო „მაქმანი“ (ჩვენი მასალა). იხ. ლაზ. თენტენე || ტისმა.

მეგრ. კუჭულ-ი, კუჭულა „ფოჩი“.

მეგრ. მოსართე (მო-სა-რთ-ე) „მოსართავი“ (ჭარაია 1997).

მეგრ. **რუშქი** „კირკინტამი კურთაში გითაფუნაფალი (რ) ღილი“ (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. **სირმა** „საყელოზე შემოსავლები“ (მასალები 1983, 241). შდრ. ქართ. **სირმა** „სხვათა ენაა, ქართულად ოქროს-თმა ჰქვიან“ (საბა I, 1991). გვხვდება აჭარულშიც: აჭარ. **სირმიან-ი** (თურქ. sirma) „ნაქარგი“ (კობერიძე 2011, 88).

მეგრ. **ფონგი-ი** „ფონი“ || **ფონგები-ი** „ძველად ფართო ნაქსოვი სარტყელი ჰქონდათ, განით ერთი მტკაველი. სარტყელს ორი ბოლო ჰქონდა, რომლებსაც ფონგები ეკერა. იკრავდნენ მარცხენა მხარეზე რგვლად გამოკრულად“ (მასალები 1983, 242, 248). შდრ. აჭარ. **ფონგი-ი** „ძაფის კონა“ (კობერიძე 2011, 89).

მეგრ. **ყაითან-ი** „გასაწყობი მასალა“ (მასალები 1983, 248).

ლაზური

ლაზ. **დალაღეფე** „ქამარზე ჩამოკიდებული რკინიანი ტყავის ჩამოსაკიდი“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. **დოლოციგალე** (დოლო-ციგ-ალ-ე) „ჩასარჭობი“ (ლაზურის ფონდი).

ლაზ. **თენტენა** „მაქმანი“. ხასეს თენტენა გოდვალერი უღუნ „პირბადეზე მაქმანი აქვს მოდებული“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. **კორდელა** „ბანტი, ლენტი, ბაფთა“ (თანდილავა 2013).

ლაზ. **კრუჟავო** „მაქმანი“ (თანდილავა 2013). იხ. მეგრ. **კრუჟაო**.

ლაზ. **მეციგალე** (მე-ციგ-ალ-ე) „ძვირფასი ქინძისთავი, გულსაბნევი“ || **ფეი** (ვანილიში, თანდილავა 1984, 114).

ლაზ. **მოწიფხუ** (მო-წიფხ-უ) || **მოწიფხუშ-ი** (მო-წიფხ-უ-შ-ი) „მოსართავი“.

ლაზ. **მფულ-ი** „ღილი“ || **ფულ-ი** (ლაზურის ფონდი). ა. თანდილავა მას განმარტავს, როგორც ოქროს მონეტას.

ლაზ. **სედეფ-ი** „ღილი“ || **სედეფ-ი**. ნასეხებია თურქულიდან. შდრ. ქვ. აჭარ. **სედეფ-ი** (კობერიძე 2011, 90). იხ. მეგრ. **სადაფ-ი**.

ლაზ. **ტოპჭა** „თოკის გასაყრელი, გამოსაბმელი, შესაკრავი, პიჯაკის ორივე მხარეს ძაფით დაკერებული“. ა. თანდილავასთან გვხვდება **კოპჭა** (თურქ. **kopça**) „ფოლაქი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. **ფალასქა** „ფონები“. **ფალასქა გონდვალე** || **გოჭერი** ფორჩა „ფონებშემოვლებული (შემოკერებული) სამოსი“ (ჩვენი მასალა).

ლახ. ქემე-ღ „კანტი“ (ჩვენი მასალა).

ლახ. შიბ-ი „გასაყრელი“ (რეზინის ან ნაჭრის). შდრ. თუშ. შიბ 1) „ვერცხლის ძეწკვი“; 2) „გვირისტული ნაკერი“ (ცოცხანიძე 2012). შიბი გვხვდება საბასთან და განმარტებულია ასე „ერთი ნაქსოვი“ (საბა I, 1991).

ლახ. ჯაფრასტ-ი „შესაკრავი“ (მარი 1910, 157). ამ სიტყვას შემდეგ ენობრივ მონაცემებს უდარებს ვ. აბაევი: ქართ. ჩაბრასტ-ი „შესაკრავი“ (დიალ.) ← სპარს. čaprāst „შესაკრავი“, ზან (ჭ) ჯაფრასტ-ი, ოს. carasi „კაუჭი“ (კაბაზე) ← ქართ. (აბაევი 1958, 289).

ამ თავში აღიწერა და გაანალიზდა სამოსლის შემადგენელი ნაწილები. კერძოდ: ტანისამოსის, ფეხსამოსის, თავსაბურავის ნაწილები. გამოიკვეთა მათი ფორმა და დანიშნულება; აქვე განვიხილეთ სამოსლის მოსართავეები და სამკაულები.

თემატურთან ერთად გავანალიზეთ მისი სტრუქტურა, რის შედეგადაც წარმოჩნდა მარტივი და რთული სახელები. წარმომავლობის თვალსაზრისით, შეძლებისდაგვარად, გამოვლინდა საკუთრივ მეგრულ-ლაზური, საერთოქართველური და ნასესხები ლექსიკა.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ სხვადასხვა ჯგუფის სიტყვები სემანტიკურად კვეთენ ერთმანეთს.

გამოვლინდა სიტყვები, რომლებსაც გადატანითი მნიშვნელობები გააჩნიათ.

V ქვეთავი

სამოსელი ფორმისა და რაგვარობის მიხედვით მეგრული

მეგრ. ელახუჭილ-ი (ე-ლა-ხუჭ-ილ-ი) || მოხუჭილ-ი (მო-ხუჭ-ილ-ი) „მონაოჭებული კაბა“ (ჩვენი მასალა). ნაწარმოებია მეგრ. ხუჭუა ზმნისაგან.

მეგრ. ალაგინძა (ა-ლა-გინძ-ა) „ჩამოგრძელებული“ (ჩვენი მასალა). შდრ. მეგრ. გინძე „გრძელი“.

მეგრ. ბურდ-ი „უვარგისი, ცუდი ტანისამოსი“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **გაკობურდღონილ-ი** (გა-კო-ბურდღ-ონ-ილ-ი) (მიკაქუნალი) „დაფლეთილი ჩასაცმელი“ (ჩვენი მასალა). შდრ. მეგრ. **აკობურდღონილ-ი** „დაფლეთილი, აბურდული“.

მეგრ. **თარხ-ი** (მიკაქუნალი) „თალხი ტანისამოსი“. შდრ. ქართ. **თალხ-ი** „სამგლოვიარო ფერები“ (საბა I, 1991).

მეგრ. **ოქაქალაია კაბა** „ფრიალა კაბა, კლოშივით“ (ჩვენი მასალა). შდრ. მეგრ. **ქაქალ-ი** „ფრიალი“.

მეგრ. **ონარაია კაბა** „ტალღისებური კაბა“ (ჩვენი მასალა). მუ ონარაია კაბა მუკაქუნსუ ე ძღაბის „რა ტალღისებური კაბა აცვია ამ გოგოს“.

მეგრ. **საომორგუალო** (სა-ო-მო-რგუ-ალ-ო) „სამგლოვიარო“ (ქობალია 2010). მიღებულია გლოვის აღმნიშვნელი მეგრული **რგ-** ძირიდან.

მეგრ. **უჩა მუკაქუნალ-ი** „შავი სამგლოვიარო სამოსელი, ძაძა“ (ქობალია 2010).

მეგრ. **ძონძ-ი** „ძონძი; ძალიან ძველი, დაფლეთილი ტანისამოსი; ჩვარი“. (ქაჯაია III, 2002). შდრ. **ძონძ-ი** „არს ყო(ვ)ელივე სამოსელთაგან ძველი და ნაგლეჯი“ (საბა I, 1991).

მეგრ. **ორშიალაია (მიკაქუნალი)** „შირიალა (ტანისამოსი)“ (ჩვენი მასალა). შდრ. მეგრ. **რშიალ-ი** „შირიალი“.

მეგრ. **სასურდ-ი** „სუდარი, სუდარა“, შდრ. **სურდუა** „სუდრვა“ (პ. ჭ., მეგრ.-ქართ...). მეგრ. **სასურდ-ი** „სასურდი; სუდარა; მიცვალებულზე გადასაფარებელი ან გასახვევი ქსოვილი; მიცვალებულის შესამოსელი – და ქვედა საცვალი ან ძველი ხალათისმაგარი ჩასაცმელი; სასურდი, უპირატესად, თეთრი ტილოსი უნდა ყოფილიყო, რადგან აბრეშუმი დიდხანს არ დალპებოდა და მიცვალებულს შეაწუხებდა. ამასთან, რადგანაც აბრეშუმი ჭიისაა, ითვლებოდა, მიცვალებულს მატლი დაეხვევაო“ (ქობალია 2010).

მეგრ. **ხურხამ-ი** || **ვარანდიკამ-ი** „ყელიანი“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **დოლაფირ-ი** „დაგდებული (უბრალოდ შეკერილი)“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ცხირილია კაბა** „ბადისებრი ქსოვილის კაბა“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **გოფრე** (გოფრე კაბა). შდრ. ქართ. **გოფრე** (ფრანგ. *gauffré*) 1. ერთმანეთზე მიწყობილნაკეცებიანი ქსოვილი. 2. ასეთი ქსოვილის ქვედა კაბა (ქეგლი II, 2010).

მეგრ. **ელაჩახვილი კაბა** „ალაგ-ალაგ ამობერილი, უფორმო“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **სამოჭყუდუო კაბა** „საპატარძლო კაბა“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ნაგურგინა მუკაქუნალ-ი** „საქორწინო სამოსელი (ზოგჯერ სამკვიდროდაც შეინახავდნენ)“ (ქობალია 2010). იხ. **გურგინ-ი**.

მეგრ. **სასუმართ** „სასტუმრო, სტუმრისთვის განკუთვნილი, საგარეო სამოსი“ (ქობალია 2010).

მეგრ. **რღამილ-ი** || **ეშარღამილ-ი** „გულამოდებული, ამოჭრილი“. შდრ. **რღამუა** „ღრმობა, ღრმულის, ღრანტეს, ფოსოს გაკეთება“ (ქობალია 2010).

მეგრ. **კონკილ-ი** „კონკები“ (ქაჯაია II, 2002).

მეგრ. **ღაჟურია (მიკაქუნალი)** „ჭრელი“ (ქაჯაია II, 2002).

მეგრ. **ფირფიშია კაბა** „კოხტად, ღამაზად გაშლილი კაბა“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ფირსიკია კაბა** „უბრალო კაბა“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **გურ-ფიჩა კაბა** „გულგახსნილი (გადაღედილი) კაბა“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **სწორ-ი კაბა** „სწორი კაბა“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ჭაჭილ-ი კაბა** „აზბორილი კაბა“ (ჩვენი მასალა). შდრ. მეგრ. **ჭაჭუა** „ასხმა“.

მეგრ. **კლოში-ი კაბა** „კლიოში“ (ჩვენი მასალა). იხ. ლაზ. **ჩალისტონი ქორკა**.

მეგრ. **ტკვაჩილ-ი კაბა** „ფართო ფენებიანი, დაპლესილი კაბა“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **პლესილ-ი** (|| **პრესილ-ი**) კაბა „წვრილფენებიანი კაბა“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ბუტილკა კაბა** „ვიწრო კაბა“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ალანწყემილ-ი** || **გონწყემილ-ი კაბა**, **პალტო** „ჩახსნილი კაბა, პალტო“ (ჩვენი მასალა). მიღებულია მეგრ. **ნწყემა** „გახსნა“ ზმნისაგან.

მეგრ. **ალაღარილ-ი** (ა-ლა-ღარ-ილ-ი) „ჩახსნილი“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **თანგებიან-ი** „თანგებიანი“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **გორღამილ-ი** (კაბა) „ღრმად ჩაჭრილი, ჩახეული, ჩახრამული“ (ქობალია 2010).

მეგრ. **გოტებულ-ი კაბა** „უბრალოდ შეკერილი, მოშვებული კაბა (ნებისმიერი ტანისამოსი)“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ლაგუჯიჯგურა კაბა** ე. ი. ტომარასავით კაბა (ჩვენი მასალა). იხ. **ლაგუჯი**.

მეგრ. **გოსვიტილ-ი** (გო-სვიტ-ილ-ი) „სწორი“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ოფიორაია კაბა** „ფრიალა კაბა“ (ჩვენი მასალა). შდრ. მეგრ. **ფიორ-ი** „ფრიალი“.

მეგრ. **ჟიშე კლოში-ი საორსულოჯგურა** „ზემოდან კლიოში“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ოყვაყვაია პალტო** „ბეწვიანი“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ოწაწაია** (კაბა, პალტო) „გრძელი, კოხტა“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ოყორაია კაბა** || **პალტო** „ლამაზად რომ ირხევა ისეთი კაბა, პალტო“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ოფართხალაია** „უშნო, ფართხუნა“ (ჩვენი მასალა). შდრ. მეგრ. **ფართხალ-ი** „ფართხუნი“.

მეგრ. **ჭკირილ-ი** უნა „შემოუქობავი ტანსაცმელი (ზედმიწ. დაჭრილი შავი“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **გონწკილირ-ი** კაბა „ვიწრო ტანსაცმელი“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **აწოკუნტა** „წინიდან უფრო მოკლე“. იტყვიან ტანსაცმელზე. შდრ. მეგრ. **კუნტა** „მოკლე“ (ჩვენი მასალა)..

მეგრ. **ელაკუნტა** „ალაგ-ალაგ მოკლე“ (ჩვენი მასალა). შდრ. მეგრ. **კუნტა** „მოკლე“.

მეგრ. **ლაგირძია** „ალაგ-ალაგ გრძელი“ (ნებისმიერ ტანისამოსზე იტყვიან). შდრ. მეგრ. **გირძე** „გრძელი“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **შეება** „მოშეებული, ხალვათი (სამოსი)“ (ქობალია 2010).

მეგრ. **ფერთხიშია** || **ფირთხიშია** „უშნოდ შეკერილი, უბრალო“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ბამბიამ-ი** < **ბამბეამ-ი** „ბამბიანი“ (ქაჯაია II, 2002).

მეგრ. **ტიბუ მგაკუნალ-ი** „თბილი ტანსაცმელი“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ბუჟუჟამ-ი** „ხაოიანი“. შდრ. ქართ. **ბუჟუჟი** „ცხოვარის ტყავი დაგრუხვილი“ (საბა I, 1991).

მეგრ. **ოშარშალაია** „შრიალა, ძვირფასი სამოსელი“ (ქობალია 2010). შდრ. მეგრ. **შარშალ-ი** „შრიალი“.

მეგრ. **შილ-ი** „მოქსოვილი, ნაქსოვი“ (კილანავა 1998). შდრ. მეგრ. **შუალა** „ქსოვა“.

მეგრ. **ჭელ-ი** „შეკერილი“ (ქობალია 2010). შდრ. მეგრ. **ჭალა** „კერვა“.

მეგრ. **ოჟეგართალაია** „უშნოდ ჩამოგრძელებული“ (ქობალია 2010).

მეგრ. **ბრელფა** „მრავალფენა“ (ქობალია 2010).

მეგრ. **გოფირფიჩელ-ი** „მაქმანებიანი, ფოჩებიანი (კაბა); მორთულ-მოკაზმული (გოგონა)“ (ქობალია 2010).

მეგრ. **აჭკირილ-ი** „აჭრილი, ასხმული; გამოკვალთული, ქვემოდან შემოტმასნილი ტანსაცმელი და მასში გამოკვეთილი ნაკეთები“ (ქობალია 2010).

მეგრ. **მინო/მგნო-ფინილ-ი** „ფენებიანი“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ჭონჭილ-ი** „ფენა-ფენა ერთმანეთზე მიკერებული“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. ფორგამ-ი „ფორიანი, ფორმოვლებული“, ფორგამ-ი კაბა „ფორიანი || ფორიბიანი კაბა“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. კილეკუნტა „მოკლემკლავიანი“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. გირძე ხეფორჩამი „გრძელსახელოებიანი“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. ფალური კაბა (მდიდრული კაბა) ქუდი, ფალური მკაქუნს (ე. ი. მდიდრულად აცვია) (ჩვენი მასალა).

ლაზური

ლაზ. გონონსთიკე „დაგლეჯილი“ || გონონსთიკე „დაფლეთილი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. გოჩაბლუ „ფესხაცმლისგან ფორმის შეცვლა ხმარებისას“ (თანდილავა 2013).

ლაზ. დერდონიში (შდრ. თურქ. dert „წუხილი“) დოლოქუნუ || უჩა დოლუქუნუ || უჩაღონი „სამგლოვიარო ჩასაცმელი“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. დორკი (ათინ.) || დორკიში „ერთი ფერის, არაჭრელი (სამოსი)“ (უზუნ-ჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007).

ლაზ. კირმაღი ფორჩა „გოფრე კაბა“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. მექიტერ-ი „დაპლესილი“. მექიტერ-ი ფორჩა „დაპლესილი კაბა“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. ტუცა დოლოქუნუ „თბილი ტანსაცმელი“ (ჩვენი მასალა). შდრ. მეგრ. ტუცუა „ტრუსვა, ფუფკვა“. იხ. მეგრ. ტიბუ მუკაქუნალი.

ლაზ. ფეშელონ-ი || ფეშერონ-ი ფორჩა „ნაჭრებიანი კაბა“. ფეშერონ-ი ფორჩა „ნაჭრებიანი კაბა“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. ფჩხატუა დოლოქუნუ „ბრჭყვიალა ტანსაცმელი“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. ჩოხაში-ი დოლოქუნუ „ნაბადი“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. ნოდამისლუდ-ი „სადედოფლო“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. ჩალისტონი ფორკა „კლიოში“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. ხემკულე „მოკლემკლავიანი“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. ხელონ-ი „მკლავიანი“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. ციგეა „აზბორილი“. ციგეა ფორჩა „აზბორილი კაბა“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. ხუელ-ი || მეხუელ-ი „აზბორილი“. ხუელ-ი || მეხუელ-ი ფორჩა „აზბორილი კაბა“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. ზეწარი „მიცვალებულის გადასაფარებელი“ (განილიში, თანდილავა 1984, 136).

ლაზ. ქეფინ-ი „სუდარა“ (თურქ. **kefen**) (ლაზურის ფონდი).

ლაზ. დუვად-ი „ფარდა, რომელსაც გადააფარებენ პატარძალს საქორწილო მსვლელობის დროს, ხელით უჭირავს პატარძლის ახლობელს“. თურქ. **duvak** (ği) (ლაზურის ფონდი).

ლაზ. ძინძოლა „დაფხრეწილი“ (თანდილავა 2013).

მოცემულ ქვეთავში დაჯგუფდა სამოსელი ფორმისა და რაგვარობის მიხედვით. ამ თვალსაზრისით, სიტყვის ანალიზი მნიშვნელოვანია, რადგანაც ის ერის კულტურული ყოფის თავისებურებებს ასახავს. გამოვლინდა სხვადასხვა ფორმის სამოსელი. გარდა შინაარსობრივი მხარისა, ამ ჯგუფში შემაჯავლი სახელები სტრუქტურულად. გვაქვს: მარტივი და რთული სახელები და შესიტყვებები.

VI ქვეთავი

სამოსლის მასალა

ამ ქვეჯგუფში განვიხილავთ იმ მასალას, რომელიც სამოსლის (ტანისამოსის, ფეხსამოსის, თავსაბურავის) საწარმოებლად გამოიყენება, კერძოდ: ძაფი, ქსოვილი, ტყავი, მცენარე, მატყელი.

1) ძაფი

მეგრული

მეგრ. **ართხე ძაფი**-ი „ერთ ხელად ამოღებული ძაფი“ (ქობალია 2010).

მეგრ. **ბამბეშ ძაფი**-ი „ბამბის ნართი“ (ქობალია 2010).

მეგრ. **კაპრონი**-ი „ერთგვარი ძაფი“. შდრ. ქართ. „ერთგვარი ხელოვნური ბოჭკო“ (ქეგლი IV, 1955).

მეგრ. **კვირკვი**-ი „ძაფის კოჭი“ (კილანავა 1998) || მეგრ. **კვიკვი**-ი „სიმრგვალე, ნართი გორგლად; კანაფის რიტუალური მორგვი, რომელსაც სწირავენ კანაფის სულს კვიკვინას“ (ქობალია 2010).

მეგრ. **კონჭიშ ძაფი**-ი „კოჭის ძაფი“ (ქობალია 2010).

მეგრ. ლანდ-ი (გილაფოთამა აბრეშუმი) „ერთი ამოღება აბრეშუმის ძაფი“ (ჭარაია 1997); „ლანდი; ბლონდი; შულო, ერთი ამოხვევა აბრეშუმის ძაფი, ძაფის კონა“ (ქობალია 2010). შდრ. რაჭ. ლანდ-ი „ერთი ამოღება აბრეშუმის ძაფი“ (ბერიძე 1912) და აჭარ. ლანდ-ი „ერთი გაბმა აბრეშუმის ძაფი“ (კობერიძე 2011, 83).

მეგრ. ლანდძაფ-ი „ერთი ამოხვევა, ლანდად ამოხვეული ძაფი“ (ქობალია 2010). შდრ. აჭარ. დალანდვა „ლანდის, ხიფის დამზადება (შალის ძაფს დავლანდავთ, ლანდებთ გავაკეთებთ)“ (ნოლაიდელი 2008, 17).

მეგრ. ლაშქვა „ნემსზე ერთი აგება ძაფი“ (ქობალია 2010).

მეგრ. ლილაძაფ-ი „გაწვრილებული ძაფი“ (ქობალია 2010).

მეგრ. მალათა „ოქრომკედი“ (ქობალია 2010).

მეგრ. მახერი || მოხერი (ძაფი) (ჩვენი მასალა).

მეგრ. მორგე-ი „რგვალი“ (ყიფშიძე 1994) || ძაფიში მორგვი || მეგრ. მურგ-ი „ძაფის გორგალი“. ო. კახაძის აზრით, ქართ (იმერ.) მურგე-ი „ძაფის გორგალი“, იგივე ძირია, რაც ჭან. მურგე-ალ-ი || მუგე-ალ-ი „მრგვალი“ (კახაძე 1987, 20). შდრ. აჭარ. მურგე-ი „მორგვი, ნართის გორგალი“ (ნოლაიდელი 2008, 35).

მეგრ. ნათუნა „დანართი ძაფი,“ „ნართი“ (ქაჯაია II, 2002).

მეგრ. ნამარქვა „მაქოზე დართული უკუქცეული ძაფი“ (ქობალია 2010).

მეგრ. ორშეალ-ი „დასაქსელი, ქსელი; საქსელი ძაფი“ (ქობალია 2010). შდრ. მეგრ. რშუალა „დაქსელვა“.

მეგრ. ოშუალ-ი (ოშე) „საქსოვი“ (კილანავა 1998).

მეგრ. ომიშორ-ი იგივეა, რაც ომოშირ-ი „საზედაო ძაფი“. ომოშირი ძაფი „საქსოვი ძაფი“ (მასალები 1983, 218).

მეგრ. ორშუალ-ი „საქსელი“ (მასალები 1983, 218). მიმღეობაა, ნაწარმოები მეგრ. რშუალა „დაქსელვა“ ზმნიდან.

მეგრ. ოქროში ძაფი „ოქროს ძაფი, ოქრომკედი“ (ქაჯაია III, 2002).

მეგრ. სირმა „ოქროს ან ვერცხლის ძაფი, - ოქრომკედი“ (ქაჯაია II, 2002). ის. ლაზ. სირმა.

მეგრ. ცანჭიშ ძაფ-ი „აბრეშუმის ძაფი“ (ქობალია 2010).

მეგრ. შქვილა || შქვილუა „ერთი ამოქნა (ამოღება) ძაფი“. შდრ. შქვილუა „მშვილდით პენტვა“ (ქობალია 2010).

მეგრ. ჩხვიჩხველი ძაფი „ჩამოშლილი ძაფი“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ძაფი**-ი „ძაფი; ძილი; ძალი საკრავისა“. შდრ. მეგრ. **ძაფეფი**-ი „ძაფები, ძაფეულობა“ (ქობალია 2010).

მეგრ. **ძაფ დო ლარი**-ი „ძაფი და ლარი“ (ქობალია 2010).

მეგრ. **ძაფკარკაზელი**-ი „ძაფის გორგალი“ (ქობალია 2010).

მეგრ. **ძილა** „წყვილი ძაფი“ (ჩვენის მასალა).

მეგრ. **ძეგა** „მატყლის ძაფი“ (ჭანტურია 1996, 223).

მეგრ. **წიაპი**-ი „გაწვრილებამდე გაწევილი, განზიდული ძაფი (იგივეა, რაც ჭაპი)“. **წიაპელი**-ი „მაგრად განასკული, გაწრიპული, უკიდურესად გაწევილი და გაწვრილებული (ძაფი)“ (ქობალია 2010). შდრ. **წიაპუა** „გაწვრილება“.

ლაზური

ლაზ. **თხვერი** „ძაფი“ (თანდილავა 2013). მიმღეობაა, მიღებული **ოთხუ** „დართვა“ ზმნისაგან.

ლაზ. **კანძი**-ი „კანძი, კანაფისაგან აცლილი ძაფის ბუჩქი“ (ლაზურის ფონდი).

ლაზ. **ლორ-ი¹** „ძაფის სახეობა ნემსში გასაყრელი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. **მაკა** || **მაკაა** || **მაკარა** || **მაკადა** „კოჭის ძაფი“ (ლაზურის ფონდი).
ნასესხებია თურქულიდან (შდრ. თურქ. makara).

ლაზ. **მონტკოში ნოკეფე** „მატყლის ძაფი“ (ჩვენის მასალა).

ლაზ. **მტვა** „ძაფი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. **ნოკეფე-ე** || **ნენკეფე-ი** (მარია 1910, 30) || **ნენკეფე-ე** || **ნოკეფე-ი** (თანდილავა 2013) || **ნონჭეფი** (არტ.) || **ნოჭეფი** (ათინ.) (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსი-ვა 2007) „ძაფი“.

ლაზ. **ნოკი**-ი „წვრილი ძაფი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. **სირმა** „სირმა, ყაითანი“. შქაშა ქაგეგისთერენ თხოზერეფე სირმაში „წელამდე ჩამოგვლია, დაწნილი თმა სირმისა“ (ვანილიში, თანდილავა 1984, 157). სი ეკო მეგომსქუნ ჰო იარ, ჰო იარ, ჰე სირმონი ბაშლუდი „როგორ გშვენის ჰო იარ, ჰო იარ ჰე სირმიანი ბაშლუდი“ (ვანილიში, თანდილავა 1984, 162).

ლაზ. **ტონო** „კენაფისაგან დამზადებული ძაფი“ (ვანილიში, თანდილავა 1984, 86).

ლაზ. **ცქიალი** „ვერცხლის დილებიანი ძაფი მიკერებული კაბის სახელოზე იდაყვამდე“.

2) ქსოვილი

მეგრული

მეგრ. აკნამოსა „შინნაქსოვი, მიბლანდულ-მობლანდული, შეკოწიწებული ქსოვილი, აბლაბუდა“ (ქობალია 2010).

მეგრ. არეშუმ-ი (ყიფშიძე 1994) || ა(ვ)რეშუმ-ი „აბრეშუმი“ (ქობალია 2010). არეშუმ დო ყაზნაყ-ი „აბრეშუმი და ყაისნალი“ (კრებითი სახელი დაზგითა და ხელით ნაქსოვისა) (ქობალია 2010). აბრეშუმეულობა იგივეა, რაც აბრეშუმეული – „აბრეშუმის ქსოვილები“. შდრ. გურ. ყაჭ-აბრეშუმ-ი „ქსოვილი, აბრეშუმისა და ყაჭის ძაფისგან“ (შარაშიძე 1938).

მეგრ. ატლას-ი (ყიფშიძე 1994) || ანტლას-ი, ატლას-ი „ატლასი“. შდრ. ქართ. ატლას-ი „ნაქსოვი, ღარი“ (საბა I, 1991). შდრ. მეგრ. ანტლას-ი დო არხამა „ღიბა-ატლასი, ძვირფასი ქსოვილები“ (საზოგ.) (ქობალია 2010).

მეგრ. ატრეზ-ი „ნებისმიერი ქსოვილი“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. ბამბაზია „ბამბის თბილი ქსოვილი, რბილი, ბუსუსიანი“ (ქაჯაია I, 2001).

მეგრ. ბუდუსუა „ფარჩეული, ძვირფასი ქსოვილები“. შდრ. ბუდუსუეფი „ძვირფასეულობა“ (ქობალია 2010).

მეგრ. გლას-ი „აბრეშუმის სქელი, მტკიცე ქსოვილი“ (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. გოგრა „აბრეშუმის შავი, უსახო ქსოვილი“ (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. დარაია „აბრეშუმის ქსოვილი, ხელით ნაქსოვი“ (ჭანტურიას არქივი, № 434). შდრ. ქართ. დარაია „აბრეშუმის ქსოვილი“ || „აბრეშუმის დიდი მოსახვევი, მადნილი“ (ქეგლი III, 1953).

მეგრ. თასყუნთ-ი „ძვირფასი აბრეშუმის ზოლებიანი, ძვირფასი საკაბე ქსოვილი“ (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. კოროხ-ი „ძვირფასი აბრეშუმის სახელი“ (კოროხიში კაბა) (ჭანტურიას არქივი, № 434) || „ღიბა, ფარჩა“ (ქაჯაია II, 2002).

მეგრ. კორჩა „ქსოვილის სახეობაა ერთგვარი, სელისაგან ქსოვდნენ“ (მასალები 1983, 228).

მეგრ. ლენ-ი „ლაინი; ლურჯად შეღებილი ქსოვილი, უპირატესად ნარმა“ (ქობალია 2010). კაბასაც და საცვლებსაც ლენისგან კერავდნენ, წინსაფარსაც (მასალები 1983, 242). შდრ. ქართ. ლაინი „შინაური წესით დამზადებული თხელი ბამბის ქსოვილი, უპირატესად მუქ-ლურჯად შეღებილი“ (ქეგლი IV, 1955). ქართ.

ლაინს ეხება ვ. აბაევი: ქართ. ლაინ-ი „შეღებილი ტილო“ < ოს. lajyn „შეღებილი“ < არაბ. laīn „გლუვი, რბილი“ (აბაევი 1958, 142).

მეგრ. ლენ-ი (ჩინეთის) „თხელი, ჩინური ლენი“ (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. ლენი (ბადღადის) „მოშავო, სქელი ლენი“ (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. ლობილანი „ერთგვარი ქსოვილი“ (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. მატერია „ქსოვილი“. შდრ. ქართ. მატერია საუბრ. „ქსოვილი“ (ლათ. **materia**) (ქეგლი V, 1958).

მეგრ. მელეზ-ი „აბრეშუმის ქსოვილი, ქსელად („ორშვალო“) იყენებდნენ აბრეშუმებს, მისაქსელად სელს (თხვირი), ქსოვილს მდულარეში ამოავლებდნენ („დლოგბუნდეს“), რითაც იგი რბილი ხდებოდა, იხმარებოდა ქალების საპერანგედ“ (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. მისგრული ყუნი „ძვირფასი აბრეშუმის სირმიანი ქსოვილი; თასყუნთი ამაზე უფრო მდარე იყო“ (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. მიტკალ-ი „ერთგვარი ქსოვილი“. შდრ. ქართ. მიტკალ-ი (არაბ. mitkal) „ბამბის თეთრი ქსოვილი“ (ქეგლი V, 1958).

მეგრ. მოვიზი ყანაოზი „ჭრელი საკაბე, ძვირფასი, ჩინური“ (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. ნარმა „ნარმა, ბანდი, დოლბანდი“ (ქობალია 2010). შდრ. ქართ. ნარმა „ბამბის ქსოვილი, უხეში მიტკალი“ (ქეგლი V, 1958).

მეგრ. ნოჭკერ-ი „ნაჭკერი (ქსოვილისა)“. მიმღეობაა, ნაწარმოები მეგრ. ჭკირუა „ჭრა“ ზმნიდან.

მეგრ. ობარბალე ჩინთი „წმინდა ბარბალესათვის შესაწირი ქსოვილი, ფერადი, უპირატესად წითელი და თეთრი ორ არშინამდე ზომის ჩითის ნაჭრები ან სააღაბო თავსაფრები, რომელთაც ტოვებდნენ საკრალური, წმინდა ხეების ტოტებზე ან მიჰქონდათ სალოცავში, სადაც ეკლესიის მსახურები საფორებად დაფარნებად იყენებდნენ“ (ქობალია 2010).

მეგრ. პინტი-ი „ბინტი, ჩვარი, ჭინჭი“ || პინტია „ჭინჭრის, ჩვრის ნაგლეჯი“ (ქაჯაია II, 2002).

მეგრ. პირკალ-ი. შდრ. ქართ. პირკალ-ი „იგივეა, რაც მიტკალი“ (ქეგლი VI, 1960).

მეგრ. ჟირგანიშ-ი „ორგანიანი (ქსოვილი)“ (ქობალია 2010). კომპოზიტია, მიღებული მეგრ. ჟირ- „ორი“ და გან- „განი“ ფუძეების შეერთებით, რომელსაც დართული აქვს ნათ. ბრუნვის –იშ ნიშანი.

მეგრ. **საკაბო** „საკაბე“ (ქობალია 2010).

მეგრ. **სალამარჯა** „მოხატული (ქსოვილი)“ (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. **საოსართ** „საპერანგე“ (ჭარაია 1997).

მეგრ. **სატინა** „პრიალა ქსოვილი“. შდრ. ქართ. სატინ-ი (სატინისა) [არაბ. zaitun (ჩინეთის ერთ-ერთი ნავსადგურის სახელწოდებიდან)] ატლასივით პრიალა ქსოვილი ბამბისა ან აბრეშუმისა. ოტია ... სატინის ახალუხით ... ჩამოვიდა ქალაქში (დ. კლდ.). ლურჯი სატინის სადა ტანსაცმელი ვერ ფარავდა ... [ჯეირანის] სხეულის ღამაზ აგებულებას (ა. ჭუმბ.) (ქეგლ VI, 1960).

მეგრ. **ფაკვა** || **ფაკე**-ი „ძველი, უვარგისი ქსოვილი, მიგდებული, ფლასი“ (ქობალია 2010).

მეგრ. **ფანელი** „ფლანელი“ (ქაჯაია III, 2002). ქართულში ნახესხებია ფრანგულიდან (შდრ. ფრანგ. flanelle) (ქეგლი VII, 1962), მეგრულში კი ქართულიდანაა დამკვიდრებული.

მეგრ. **ფარჩა** „ფარჩა, ძვირფასი ქსოვილის ნაჭერი“. შდრ. ქართ. ფარჩა (სპარს. farčah) 1. ერთგვარი ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი. 2. ქსოვილი საერთოდ, - ფართალი.

მეგრ. **ფორჩა** „ფარჩა“. ფორჩას ქსოვდნენ სელის ძაფისაგან დარაიასავით, მხოლოდ მისი განი უფრო ვიწრო იყო, ვიდრე დარაიასი. ფორჩისაგან ძველად მამაკაცის პერანგს კერავდნენ, მუხლებამდე გრძელი იყო (მასალები 1983, 240). ქათირჩეს ფორჩა ფალო „ქვეშ დაიგეს მხოლოდ ფორჩა“ (მას., 77). შდრ. ქართ. **ფარჩა₁** (ფარჩისა) [სპარ. farčah] 1. ერთგვარი ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი. სიღარიბემ ფარჩის კაბა გამაცვეთინაო (ანდაზა). [მუაუნაშვილმა] ჩაიცვა ფარჩის ახალუხი (ნ. ლომ). || ფიგურ. რა ხანია ბაღში ხეებს არ აცვია მწვანე ფარჩა (გ. კაჭახ.). 2. ქსოვილი, საერთოდ, - ფართალი. რვა თვის შემდეგ ღურმიშხანმა მთელი ქარავანი სხვადასხვა ფარჩებისა წამოიღო სტამბოლიდან (დ. ჭონქ.). „ჩავაგებთ ... [სოროში] თბილად, რაც მოგვხდება - ...ძონძმანძი, სვადასხვა ფარჩის ნაკერები, ... ჩაღა, - დავათბუნებთ და მერე შიგ ჩავსხდებით“ (თ. რაზიკ.). ქართ. **ფარჩა₂** (ფარჩისა) ძვ. ნაჭერი, ნაწილი. ერთი მთელი ცხვარი ექვსი ფარჩა არის: ორი ფარჩა - ორი მხარი, გვერდები; ორი ფარჩა - ორი[ვ] ბარკლები, ერთ ფარჩად - ზურგის ძვალი, ერთ ფარჩად - მკერდ-კისერი («დასტურდ») (ქეგლი VII, 1962).

მეგრ. **ფშალი** (ჭანტურიას არქივი, № 434) || **შალი**-ი „შალი“ (ქაჯაია III, 2002). შდრ. მეგრ. **შალობუა** „შალეული“ (ქობალია 2010).

მეგრ. **ღართა** „ჩოხის ნაჭრები ჩექმაში ჩასატანებლად“ (ქობალია 2010).

მეგრ. **ღართი** „ჩოხის ქსოვილი“ (აკაკი ჭანტურიას არქივი). იხ. **ღართი** სამოსლის სახეობებში.

მეგრ. **ყანაოზ**-ი „აბრეშუმის სახეობა“ (ქობალია 2010); „აბრეშუმის ქსოვილი“ (ჭარაია 1997). ეს სიტყვა ქართულშიც დასტურდება და ვ. აბაევი მას აკავშირებს სათანადო ოსურ და სპარსულ ფორმებთან: ქართ. **ყანაოზ**-ი „აბრეშუმის ქსოვილის სახეობა“ ← ოს. **qanawyz** ← სპარს. **qanāviz** (აბაევი 1973, 263).

მეგრ. **ყარმანდულ-ი** || **ყარმანდლო** „ერთგვარი ქსოვილია წმინდა მატყლისა, საახალუხე, მზინვარე შავი ფერისა“ (ქობალია 2010).

მეგრ. **ყუნთი** „ერთგვარი ქსოვილი“ (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. **შალიშ ცანჭი** „შალნარევი აბრეშუმი“ (ქობალია 2010).

მეგრ. **ჩეში** „ბამბის ქსოვილი“ (ჭანტურიას არქივი, № 434). იხ. **ჩეში** სამოსლის სახეობებთან.

მეგრ. **ჩინთ-ი** „ჩითი“. შდრ. ქართ. **ჩით-ი** (ინდ. *čit*) „ბამბის თხელი, სახეებიანი ქსოვილი“ (ქეგელი VIII, 1964). შდრ. თუშური **ჩითზ** „შინაური, მატყლის ნართისაგან ნაქსოვი და ნაკერი ფეხსაცმელი – ფაჩუჩი“ (ცოცანიძე 2012).

მეგრ. **ჩონხა** „შინმოქსოვილი შალი“ (ქაჯაია III, 2002).

მეგრ. **ცხომური** „წმინდა სელის (თხვირის) უბრალო ქსოვილი“ (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. **ხავერდ-ი** || **ხავედი** „ხავერდი“ (ქობალია 2010). შდრ. ქართ. **ხავერდ-ი** კარგ პირზე ხაოს მქონე ქსოვილი (ჩვეულებრივ, აბრეშუმისა). [ხვარამზეს] ტანზე შავი ხავერდის ქათიბი აცვია (მ. ჯავახ.). || ამ ქსოვილის ტანისამოსი. მეფე... ხავერდებში გამოწყობილი (ვ. ბარნ.). (ქეგელი VIII, 1964).

მეგრ. **ხაკ-ი** „სქელი ქსოვილი“. შდრ. ქართ. **ხაკ-ი**₁ (ხაკისა) 1. სქელი, უხეში ქსოვილი. 2. კუთხ. (თუშ.) ტომარა, საცალო“ (ქეგელი VIII, 1964).

მეგრ. **ხამლე** „ხამი ბამბისაგან“ (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. **ხამიენ-ი** „ხამი“. ბამბეზე შუნდეს ხამიენს „ბამბისგან ქსოვდნენ ხამს“ (ქაჯაია III, 2002). **ხამიენ-ი** იგივეა, რაც **ხამიელ-ი**, **ხამიე-ი** - ბამბის ამ ქსოვილისაგან კერავდნენ საბნის ლეიბის პირს, ზეწარს, ზედა და ქვედა საცვლებს, პირსახოცს და ა. შ. შდრ. **ხამ-ი** „ბამბის შეუღებავი ქსოვილი, შინ დართული (მსხვილი) ძაფისაგან“ (მასალევი 1983, 228; ქაჯაია III, 2002). შდრ. ქართ. **ხამ-ი** (ხამისა) [სპარ. *xam*] 1. დაუმუშავებელი, გამოუყვანელი, მოუქნელი.

ხამი ძაფი. – ხამი ჩითი. – ხამი ტყავი. 2. ბამბის შეუღებავთ ქსოვილი, შინ დართული (მსხვილი) ძაფისგან. წითელ პერანგსა გიყიდი, თორემ ხამი ბევრიაო (ხალხ.). || ეგევე ქსოვილი, რაიმე ფერად შეღებილი. ხალი... გახსნილ წითელი ხამის პერანგს იცვამდა (ვაჟა). 3. ტექ. ქსოვილი საქსოვ დაზგაზე, ჯერ შეუღებავი და დაუმუშავებელი. 4. გამოუცდელი, შეუწვეველი; რისამე უცოდინარი. „ეჰ, ჩემო კარგებო, ჯერ თქვენ გამოუცდელი, ხამები ხართ, გუშინდელი ბაღლები, კარგად ვერ იცნობთ მუხთალ წუთისოფელსა!“ (ვაჟა) (ქეგლი VIII, 1964).

მეგრ. **ხამჩე** ბოტან. „ბამბა“; იგივეა, რაც ხამლე, ხამლენი, – ბამბის ძაფისაგან შინ მოქსოვილი მატერია (ქაჯაია III, 2002).

მეგრ. **ხარა** „აბრეშუმის სქელი ქსოვილი, როგორც გოგრა, ერთი ფერისა, მაგარი და გამძლე იყო“ (ჭანტურიას არქივი, № 434).

მეგრ. **ჯვალო** „უხეში, თხის ბეწვნარევი ქსოვილი“. შდრ. ქართ. **ჯვალო** 1. „უხეში, თხის ბეწვნარევი ქსოვილი“. 2. (აჭარ.) იგივეა, რაც ტომარა (ქეგლი VIII, 1964). დასტურდება ჯავახურშიც: **ჯვალი** „ტომარა“ (ბერიძე 1981).

ლაზური

ლაზ. **ანტლას-ი** || **ატლას-ი** „ატლასი“. შდრ. ქართ. **ატლას-ი** „ნაქსოვი, ღარი“ (საბა I, 1991); „აბრეშუმის პრიალა ქსოვილი“ (ქეგლი I, 2008). მ. კობერიძე მას არაბულ ნასესხობად განიხილავს (კობერიძე 2011, 93).

ლაზ. **ასტარ-ი** „უხეში ტილო, ხამი“ (თურქ. *astar* „სარჩული“) (ლაზურის ფონდი).

ლაზ. **ბეზ-ი** (თურქ. *bez*) „ტილო, პარუსინა, ნარმა, ქსოვილი“ (ლაზურის ფონდი).

ლაზ. **ბატანდე** „ქსოვილი ერთგვარი“ (ლაზურის ფონდი).

ლაზ. **დიბეტი-ი** (ფურტ.) „ქსოვილის სახეობა“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, აღექსივა 2007).

ლაზ. **ღირილ-ი** „ქსოვილის სახეობა“ (თანდილავა 2013).

ლაზ. **იფეღ-ი** (თურქ. *ipek*) „აბრეშუმი“ (ლაზურის ფონდი). შდრ. **ომბრიშუმიში** || **იფექლი** (თურქ. *ipekli*) „აბრეშუმის“. დადევნე ქომოდატეს იფეღიში მენდილი „მდიდრებმა (მდიდრებს) მოჰქონდათ აბრეშუმის ცხვირსახოცი“ (ჩიქობავა 1929, 67).

ლაზ. თაფთა „ქსოვილის სახეობა“ (თანდილავა 2013).

ლაზ. კალატა „ქსოვილის სახეობა“ (თანდილავა 2013).

ლაზ. კარამანდულა „შავი ფერის ქსოვილი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. კატიფ-ე „ხავერდი“. არაბული წარმოშობის სიტყვაა, რომელიც ნასესხებია თურქულიდან. შდრ. (არაბ.-თურქ. kadife) (თანდილავა 2013). გამსესხებელი ენისეული დ ფონემა ლაზურში კ-სთან მეზობლობაში გამკვეთრებულია და გადასულია ტ-ში.

ლაზ. კენევეწ-ე || კენევიზ-ი „ძველად მოსკოვიდან შემოტანილი ქსოვილის სახეობა“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007).

ლაზ. კოკნეწ-ი (ფურტ.) „ქალების წელზე შემოსახვევი შალისაგან დამზადებული საკაბე“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007).

ლაზ. კუმაშ-ი „ერთგვარი ქსოვილი, აბრეშუმი“. დოლოქუნუ მომიმერს, ქოღოვანდვი კუმაში „ტანსაცმელს ჩამომიტანს, დავაბარე აბრეშუმისა“ (ვანილიში, თანდილავა 1984, 156). შდრ. თურქ. kumaş „ქსოვილი“.

ლაზ. ლემზა „ძაფის ქსოვილი“, შდრ. – მეღეზი აბრეშუმი (თანდილავა 2013).

ლაზ. მალ-ი⁴ „ნაჭერი, ქსოვილი“. ნასესხები უნდა იყოს თურქულიდან. შდრ. თურქ. mal.

ლაზ. მანდაბოლ-ი „მიტკალი“ (ლაზურის ფონდი).

ლაზ. მეკდას-ი || მეტაქს-ი || მეკტას-ი || მეტაქს-ე „აბრეშუმი“ (თანდილავა 2013) || მეტას-ი (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007).

ლაზ. მშარდ-ი (თანდილავა 2013) || მშალ-ი || მშალთ-ი „შალი“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007).

ლაზ. ნაღლონი „ნეილონი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. ნარმა „ნარმა“ (ლაზურის ფონდი). იხ. მეგრ. ნარმა.

ლაზ. ომბრიშუმი „აბრეშუმი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. ომოქსურა „ხემოდან ნაქარგი თეთრი ფერის ქსოვილი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. პინტი „ჩვარი, ბინტი“ (თანდილავა 2013). იხ. მეგრ. პინტი.

ლაზ. ჟორჟეტი || ჟაჟოტი (ვიწ.) „ბამბისგან დამზადებული ქსოვილის სახეობა“ (უზუნჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007).

ლაზ. საზ-ი „აბრეშუმი“.

ლაზ. სატინა || სატენა „სატინა“ (ქსოვილი) (თანდილავა 2013). იხ. მეგრ. სატინა.

ლაზ. სკალატი¹ „მაუდი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. სუენო „მაუდი“. ნასესხებია რუსულიდან (თანდილავა 2013).

ლაზ. ტილო (ლაზურის ფონდი) || ვილარ-ი „ტილო“ (ყიფშიძე 1994, 85).

ლაზ. ტკომილა² „შედებილი აბრეშუმი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. ფარჩა „ნაჭერი“. ააა ქორკაში მეჭკირელი ფარჩა მა მოთ მიღუნ „ამ კაბის ნაჭერი მე რატომ მაქვს?“ (ჩიქობავა 1929, 28).

ლაზ. ფითიკოზი „მატერიაა – ფილდეკოსი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. შალ-ი (თურქ. šal) „შალი“. შდრ. ქართ. შალ-ი (შალისა) 1. მატყლის ქსოვილი. მაუდის, შალისა და აბრეშუმის ტანისამოსი თითქმის ყველა კაცსა და ქალსა აქვს (ი. გოგებ.). [ბეგლარს] შავი შარვალი და თეთრი შალის წინდები აცვია (ნ. ლორთქ.). გამოშვებულია დიდი რაოდენობით ... შალის, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილები; 2. ქალის თბილი მოსახსამი (მოსახვევი) მატყლის სქელი ქსოვილისა, [ოთარაანთ ქვრივმა] მოიხვია თავს შავი შალი (ილია). თებრო, თავიდან ფეხებამდის დედის შალში გახვეული, ცხენზე იჯდა (ვაჟა) (ქეგელი VII, 1962). ივ. ჯავახიშვილი მას ქართულში სპარსულ ნასესხობად მიიჩნევს. ქართ. შალ-ი (ტერმ.) ← სპარს. šal „ქსოვილის სახეობა“ (მასალეები 1983, 165, 299).

ლაზ. ჩადირ-ი 1) „ნარმა“. 2) „კარავი“ (ლაზურის ფონდი). ა. თანდილავა განმარტავს როგორც „ტილოს (თანდილავა 2013).

ლაზ. ჩეჩე „მაუდი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. ჩით-ი „ჩითი“. სიტყვის ისტორიისათვის იხ. მეგრ. ჩით-ი.

3) ტყავი

მეგრული

მეგრ. ბალაღია „ხბოს ტყავის საქალამნე“ (ქობალია 2010).

მეგრ. ბუა „ბეწვი“. შდრ. ბუაში „ბეწვისა“ (ქობალია 2010).

მეგრ. კან-ი „ტყავი, კანი“. ჯვეშო კანიშ ჩაფლას ჭანდეს „ძველად ტყავის ფეხსაცმელს კერავდნენ“ (ჩვენის მასალა).

მეგრ. კვანჩა „ქეჩხო; თხისა და ცხვრის ტყავი ბეწვიანი“. თხის ან ცხვრის თმიანი ტყავი, რომელსაც მწვემსები იყენებენ ქვეშსაგებად (მთაში); ხმარობენ მოსასხამად (სახელოები არა აქვს, მწვემსს უფარავს ზურგს) (ქაჯაია II, 2002).

მეგრ. საკანჩაფლო „საქალამნე“ (ქობალია 2010).

მეგრ. ტყებ-ი „ტყავი“. ლაზ. ტკებ-ი, ტებ-ი „კანი, ტყავი“. ეს ფუძეები საერთოქართველურად მიიჩნევა სამეცნიერო ლიტერატურაში: ქართ. ტყავ-ი : ზან. ტყებ- || ტყაბ-, ტყებ-ი || ტკებ-ი „ტყავი“, ტყაბ-არ-უა „გატყავება“, გურ. ← ზან. ტყობურა, ქართ. ტყავ-ი, ტყავ-ებ-ა, გადა-ე-ტყავ-ებ-ა, ა-ტყავ-ებ-ს, სვან. ტყუეფ- || ტყუზ- || ტყუფ- (ა-ხ- ტყუზ) (ზს., ლშხ.) ხ-ე- ტყუეფ-ენ-ი ლნტ. „სძვრება (ტყავი, კანი)“, მე- ტყუეფ-ე „ატყავებული“ (ჩუხუა 2000-2003, 218).

მეგრ. ქანდაქ-ი „საქალამნე, გამოყვანილი და შოლტებად აჭრილი ტყავი ღორისა; სატყავე ღორი; ერთგვარი გადასახადი ძვ. სამეგრელოში. ე. წ. ხმელი ბეგარა. გადაიხდებოდა საშაშხე ღორით და ტყავით“ (ქობალია 2010).

მეგრ. შიგრინ-ი „ძვირფასი ტყავი (საგრენიდან); ძვირფასი სამოსელი საზოგადოდ“. შდრ. შიგრინი დო ბუდუსუა „ძვირფასი ტყავი და ქსოვილი; ძვირფასი სამოსელი (საზოგ.)“ (ქობალია 2010).

მეგრ. შორტ-ი „ტყავის ერთი ნაჭერი.“ ძროხის ან ღორის ტყავს თითო მოღვალათ (ჩაცმად) გრძლად დაეჭრილით, ერთ ნაჭერს შორტი ეწოდებოდა (მასალები 1983, 243); „შოლტი, ფენა, საქონლის ტყავის ან ხის ქერქის ანაჭერი მთელ სიგრძეზე, ერთი ფენა ტყავი, საქალამნე ტყავი; საზომი ერთეულიცაა ტყავისა (ერთი ძროხის ტყავი 8-14 შორტია, შორტისგან 6-7 ქალამანი გამოდის)“ (ქობალია 2010).

მეგრ. წილამურ-ი „ბეწვი, ჭავლი (ნაბდისა)“ (ქობალია 2010).

ლაზური

ლაზ. გდონი (თურქ. gön) „ტყავი“. არ ქალამანიში გდონი მიღუნ შენახვი „ერთი ქალამანის ტყავი მაქვს შენახული“ (თანდილავა 2013).

ლაზ. თომა „ბეწვი, თმა“ ქალამანი დო ჩაფულაში დოლოხე მხუიში თომაში წინეკი შუფან დო მუიდუმელან „ქალამანისა და წუდის შიგნით ცხვრის ბეწვისაგან წინდას ქსოვენ და იცვამენ“ (ჩიქობავა 1929, 150).

ლაზ. თულაჭი „ტყავის სახეობა“ (თანდილავა 2013).

ლაზ. სირიდი (თურქ. sirik) „ქალამნის შესაკერი ტყავის ზონარი, შნური“ (თანდილავა 2013).

ლაზ. ტკებ-ი || ტებ-ი || კებ-ი „ტყავი, კანი“ (თანდილავა 2013). სი მთუთიში ტკებში არ დიდი ფორჩა დომიჭი „შენ დათვის ტყავისგან ერთი დიდი პერანგი შემიკერე“ (ლაზურის ფონდი). ამჟამად ტკების ნაცვლად გავრცელებულია თურქულიდან ნასესხები ფოსტი.

ლაზ. ფომფოლოზი „ბეწვი (?), ხაო (?), ღინღლი (?“ (თანდილავა 2013).

ლაზ. ფოსტ-ი || ფოსთ-ი „ტყავი (ცხვრისა გაუკრეჭავი)“ (ჩვენი მასალა).

4) მცენარე

მეგრული

მეგრ. ბამბაია „უხარისხო ბამბა, ბამბის ქსოვილი“ (ქობალია 2010).

მეგრ. ბამბე „ბამბა“. შდრ. ქართ. ბამბა 1. ტექნიკურ კულტურაში ფართოდ გავრცელებული ერთწლოვანი ბალახ-მცენარე; დატოტვილია, აქვს მომრგვალო ფოთლები; იძლევა სართავ მასალას. 2. ამავე მცენარის ნაყოფში გამოხვეული თეთრი ბოჭკო, რომელსაც სათანადო დამუშავების შემდეგ იყენებენ საფეიქრო მრეწველობაში, მედიცინაში და სხვა (ქეგლი II, 2008). ვ. აბაევი ქართ. ბამბას უდარებს ოსური ენის სათანადო ფორმას და მიაჩნია სპარსულ ნასესხობად: ქართ. ბამბა ← სპარს. **pambah** || ოს. **hæmbæg** || **hæmpæg** „ბამბა“ (აბაევი 1958, 249).

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ XII-XIII საუკუნეებში ბამბის ქსოვილები საქართველოდან უცხოეთშიც კი გაჰქონდათ (ჯავახიშვილი 1930, 143).

მეგრ. კიფ-ი || კფ-ი „კანაფი; უხეში, მაგარი რამ საზოგადოდ“. კიფიმ კურთა „კანაფის საცვალი; გაჭირვებისა, გაჭირვებულის სამყოფი (გადატ.)“ (ქობალია 2010). შდრ. ქართ. კანაფ-ი 1. „ერთწლოვანი ბოჭკოვანი მცენარე, აქვს მაღალი ღერო, თათისებრი ფოთლები და ორსახლიანი წვნიკი ყვავილები; მისი ღეროსაგან ამზადებენ სართავ ბოჭკოს – ქერელს“. 2. „ამ მცენარის ქერქი – სართავი ბოჭკო“ (ქეგლი IV, 1955). ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართ. კანაფ-ი ← ბერძნ. **kannabis** (ჯავახიშვილი 1930, 395). ვ. თოფურია ქართ. კანაფს უკავშირებს სვან. ქან, ქენშჷრ „კანაფის თესლის გულიანი პური“ (თოფურია 1979, 166).

მეგრ. სუ || ფსუ „სელი“. ფორჩას აკეთებდნენ სუსაგან „სელისაგან“ (მასალები 1983, 240). „ძველი ანტიკური ხანის მწერლების ცნობების თანახმად, კოლხეთი

განთქმული იყო სეღის ნაწარმის მაღალი ხარისხით. უთუოდ სეღი ქართული სიტყვა უნდა იყოს და შეიძლება ქართულ ქსელს უკავშირდებოდეს და მისგან მომდინარეობდეს“ (ციციშვილი 1954, 4). იხ. ლაზ. ფსიჯი.

მეგრ. **ჭილოფი**-ი „ჭილობი“ (ჭარაია 1997) || **ჭილი**-ი || **ჭილო** „ჭილი, ლელი, ჭაობის წვრილი მცენარე (საზოგ.)“. შდრ. **ჭილობუა** „ჭილის ნაკეთობანი“ (ქობალია 2010).

ლაზური

ლაზ. **ბამბუ** „ბამბა“ (ლაზურის ფონდი). ლაზ. **ბამბაკი** „ბამბის სახეობა“ (თანდილავა 2013).

ლაზ. **ფამბული** „ბამბა“ (თურქ. pamuk) (თანდილავა 2013).

ლაზ. **ფსიჯი**-ი || **სიჯი**-ი „სეღი“. ჰადა ფსიჯითე გეფშუმთ „ამას სეღით ვქსოვთ“ (ლაზურის ფონდი). როგორც ოსმან-ბეი აღნიშნავს, „ლაზური სეღი მაღალი ხარისხისაა და იქაურები იმისაგან ქსოვენ ტილოს, რომელიც სახელმოსხვეჭილია აღმოსავლეთში“ (ოსმან-ბეი 1874, 364).

ლაზ. **სულეი** „სეღი, კანაფი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. **ჭეფრი**-ი || **კეფი**-ი „კანაფი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. **ხუტენი** „უთესლო კანაფი“ (თანდილავა 2013).

5) მატყლი

მეგრული

მეგრ. **ბეჭვა მონტყორი** „ბეწვა მატყლი“ (ქაჯაია I, 2001).

მეგრ. **ბუთა** „გაზაფხულზე განაკრეჭი, პირველი გაკრეჭის მატყლი“ (ქობალია 2010). **ნაბუთუ მონტყორი** „გაზაფხულზე გაკრეჭილი მატყლი“. შდრ. აფხ. აბთა (ჭარაია 1997). ხევსურულში გვხვდება: **ბუთუთი**-ი „ხშირმატყლიანის ეპითეტი“ (ჭინჭარაული 2005).

მეგრ. **ოთუნაღი**-ი „თითისტარზე დასართავი მატყლი, ბამბა, საძახავი, სართავი“ (ქაჯაია III, 2002).

მეგრ. კანძ-ი „კანძი, ერთი ხვეულა მატყლისა“ (ქობალია 2010). ეს ფუძე ნაწარმოებია კანძუა ზმნიდან „გაკრეჭა ცხვრისა, კანძით, მატყლით დატენა რისამე“ (ქობალია 2010).

მეგრ. კვარკვაშა მონტყორ-ი „დახვეული მატყლი, მატყლის ქულა, კურკუმელა“ (ქობალია 2010). ამ ფუძეს მ. ჩუხუა საერთოქართველურად განიხილავს: ზან. (მეგრ.) კვარკვაშა „ქულა (მატყლისა)“, ქართ. (მთიულ.) კვირსლ-ი „ბეწვი შალისა“, სვან. კუნკუჰს „ნართი, შულო (ძაფისა)“. ს. ქართვ. *კუირს-(ლ) „ქულა (მატყლისა)“ → ქართ. კვირსლ-ი, ზან. კვარ-კვაშა ← კუირშ-კუირშა, სვან. კუნკუჰს ← კუირ-კუეშა ← *კუირშ-კუირშა (ჩუხუა 2000-2003, 130). ვვარაუდობთ, რომ კვარკვაშა ნაწარმოები უნდა იყოს მეგრ. კვარკვაშუა „დახვევა“ ზმნისაგან.

მეგრ. მონტყორ-ი „მატყლი“. ნაგვალ/ღ მონტყორ-ი „მთის მატყლი“ (მასალები 1962, 213).

მეგრ. ფატანა „ფთილა, ფარტენა“ (მასალები 1962, 218). შდრ. ფარტენა-ა „მატყლის ფთილა“ (საბა II, 1993).

მეგრ. ქექილ-ი „დაფეთილი, განმურკლული (მატყლი)“ (ქობალია 2010).

მეგრ. დაწაწა „მეტად ნაზი მატყლი, გრძელბეწვიანი“ (ქაჯაია III, 2002).

ლაზური

ლაზ. მონტკორ-ი „მატყლი“ (ლაზურის ფონდი).

ლაზ. ძაფადი (თურქ.) „მატყლი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. ძუნი „მატყლი“ (თურქ. yün) (თანდილავა 2013).

ამ ქვეთავში განვიხილეთ სამოსლის მასალა. გამოვლინდა, თუ რისგან მზადდებოდა სამოსელი. ამ თვალსაზრისით, ასეთი სურათი მივიღეთ: სამოსლის მასალად გამოიყენებოდა: ძაფი, ქსოვილი, ტყავი, მცენარე, მატყლი. სტრუქტურულად გვაქვს: მარტივი, რთული სახელები და შესიტყვებები. წარმომავლობის მხრივ, საკუთრივ მეგრულ-ლაზური, საერთოქართველური და ნასესხები ლექსიკა.

თავი II. სამოსლის ჩაცმასთან და გახდასთან დაკავშირებული სიტყვები

ამ თავში განვიხილავთ სამოსლის ჩაცმა-დახურვის, გახდასთან დაკავშირებულ ზმნებს. ცალ-ცალკე წარმოვადგენთ ტანისამოსის ჩაცმის, თავსაბურავის დახურვის, ფეხსამოსის ჩაცმის, მორთვისა და აგრეთვე, ტანისამოსის, ფეხსამოსის გახდის, თავსაბურავის მოხდისა და მოსართავეების მოხსნის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებს.

1) ტანისამოსის ჩაცმა

მეგრული

მეგრ. **(მუკო)ქუნა** (მუკო-ქუნ-ა) „ჩაცმა, დაბურვა, შეფუთვა“. გამოიყოფა **ქუნ-** საერთოქართველური ძირი. მისი წარმომავლობის შესახებ იხ. მეგრ. მიკოქვენჯ-ი. **მიკიქუნანს** „იცვამს“. ამ ძირისგან არის ნაწარმოები **მოქუნა** (მო-ქუნ-ა) || **გინოქუნა** (გინოქუნა) „მოსხმა, მოცმმა“. ნაბადი ქიგნიქუნუ ღო მიდართუ „ნაბადი ჩაიცვა და წავიდა“. **გოქუნა** „შემოხურვა, შემობურვა (გაქუნს „შემოხვეული აქვს“)“. გვაქვს ამ ძირისაგან ნაწარმოები მიმღეობები, რომლებსაც გადატანითი მნიშვნელობაც აქვთ. **მიკო/მუკოქუნელ-ი** „ჩაცმული“; „ტანისამოსით უზრუნველყოფილი“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **-ქუნ** ძირს აქვს „დაბურვის, შეფუთვის“ მნიშვნელობა: **დიქუნუ** „თბილად ჩაიცვა, შეიფუთა“. აქედან ნაწარმოები **ქუნილ-ი** „დათბუნული, შეფუთული, ბურვილი, მოსილი“ (ქობალია 2013). **ქუნ-** ძირისაგან იწარმოება სამოსლის ზოგადი სახეობის აღმნიშვნელი სხვადასხვა ფუძე. იხ. მიკაქუნალ-ი, გინაქუნალ-ი, მაქუნალ-ი. საინტერესოა, აგრეთვე, ტანისამოსის წაღმა და უკუღმა ჩაცმის აღმნიშვნელი სიტყვები. კერძოდ, მეგრ. **მორძგვიშე მუკოქუნა** „წაღმა ჩაცმა“, ზედმიწ. „მარჯვნისკენ ჩაცმა“, **კვარჩხიშე მუკოქუნა** „უკუღმა ჩაცმა“, ზედმიწ. „მარცხნისკენ ჩაცმა“, არსებობს ამის პარალელური ფორმა: **მუნდკილე მუკოქუნა** „უკუღმა ჩაცმა“.

მეგრ. **ათაბირძღ** (ათა-ბირძღ) „ვიწრო, მოკლე შარვალი ან საცვალი აცვია“. გამოიყოფა **ბირძღ-** ძირი. შდრ. **ბირძღაფა** „პოტინება, ბლაუჭი“.

მეგრ. **ათოღუნაფა** (ათო-ღუნ-აფა) „კაბის ქვეშ პერანგის (წელამდე) ჩაცმა“. შდრ. **ღუნ-** (ღუნ-აფა) „თანხლება“. გვაქვს ამ ძირის შემცველი სხვა ერთეულიც, რომელიც გვაძლევს სემანტიკურ სხვაობას სამოსლის ადგილმდებარეობის მიხედვით: **მილაღუნაფა** (მილა-ღუნ-აფა) „კაბის ან ნებისმიერი გარეთა სამოსლის

ქვეშ რამის ჩაცმა, ჩაყოლიება“. ამ ზმნური ძირისაგან არის ნაწარმოები შიგნითა სამოსლის აღმნიშვნელი ზოგადი სახელები: **მილაცუნაფალ-ი** || **ათაცუნაფალ-ი**. ქვედაბოლოში, შარვალში ან ფეხსაცმელში რამის ჩატანიების შინაარსის გამომხატველი სიტყვაც იწარმოება ამ ძირიდან: **ინოცუნაფა** (ინო-ცუნ-აფა) „ჩატანიება, ჩაყოლიება“. ამ სემანტიკურ მრავალფეროვნებას განსაზღვრავს ზმნისწინი.

მეგრ. **აწოკირუა** (აწო-კირ-უა) „წინსაფრის წაკვრა“. გამოიყოფა **კირ-** (კირ-უა) „შეკვრა“. ფართუკის აწოკირანს „წინსაფარს წაიკრავს“. ეს საერთოქართველური ფუძეა. შდრ. ქართ. **კარ-** || **კრ-** (გ-კარ, შე-გ-კარ) : მეგრ. **კირ-** || **კვრ-** (კირ- უა || კვრ- უა) : ლაზ. **კორ-** || **კირ-** (ო-კორ-უ || ო-კირ-უ) „შეკვრა“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 170).

მეგრ. **ბურუა** „დაბურვა, დაფარება“, **ბურუნს** „იბურავს, იფარებს“ (ქაჯაია II, 2002). **ბურილ-ი** „დაბურული, დაფურული“.

მეგრ. **განჭუ** (გა-ნჭ-უ) (პალტო, ნაბადი ან ნებისმიერი შესაკრავიანი, გახსნილი სამოსი) „მოერგება, შემოსწვდება სამოსი“. შდრ. **გონჭაფა** (გო-ნჭა-ფა) || **გონჭა** (გო-ნჭ-ა) „წვდომა, გაწვდომა“.

მეგრ. **გაროკანს** „მოკლე ტანისამოსი აცვია“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **გინოფახუა** (გინო-ფახ-უა) „წამოკოსება“. ნაბადი გინოფახუდეს „ნაბადი ჰქონდათ წამოკიდებული (წამოკოსებული)“ (ქაჯაია I, 2001). შდრ. **ფახ-** (ფახ-უა) „ფახვა მატყლისა“ (ქობალია 2010).

მეგრ. **გოჯვანჯუა** „შეფუთვა, გახვევა“. სიტყვა აღნიშნულ შინაარსს გამოხატავს ზოგადად, იგულისხმება ნებისმიერი საგნის შეფუთვა ან გახვევა. მაგრამ ის ბევრი სამოსლის ერთად ან უმნოდ ჩაცმასაც ნიშნავს: იფრელი ართო ქიმკიჯვანჯუ „ყველაფერი ერთად ჩაიცვა, შეიფუთა, შემოიხვია“. **გოჯვანჯვილ-ი** „შეფუთნული, გახვეული“. სქელი ან რამდენიმე თავსაფრის ერთად შემოხვევასაც ნიშნავს: იუკა გამკინწყუ დო თით **გოჯვანჯვილი** ქმორთ ღუდეშა „ქვედა კაბა გაიძრო და იმით შეფუთნული მოვიდა სახლში“ (ხუბუა 1937, 140).

მეგრ. **გინოტოთამა** (გინო-ტოთ-ამა) „მოგდება (მხარზე)“. გამოიყოფა **ტოთ-** (ტოთ-ამა) ძირი „სროლა, გადაგდება“; გვაქვს ამ ძირისაგან ნაწარმოები **მუკოტოთამა** (მუკო-ტოთ-ამა) „ტანსაცმლის სწრაფად ჩაცმა, მოგდება“. ეს ფუძე ტანსაცმლის

გახდასაც აღნიშნავს, მაგრამ კონტექსტის მიხედვით უნდა განვასხვავოთ შინაარსი. მაგ.: კაბას უცბას **ქიმეოლოთანს** „კაბას უცებ ჩაიცვამს, ზედმიწ. „მოიგდებს“; კაბას **გამეოლოთანს** „კაბას სწრაფად გაიხდის, ზედმიწ. „გააგდებს“. ამ ზმნისაგან ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები ფეხზე ჩაცმა-გახდის, თავზე დაბურვისა და თავსაბურავის მოხდის აღსანიშნავადაც გამოიყენება. ამ ძირისგან ფეხზე სწრაფად ჩაცმის, თავზე სწრაფად დაბურვის, წელზე სწრაფად სარტყლის შემორტყმის აღმნიშვნელი სიტყვებიც იწარმოება. იხ. მოლოთამა, გულოთამა, გი/ვთოლოთამა.

მეგრ. **გორინაფა** (გო-რინა-ფა) „ტანზე მოყვანა, მორგება (ჩოხისა), **გორინელ-ი** „ტანს მომდგარი (ჩოხა)“ (ქობალია 2010). ეს სიტყვა ზედმიწევნით ნიშნავს: „გარშემო ყოფნა“. პირიანი ფორმაც ეწარმოება მას: **გარე** – კაბა გარე „კაბა მომდგარი აქვს“, ზედმიწ. „გარშემო არის“. ამ ფორმაში გა- ზმნისწინია, რე კი – „არის“.

მეგრ. **ლოფორუა** (ლო-ფორ-უა) „შემოსვა (შესუდრვის) მნიშვნელობით“. გამოიყოფა **ფორ-** ძირი, ლიფორუ „შეისუდრა“. ლოფორილი გილურცუ „შემოსილი (შესუდრული დადის)“. ამ ზმნისაგან არის ნაწარმოები სამოსლის ზოგადი სახელი **გაფორალ-ი** „შესამოსელი, შემოსაფარებელი“.

მეგრ. **ლოძონძუა** (ლო-ძონძ-უა) დაძონძვა, დახუნძვლა; ძაძებით შესუდრვა; ძონძებში გახვევა (ქობალია). ძონძ- ძირიდან არის ნაწარმოები **ლოძონძილ-ი** „ძაძებით შესუდრული, ძონძებში გახვეული“. შდრ. **ძონძ-ი** „ძონძი, დაძონძილი, ზონზროხა“. შესაძლოა ის ნაზმნარი სახელია. შდრ. ქართ. **ძონძ-ი** „ძველი, დაფლეთილი ტანისამოსი“.

მეგრ. **მუკორსხიპუა** || **მიკორსხიპუა** || **მუკორსხიპუა** (მუკო-რსხიპ-უა || მიკო-რსხიპ-უა || მუკო-რსხიპ-უა) „ვიწრო ან შემოტკეცილი ტანისამოსის ჩაცმა“. გამოიყოფა **რსხიპ-** (რსხიპ-უა) ძირი „შემოსხეპა, შემოტკეცა, განსხირპვა, გაჭიმვა“. (ქობალია 2010). მიკორსხიპანს „ვიწრო ტანისამოსს ძლივს იცვამს ისე, რომ შემოსხეპილი აქვს“. შესაბამისად, **მორსხიპილ-ი** კაბა „შემოსხეპილი, შემოტკეცილი კაბა“. ვიწრო ან შემოტკეცილი შარვლის ჩაცმასაც ნიშნავს – მირსხიპანს „ვიწრო ან შემოტკეცილ შარვალს იცვამს“. შესაბამისად, **მორსხიპილ-ი შარვალი** „შემოსხეპილი, შემოტკეცილი შარვალი“. მოცემული ფუძე ვიწრო, ფეხზე მომჯდარი ფეხსაცმლის ჩაცმისა და ვიწრო თავზე მოტკეცილი ქუდის დახურვის აღმნიშვნელ სიტყვებსაც აწარმოებს. იხ.

მორსხიპუა, გერსხიპუა. სამეცნიერო ლიტერატურაში საანალიზო ფუძის ამგვარი დაკავშირება არსებობს: ქართ. **სხერპ-** || **სხირპ-** (გან-სხირპ-ვა) „გაკერა“ : მეგრ. **რსხიპ-** (გო-რსხიპ-უ-ა) „გაკერა; მოჭერა“; ი-რსხიპ-უნ-ს „უჭერს“ < ***სხირპ-**, : სვან. **ცხეპ-** || **ცხიპ-** (ხ-ა-ცხიპ „არტყია“, ხ-ე-ცხიპი „შემოერთყმის, ერთყმება“; ხ-ე-ცხეპი-ი (ლნტ.) < * **სხეპ-** (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 278). მეგრ. **რსხიპ-** ძირისაგან იწარმოება ვიწრო, შემოტკეცილი ფეხსაცმლის ჩაცმის ან თავსაბურავის დახურვის აღმნიშვნელი სიტყვები. იხ. მეგრ. მორსხიპუა, გერსხიპუა.

მეგრ. (დუდიში) **ინოღალა** (ინო-ღალ-ა) „თავის ჩაყოფა ტანისამოსში (ჩაცმა)“. გამოიყოფა **ღალ-** (ღალ-ა) „წადება, ტარება“. ძიუთ ინიღ დუდი კაბაშა „ძლივს ჩაყო თავი კაბაში (ძლივს ჩაიცვა)“. ამ ძირისაგან იწარმოება ფეხსაცმლის ჩაცმის აღმნიშვნელი სიტყვა. იხ. (კუჩხიში) ინოღალა.

მეგრ. **ინოჩაჩვაფა** (ინო-ჩაჩვა-ფა) „უშნოდ ჩატანიება“. გამოიყოფა **ჩაჩვა-** ძირი, რომლიც გაორკეცებული ჩანს (*ჩვა-ჩვა). ინოჩაჩვანს „უშნოდ ჩაიტანიებს“. გვაქვს ამ ძირიდან ნაწარმოები ინოჩაჩვილ-ი „უშნოდ ჩატანიებული“.

მეგრ. (მუ/გააქუნალი) **გატკაჩე** (გა-ტკაჩე) || **მუ/გატკაჩე** (მუ/გა-ტკაჩე) „ტანსაცმელი შემოტკეცილი აქვს“. შდრ. **გოტკაჩუა** (გო-ტკაჩ-უა) „გაჭედვა რისამე“.

მეგრ. **მუკალაგალე** (მუკა-ლაგალე) „ზომაზე დიდი ტანსაცმელი აცვია“. შეიძლება გამოიყოს ძირი **ლაგალ-** „უნიათო სვლა, მოშვებულობა, ფამფალი“ (ქობალია 2010). გამოიყენება ფეხსაცმელთანაც და თავსაბურავთანაც. იხ. **მალაგალე** და **გიალაგალე**.

მეგრ. **გონწერუა** (გო-ნწერ-უა) „გასუდრვა, ძაძებით შემოსვა, ჩაშავება“. ინწერუ „შავებით იმოსება“. გამოიყოფა **ნწერ-** (ნ-წერუა) „შესუდრვა“. ამ ფუძეში **ნ** განვითარებულია. შდრ. **გონწერილ-ი** || **ნწერილ-ი** „გასუდრული, ძაძებით შემოსილი, ჩაშავებული“; „შესუდრული“ .

მეგრ. **მუკონტირა** (მუკო-ნტირ-ა) „შემოტევა, მორგება ტანისამოსისა“. გამოიყოფა **ნტირ-** „ტევა“. იხ. **მონტირა** (მო-ნტირ-ა) „ფეხსამოსის მორგება“; **გენტირა** გენტირა „თავზე მორგება, ზედმიწ. „შემოტევა“.

მეგრ. **ეკართუა** (ე-კართ-უა) „კალთის აწევა, აკალთვა, აკაპიწება შარვლის ტოტისა“ (ჭარაია 1997). გამოიყოფა **კართ-** (კართ-უა) „აკალთვა, აკეცვა სახელოსი“. კაბას ეიკართანს „კაბას აიკალთავენს“, მისგან არის ნაწარმოები **ეკართელ-ი** „აკალთავენული“. შდრ. ქართ. **აკუართულ-ი** „კვართ-აწეული“.

პარალელურად გვხვდება **(კილეში) კინო/კუნოკართუა** (კინო/კუნო-კართ-უა) „აკაპიწება სახელოსი“, შესაბამისად, გვაქვს მისგან ნაწარმოები **კილეკუნოკართელ-ი** „სახელოწაკაპიწებული“.

მეგრ. **ეკაპიწუა** (ე-კაპიწ-უა) იგივეა, რაც ეკართუა – შარვლის ტოტის აკეცვა (ქაჯაია I, 2001). გამოიყოფა **კაპიწ-** ძირი. ეს ფუძე, ალბათ, ქართულიდან არის შესული. შდრ. ქართ. აკაპიწება (ა-კაპიწ-ება).

მეგრ. **მუკოზიმაფა** (მუკო-ზიმ-აფა) „ჩაზომება“. –**ზიმ** (ზიმ-აფა) „ზმანება“ ზმნურ ძირს შეიცავს ეს ფუძე. გვაქვს ნაწარმოები სხვა ფუძეებიც, რომლებიც „ჩაცმის“ სემანტიკურ ჯგუფში განიხილება. იხ. **გეზიმაფა, მოზიმაფა**.

მეგრ. **ლაფაჩათ მიკოქუნა** „შილიფად ჩაცმა, მსუბუქად, ხალვათად (უსარტყლოდ, უიარალოდ) (ჭარაია 1997). ავტორი აღნიშნავს, რომ ასე იცოდნენ ძველად ჩაცმა.

მეგრ. **(ხეში) || კილეში) მითოღალა** (მითო-ღალა) „მკლავის გაყრა“, ზედმიწ. „ხელის შეტანა“. ნაწარმოებია **ღალა** „წაღება“ ზმნისაგან. ხეს მითიდანს „მკლავს გაუყრის“, ზედმიწევნით „ხელი შეაქვს“. ამ ძირისაგან ფეხსაცმლის გახდის აღმნიშვნელი სიტყვაც იწარმოება. იხ. ეშაღალა.

მეგრ. **(ხეში) მითოღვალა** (მითო-ღვ-ალა) „მკლავის გაყრა“, ზედმიწ. „ხელის, მკლავის შეღება“. ნაწარმოებია **ღვ-** (ღვ-ალა) „ღება“ ზმნისაგან. კილე ქითუდვი „მკლავი გაუყარე“, ზედმიწ. „მკლავი შედე“. ამ ძირისგან ფეხსაცმლის ჩაცმის აღმნიშვნელი სიტყვაც იწარმოება. იხ. მოღვალა.

მეგრ. **მოღვალა** (მო-ღვ-ალა) „ჩაცმა“. გამოიყოფა **ღვ-** (ღვ-ალა) „ღება“ ზმნური ძირი. მარტვილურში ეს ფორმა ტანისამოსის ჩაცმასაც ნიშნავს და ფეხსამოსისაც. მაგ. კაბას მიღვანს „კაბას იცვამს“, კუნხიშა მიღვანს „ფეხზე იცვამს“, სხვა დიალექტებში ის მხოლოდ ფეხზე ჩაცმას აღნიშნავს. მეგრულში შარვლის ჩაცმა და ფეხსაცმლის ჩაცმა ერთი და იმავე სიტყვით გადმოიცემა. მაგ.: მეგრ. **შაღვარს მიღვანს** „შარვალს ჩაიცვამს“ – **ჩაფულას მიღვანს** „ფეხსაცმელს ჩაიცვამს“. ამ მხრივ განსხვავებული ვითარება არის ქართულში, სადაც ნებისმიერი ტანისამოსისა (გარდა მოსასხმელისა) და ფეხსამოსის ჩაცმა აღინიშნება ერთი და იმავე სიტყვით. შდრ. ქართ. კაბას იცვამს, ფეხსაცმელს იცვამს, შარვალს იცვამს.

მეგრ. **(ხეში || კილეში) მიღვარღვაფა** (მიღვ-არღვ-აფა) || **კი/ღვარღვაფა ხელის** „გაყრა“. ის ნაწარმოებია **რღვაფა** „{გადა}ყრა“ ზმნური ძირისაგან. **კი/ღვარღვაფა**

|| **მი/გლარღვაფა** „ზონრის ან ნებისმიერი სახის თასმის გაყრასაც“ ნიშნავს. კაბას კილეს კულურღვანს „კაბაში მკლავს უყრის“. იხ. გახდასთან.

მეგრ. **მუკოდაცუა** (მუკო-დაც-უა) „ტანზე მომდგარი, მოტკეცილი ან ძვირფასი ტანისამოსის, ან საერთოდ, კარგად ჩაცმა“. გამოიყოფა **დაც-** (და-ცუა) „ზედმიწვევით კარგად გაკეთება“. დასტურდება მოცემული ძირისგან ნაწარმოები მიმღობა: **მოდაცილ-ი** „კარგად ჩაცმული“. ამ ძირისგან იწარმოება, აგრეთვე, ფეხსამოსის ან თავსაბურავის მოხდენილად დახურვი აღმნიშვნელი სიტყვები. იხ. მეგრ. მოდაცუა, გედაცაფა.

მეგრ. **მუკოდრანგუა** (მუკო-დრანგ-უა) „კოხტად ან მდიდრული ტანისამოსის ჩაცმა“. იხ. **მოდრანგუა**.

მეგრ. **მუკონწკილუა** (მუკო-ნწკილ-უა) „ვიწრო რამის ჩამა“, „შემოტმასნა“. გამოიყოფა **ნწკილ-** (ნწკილ-უა) „ჩაკვებება, ჩატენა“. ეს ზმნა გამოიყენება ფეხსაცმლის ჩაცმისა და თავსაბურავის დახურვის მნიშვნელობით. იხ. **მონწკილუა; გენწკილუა**.

მეგრ. **მოწკანტუა** (მო-წკანტ-უა) „კოხტად, ლამაზად, სუფთად ჩაცმა“. შდრ. წკანტუა „კოხტად და სუფთად კეთება“. **მოწკანტილი** „კოხტად ჩაცმული“.

მეგრ. **მოკვაზუა** (მო-კვაზ-უა) „კოხტად ჩაცმა, გამოწყობა“. გამოიყოფა **კვაზ-** (კვაზ-უა) ძირი „კოპწიად კეთება“.

მეგრ. **მუ/გობარღლაფა** (მუ/გო-ბარღლ-აფა) „ტანისამოსის უშნოდ ჩაცმა ან უშნო ტანისამოსის ჩაცმა“. **მუკა/მკაბარღლ** „უშნოდ აცვია ან უშნო რამე აცვია“. გამოიყოფა **ბარღლ-** ძირი. შდრ. ბარღლა || ბარღლალა „ფართხუნა, ფეთხუმი“. მიკიბარღლუანს „უშნოდ ჩაიცვამს“. ამ ფუძისგან არის ნაწარმოები **ობარღლალა** „ფართხუნა“. შესაბამისად, შეიძლება ეს სიტყვა იყოს განმსაზღვრელი სამოსლის სახეობისა. მაგ.; **ობარღლალა** **კაბა** „ფართხუნა, უშნო კაბა“; **ობარღლალა** **შარვალი** „ფართხუნა, უშნო შარვალი“; **ობარღლალა** **ქუდი** „ფართხუნა, უშნო ქუდი“. ეს ფუძე გვაქვს სხვა მნიშვნელობითაც: **მინობარღლაფა** „მსუბუქად მოხურვა, მოგდება (მხრებზე) (ქობალია 2010). მოცემული ძირისაგან ფეხზე ჩაცმისა და თავზე დაბურვის აღმნიშვნელი სიტყვებიც იწარმოება. იხ. **მობარღლაფა. გებარღლაფა**.

მეგრ. **მუ/გორჭიპუა** (მუ/გორჭიპ-უა) „ვიწრო ტანისამოსის ძლივს ჩაცმა, შემოტმასნა“. გამოიყოფა **რჭიპ-** (რჭიპ-უა) „გაჭიმვა, გაწევა“ ზმნური ძირი. მიკირჭიპანს „ვიწრო ტანისამოსს ძლივს, წელავს და ისე იცვამს“. **გორჭიპილ-ი**

კაბა „ვიწრო, შემოტმასნილი კაბა“. გვაქვს ამ ფუძის შემცველი **ათორჭიპუა** „ვიწრო საცვლის ამოცმა. ათორჭიპანს „ვიწრო საცვალს ძლივს იცვამს“. დასტურდება, აგრეთვე, მორჭიპუა „ვიწრო შარვლის ჩაცმა“, მორჭიპანს „ვიწრო შარვალს ძლივს იცვამს“. შესაბამისად, გვაქვს **გორჭიპილ-ი შარვალ-ი** „ვიწრო, შემოტმასნილი შარვალი“. ამ ძირისგან იწარმოება ფეხზე ჩაცმის ან თავზე დაბურვის აღმნიშვნელი სიტყვები. იხ. მორჭიპუა, გერჭიპუა.

მეგრ. **მუკოფიორაფა** (მუკო-ფიორ-აფა) „ფართო, გაშლილი, მსუბუქი ტანსაცმლის ჩაცმა“. შეიძლება გამოიყოს **ფიორ-** ძირი „ფარფატი, ფრიალი“.

მეგრ. **მუკოჭონჭუა** (მუკო-ჭონჭ-უა) „ბევრი ტანსაცმლის უშნოდ ჩაცმა“. გამოიყოფა **ჭონჭ-** ძირი „დაჭონჭება, დაბეზება, დაჭონჭვა“. იხ. მეგრ. **გეჭონჭუა**.

მეგრ. **მუკოფართხაფა** (მუკო-ფართხ-აფა) ტანსაცმლის უშნოდ, ფეთხუმივით ჩაცმა. შეიძლება გამოიყოს **ფართხ-** ძირი, რომელიც სავარაუდებელია, იყოს იგივე **ფართხუ** „ფეთხუმი“ (ქობალია 2010).

მეგრ. **მოკვართხუა** (მო-კვართხ-უა) „გამოკვალთვა, გამოწკეპა (ქობალია 2010). ეს ფუძე შეიცავს **კვართხ-** ძირს. შდრ. ქართ. **მოკვალთულ-ი** (მო-კვალთ-ულ-ი) – ტანზე ლამაზად გასწორებული, კოხტად მომდგარი, მჭიდროდ მომდგარი (ტანსაცმელი).

მეგრ. **მუ/გეოჟგვართაფა** (მუ/გეო-ჟგვართ-აფა) „ჩამოგრძელებული უშნო ტანსაცმლის მოუხდენლად ჩაცმა“. გამოიყოფა **ჟგვერთ-** შდრ. **ჟგვერთ-ი** „შოლტი, მოქნილი წნელი“. **მუ/გეოჟგვართუ** ე. ი. „ჩამოგრძელებული, ტანისამოსი აცვია“.

მეგრ. **მუკოქვაქვაფა** (მუკო-ქვაქვა-ფა) „ტანსაცმლის კოხტად, ლამაზად ჩაცმა“. ამ სიტყვაში შეიძლება გამოიყოს **ქვაქვა-**, რომელიც სემანტიკურად იგივეა, რაც „პატარა, მოხდენილი, კოხტა“. ის შესაძლოა, გაორკეცებული ფუძეა: ***ქვა-ქვა-** მუკაქვაქუ „კოხტა ტანისამოსი აცვია“.

მეგრ. **მოწკანტუა** (მო-წკანტ-უა) „კოხტად ჩაცმა, გამოწყობა“. გამოიყოფა **წკანტ-** (წკანტ-უა) „ზედმიწვევით კოხტად და სუფთად კეთება რისამე“. **მოწკანტილ-ი** „კოხტად ჩაცმული“.

მეგრ. **მუკა/მგეაგვანგუ** (მუკა/მგეა-გვანგ-უ) „ბევრი, სქელი ტანისამოსი აცვია“. ამ ფუძეს საწყისი არ ეწარმოება. ეს იგივე გვანგვა „სქელი, მსხვილი“ ფუძე ხომ არ არის?

მეგრ. **მუკა/მუკაჩახ-უ** (მუკა/მუკა-ჩახ-უ) „ზედმეტი რომ აცვია, ბევრი და ზომაზე დიდი“. გამოიყოფა **ჩახ-**. შეიძლება **ჩახ(გ)-** ძირის შემცველია სამოსლის ერთ-ერთი სახეობა – **ელაჩახვილ-ი კაბა** „ალაგ-ალაგ გამობერილი კაბა“.

მეგრ. **მუკოლაგალ-ი** (მუკო-ლაგალ-ი) „სრული, მოშვებული ტანისამოსის ტარება“. **მუკა/მუკალაგალჲ** (მუკა/მუკა-ლაგალჲ) „სრული, მოშვებული ტანსაცმელი აცვია“. შეიძლება გამოიყოს **ლაგალ-** ფუძე „მოშვებულობა, უნიათო სვლა“. ის დინამიკურობას ვერ გამოხატავს, სტატიკურია.

მეგრ. **მუ/გორწიპიპუა** (მუ/გო-რწიპი-უა) „ვიწრო ტანსაცმლის ძლივს ჩაცმა“. მიკირწიპიპანს „ვიწრო ტანისამოსს ძლივს იცვამს“. **მუკარწიპიპუ** || **მუკაწიპიპუ** „ვიწრო ტანისამოსი ძლივს აცვია“. გვაქვს ამ ძირის შემცველი **ათო(რ)წიპიპუა** (ათო-(რ)წიპი-უა) „ვიწრო, მოკლე შარვლის ან საცვლის ჩაცმა“. ათირწიპიპანს „მოკლე, ვიწრო შარვალს ან საცვალს ძლივს იცვამს“. ეწარმოება მიმღობური ფორმები: **მოწიპიპილ-ი** „გამოწიკებილი, კოხტად ჩაცმული“ (ჭარაია 1997). **გორწიპიპილ-ი კაბა** (შარვალი, პალტო და სხვ.). ამ ძირისაგან ფეხზე ჩაცმისა და თავზე დაბურვის აღმნიშვნელი სიტყვებიც იწარმოება. ის. **მორწიპიპუა**, **გერწიპიპუა**. გამოიყოფა **რ-წიპიპ-** (რ-წიპი-უა). მ. ჩუხუა ამ სიტყვას განიხილავს როგორც საერთოქართველურ ფუძეს. კერძოდ: **რწიპიპ-**, **რწიპიპუა** „მჭიდროდ, ვიწროდ შემოვლება, ჩაცმა რაიმესი“, **გო-რწიპიპილ-ი** „გაწიკებილი“, ქართ. **წიკიპ-** || **წიპიპ-**, **გა-წიკიპილ-ი**, სვან. **სკიპ** (ზ.ს., ლშს.), **სკუიპ** (ბქ.) „მჭიდრო“. ის აღადგენს ს. ქართვ. ***წიკიპ-** || ***წიპიპ-** „მჭიდრო, შემჭიდროება“ → ქართ. **წიკიპ-** || **წიპიპ-**, **გა-წიკიპილ-ი**, ზან. **რწიპიპ-**, **გო-რწიპიპილ-ი** (ჩუხუა, ლექს., გვ. 204). ის. **მორწიპიპუა**, **გერწიპიპუა**.

მეგრ. **მუკოშქვართაფა** (მუკო-შქვართ-აფა) „გრძელი, მდიდრული ტანისამოსის მოხდენილად ჩაცმა“. გამოიყოფა **შქვართ-**, რაც შეიძლება იგივეა, რაც **შქვართალ-** „ტანის ლამაზი რხევით სიარული“.

მეგრ. **მუკოძვაძვაფა** (მუკო-ძვაძვა-აფა) „მძიმე, სქელი, ზომაზე დიდი ტანისამოსის ჩაცმა“. ირო ჯვეში პალტოს მიკიძვაძუანს „ყოველთვის ძველ, სატარებლად მძიმე პალტოს იცვამს“. შდრ. **ძვაძვი** „ტანმძიმე, დაძონძილი ბეწვი“.

მეგრ. **მორსუა** (მორს-უა) || **მოსუა** (მოს-უა) „შემოსვა, დაფარვა“. გამოიყოფა **მორს-** || **მოს-** ძირი. **იმორსუ** იმოსება. გვაქვს მისგან ნაწარმოები ფორმები: **მორს-ილ-ი** | **დო-მორს-ილ-ი** | **გო-მორს-ილ-ი** „შემოსილი“, „დაფარული“: **დომორსილი** ცირაქ ქაწუდირთ წოხოლე „შემოსილი (კარგად ჩაცმული) გოგო დაუდგა წინ“;

გადატანითი მნიშვნელობით: **დომორსილი** კინოსე კუნთხუსუ „მოღუშული (წარბშეკრული) ზის კუთხეში“. **აკომორსილი-ი** „დაბურული“: **აკომორსილიე** ქიანა „ქვეყანა დაბურულია (ზედმიწვევით „ყველაფერი ერთპირადაა ქცეული“, „დამსობილი“; **ეშამორსილი-ი** (ა)მორთული : ჭკუდი **ეშამორსილიე**. „სასახლე (ა)მორთულია“. ეს ძირი ჩაცმის მნიშვნელობით გამოვლენილია ლაზურშიც. ერთ-ერთ მთქმელთან დაგადასტურეთ ასეთი ფორმა: **მოსვეი-მოქიტე** „ჩაცმულ-შემოსილი“. **მოსვეი-მოქიტე** გუიტუ „ჩაცმულ-მოკაზმული დადიოდა“. გამოიყოფა **მოს-**(ვ) ძირი „მოსვა, მოცვა“: პატი შუითენ მოსვე „ცუდი განზრახვის, ბნელი სულის ადამიანი“.

ქართულში **მოს-** დასტურდება უძველეს წერილობით ძეგლებში. სამეცნიერო ლიტერატურაში ქართ. **მოს-** (**მოს-ავ-ს**, **შე-ი-მოს-ა**) დაკავშირებულია სვან. **მს** - ძირთან (**ლი-მს -ი** „დაფარვა“, „შემოსვა“; **ი-მს-ი** „იმოსება“; **მს-ან** „შეიმოსა“), რომელიც <***მოს-** ძირისაგან (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 334). სვანურშივე დასტურდება, აგრეთვე, ზმნური ფორმა: **ა-მოს-ი** „შიშველს მოსავს, აცმევს“. ამ ფუძეების შესატყვისი უნდა იყოს მეგრ. ლაზ. **მორს-** || **მოს-** „შემოსვა, დაფარვა“. მეგრულ **მორს-** ძირში **რ-** ფონეტიკური დანართი უნდა იყოს (***მოს-**) ზანურში, განსაკუთრებით მეგრულში, ხშირია **რ-**ს განვითარების შემთხვევები სპირანტების წინ. მაგ.: **ქორსა** (← **ქოსა**), **ფირსა** (← **ფისი**). სპირანტების წინ **რ-**ს განვითარების თითო-ოროლა მაგალითი ლაზურშიც დასტურდება. მაგ. **სეს-ი** | **სერს-ი** „ხმა“, **კორღონ-ი** „კოღო“. სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ განვითარებული **რ-** ღია მარცვალს ხურავს (დანელია 1980, 176). ალბათ, ამ ფონეტიკური მოვლენის გამო გვაქვს მეგრ. **მორს-** | **მოს-** (**მორს-უა** | **მოს-უა**), ხოლო ლაზ. **მოს-** (ვეი).

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება ქართ. **მოს-** ძირის ირანული წარმომავლობის შესახებ (ანდრონიკაშვილი 1966, 258).

ვინაიდან, ქართ. **მოს-** ზმნური ფუძე დასტურდება უძველეს ქართულ ტექსტებში და მოეპოვება შესატყვისი სვანურში, მეგრულსა და ლაზურში, ვერ გავიზიარებთ მ. ანდრონიკაშვილის მოსაზრებას მისი ირანულიდან ნასესხობის შესახებ, მით უმეტეს ირანულში გვიანდელი ფონეტიკური ვარიანტია.

მეგრ. **მოლება** (მო-ლ-ება) „მორგება“. ზედმიწ. „მოუვა“. ბაღანას პალტო ვამალე „ბავშვს პალტო არ მოერგება“. მოცემულ ფუძეში გამოიყოფა **ლ-** ძირი,

რომელსაც მეგრ. ულა „სვლა“ ზმნის შემცველია. იხ. მეგრ. მოლება ფეხსაცმელთან.

მეგრ. მუკატატე || მკატატე „თხელი, სხეულს ზედ რომ ედება, ისეთი რამე აცვია“. გამოიყოფა ტატ- ძირი. შდრ. გეტატაფა „ოდნავ შეხება“. გვაქვს მისგან ნაწარმოები ათოტატაფა (ათო-ტატ-აფა) საცვლის ამოცმა“. ამ ძირისგან ფეხზე ჩაცმისა და თავზე დაბურვის აღმნიშვნელი სიტყვებიც იწარმოება. იხ. მეგრ. მოტატაფა, გეტატაფა. შესაძლოა, იმავე ძირს შეიცავს მეგრ. მატატია „ერთგვარი ჩუსტი, უქუსლო, ე. ი. ფეხის შესაყოფი“.

მეგრ. მუ/მკონბგილუა (მუ/მკო-ნბგილ-უა) „ჩაცმა (გაჭირვებით)“. გამოიყოფა ნბგილ- (ნბგილაფა || ნბგილაფი || ნბგვილაფი) „ჩიჩქნა“ ზმნური ძირი. მიკინბგილანს „ვიწრო ტანსაცმელს ძლივს იცვამს“, მკანბგილჲ „ძლივს აცვია (ვიწროა)“. ამ ძირისგან ზმნისწინების მეშვეობით იწარმოება ფეხზე ჩაცმისა და თავზე დაბურვის აღმნიშვნელი სიტყვები. იხ. მეგრ. მონბგილუა, გენბგილუა.

მეგრ. მუკოგუჯუა (მუკო-გუჯ-უა) „ბევრის ჩაცმა“. გამოიყოფა გუჯ- ძირი. შდრ. გუჯუა (გუჯ-უა) „ამოვსება (რითიმე ნახვრეტისა), ჩა-ტენა, ჩხერა“ (ქაჯაია II, 2002).

მეგრ. მუკონწილუა (მუკო-წილ-უა) „ვიწრო ტანსაცმლის ჩაცმა“. გამოიყოფა ნაწარმოებია ნწილ- (ნწილ-უა) „მაგრად ჩაჭერა“. მიკინწილანს ვიწრო ტანისამოსს იცვამს. ამავე მნიშვნელობით გვხვდება გონწილუა (გონ-წილ-უა). ამ ძირისგან იწარმოება ფეხზე ჩაცმისა და თავზე დაბურვის აღმნიშვნელი სიტყვები. იხ. მეგრ. მონწილუა, გენწილუა.

მეგრ. მუკოფორაფა (მუკო-ფორ-აფა) || მკოფორაფა (მკო-ფორ-აფა) მოფარება (ტანზე) (ქობალია 2010). მიკიფორანს „იცვამს (იფარავს ტანს, მთავარია, ჩაიცვას, შემოსილი იყოს და არა აქვს მნიშვნელობა, რას ჩაიცვამს). მუდგიას მიკიფობრანქ „ნებისმიერ რამეს ჩავიცვამ“, ე. ი. ტანისამოსი არ არის მისთვის მთავარი.

მეგრ. მუკოფაყვაფა (მუკო-ფაყვ-აფა) „ფაფუკი რამის ჩაცმა“. ეს ზმნა უფრო სტატიკურობას გამოხატავს, მაგ., მუკაფაყუ „ფაფუკი, ბეწვიანი რამე აცვია“; გინაფაყუ „ფაფუკი რამე აქვს მოგდებული“. გამოიყოფა ფაყვ- ძირი (ფაყვ-ინ-ი || ფაყვ-ინ-ი || ფაყ-უა) „მჩატედ (ფაყვედ) გდება, ჯდომა, ვარდნა“ (ქაჯაია II, 2002). ამ ძირისგან იწარმოება ფაფუკი ფეხსამოსის ან ფაფუკი თავსაბურავის დაბურვის აღმნიშვნელი სიტყვები. იხ. გიოფაყუ, მაფაყუ.

მეგრ. **მუკოჩვანჩუა** (მუკო-ჩვანჩ-უა) „ბევრის უშნოდ ჩაცმა“. მიკიჩვანჩანს „ბევრს, უშნოდ იცვამს“.

მეგრ. **მუკოყვაყვაფა** (მუკო-ყვაყვა-ფა) || **მუკოყვაყვაფა** (მუმუკო-ყვაყვა-ფა) „ჩაცმა (ბეწვიანი რამისა)“. ბეწვიში პალტო მუკაყვაყუ „ბეწვის პალტო აცვია“. გამოიყოფა **ყვაყვ-** (ყვაყვ-აფი) „რბლად, დიდი ფანტელებით თოვა, ბურტყელის ცვენა“ (ქობალია 2010). მისგან მიმდებარე იწარმოება: **დოყვაყვილ-**ი „რბილი, თბილი, ბეწვიანი რამით შემოსილი“. ამ ძირისგან ფეხზე ჩაცმისა და თავზე დაბურვის აღმნიშვნელი სიტყვებიც იწარმოება.

მეგრ. **გონწერუა** (გო-ნწერ-უა) „გასუდრვა, ძაძებით შემოსვა, ჩაშავება“. (ქობალია 2010). **გონწერილ-**ი „გასუდრული, ძაძებით შემოსილი, ჩაშავებული“ (ქობალია 2010). ეს სიტყვა წყევლის ერთგვარი ფორმულაც არის: გონწერილი სქანი დუდი! „გამწარდე შენ!“.

მეგრ. **მოკვანწუა** (მო-კვანწ-უა) „გამოწყობა, კოხტად ჩაცმა“. გამოიყოფა **კვანწ-** (კვანწ-უა) ძირი „ლამაზად, კოხტად გაკეთება საქმისა“. მიკვანწუ „კარგად გამოეწყო, კოხტად ჩაიცვა“. **მოკვანწილ-**ი „მორთული (ტანისამოსით ან სამკაულებით), მოკაზმული“.

მეგრ. **მონწყუალა** (მო-ნწყუ-ალა) „მორთვა, მოწყობა (ტანისამოსითაც და სამკაულებითაც)“. გაგმინწყუ „ჩაიცვა, გაემზადა“. ნაწარმოებია **ნწყუ-** (ნწყუ-ალა) „წყობა, წესრიგში მოყვანა“ ზმნისაგან. **მონწყილ-**ი || **მონწყიერ-**ი „მორთული, მოწყობილი“ (ქაჯჯაია II, 2002).

მეგრ. **მოდირზუა** (მო-ღირზ-უა) „მოტმასნა, უგვანოდ შემოკვალთვა (შარგლისა)“ **მუნადირზა** „მოტმასნილი (შარგალი)“ (ქობალია 2010).

მეგრ. **მუკოციკუა** (მუკო-ციკ-უა) „მოკლე ტანისამოსის ჩაცმა“. გამოიყოფა **ციკ-** (ციკ-უა) „სობა“. მიკიციკანს „მოკლე ტანისამოსს იცვამს, არ ერგება“. შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება გვექონდეს კაბის ამგვარი სახე: **მოციკილ-**ი **კაბა** „ძალიან მოკლე კაბა (შეუსაბამო)“. ციკუა ფუძისაგან იწარმოება ფეხზე ჩაცმისა და თავზე დაბურვის აღმნიშვნელი სიტყვები. იხ. მეგრ. **მოციკუა**, **ბეციკუა**.

მეგრ. **მუკოძგიბუა** (მუკო-ძგიბ-უა) „ვიწრო ტანსაცმლის ჩაცმა“. გამოიყოფა – **ძგიბ-** (ძგიბ-უა) ზმნური ძირი „ამოვსება, დატენა, დაცობა“. **მიკიძგიბანს** „ვიწრო ტანსაცმელს იცვამს. შდრ. ქართ. **ძგიბ-** (ძგიბ-ვა) „ჭიმვა“. ამ ძირისგან იწარმოება

ფეხზე ჩაცმისა და თავზე დაბურვის აღმნიშვნელი სიტყვები. იხ. მეგრ. მოძებუა, გეძებუა.

მეგრ. **მოფირფიშუა** (მო-ფირფიშ-უა) „ლამაზად, კოხტად ან ფურფუშებიანი ტანისამოსის ჩაცმა“. შდრ. **ფირფიშ-ი**. იგივეა, რაც ქართ. ფურფუშები- „ნაოჭასხმული ნაჭრები, ტანსაცმელზე თუ სხვა რამეზე მოსართავად დაკერებული“. მიფირფიშუ „ლამაზად, კოხტად ჩაიცვა“. **მოფირფიშელ-ი** „ლამაზად გამოწყობილი ან ფურფუშებიანი ტანისამოსით შემოსილი“.

მეგრ. **მოჩისტუა** (მო-ჩისტ-უა) „კოხტად, სუფთად ჩაცმა, გამოწყობა“. გამოიყოფა **ჩისტ-** ძირი. შდრ. რუს. **чисто** „სუფთად, წმინდად, ფაქიზად“. მოჩისტელე „კოხტად, სუფთად ჩაცმულა“. მისგან ნაწარმოები **მოჩისტილ-ი** „კარგად ჩაცმული“.

მეგრ. **მგაჩახ-უ** „ზედმეტი რომ აცვია, ბევრი და ზომაზე დიდი“. ამ ზმნას არ ეწარმოება საწყისი, გამოხატავს მხოლოდ სტატიკურობას.

მეგრ. **სურდუა** „შავად შემოსვა“. გისურდუ „შავად შეიმოსა, შეისუდრა“. ეწარმოება მიმღეობაც: **სურდილ-ი** „შავით შემოსილი, შესუდრული“. შდრ. ქართ. შესუდვრა.

მეგრ. **შხვართუა** (შხვართ-უა) „ტანსაცმლის მოხდენილად (ლამაზად) ტარება“ (ყიფშიძე 1994). შდრ. ოშხვართალაია ეს შეიძლება ნასახელარი ზმნა იყოს, ნაწარმოები შხვართ-ი || შხვერთ-ი || შხვერთ-ი „სწორი, მოქნილი, კარგად მოყვანილი და გრძელი“ სახელისაგან. მუკაშხვართ „გრძელი, მოხდენილი ტანისამოსი აცვია“.

მეგრ. **მუკოფართხალაფა** (მუკო-ფართხალ-აფა) „ტანისამოსის უშნოდ ჩაცმა“. გამოიყოფა **ფართხალ-** ძირი, შდრ. მეგრ. **ფართხალ-ი** „ფართხალი, ფართხუნი“, ფართხალა „ფართხუნა“. შდრ. ქართ. **ფეთხუმ-ი** „უწესრიგო, უსუფთაო“. მუკაფართხალ „ფართხუნა ტანსაცმელი აცვია; უშნოდ აცვია“. შესაბამისად, გვაქვს სახეობა სამოსლისა: **ოფართხალაია კაბა** „ფართხუნა, უშნო კაბა“.

მეგრ. **მუკოძიკუა** (მუკო-ძიკ-უა) || **მგოძიკუა** (მგო-ძიკ-უა) „ვიწრო, მოკლე რამის ჩაცმა“. **მუკაძიკე** „ვიწრო, მოკლე რამ აცვია“. **ათოძიკუა** (ათო-ძიკ-უა) „ვიწრო რამის ამოცმა“. ათაძიკე „ვიწრო რამე აცვია“. გამოიყოფა **ძიკ-** ძირი, **ძიკუა** (ძიკ-უა) „გატენა, გავსება“. შდრ. ქიზიყ. **ძეკ-** (გამო-ძეკ-ვა) „გავსება, გამოტენა (ტომრის, გუდასი და მისთ.)“, **გამოძეკილ-ი** (გამო-ძეკ-ილ-ი) „რაც გამოძეკეს“ (ქეგლი II, 2010). ეს ძირი დასტურდება ქართლურშიც: **ძეკ-, გაძეკილ-**

ი (გა-ძეკ-ილ-ი), ჩაძეკილ-ი (ჩა-ძეკ-ილ-ი) „ძალიან გავსებული, გატენილი“. მეგრ. ძიკ- ძირისაგან იწარმოება ფეხსაცმლის ჩაცმისა და თავსაბურავის დაბურვის აღმნიშვნელი სახელებიც. იხ. მეგრ. მოძიკუა, გეძიკუა.

მეგრ. მუკაფაჟვალე (მუკა-ფაჟვალე) || მუკაფაჟვალე (მუკაფაჟვალე) „ხალვათად, უმნოდ აცვია“. გამოიყოფა ფაჟე- ძირი. შდრ. მეგრ. ფაჟუა „მოშვება, გაწელება, ჩაფართხუნება“, გოფაჟვალ-ი სიხალვათე (სამოსისა ტანზე)“ (ქობალია 2010).

მეგრ. მოჩარხუა (მო-ჩარხ-უა) „კარგად ჩაცმა-დახურვა, ჩალხად ჩაცმა (ფეხზე), შემართვა“ (ქობალია 2010). გამოიყოფა ძირი ჩარხ-. გვაქვს აქედან ნაწარმოები მოჩარხილ-ი „კარგად ჩაცმულ-დახურული, ჩალხად ჩაცმული ფეხზე, გამოჯგიმული“. მოჩარხელე „კარგად, კარგი ტანისამოსით გამოწყობილა, გამოჯგიმულა“. იხ. მეგრ. მოჩარხაფა.

მეგრ. ქუნჩუა (ქუნჩ-უა) „შეხვევა, შებურვა, ქუნჩით დათბუნება“. დუდი ახალი ნაბონა გაფუ დო მანგარას გიიქუნჩი! „თავი ახალი დაბანილი გაქვს და მაგრად შეიხვიე!“ (ქაჯაია III, 2002). დოქუნჩილი რე „შებურვილია, ბევრი რამ აქვს ტანზე შემოხვეული“.

ლაზური

ლაზ. გეკართუ || გეკართაფა „დაკაპიწება, გამოწყობა, გალამაზება“. შდრ. გეკართერი „სახელოდაკაპიწებელი“ (თანდილავა 2013).

ლაზ. გოთვალუ || გოთუმუ || გოთუმალუ „შემოხვევა, შემოფარვა“ (თანდილავა 2013). მეტაქსიში გოთვალუ, ხოლო ძირაჯე ჩარშავი დუჭოფათენ „აბრეშუმის შემოსახვევი, კიდევ ფირალის პირბადე უნდა უყიდოთ (ჩიქობავა 1936, 64). შდრ. გოთუმალაფა „ირგვლივ მოფარება“.

ლაზ. გოკირუ || გოლაკირუ || გოლაკორუ || გოლაკიაფა „შეხვევა, შემოხვევა“ (თანდილავა 2013). არ მუთხანი ქაგეპწი დო ქოგოვიკი „ერთი რაღაც ჩამოვხსენი და შევიხვიე“ (კარტოზია 1972, 124). შდრ. ლაზ. გოლაკიალე „შემოსაკრავი, შემოსახვევი“.

ლაზ. გონძიქუ „აკალთავება, წაკაპიწება“. შდრ. გონძიქერი „აკალთავებული“ (თანდილავა 2013).

ლაზ. გორჩუ „შემოფარვა, შემოხვევა“ (თანდილავა 2013).

ლაზ. გოწაკორუ || გოწაკირუ „წაკვრა (წინსაფრის)“. ბოზოფე კუნხე ტეტელი, თის არ დაზმა მელაკორერ დო არ ფოტა გოწაკორერ დუღდაშა ულუნან

„გოგოები ფეხშიშველნი, თავზე ერთ თავსაფარშემოსხვეულ და ერთ წინსაფარწაკრული მიდიან“ (ლაზურის ფონდი).

ლაზ. **დოლოდრაწუ** „მიტმასნვა ტანსაცმლის და ჩაღმავეების გაჩენა“ (უზუნჰასანოდლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007).

ლაზ. **დოლოქუნუ** „ჩაცმა (ტანზე)“ (თანდილავა 2013), რომელიც „ჩასაცმელსაც“ ნიშნავს. მან დოლოქუნა „ვიცვამ (ტანზე)“. ეშო დოლოქუნს, მუთუ ვარ აძირენ „ისე აცვია, რომ არაფერი არ უჩანს“ (ჩვენი მასალა) || **დოლოქუნაფა** „ჩაცმა“ (თანდილავა 2013). ჭუმანიში ქაგოპკუცხი დო ქეისელი, **ქოდოლოქუნი** ჩორკაფე „დილას გავიდვიძე და ავდექი, ჩავიცვი ტანისამოსი (კაბები) (ასათიანი 1974, 53). შდრ. **დოლოქუნერ-ი** „ჩაცმული“. იხ. მეგრ. **დოქუნუა**.

ლაზ. **ელანბიქუ** „აკალთავება“. შდრ. ლაზ. **ელანბიქერი** „აკალთავებული“. (თანდილავა 2013).

ლაზ. **თათმანიში მოდვალუ** „ხელთათმანის გაკეთება“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. **მეზიმუ** „მოზმანება“. მან **მეზიმუფ** „ვიზომებ“. იხ. მეგრ. **მეზიმაფა** „მოზომება“, „მოზმანება“ (ო. ქაჯაია II, 2002).

ლაზ. **მოლანბიქუ** || **ელანბიქუ** „აკეცვა (გრძელის სამოსის ან ხელის)“. მან შარვაჲ ელანბიქედ მიღუნ „მე შარვალი აკეცილი მაქვს“. შდრ. **ელანბიქე** „აკეცილი“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. **მოქთიუ** „გამოცვლა“. მა ვიქტაფ „ვიცვლი“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. **მოწიფხუ, მოწყვინუ** „მორთვა, გამოწყობა“ (ჩვენი მასალა).

2) თავსაბურავის დახურვა

მეგრული

მეგრ. **ბურუა** (ბურ-უა) „დაბურვა, დაფარება“ (ჭარაია 1997). გამოიყოფა **ბურ-** ძირი: **ბურუნს** „იბურავს, იფარებს“. მისგან არის ნაწარმოები თავსაბურავის აღმნიშვნელი ზოგადი სახელი **ობურალ-ი** (ო-ბურ-ალ-ი) „დასაბურავი“. ის წარმოებით მიმდებარა, დანიშნულებას გამოხატავს. შდრ. ქართ. **ბურ-** (ბურვა) „ზეიდამ დაფარება“ (საბა).

მეგრ. **გერთუმალა** (გე-რთ-უმ-ალა) || **გეთუმალა** (გე-თუმ-ალა) „დახურვა, დაბურვა (თავისა)“. გამოიყოფა დახურვის, დაბურვის აღმნიშვნელი **რთ-** ძირი. გირთვანს „იხურავს“. ამ ძირის შემცველი სიტყვა გვაქვს ლაზურში. შდრ. ლაზ.

მოთვალუ || მოთუმუ. მეგრ. რთ- ძირიდან არის ნაწარმოები თავსაბურავის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინები. იხ. გიორთუმალარ-ი.

მეგრ. **გებარდლაფა** (გე-ბარდლ-აფა) „უშნო თავსაბურავის ან თავსაბურავის უშნოდ დაფარება“. **გიობარდღღ** „უშნოდ ან უშნო რამე ახურავს, აფარია“. ამ ძირისგან ტანისამოსისა და ფეხსაცმლის ჩაცმის ჩაცმის აღმნიშვნელი სიტყვებიც იწარმოება. იხ. მუკობარდლაფა, მობარდლაფა.

მეგრ. **გებარტყაფა** (გე-ბარტყ-აფა) „რბილი, ფაფუკი თავსაბურავის დახურვა, დაფარება“. გამოიყოფა **ბარტყ-** ზმნური ძირი. შდრ. **ბარტყუა** „ბერტყვა, ფერთხვა, რბილად გარტყმა; **დააბარტყუ** „რბილად დაეცა“; **ბირტყა** „ბრტყელი“. **ქუდი გიობარტყ** „რბილი ფაფუკი ქუდი ახურავს“.

მეგრ. **გეპიძგაფა** (გე-პიძგ-აფა) „ვიწრო თავსაბურავის დახურვა“. **გიობიძგ** (გიო-ბიძგ) „ვიწრო თავსაბურავი ახურავს“. ამ ძირის შემცველი სიტყვა გვაქვს ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის ჩაცმის აღსანიშნავადაც.

მეგრ. **გედაცაფა** (გე-დაც-აფა) „მოხდენილად ან სწრაფად ქუდის დახურვა“. ქიგიდაცანს ქუდის „მოხდენილად დაიხურავს ქუდს“. გამოიყოფა **დაც-** ძირი. მისგან იწარმოება ტანისამოსისა და ფეხსამოსის ჩაცმის აღმნიშვნელი სიტყვები. იხ. მეგრ. მუკოდაცუა, მოდაცუა.

მეგრ. **გეზიმაფა** „თავსაბურავის დაზომება“. დუდიშა გიზიმუანს „თავზე მოიზომებს“.

მეგრ. **გეკვაკვაფა** (გე-კვაკვა-ფა) „კოხტად ან კოხტა, პატარა თავსაბურავის დახურვა“. გეკვაკუანს „კოხტა თავსაბურავს, ან კოხტა თავსაბურავს კოხტად იხურავს“. გამოიყოფა **კვაკვა-** ძირი, რომელიც გაორკეცებულია. შდრ. მეგრ. კვაკვა „კოხტა, ლამაზი“ (ქობალია 2010).

მეგრ. **გენტირა** (გე-ნტირ-ა) „თავზე მორგება, მეტწილად ქუდისა“, ზედმიწ. „დატევა“. გამოიყოფა **ნტირ-** (ნტირ-ა) „დატევა“ ზმნური ძირი. დუსუ ქუდი გიანტირე „თავზე ქუდი ეტევა“. ამ ძირისგან ნაწარმოები სიტყვები გვაქვს ტანისამოსისა და ფეხსამოსის ჩაცმის მნიშვნელობითაც. იხ. მეგრ. მუკონტირა, მონტირა.

მეგრ. **გენწილუა** (გე-ნწილ-უა) „ვიწრო ქუდის დახურვა“. გიონწილგ. „ვიწრო ქუდი ახურავს“. ამოსავალი არის **ნწილ-** (ნწილ-უა) „მაგრად ჩაწერა“. ამ ძირისგან ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ჩაცმის აღმნიშვნელი სიტყვებიც იწარმოება. იხ. მეგრ. მუკონწილუა, მონწილუა.

მეგრ. **გერჭიპუა** (გე-რჭიპ-უა) „ვიწრო ქუდის დახურვა“. გამოიყოფა **რჭიპ-** ძირი. **რჭიპუა** (რჭიპ-უა) „გაჭიმვა, გაწევა“. გირჭიპანს „ვიწრო ქუდს იხურავს“. ამ ძირისგან იწარმოება ტანისამოსისა და ფეხსამოსის ჩაჩმის აღმნიშვნელი სიტყვები. იხ. მეგრ. მუკორჭიპუა, მორჭიპუა.

მეგრ. **გეფახვაფა** (გე-ფახვ-აფა) „მსუბუქი ან ფუმფულა ქუდის დახურვა ან თავსაფრის დაფარება“. გამოიყოფა **ფახვ-** ზმნური ძირი. შდრ. მეგრ. **ფახვ-** „მსუბუქი რამის ან ვინმეს დავარდნა, დაცემა“ (ქობალია 2010), გიოფახუ „მსუბუქი, ფუმფულა თავსაბურავი ახურავს“.

მეგრ. **გეფაყვაფა** (გე-ფაყვ-აფა) „მსუბუქი, ბეწვიანი თავსაბურავის, უფრო მეტად ქუდის დახურვა“. **ფაყვ-** არის ზმნური ძირი. შდრ. **ფაყვინ-**ი (ფაყვ-ინ-ი) || **ფაყვინ-**ი (ფაყვ-ინ-ი) || **ფაყუა** (ფაყ-უა) „მჩატედ (ფაყვედ) გდება, ჯდომა, ვარდნა“ (ქაჯაია I, 2001). გიოფაყუ „მსუბუქი, ბეწვიანი თავსაბურავი ახურავს (მჩატედ)“. შდრ. იმერ. **ფაყვე** „ზომაზე დიდი ტანისამოსი“ (ჭყონია 1910). მეგრ. **ფაყვ-** სიტყვის ისტორიისთვის იხ. მეგრ. ფაყუ.

მეგრ. **გეფორაფა** (გე-ფორ-აფა) „დაფარება“. გამოიყოფა **ფორ-** (ფორ-უა) ზმნური ძირი, რომლისგანაც არის ნაწარმოები **აწოფორაფა** (აწო-ფორ-აფა) ჩამოფარება (თავსაფრისა), ჩამოფხატვა (ქუდისა), იხ. **აწოფორაფა** ტანსაცმელთან „წინსაფრის წაკვრა“.

მეგრ. **გეტატაფა** (გე-ტატა-ფა) „თხელი, მსუბუქი თავსაბურავის დახურვა“. ქუდი **გიოტატე** „თხელი ქუდი ახურავს“. გამოიყოფა **ტატ-** (ტატ-აფა) ზმნური ძირი. მისგან ნაწარმოები სიტყვები გვაქვს ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ჩაცმის სემანტიკურ ჯგუფში. იხ. მეგრ. მუკოტატაფა, მოტატაფა.

მეგრ. **გიალაგალე** „ზომაზე დიდი ქუდი ახურავს ისე, რომ ქუდი თავის გარშემო მოძრაობს.“

მეგრ. **გიოთყვაყვაფა** (გიოთ-ყვაყვა-ფა) „ყელზე ბეწვიანი რამის (თავსაფრის ან კაშნეს შემოხვევა)“. **გიოთყვაყუ** „ყელზე ბეწვიანი მოსახვევი აქვს მოხვეული. გამოიყოფა **ყვაყვ-** ძირი. მისგან ნაწარმოები სიტყვები გვაქვს ტანისამოსისა და ფეხსამოსის ჩაცმის აღმნიშვნელ თემატურ ჯგუფში. იხ. მეგრ. მუკოყვაყვაფა, მოყვაყვაფა.

მეგრ. **გენწკილუა** „ვიწრო თავსაბურავის, კერძოდ, ქუდის დახურვა“.

მეგრ. **გეფახინი**-ი (გე-ფახინ-ი) „ქუდის (სრულად) დახურვა“. იგივეა, რაც გეფახინი „დიდი რამის ფუყედ დება“ (ქაჯაია I, 2001). ქუდი გიოფახუ ღუს „ქუდი (სრულად) ახურავს თავზე“.

მეგრ. **გეტატაფა** (გე-ტატა-ფა) „თხელი, მსუბუქი თავსაბურავის დახურვა“. ქუდი **გიოტატე** „თხელი ქუდი ახურავს“. გამოიყოფა **ტატ-** (ტატ-აფა) ზმნური ძირი. მისგან ნაწარმოები სიტყვები გვაქვს ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ჩაცმის სემანტიკურ ჯგუფში. იხ. მეგრ. მუკოტატაფა, მოტატაფა.

მეგრ. **გიოდვალა** (გიოდ-ვალ-ა) || **გოდვალა** (გოდ-ვალ-ა) „ყელზე კაშნეს ან სხვა რამის შემოვლება (შემოდება)“. გიოდვანს „ყელზე კაშნეს ან სხვა რამეს შემოიდებს“. ნაწარმოებია **დვალ-** (დვალ-ა) „დება“ ზმნური ძირისაგან. მისგან არის ნაწარმოები ყელზე შემოსახვევის ზოგადი სახელწოდება – **გუთადვალარ-ი** (გუთა-დვალ-არ-ი) || **გითადვალარ-ი** (გითა-დვალ-არ-ი) „შემოსადები (მოსახვევი)“, რომელიც წარმოებით მიმდებარა, დანიშნულებას გამოხატავს. სტატიკურობის გადმოსაცემად მას სხვა ფუძე ენაცვლება. კერძოდ, (კისერს) **გუთოდე** || **გოდოდე** || **გუთადე** „ყელზე აქვს შემოვლებული, შემოდებული“.

მეგრ. **გუთოსკუალა** (გუთო-სკუ-ალა) || **გუთოსქუალა** (გუთო-სქუ-ალა) „ყელზე შემოსხვევა, შეკვრა“. გამოიყოფა **სქუ-** || **სკუ-** ძირი, „შეკვრას ნიშნავს“. გითოსკუანს „ყელზე შემოიხვევს“.

მეგრ. **კირ-** „შეკვრა“ ზმნის ძირისაგან იწარმოება სხვადასხვა შინაარსის ფუძეები: **გიოთკირუა** (გიოთ-კირ-უა) || **გოდთკირუა** (გოდთ-კირ-უა) „ყელზე შემოსხვევა“. **გითაკირე** || **გუთაკირე** „ყელზე შემოსხვეული აქვს“; **გოთკირუა** (გო-კირ-უა) „თავის შეკვრა, შეხვევა, ყაბალახის შემოსხვევა“; **ქიგიკირე ბაშლაყუ** „შემოიხვია ყაბალახი“; **(ღუდიშ) კინოკირუა** (კინოკირუა) || **კენოკირუა** (კენოკირუა) „წაკვრა“. კინიკირანს „წაიკრავს“. მოცემული ზმნა გადატანითი მნიშვნელობით გვხვდება შესიტყვებაში: **ცვაში კინოკირუა** „დამწუხრება, მგლოვიარობა“, ზედმიწ. შუბლზე წაკვრა“. ეს ერთგვარი ეთნოგრაფიული წესია, რომლის არსი ასეთია: გლოვის ნიშნად კაცებიც და ქალებიც თავ-შუბლს შავი სამკუთხა თავსაფრით იკრავენ (ქობალია 2010).

მეგრ. **გეოთამა** (გეოთ-ამა) „სწრაფად დახურვა თავსაბურავისა“, ზედმიწ. „თავზე საბურავის დაგდება“. გამოიყოფა **ცოთ-** (ცოთ-ამა) ძირი. „დაგდება“. ამ

ძირისგან იწარმოება ტანისამოსისა და ფეხსამოსის ჩაცმის აღმნიშვნელი სიტყვები. იხ. მეგრ. მოცოთამა, მუკოცოთამა.

მეგრ. **გონვანჯა** (გო-ხვან-ჯა) „გახვევა, გაბურვა; მრავალფად შეფუთვა, შებურვა (თავისა). **გინვანჯან**-ს „მრავალფად, ან თბილი თავსაფრით შეიფუთავს, შეიბურავს თავს“. გამოიყოფა **ხვან**- ზმნური ძირი. ამ შინაარსის მიხედვით თავსაფარი შეიძლება იყოს გახვანჯალი.

მეგრ. **გოკარკატუა** (გო-კარკატ-უა) „შემოხვევა (თავსაბურავისა, თავშესაკრავისა)“. გამოიყოფა **კარკატ**- ძირი. დუდიშა ბაშლაყუს ქიგიკარკატანს „თავზე ყაბალახს შემოიხვევს“.

მეგრ. **მოციკაფა** (მო-ციკ-აფა) „ცილინდრით ან უშნო ქუდის დახურვა, წამოცმა თავზე“. გამოიყოფა **ციკ**- (მო-ციკ-უა) ძირი „წამოცმა“ (ტარზე). **ქუდი გოციკე** ქუდი ახურავს“.

ლაზური

ლაზ. **გოთვალუ** „დაფარება“. შდრ. **გოთვალეი** „დაფარებული“. არ ოხონიშა ქომოხთუ ფოსტი გოთვალეი დო ხეზმექადა ქემზდით!-და „ერთ სახლში მოვიდა ტყავდაფარებული და მოსამსახურედ ამიყვანეთ!-ო“ (ასათიანი 1974, 102).

ლაზ. **გოკირუ** || **გოკიუ** „შემოკვრა, შემოხვევა“. კაპულას ფალთო, თის ბაშლული გოკირტუჭკულე ჰემდი ხოლო ყინითენ თირთინტუ „ზურგზე პალტო, თავზე ბაშლაყი ჰქონდა შემოკრული ჰემდის და მაინც სიცივით კანკალებდა“ (ჩიქობობავა 1929, 28). ასათიანთან გვაქვს: ელო(<ელა-ო)-**კორ**-უნ რე¹შემოხვეული აქვს (გარედან, გარშემო...). შდრ. **მელაკორერ**-ი „შეხვეული“ (**მელა-კორ-ერ**-ი): თის-თი უჩა ძაზმა მელაკორერ გულუნან „თავზე შავთავსაფარშემოხვეულები დადიან“ (დიუმეზილი 2009, 128). ყალის კასინკა გოკირს „ყელზე კასინკა აქვს შემოხვეული“ (ჩვენის მასალა).

ლაზ. **გოლაკიუ** || **თის გოლაკიუ** „წაკვრა“ (ჩვენის მასალა).

ლაზ. **გეეთვალა** || **გეეთვალაფა** „დაფარება, დახურვა“. შდრ. **გეეთვალერი** „დახურული“. უურ პატანიე გეეთვალერი ჯანუტუ „ორი საბანგადახურული იწვა“ (თანდილავა 2013).

ლაზ. **ეთვაფა** „დახურება“ (თანდილავა 2013).

ლაზ. ელაკირუ „შემოსხვევა“. შდრ. ელაკირერ-ი, ელაკირელ-ი „შემოსხვეული“. აზმა ელაკირელი მუნტუ ქაიშია „თავსაფარშემოსხვეული მოდიოდა სოფელში“ (ლაზურის ფონდი).

ლაზ. მელაკორუ || მილაკორუ || მილაკორაფა „შეხვევა, გახვევა“. ბოზოფე კუჩხე ტეტელი, თის არ აზმა მელაკორერ დო არ ფოტა გოწაკორერ დუღაშა ულუნან „გოგოები ფეხშიშველნი, თავზე ერთ თავსაფარშემოსხვეული და ერთ წინსაფარწაკრული მიდიან“ (ლაზურის ფონდი).

ლაზ. მეჟაკიუ „წაკვრა“ || თი მეჟაკიუ „თავზე წაკვრა“. თი მეჟაკიერი გიღუ „თავი წაკრული გაქვს“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. მოთუმუ „დახურვა“. მან მოითუმერ მანდილის „მანდილს ვიხურავ“. პაპახიში მოთუმუ „ქუდის დახურვა“. შდრ. ლაზ. მოთუმერ-ი || მოთვალე-ი „დახურული“ (ჩვენი მასალა). ბოზოფე მეტაქსიში ფოტა თიზ მოთფალერ... გულუნან „გოგოები აბრეშუმის თავსაფარდაფარებულები დადიან“ (დიუმეზილი 2009, 13).

ლაზ. ოტკობინუ (ო-წ'ტკობ-ინ-უ) „დამალვა, ჩადრის დაფარება“. მა ვა გოფთა-ა აწია-ა? ამუს ოტკობინუ უნონია, ოტკობინუ – ჩადრი ნა გითუმელან „მე აწი არ გავიარო? ამას დამალვა უნდაო, დამალვა – ჩადრს რომ იფარებენ“ (ჩიქობავა 1929, 37).

3) ფეხსამოსის ჩაცმა მეგრული

ფეხსამოსის ჩაცმის სემანტიკურ ჯგუფში აღწერილი და გაანალიზებულია ფეხსაცმლის ან წინდის ჩაცმის აღნიშვნელი სიტყვები სემანტიკურად და სტრუქტურულად. გათვალისწინებულია ფეხსამოსის ჩაცმის ნიუანსები – ზოგადად, ჩაცმა, მორგება, ჩაზომება, მოხდენილობა. ჩაცმის მანერა დამოკიდებული არის ფეხსამოსის ფორმაზე, ხარისხზე. ამ თვალსაზრისით, ამ ჯგუფში შემავალი სახელები მეტად საინტერესოა.

მეგრ. მაღაგალუ „ზომაზე დიდი ფეხსაცმელი აცვია ისე, რომ ფეხსაცმელი მოძრაობს შიგნით“

მეგრ. **მობახეაფა** (მო-ბახე-აფა) „ფორმით, ან ზომით, ან ბრახუნა ფეხსაცმელი აცვია“. გამოიყოფა **ბახ-** ძირი. მახე-უ „დიდი ფეხსაცმელი აცვია“. შდრ. **ობოხუა** „ერთგვარი ფეხსაცმელი“.

მეგრ. **მონკალუა** (მო-ნკალ-უა) „ვიწრო ფეხსაცმლის ჩაცმა, გაკვეხება ფეხისა“. გამოიყოფა **ნკალ-** (ნკალ-უა) „შეტენვა, გაკვეხება“. **მინკალან-**ს „ვიწრო ფეხსაცმელს ძლივს იცვამს“.

მეგრ. **მონწკილუა** (მო-ნწკილ-უა) „ვიწრო ფეხსაცმლის ჩაცმა“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **მოჩვართაფა** (მო-ჩვართ-აფა) „უშნო ფეხსაცმლის, ან ფეხსაცმლის უშნოდ ჩაცმა. **მიჩვართუნ-**ს „უშნო ფეხსაცმელს, ან ფეხსაცმელს უშნოდ იცვამს“. გამოიყოფა **ჩვართ-** ძირი. შდრ. მეგრ. **ჩვართა** „ფეხმრუდი, მრუდე ტერფის მქონე“ (ქაჯაია III, 2002). **ჩვართ-** ძირისაგან იწარმოება მიმღეობა **მოჩვართილ-**ი „უშნოდ ჩაცმული“. დასტურდება მოცემული ფუძისგან ნაწარმოები ფეხსაცმლის სახეობის აღმნიშვნელი სიტყვა: **ოჩვართაია ჩაფულა** „უშნო ფეხსაცმელი“.

მეგრ. **მოყვაყვაფა** (მოყვაყვაფა) „ბეწვიანი, თბილი ფეხსაცმლის ან წინდის ჩაცმა“. გამოიყოფა **ყვაყვა-** ძირი. მყვაყ-უ „ბეწვიანი, თბილი ფეხსაცმელი ან წინდა აცვია“. **მაყვაყ-**უ „თბილი, ბეწვიანი ფეხსაცმელი ან წინდა აცვია. ამ ძირის შემცველი სიტყვები გამოვლენილია ტანისამოსის ჩაცმის ან თავსაბურავის დაბურვის აღსანიშნავად. იხ. მეგრ. **მუკოყვაყვაფა, გეყვაყვაფა**.

მეგრ. **მოდრანგუა** (მო-დრანგ-უა) „კარგი ფეხსაცმლის, მოხდენილად, მორგებულად ჩაცმა“. გამოიყოფა **დრანგ-** ძირი. მოდრანგან-ს „კარგ ფეხსაცმელს მოხდენილად იცვამს“. ამ ძირისგან არის ნაწარმოები ტანისამოსის ჩაცმის აღმნიშვნელი სიტყვა. იხ. მეგრ. **მუკოდრინგუა**.

მეგრ. **მოჩარხაფა** (მო-ჩარხ-აფა) „ჩაღხად ჩაცმა, ზომაზე დიდი ფეხსაცმლის ჩაცმა“ (ქობაღია 2010). გამოიყოფა **ჩარხ-** ზმნური ძირი. **მიჩარხუნ-**ს „ზომაზე დიდ ფეხსაცმელს ჩაღხად ჩაიცვამს“. ამ ძირისგან იწარმოება ტანისამოსის ჩაცმის აღმნიშვნელი სიტყვა. იხ. მეგრ. **მოჩარხუა**.

მეგრ. **მოჩართაფა** „ზომაზე დიდი, ან უშნო ფეხსაცმლის, ან უშნოდ, მოუხდენლად ჩაცმა“. გამოიყოფა **ჩართ-** ძირი. **მიჩართუნ-**ს „ზომაზე დიდი, უშნო ფეხსაცმელს ან უშნოდ, მოუხდენლად იცვამს“.

მეგრ. **მოდაცუა** (მო-დაც-უა) „კარგი ფეხსაცმლის, ან მოხდენილად ჩაცმა“. გამოიყოფა **დაც-** ძირი. **ქიმიდაცან-**ს „კარგ ფეხსაცმელს ან მოხდენილად

ჩაიცვამს“. ამ ძირისგან იწარმოება ტანისამოსისა და თავსაბურავის დახურვის აღმნიშვნელი სიტყვები. იხ. მეგრ. მუკოდაცუა, გედაცაფა.

მეგრ. **მოტატაფა** (მო-ტატ-აფა) „ჩუსტის ჩაცმა, ფეხის წაყოფა“. **მიტატუნ-ს** „ჩუსტს ჩაიცვამს, წაყოფს ფეხს“. გამოიყოფა **ტატ-** ძირი. მიგან იწარმოება ტანისამოსის ჩაცმისა და თავსაბურავის დახურვის აღმნიშვნელი სიტყვები. იხ. მეგრ. მუკოტატაფა, გეტატაფა.

მეგრ. **მოძიკუა** (მო-ძიკ-უა) „ვიწრო ფეხსაცმლის მოუხდენლად ჩაცმა“. გამოიყოფა **ძიკ-** ძირი. შდრ. მეგრ. **ძიკუა** (ძიკ-უა) „გატენა, გავსება“. **მიძიკან-ს** „ვიწრო ფეხსაცმელს უშნოდ ჩაიცვამს“. ამ ძირისგან იწარმოება ტანისამოსის ჩაცმის აღმნიშვნელი სიტყვა. იხ. მეგრ. მუკოძიკუა.

მეგრ. **მობიძგუა** (მო-ბიძგ-უა) „ვიწრო ფეხსაცმლის ჩაცმა“. გამოიყოფა **ბიძგ-** ძირი. მიბიძგან-ს „ვიწრო ფეხსაცმელს იცვამს“. **მაბიძგე** „ძლივს აცვია ვიწრო ფეხსაცმელი“. ამ ძირისგან იწარმოება ტანისამოსის ჩაცმისა და თავზე დაბურვის აღმნიშვნელი სიტყვები. იხ. მეგრ. მუკობიძგუა, გებიძგუა.

მეგრ. **მონწილუა** (მო-ნწილ-უა) „ვიწრო ფეხსაცმლის ჩაცმა“. გამოიყოფა **ნწილ-** ძირი. **მინწილან-ს** „ვიწრო ფეხსაცმელს ძლივს იცვამს.“ ამ ძირისგან იწარმოება ტანისამოსის ჩაცმისა და თავსაბურავის დაბურვის აღმნიშვნელი სიტყვები. იხ. მუკონწილუა, გენწილუა.

მეგრ. **მოლება** (მო-ლ-ება) „მოხდომა, მორგება“. გამოიყოფა **ლ-** ძირი. **მალე** (მა-ლ-ე) მოუხდება, მოერგება“, ზედმიწ. „მოუვა“. ამ ძირის შესახებ იხ. ტანისამოსის ჩაცმის ჯგუფში მეგრ. მოლება.

მეგრ. **კუჩხიში ინოღალა** „ჩაცმა, ფეხის შეყოფა“ ზედმიწ. „ფეხის შეტანა“. კუჩხის ინიღანს „იცვამს“, ზედმიწ. „ფეხი შეაქვს (ფეხსაცმელში)“.

მეგრ. **კუჩხიში ინოღგემა** „ჩაცმა“, ზედმიწ. „ფეხის ჩადგმა“. კუჩხის ინოღგენს „იცვამს, ფეხს ყოფს“, ზედმიწ. „ფეხს დგამს (ფეხსაცმელში)“.

მეგრ. **კუჩხიში ინოკასუა** „ვიწრო ფეხსაცმლის ძალდატანებით ჩაცმა“, ზედმიწ. „ფეხის ჩატენა“. კუჩხის ინაკასანს „ვიწრო ფეხსაცმელს ძალდატანებით იცვამს“, ზედმიწ. „ფეხს ტენის“.

მეგრ. **კუჩხიში დინოჩანაფა** || **ინოჩანაფა** „ფეხსაცმელში ფეხის ჩაყოფა“. კუჩხის დინაჩანუნს „ფეხი აქვს ჩაყოფილი“. შდრ. მეგრ. **დინოჩანაფა** „ჩაყოფა“: ათაქ კუჩხი ქიდნაჩანე „აქ ფეხი ჩაყავი“ (ქაჯაია II, 2002).

მეგრ. **მობაწკაფა** (მო-ბაწკ-აფა) „კოხტად მორგება ფეხსაცმლისა; მობაკუნება“. **მაბაწკე** „ახალი კარგი ფეხსაცმელი აცვია“. გამოიყოფა **ბაწკ-** ძირი. შდრ. ბაწკაფი „ბაკი-ბუკი, ჭრაჭუნი ფეხსაცმლისა“. შდრ. **ობაწკაია** „კოხტა, ჭრაჭუნა, ბაკუნა (ფეხსაცმელი)“ (ქობალია 2010).

მეგრ. **მოდვალა** (მო-დვალ-ა) „ჩაცმა ფეხსაცმლისა ან წინდისა“. მარტვილურში მოდვალა ტანსაცმლის ჩაცმის მნიშვნელობითაც იხმარება. გამოიყოფა **ღვ-** (დვალა) ძირი „დება“. საინტერესოა ფეხსაცმლის ან წინდის წაღმა ან უკუღმა ჩაცმის აღმნიშვნელი სიტყვები: **მორბგვიშე მოდვალა** „წაღმა ჩაცმა“, **კვარჩხიშე მოდვალა** „უკუღმა ჩაცმა“. **ღვ-** ძირისგან არის ნაწარმოები **მადვალარ-**ი „ფეხსაცმელი“, რომელიც განხილული გვაქვს ფეხსამოსის აღმნიშვნელ ზოგად ჯგუფში.

მეგრ. **მოჯღარკაფა** (მო-ჯღარკ-აფა) „ჯღანების მოგდება ფეხზე“ (ქობალია 2010). გამოიყოფა **ჯღარჯ-** ძირი. შდრ. მეგრ. **ჯღან-**ი „ჯღანი, ძველი ფეხსაცმელი“. შეიძლება მოცემული ზმნა ნასახელარია. **მაჯღარკე** „ჯღანები ან უშნო ფეხსაცმელი აცვია“.

მეგრ. **მოგვაგვაფა** (მო-გვაგვ-აფა). „დიდი ფეხსაცმლის ჩაცმა“. **მაგვაგუ** (მა-გვაგ-უ) „დიდი ფეხსაცმელი აცვია“. გამოიყოფა **გვაგვ-** ძირი, რომელიც გაორკეცებული ფუძე ჩანს. შდრ. მეგრ. **გვაგვაფ-**ი „მსხვილი საგნის მაგრად დაცემის ხმა“.

მეგრ. **მაჩაკე** (მა-ჩაკე) „დიდი რაღაც აცვია“. შეიძლება გამოიყოს **ჩაკ-** ძირი.

მეგრ. **მობარდლაფა** (მო-ბარდლ-აფა). მიბარდლუანს- „უშნო ფეხსაცმელს ან უშნოდ ჩაიცვამს“. შეიძლება გამოიყოს **ბარდლ-** ძირი. ამ ძირისგან იწარმოება სამოსლის ჩაცმისა და თავსაბურავის დაბურვის აღმნიშვნელი სიტყვები. იხ. მეგრ. მობარდლაფა. გებარდლაფა.

მეგრ. **მაჯვარზე** (მა-ჯვარზე) „მძიმე, ზომაზე დიდი ფეხსაცმელი აცვია“. გამოიყოფა **ჯვარზ-** ძირი. შდრ. მეგრ. **ჯვარზინი** „მძიმე საგნის დება; მრისხანედ, კუშტად ჯდომა“ (ქობალია 2010).

მეგრ. **მონბგილუა** (მო-ნბგილ-უა) „ვიწრო ფეხსაცმლის ჩაცმა“. **ქიმინბგილუ** „(ვიწრო ფეხსაცმელი) ძლივს ჩაიცვა“. გამოიყოფა **ნბგილ-** ძირი. მისგან იწარმოება ტანსამოსის ჩაცმის ან თავსაბურავის დაბურვის აღმნიშვნელი სიტყვები. იხ. მეგრ. მუკონბგილუა, მკონბგილუა.

მეგრ. **მორჭიპუა** (მო-რჭიპ-უა) „ზომით პატარა, ვიწრო ფეხსაცმლის ან წინდის ჩაცმა. **მორჭიპან-ს** „ვიწრო ფეხსაცმელს ან წინდას ძლივს იცვამს“. გამოიყოფა **რჭიპ-** ძირი. მეგრ. რჭიპუა „გაჭიმვა, გაწევა“ (ი. ყიფშიძე). ამ ძირისგან იწარმოება ტანისამოსის ჩაცმის ან თავსაბურავის დაბურვის აღმნიშვნელი სიტყვები. იხ. მეგრ. მუკორჭიპუა, გერჭიპუა.

მეგრ. **მოფოთამა** (მო-ფოთ-ამა) „ფეხზე სწრაფად ჩაცმა, ზედმიწ. „მოგდება ფეხზე“. **ქიმოფოთან-ს** „ფეხსაცმელს ან წინდას ჩაიცვამს სწრაფად, ზედმიწ. „მოიგდება ფეხზე“; გამოიყოფა **ფოთ-** „გდება“ ძირი. მისგან იწარმოება ტანისამოსის ჩაცმისა და თავსაბურავის დაბურვის აღმნიშვნელი სიტყვები.

მეგრ. **მორწიპუა** (მო-რწიპ-უა) „ვიწრო ფეხსაცმლის ან წინდის ჩაცმა“. მორწიპანს „ძლივს იცვამს ფეხსაცმელს ან წინდას“. გამოიყოფა **რწიპ-** ძირი. მოცემული ფუძისგან იწარმოება წინდის სახეობა: **გორწიპილი თათმანი** „ვიწრო წინდა“. ამ ძირისგან იწარმოება ტანისამოსის ჩაცმისა და თავსაბურავის დაბურვის აღმნიშვნელი სიტყვები. იხ. მეგრ. მუკორწიპუა, გერწიპუა.

მეგრ. **მოჩხარკაფა** (მო-ჩხარკ-აფა) „საშინაო ფეხსაცმლის, უმეტესად შელახული ფლოსტების, ძველი, სრული ფეხსაცმლის უშნოდ ჩაცმა“. **მაჩხარკე** „ჩუსტი ან შელახული ფეხსაცმელი უშნოდ აცვია“. გამოიყოფა **ჩხარკ-** ძირი. შდრ. მეგრ. **ჩხარკაფი** „ჩხარუნი“, **ჩხარკ-**ი „ძველი ფეხსაცმელი, ჯღანი“ (ქობაღია 2010).

მეგრ. **მოზიმაფა** (მო-ზიმ-აფა) „ზმანება“. გამოიყოფა **ზიმ-** (ზიმ-უა) „ზომვა“ მიზიმუანს „(ჩა)იზომებს“. **ინოზიმაფა** (ინო-ზიმ-აფა) „ჩაზომება, ჩადგმა (ფეხისა)“ (ჭარაია 1997).

ლაზური

ლაზ. **კუჩხე მეშაჩუ** „ფეხის ჩადგმა, შეყოფა“. მოდვალუს კუჩხე ქომეშაფი „ფეხსაცმელში ფეხი ჩავდგი, (ჩავიცვი)“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. **მეშამალუ** „შეყოფა (ფეხის)“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. **მეშაღალა** „ჩაცმა (ფეხზე)“. მეშაილი კუჩხე მოდვალუს დო მეუნკაპი „ჩავიცვი ფეხსაცმელი და გავიქეცი“ (ჩვენი მასალა). შდრ. მეგრ. **მიშაღალა** || **მითოღალა** (კუჩხიში) „id“.

ლახ. **მოდვალუ** || **მოდვალაფა** || **მოდუმუ** || **მოდუ** „ჩაცმა (ფეხზე)“ 9თანდილავა 2013). პაპუწი ქომუიღვი „ჩუსტი ჩავიცვი“ (ჩვენი მასალა). ფოთინიში დოლოხე თითხუ წინეკი მუიდუმელან „ფეხსაცმლის შიგნით თხელ წინდას იცვამენ“ (ჩიქობავა 1929, 150).

ლახ. **მოძინ** „აცვია“. კუნხეს **მოძინ** ნალინი „ფეხთ აცვია ქოში“ (ასათიანი 1974, 79). კუნხეს ლასტიკი მოძიტუ „ფეხზე კალოში ეცვა“ (ჩიქობავა 1929, 93). შდრ. **ქომოძინ** „აფარია, ახურავს, აცვია“ || **მოძუნ** || **გომოზუნ** „წამოცმული აქვს, უკეთია“.

4) სამოსლის გახდა, გამოცვლა მეგრული

ამ ჯგუფში განხილულია სამოსლის გახდის, გამოცვლის აღმნიშვნელი სიტყვები.

მეგრ. **მუკონწყემა** (მუკო-ნწყე-მა) || **მკონწყემა** „ტანისამოსის გახდა“. გამოიყოფა **ნწყე-** (ნწყე-მა) ძირი „ხსნა, ხდა“. მისგან იწარმოება მიმღეობა **მუკონწყემილ-**ი „გახდილი“.

ამ კონტექსტში საინტერესოა მეგრულში დადასტურებული ფორმა: **გორჩვილ-**ი (გო-რჩვილ-ი) „გადარცვული“ (ქაჯაია I, 2001), რომელიც ნაწარმოებია **რჩუალა** (**რჩუ-ალა**) „ძარცვა, გაცვეთა“ ზმნისაგან. გვაქვს პარალელური ფორმა **გორცვილ-**ი (გო-რცვილ-ი). ტანისამოსის გახდის მნიშვნელობით მეგრულში პირიანი ფორმა არა ჩანს. ამ მნიშვნელობით ის დაცული არის მიმღეობაში: **გორჩვილ-**ი || **გორცვილ-**ი, მაგრამ ამ შემთხვევაშიც სემანტიკა ოდნავ გადაწეულია. მაგ., გორჩვილი ვორექ „არაფერი არ გამაჩნია, – არა მხოლოდ ტანისამოსით, არამედ ყველაფრიანად“.

მეგრ. **მუკოსოფუა** (მუკო-სოფ-უა) „სწრაფად გახდა (ზედმიწ. მოგლეჯა)“. გამკისოფუ ბარგი „სწრაფად გაიხდა ტანსაცმელი“. ეს ფუძე ნაწარმოებია **სოფ-** (სოფ-უა) „{მო}გლეჯა“ ძირისაგან.

მეგრ. **მუკორღვაფა** (მუკო-რღვა-ფა) „სწრაფად გახდა, დაყრა ტანსაცმლისა“. ეს ფუძე გამოიყენება მხოლოდ მრავლობითის ფორმით: ბარგი გამკირღუ „ტანისამოსი გაიხდა (ზედმიწ. „დაყარა“)“.

მეგრ. **მოჟვილუა** (მო-ჟვილ-უა) „ფეხსაცმლის სწრაფად გახდა“. მოცემული ფუძე **ჟვილ-** (ჟვილ-უა) „გლექა“ ძირისაგან არის ნაწარმოები. **გამკიჟვილუ კაბა** „სწრაფად გაიხდა კაბა“. ამ ძირის შემცველი სიტყვები გვაქვს ფეხსამოსის გახდისა და თავსაბურავის მოხდის, მოხსნის აღმნიშვნელ სემანტიკურ ჯგუფში. იხ. მეგრ. მოჟვილუა, ეჟვილუა.

ლაზური

ლაზ. **მოსთიმუ** „გაძრომა (სამოსის)“. ნა-მოძიტუ შარვალი დო ბლუზაფე გამოსთუ „რომ ეცვა შარვალი და ბლუზა, გაძვრა“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. **გონდადაფა** || **გონდაღუ** „გაღელა“ (თანდილავა 2013).

ლაზ. **გო(რ)ჩუ** 1. „გახდა“ (თანდილავა 2013). ნანა-მუშის შედეფე გორჩუ „დედამისს ნივთები გახდა / დედამისი გააშიშვლა“ (ყიფშიძე 1994, 79).

ლაზ. **გოწკიმუ** „მოხსნა“. ოხორჯალეფექ გოწაკიუ გუწიწკეს „ქალებმა წინსაფარი მოიხსნეს“ (ლაზურის ფონდი).

ლაზ. **მოწკიმუ** || **მოწკუ** || **მოწუ** „გახდა (სამოსლის)“. **გამიწკუ** დოლოქუნუ მუში „გაიხდა თავისი სამოსი“.

ლაზ. **ოკოწკიმუ** „გახდა, გახსნა“. ბექ ფორჩა უკუიწკუ დო ქოწიუ „ბავშმა პერანგი გაიხსნა და უჩვენა“ (კარტოზია 1972, 149).

ლაზ. **ხეგამალუ** „ხელის (მკლავის) გამოღება“. ხეფორჩაშენ ხე ქაგამილუ „მკლავიდან ხელი გამოიღო“ (ჩვენი მასალა). ემუს ფორჩა **ქამოწკეს** დო ბაშქა ფორჩა ქოდოლოქუნეს „მას პერანგი გახადეს და სხვა პერანგი ჩააცვეს“ (ლაზურის ფონდი).

ლაზ. **მონქთურუ** || **ოქთურუ** „შეცვლა“. **იქთურუ**, **იქთირუ** „შეიცვალა“. სი ფორჩა დიქთური, ამა გური ვარ იქთურიდორენ „შენ პერანგი შეიცვალე, მაგრამ გული არ შეგცვლია“ (ლაზურის ფონდი).

5) ფეხსამოსის გახდა

მეგრული

მეგრ. **მონწყმა** (მო-წყ-მა) „გახდა ფეხსაცმლისა ან წინდისა“. გამოიყოფა **წყ-** (წყ-მა) ძირი „მოხსნა“. **მინწყნ-**ს „გაიხდის“.

მეგრ. **მოჯოთამა** (მო-ჯოთ-ამა) „სწრაფად გახდა ფეხსაცმლისა ან წინდისა“. ეს ფუძე ნაწარმოები არის **ჯოთ-** (ჯოთ-ამა) „გდება“ ძირისაგან. **მიჯოთანს** „სწრაფად გაიხდის (ზედმიწ. „დაყრის ფეხსაცმელს ან წინდებს)“. ამ ძირისგან იწარმოება ტანისამოსის გახდის ან თავსაბურავის მოხდის აღმნიშვნელი სიტყვები. იხ. მეგრ. მუკოჯოთამა, ჯოთამა.

მეგრ. **მოსოფუა** (მო-სოფ-უა) სწრაფად, სიბრაზით გახდა ფეხსაცმლისა, ზედმიწ. „მოგლეჯა“. გამოიყოფა **სოფ-** (სოფ-უა) „გლეჯა“ ძირი. გამოსოფუ ჩაფულა „სწრაფად, სიბრაზით გაიხდა ფეხსაცმელი“. ამ ძირის შემცველი სიტყვები გვაქვს ტანისამოსის გახდისა და თავსაბურავის მოხდის მნიშვნელობით. იხ. მეგრ. მუკოსოფუა, ესოსუა.

მეგრ. **მოჟვილუა** (მო-ჟვილ-უა) „ფეხსაცმლის სწრაფად გახდა“. მოცემული ფუძე **ჟვილ-** (ჟვილ-უა) „გლეჯა“ ძირისაგან არის ნაწარმოები. ამ ძირის შემცველი სიტყვები გვაქვს ტანისამოსის გახდისა და თავსაბურავის მოხდის, მოხსნის აღმნიშვნელ სემანტიკურ ჯგუფში. იხ. მეგრ. მოკოჟვილუა, ეჟვილუა.

ლაზური

ლაზ. **კუჩხეშ/ს** || **კუჩხეშ მოდვალუში-ი მოწკუ** || **მოწკიმუ** „გახდა (ფეხსაცმლის)“. მან კუჩხეშ მოიწკიფ „მე ფეხზე ვიხდი“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. **მოსთვალუ** „გაძრობა (ფეხსამოსის)“. მა ქამომოსთუ მოდვალუ „ფეხსაცმელი გამძვრა“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. **თათმანიში მოწყიმუ** „ხელთათმნის გაძრობა“ (ჩვენი მასალა).

6) თავსაბურავის მოხდა

მეგრული

მეგრ. **ენწყუმა** (ე-ნწყ-უმა) || **ენწყმა** (ე-ნწყ-მა) „მოხდა, მოხსნა თავსაბურავისა“. **წყუ-** || **ნწყ-** ძირისგან არის ნაწარმოები. მის შესახებ იხ. **მონწყმა**. **ეინწყუნ-ს** || **ეინწყენ-ს** „(მო)იხდის, მოიხსნის თავსაბურავს“.

მეგრ. **ეჟვილუა** (ე-ჟვილ-უა) „სწრაფად მოხდა, მოხსნა თავსაბურავისა“. **ქიცა გეიჟვილუ** „უცებ, სწრაფად მოიხსნა თავსაფარი“. ფუძე **ჟვილ-** (ჟვილ-უა) „გლეჯა“ ძირისაგან არის ნაწარმოები. ამ ფუძის შემცველი სიტყვები გვაქვს

ტანისამოსისა და ფესსამოსის გახდის აღმნიშვნელ სემანტიკურ ჯგუფში. ის. მეგრ. მუკოჟვილუა, მოჟვილუა.

მეგრ. **ესოფუა** (ე-სოფ-უა) „სწრაფად მოხდა, მოხსნა (ზედმიწ. მოგლეჯა) თავსაბურავისა“. **გეისოფუ ქუდი** „სწრაფად მოიხადა (ზედმიწ. „მოიგლიჯა“) ქუდი.

ლაზური

ლაზ. **მოწკ(იმ)უ** || **მოწკვინუ** || **ოწკუ** „მოხდა“. პაპახი მუიწკუ „ბოხობი მოიხადა“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. **გეწკიმუ** „ახსნა, მოხსნა“ (თანდილავა 2013).

7) შესაკრავების შეკვრა

მეგრული

მეგრ. **მორტყაფა** (მო-რტყ-აფა) „მორტყმა (სარტყლისა)“. ორტყაფუ ქომურტყაფუდეს „სარტყელი შემოერტყათ“ (ციფშიძე 1994, 150). ის ნაწარმოებია **რტყ-** (რტყაფა) „მორტყმა“ ზმნური ძირისაგან.

მეგრ. **ბინუა** (ბინ-უა) „შებნევა“. ძიქვას იბინუნს „შარვალს იბნევს“ (ქაჯაია I, 2001). ფუძე **ბინ-** ძირისაგან არის ნაწარმოები. ეს ფუძე საერთოქარველურად არის მიჩნეული. შდრ.: ქართ. **ბენ-** || **ბინ-** || **ბნ-** „შეკვრა, შებნევა.“ **ი-ბნ-** ევ-ს, **სა-ბნ-** ევ-ი : **ზან** (მეგრ.) **ო-ბინ-** ალ-ი „შესაბნევი“; მეგრ.-ლაზ. **ო-ბინ-უ** || **ბინ-უა** „შეკვრა,“ **უ-ბინ-უნ-** ს „უბნევს.“ **გო-ბინ-** ილ-ი „შეკრული.“ : სვან. **ლი-ბნ-** ე „შეკვრა, შებნევა;“ **ლე-მნ-** ი „ლილი,“ **ი-ბნ-** ე „შეიკრავს, შეიბნევს,“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 102-103). აღნიშნული ერთეულების არქტიპად მ. ჩუხუა აღადგენს ს.-ქართვ. ***ბენ-** || ***ბინ-** „შეკვრა, შებნევა“ ფუძეს (ჩუხუა 2009, 227).

მეგრ. **გოფოთამა** (გო-ფოთ-ამა) „შემორტყმა სარტყლისა, ზედმიწ. წელზე მოგდება ქამრისა“. ის ნაწარმოები არის **ფოთ-** (ფოთ-ამა) „გდება“ ძირისაგან.

მეგრ. **გითორღვაფა** (გითო-რღვ-აფა) | **გვთორღვაფა** (გვთო-რღვ-აფა) || **კილარღვაფა** (კილა-რღვ-აფა) || **კვლარღვაფა** (კვლა-რღვ-აფა) „ზონრის გაყრა“. ზორტი ქუკლურღუ კაბას „კაბაში ზონარი გაუყარა“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **გოსქუალა** (გო-სქუ-ალა) || **გოსკუალა** (გო-სკუ-ალა) „შეკვრა“. შურნოკი აკოსკუ „თასმა შეკრა“. **გოსქვილ-ი** „შეკრული“.

მეგრ. **წიაპუა** „მაგრად განასკვა“.

ლაზური

ლაზ. **გამაკირუ** „გასკვნა, გამონასკვა“. ჩორკას არ უჯი ქაგამიკირდა „კაბის ყური გამინასკვნეო“ (ლაზურის ფონდი).

ლაზ. **გოლაბდაფა** || **გოლაბღუ** „გაყრა“ (თანდილავა 2013).

ლაზ. **გოტკაფა** || **გოტკუ** || **გოკორუ** „შემოხვევა, შემოკვრა“ (ლაზურის ფონდი). გოკორს „აკრავს, არტყია“.

ლაზ. **გოტკიმუ** || **მოტკიმუ** „შემორტყმა, შემოცმა“ (ჩვენი მასალა). ოტკაფე გოტკუტეს „სარტყელი ერტყათ“ (ასათიანი 1974, 15).

ლაზ. **გოშადვალუ** || **გოშადუმაფა** || **გოშადუმაღუ** || **გოშადუმაფუ** || **გოშადუ** „სარტყლის გაყრა“. შალვარი შიბი გოშადვალერი იყვენ „შარვალზე შნური (ნაჭრის) გაყრილი იქნება“ (ჩიქობავა 1929, 15).

ლაზ. **ელადაბუ** (ათინ.) || **ელამბინუ** (ვიწ.) „მიბმა (რადაციისა სამოსზე)“ (უზუნ-ჰასანოღლუ, ბუჯაკლიში, ალექსივა 2007).

ლაზ. **ეწაკირუ** „მიკვრა, მიბმა (ქვევიდან)“. შდრ. ლაზ. **ეწაკირელ-ი** „მიკრული, მიბმული“ (ქვევიდან) (ლაზურის ფონდი).

ლაზ. **მემბინუ**¹ „მიკინძვა, ფოლაქის შეკვრა“. სედეფეფე დოიმბინი „ფოლაქები შევიკარი (ავიკინძე) (თანდილავა 2013).

ლაზ. **ოკოკიუ** || **ოკიუ** „შეკვრა“. მან ქემერი გოიკიუფ „ქამარს ვიკრავ“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. **ოკონ-ს** „არტყია, შემოხვეულია (გარშემო)“ (ლაზურის ფონდი).

ლაზ. **ოკომბინუ** „შეკვრა“; „ღილით ან სხვა შესაკრავით შეკვრა“.. სედეფი/მფულეფე ოკუიმბინი „ღილი შევიკარი“. შკას კონეფე სედეფითენ უკუინბინუპტეს „წელს კაცები ღილით შეიკრავდნენ“ (ჩვენი მასალა). იხ. მეგრ. **აკობინუა**.

ლაზ. **ქონუკირუ** „მიაბა“. დურსუნქ თოკიში არ დუჯი გიდელის **ქონუკირუ** (ლაზურის ფონდი). **გეკორერ-ი**, **გეკირელ-ი** „დაკრული, გაკრული“. მეტაქსიშ

დოლოქუნუ ბოხნას გეკორერ ქომუნჯღონუმან „აბრეშუმის ჩასაცმელს ქსოვილზე (ბოხნაზე) მიკრულს უგზავნიან“ (ლაზურის ფონდი).

ლაზ. ქოტუ „დაახვია, შეახვია“ (ლაზურის ფონდი).

8) შესაკრავების გახსნა

მეგრული

მეგრ. გონწყუმა (გო-ნწყ-უმა) || გონწყუმა (გო-ნწყ-მა) „გახსნა“, შეხსნა“ გინწყუ ქიცა შეხსნა თავსაფარი. გინწყუ ბაშლაყუ „შეხსნა ყაბალახი“. მეგრ. გონწყუმილ-ი || გონწყუმილ-ი. შდრ.. ლაზ. გონწყეი „გახსნილი“.

ლაზური

ლაზ. გამალუ „ქამრის გამოღება (მკლავის გამოღებასაც ნიშნავს)“.

ლაზ. გოწკიმუ || გოწკუ || გოწუ || ოგოწკიმუ „გახსნა, გაძრობა, მოხსნა“. კოპჭაფე ოკიწკიკო „ფოლაქები რომ შეგეხსნა“ (ყიფშიძე 1994, 69) (თანდილავა 2013). ოხოიშა მეხოთუ-ში ოტკაფუ ქაგუიწკუ „შინ რომ მივიდა, სარტყელი მოიხსნა“ (ასათიანი 1974, 43).

ლაზ. ოგონარუ „შემოხსნა“ (ლაზურის ფონდი).

ლაზ. ოწკიმუ „გახსნა“. შდრ. გოწკეი „გახსნილი“ (თანდილავა 2013).

9) მორთვა

მეგრული

მეგრ. მონწყუალა (მო-ნწყ-უალა) „გამოწყობა“. გაგმინწყუ ღო მიდართუ „გამოეწყო და წავიდა“. შდრ. მონწყილ-ი „გამოწყობილი“.

მეგრ. მოფირფიჩუა „მორთვა, გამოწყობა“. შდრ. მოფირფიჩელ-ი მორთულ-მოკაზმული, გამოპრანჭული“ (ქობალია 2010).

მეგრ. ეშანწყუალა „გულის ამორთვა“ (ჩვენის მასალა).

მეგრ. გეპუნაფა „დაკიდება (სამკაულისა)“ (ჩვენის მასალა).

მეგრ. გეროხუა „ბევრი, მსხვილი სამკაულის დაკიდება ყელზე“. ძირეული მნიშვნელობა ამ სიტყვისა არის „დახერგვა“ (ქაჯაია I, 2001).

მეგრ. **გეხარხუა** „ბევრი რამის (სამკაულის) ერთად გაკეთება“. **გიონარხუ** „ბევრი რამ უკეთია“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **გეჩორჩხუა** „ბევრი სამკაულის დაკიდება“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **გეჭონჭუა** „ბევრი სამკაულის, კერძოდ, მძივების უმნოდ დაკიდება ყელზე“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ოქროთ მოცინუა** ოქროს უცინილ-ი „მოოქროვილი, ოქროში ჩაბმული, ოქროთი შემოყინული“ (ქობალია 2010).

მეგრ. **მოფარაყელ-ი** „ფირფასი სამკაული შემკული“ (ჩვენი მასალა).

ლაზური

ლაზ. **გებუმუ** „დაკიდება, მიბმა“. დაზმას ფული ალთუნიში გებუმუ „თავსაფარს ოქროს მონეტა ჰქონდა მიბმული“ (ლაზურის ფონდი). დაზმას ფული გებუმუ „თავსაფარს მონეტა ება“ (კარტოზია 1972, 39).

ლაზ. **გოდვალუ** „მოდება“ (ლაზურის ფონდი).

ლაზ. **გოკიდუ** || **გოკიდაფა** „შემოკიდება ირგვლივ, მობმა ირგვლივ“. მან ნუსქაფე გომობუნ „მე ავგაროხები მკილია“ (თანდილავა 2013).

ლაზ. **დოლობუნუ** „დაკიდება“. [დელიკანლის] გუმშიშიშ ქდოსტელი ყალის ქოდოლობუნ „ახალგაზრდას ვერცხლის ყელსაბამი ყელზე ჰკილია“ (ლაზურის ფონდი).

ლაზ. **მეციგუ** „ჩარჭობა“. შდრ. ლაზ. **ციგეძ** „აცმული“ (ლაზურის ფონდი).

ლაზ. **მოდადალუფ-ს** „მორთავს, მოკაზმავს, „მოაყვავილებს“. სიჯა-თი ქამოდადალუ „სიძეც გამოაწყო“. შდრ. ლაზ. **დადალ-ი** „ყვავილი“.

ლაზ. **მოდუმუ** „წამოცმევა“ (თანდილავა 2013). აჩქვა მაწკინდი მოიწკუ ხეს დო ქომოდუ „ერთი კიდევ ბეჭედი მოიძრო ხელზე და წამოაცვა“ (კარტოზია 1972, 79).

ლაზ. **მოყობუნ** (< მო-ჟა-თ) „მოკიდებულისა, მობმულია (რასმე ზევიდან)“ (ლაზურის ფონდი).

ლაზ. **მოძინ** „უკეთია“. დელიკანლის სალი ხეში ჭუტა კითის ალთუნიში მაწკინდი მოძინ „ახალგაზრდას მარცხენა ხელის ნეკზე ოქროს ბეჭედი აქვს წამოცმული“ (ჩიქობავა 1929, 16).

ლაზ. **მოწიფხუ** || **მოწოფხაფა** || **მოწიფხაფა** || **მოწოფხუ** „მორთვა“, „გამოწყობა“ (თანდილავა 2013). იხ. ჩაცმასთანაც. ლაზ. **მოწიფხე-ე** „მოწყობილი“. მუფედ მოწიფხედ დოლოქუნს „როგორ კარგად აცვია (გამოწყობილია)“ (ჩვენი მასალა) || ლაზ. **წიფხერ-ი** „მოქარგული, მორთული, გამოწყობილი“. სი ეკო მოთ მეგომსქუნ, ე ბაშლული წიფხერი „შენ ძალიან რად გიხდება (ნაქარგივით) თავზე შემოსვეული ყაბალახი“. შდრ. გურ. **წიფხა** „ხის ქერქისაგან გაკეთებული სასმისი, ჭურჭელი“ (შარაშიძე 1938). შესაძლოა ამ ორ ფუძეს შორის რაიმე კავშირი იყოს.

ლაზ. **მოწყვინუ** „მორთვა, გამოწყობა“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. **ნობუნ** „ჰკიღია, მოკიდებული არის; უბია, მიბმული აქვს (სამკაული)“.

ლაზ. **ოკიდუ** „მორთვა“, „გაწყობა“. ქომეუკიდი || ქოგეოკიდი „მოვრთე, გავაწყვე“ (ჩვენი მასალა).

ლაზ. **ოცონუ** „აცმა (რამისა)“. შდრ. ლაზ. **ცონერ-ი** „აცმული“ (ლაზურის ფონდი).

ლაზ. **ოხუ** „გაწყობა“. ფორჩა ტისმათენ დომიხვენ „კაბა მაქმანით გამიწყვე“ (ჩვენი მასალა)

ლაზ. **ელობუნ** „გვერდზე ჰკიღია“ (ლაზურის ფონდი).

მოცემულ თავში გაერთიანდა ჩაცმასთან და გახდასთან დაკავშირებული სიტყვები.

სამოსლის ჩაცმისა და გახდის სემანტიკურ ჯგუფში აღვწერეთ და გავაანალიზეთ ტანისამოსის და ფეხსამოსის ჩაცმა-გახდის, თავსაბურავის, – ქუდის, თავსაფრის დახურვისა და მოხდის, შესაკრავების შეკვრა-შეხსნისა და სამკაულებით შემკობის აღნიშვნელი სიტყვები. გამოიკვეთა ტანისამოსის ჩაცმის ნიუანსები – ზოგადად, ჩაცმა, მორგება, ჩაზომება, მოხდენილობა. ჩაცმის მანერა დამოკიდებული არის სამოსლის ფორმაზე, ხარისხზე. ამდენად, ამ თვალსაზრისით, ამ ჯგუფში შემავალი სახელები მეტად საინტერესოა. სშირად გამოიყენება ერთი და იგივე ძირი სხვადასხვა თემატურ ჯგუფში, რაც, ძირითადად, მეგრულ-ლაზურის ზმნისწინთა სიმრავლით არის განპირობებული. სტატისტიკურად ამ სემანტიკურ ჯგუფში შემავალი ლექსიკური ერთეულები ლაზურში, ჩვენი მასალის მიხედვით, მწირია.

ჩაცმის მანერის საფუძველზე შეიძლება სამოსლის სახეობა ჩამოყალიბდეს. მაგ. მეგრ. **მიკირსხიპან-ს** (მიკი-რსხიპ-ანს) „ვიწრო ტანისამოსს იცვამს“. **მუკარსხიპ-უ** „შემოსხეპილი აქვს“. **რსხიპ-** (რსხიპ-უა) „შემოსხეპა, შემოტკეცა,

განსხივება, გაჭიმვა“ ძირი არის ამოსავალი. მაშასადამე, შესაბამისად, **მორსხივილი-ი კაბა** „შემოსხევილი, შემოტკეცილი კაბა“.

2

თავი III. სამოსელთან დაკავშირებული ლექსიკა მეგრულ-ლაზურ ფრაზეოლოგიზმებში

სამოსელს ადამიანის ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ოდითგანვე. ის ადამიანის შინაგანი მდგომარეობის, ერის სულიერი და მატერიალური კულტურული ყოფის, შემეცნებისა და აზროვნების გამოხატულებაა. ამიტომ, ბუნებრივია, სამოსელთან დაკავშირებული იდიომატური გამოთქმები მეგრულ-ლაზურში მრავალფეროვანია, ვინაიდან იდიომში ასახვას პოეზის ამა თუ იმ ხალხის ყოფა, ისტორია, მისი მისწრაფება.

მეგრულ-ლაზური სამოსლის აღმნიშვნელი ლექსიკის შემცველი იდიომატური გამოთქმები მნიშვნელოვანია ლექსიკური, ისტორიული-ეთნოგრაფიული, ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით. მათში ნათლად არის წარმოდგენილი საერთოქართული ენობრივი და მატერიალური კულტურული ყოფისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი.

სანაალიხო მასალის მიხედვით გამოიყო სამოსლის აღმნიშვნელი შემდეგი საყრდენი სიტყვები, რომლებიც მონაწილეობენ იდიომებში:

მეგრ. კაბა, ლაზ. ფორკა „კაბა“:

მეგრ. **ოსურიში კაბა მგაკუნსუ** || ლაზ. **ოხორჯაში ფორკა დოლოქუნს** „მხდალია“ (იტყვიან მამაკაცზე, რომელსაც ვაჟკაცური თვისებები არ გააჩნია) (ზედმიწ. „ქალის კაბა აცვია“. მეგრ. სი **ოსურიში კაბა მგკნორქუე**, კოჩიშ შარვალი ვამკნორქე „შენ ქალის კაბა გცმია, კაცის შარვალი არ გცმია“. ლაზ. სი მეხთი დო **ოხორჯას ფორჩა ქოდილიქუნი** „წადი და ქალის კაბა ჩაიცვი“ (ჩვენი მასალა).

საინტერესოა კაბის მონაწილეობით შექმნილი ფრაზეოლოგიური შესიტყვება, რომელიც ლაზურ რწმენა-წარმოდგენებს ასახავს: **ფორკა გამაკაჟუ** ზედმიწ.

„კაბის გამოკოჭვა“. ქარი რომ ამოვარდებოდა, ოჯახის უფროს ქალიშვილს კაბის ბოლოს გამოუკოჭავდნენ, განასკვავდნენ, იტყოდნენ ლოცვას, ევედრებოდნენ ღმერთს, ეხსნა ისინი სტიქიური უბედურებებისაგან – ხანძარი ჩაექრო, ქარი ჩაყენებინა, რომ დაეცვა ტყე, სოფელი, უვნებლად დაებრუნებინა მეთევზეები, მეზღვაურები. ქარსაც მიმართავდნენ, რომ ჩამდგარიყო. სანამ ქარი არ ჩაღებოდა, კაბა გამოკოჭილი იყო. ლოცვა ასე უღერდა: ღორმთი, ჩქიმი დაღეფე ღომიჩვით, დაჩხი ვა იყვას, მზოდა ვა ირდას, მეჩხომეფე საღლაში ქაგიხთან, კალაში ბარვა ქოდოდგითას კალაში, ბარვა დოკიი, ორდო ქოდოდგითი „ღმერთო, ჩემი ტყეები დამიფარე, ცეცხლი არ იყოს, ზღვა არ აღელდეს, მეთევზეები ჯანმრთელი დაბრუნდნენ, ქარის ქროლვა დადგეს. ქარო, ქროლა შეკარი, ადრე დადექ“. ლაზების რწმენით, მათ მიერ შესრულებული რიტუალი ბუნების მოვლენებზე ზეგავლენას მოახდენდა და დაიცავდა მათ სტიქიური უბედურებისაგან (ჩვენი მასალა).

ამ რიტუალს მ. ვანილიში და ა. თანდილავა ასე აღწერენ: გაზაფხულზე, მარტსა და აპრილში მოულოდნელად ამოვარდება ხოლმე სამხრეთ-დასავლეთის ქარი, რომელსაც ლაზები „დოლოზს“ ეძახიან („დოლოზიმ ობარუ“). მეთევზეებისათვის ყველაზე საშიშია ეს ქარი, რომელიც მათ დიდ ზიანს აყენებს. ამიტომ როდესაც ეს ქარი ამოვარდებოდა, მეთევზეების ცოლები ან ნათესავები ასე იტყოდნენ: დედ-მამის პირველ ქალიშვილს, მიუხედავად ასაკისა, ავალებენ, თავისი კაბის ერთი ბოლო „გამოკოჭოს“, ე. ი. გამოკვანდოს და თან სამჯერ თქვას: „ღორმთი, ბარვა ქამაკვათი“ (ღმერთო ქარი შეწყვიტე) (ვანილიში, თანდილავა 1984, 141).

შავი სამოსელი მგლოვიარობის, გაჭირვების ერთ-ერთი გამოსატულება იყო ქრისტიანისათვის. ეს დამოკიდებულება თავისებურებად აისახება იდიომებში:

მეგრ. **უჩა კაბათ გვთვნარდი** „ქვრივობით, გაჭირვებით გამოზრდა“. ზედმიწ. „შავი კაბით გამოზრდილი“. შდრ. ქართ. **შავის კაბით გამოზრდა** (შვილისა).

მეგრ. **უჩაში მგოქუნა** || **ჭკირილი უჩაში მგოქუნა** „გამწარება, გაუბედურება“. ზედმიწ. „(დაჭრილი) შავის ჩაცმა“. **ჩქიმიცალი ჭკირილი უჩა მგოქუნუდას!** ზედმიწ. „ჩემნაირი დაჭრილი („შემოუტყხავი“) შავები („ძაძები“) ჩაგეცვას!“ (ასეთი ჩაცმა განსაკუთრებული მწუხარების დროს იცინან), გადატ. „ჩემი დღე დაგდგომოდეს, ისეთივე სამგლოვიარო და სადარდებელი გაგჩენოდეს, როგორიც მე მაქვსო“. შდრ. ლაზ. **უჩა ფორკაშ დილოქუნუ** „გამწარება, გაუბედურება“.

ჩქიმისთედ უჩა ფორკა დილიქუნეცტა ზედმიწ. „ჩემსავით შავი კაბა ჩაგეცვას!“ წყევლაა ერთგვარი (შენიშვნა: ლაზეთში შავი ფერის აღნიშნული მნიშვნელობით გამოყენებაზე მიუთითებენ მხოლოდ ქრისტიანი ლაზები) (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ჩქიმი კაბა მგოიქუნუდას** „მე რა მდგომარეობაშიც ვარ, ისე იყავი შენც“. ზედმიწ. „ჩემი კაბა ჩაგეცვას“. შდრ. ქართ. **ჩემი კაბითაც დამჯდარხარ!** „ქმარი მოგკედომოდეს, სამგლოვიარო საქმე დაგმართოდეს!“ (სახოკია 1979, 776).

მეგრ. **უჩა კაბათ ხე || უჩათ დოქუნილი ხე** „დამწუხრებუღია, მგლოვიარეა“. ზედმიწ. „შავი კაბით || შავით შემოსილი ზის“. შდრ. ქართ. **შავი კაბით დაჯდომა** „გლოვა, მწუხარება მიცვალებულზე“ (სახოკია 1979, 736).

ზოგ შემთხვევაში არ არის დაკონკრეტებული სამგლოვიარო სამოსის სახეობა, **უჩა** „შავი“ იხმარება განზოგადებულად.

მეგრ. **უჩათ დოფორილ-ი || უჩაშ-ი მითოფორილ-ი** „მგლოვიარე“. ზედმიწ. „შავით დაფარული || შავში (შავ სამოსში) ჩაფლული“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **უჩაშ მუკოქუნა** „გლოვა“. ზედმიწ. „შავის ჩაცმა“ (ქობალია 2010). შდრ. მეგრ. **უჩას ვამკოიქუნანქ** „თავს არ შევიწუხებ“. შდრ. ქართ. **შავებს არ ჩავიცვამ** (სახოკია 1979, 734).

მეგრ. **უჩათ ნწერილი** „შავად შესუდრული“. კვარია მეურს **უჩათ ნწერილი** „ყვავი მიდის შავად შესუდრული“ (კილანავა 1998).

მეგრ. **(ჩქიმი) უჩა კგნოიკირაფუდას!** „გამწარებუღიყავი, გაუბედურებუღიყავი“. ზედმიწ. „შავი (მანდილი) წაგეკრას“. შდრ. ქართ. **ჩემი ლეჩაქითაც დამჯდარა** „ჩემი დღე დასდგომოდეს, ისეთივე სამგლოვიარო და სადარდებელი გასჩენოდეს, როგორიც მე მაქვსო, გასჭირვებოდეს, დამწუხრებუღიყოს“ (სახოკია 1979, 734).

მეგრ. **უჩაშ მითოხუნა** „გლოვა“. ზედმიწ. „შავში ჯდომა“. ამ იდიომის გასააზრებლად საინტერესოა სამეგრელოში გავრცელებული გლოვის ტრადიცია: „ბნელში ჯდომა მგლოვიარისა. ჭირისუფალი იკეტებოდა ბნელ სადგომში და ერთი წელი არავის ენახებოდა. საჭმელ-სასმელს, უსათუოდ სამარხვოს, გარედან აწვდიდნენ და ფეხის ალაგსაც ახლოს უწყობდნენ მოფარებულში. მგლოვიარის გამოყვანა ბნელიდან წლისთავის აღსანიშნავი რიტუალის ნაწილი იყო. ცერემონიაზე ხვეწნა-ვედრებით გამოყვანილ ჭირისუფალს ამ ერთი წლის მანძილზე ჩამოზრდილი თმა-წვერიც უნდა გაეკრიჭა. პირველად თმა მისთვის

გარდაცვლილის მაგიერს უნდა მოეკვეცა; ასე ეძახდნენ დაქვრივებული კაცის ჯდომასაც საგანგებოდ მოწყობილ კარავში, სადაც იგი მიცვალებულის დაკრძალვამდე რჩებოდა და იქვე ღებულობდა სამძიმარს“ (ქობალია 2010). შდრ. მეგრ. **ჩხვიჩხველი უჩაშა მითოისუნუდას!** „გამწარებულიყავი!“ ზედმიწ. „შემოუქობავ შავებში ჩამჯდარიყავი (ჩაგეცვას)!“ (ქობალია 2010).

მეგრ. **უჩაშ-ი მიკოჭალა** „მწუხარებაში ჩავარდნა“. ზედმიწ. შავის მიკერება“.

მეგრ. **ღართი** „ჩოხა“:

მეგრ. **ღართამო დინაფა** „დაღუპვა მთლიანად“. ზედმიწ. „ჩოხიანად დაკარგვა“ (ქაჯაია III, 2002); „სამუდამოდ გადაკარგვა, დედაბუდიანად გადახვეწა, დაღუპვა“ (ქობალია 2010).

მეგრ. **ღართამო ჭყვადუა** „არაფრის შერჩენა, გაღატაკება“. ზედმიწ. ჩოხიანად ამოწყვეტა“. თ. სახოკია ამის შესახებ წერს: **ღართიანად დავიღუპე** „სულ მთლად დავიღუპე, სულს აქეთ არაფერი შემრჩა (სახოკია 1979, 697). როგორც თ. სახოკია აღნიშნავს, „ღართი მეგრულად იგივეა, რაც ქართულში თურქულიდან შემოსული სიტყვა ჩოხაა, ე. ი. ახალუხს ზემოდან ჩასაცემელი სამამაკაცო სამოსი შალისა. ძველად, უნდა ვიფიქროთ, ყველასათვის ხელმისაწვდომი არ იყო ღართი და, მაშასადამე, ძვირფასად და ნატვრის საგნად ითვლებოდა. მისი დაკარგვა მეგრელისათვის უდრიდა უღართოდ დარჩენას ანუ სამამაცო სამოსელს მოკლებას და ტოლთა შორის შერცხვენას და ეს თქმაც სწორედ ამიტომ გამოხატავდა მატერიალურად დაზარალებული მეგრელის განუზომელ, აუნაზღაურებელ ბედძნელობას“ (სახოკია 1979, 698).

მეგრ. **ღართიშ გოსოფუა** „თავის გამოდება, თავპატიუი“. ზედმიწ. „ჩოხის შემოგლეჯა, კალთების დაგლეჯა“ (ქობალია 2010).

მეგრ. **კართე, ლაზ. პოღია** „კალთა“:

კალთა ზოგადად ცვა-მფარველობის, მოწყალების, მზრუნველობის, სასოების, სულგრძელების, სიწმინდის სიმბოლოდ მოიაზრება ქართულ ცნობიერებაში და ასეც არის ასახული იდიომებში:

მეგრ. **კართეში გინო/ინოფორაფა** || ლაზ. **პოღია მითვალუ** „დაცვა, დახმარება“. მეგრ. **ჭყოლოფუაში კართე ქიგნაფორუუ** „დაიფარა, დაიცვა“. ზედმიწ. „წყალობის კალთა გადააფარა“ (ქაჯაია III, 2002). ლაზ. ო, ბეე კაე ვაუყონუ, მარა ნანა მუშიქ **პოღია მითუმეს** || ხე მითუმეს „ო, ბიჭი კარგი არ ჰყავს, მაგრამ დედამისი კალთას აფარებს || ხელს აფარებს“ (ჩვენნი მასალა).

შდრ. ქართ. კალთის გადაფარება „დაცვა, დაფარვა, შეველა, დახმარება, ხსნა გაჭირვებისაგან, თავის შეფარება“ (სახოკია 1979, 308).

მეგრ. კართეში ფართხუა || ლაზ. პოღიაში ოფათხუ „პასუხისმგებლობის მოხსნა, ადამიანთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა გარკვეული მიზეზის გამო“ ზედმიწ. „კალთის მიბერტყვა“. ლაზ. მა დიდო კაობა ვოლოდი, მარა მუქ პოღია დიფათხუ „მე ბევრი სიკეთე გავუკეთე, მაგრამ მან კალთა დაიფერთხა, ზრუნვა-პატრონობაზე ხელი აიღო“. სი ეშო პატი კონი ექ, მან სქანიშენ პოღია დოფათხი „შენ ისეთი ცუდი კაცი ხარ, მე შენზე კალთა დავიბერტყე (ხელი ავიღე)“ (ჩვენი მასალა). შდრ. ქართ. კალთის მიბერტყვა „კავშირის გაწყვეტა, თავიდან მოშორება, ზრუნვა-პატრონობაზე ხელის აღება“ (სახოკია 1979, 309).

მეგრ. კართეთ გილაყონაფა || ლაზ. პოღიათენ ოყონაფუ „მზრუნველობა“. ზედმიწ. „კალთით ტარება“. ლაზ. პოღიათენ გოფონუპტი „კალთით დავატარებდი“. ნანამუშიქ პოღიათენ გუიყონუ, აწი მუთუ ვაახვენენ „დედამისმა კალთით ატარა, ახლა ვერაფერს ვერ აკეთებს“. შდრ. ქართ. კალთით ტარება; კალთაში გამოზრდა (სახოკია 1979, 308).

მეგრ. კართეში ელაბუნა || ლაზ. პოღიას გელაკიდუ „ვინმეზე დამოკიდებულება“. ზედმიწ. „კალთაზე დაკიდება“. ლაზ. სოთი ვაოჩქუ, კულანი პოღიას ქოგილიკიდუ „არსად არ უშვებს, გოგო კალთაზე ჰყავს დამოკიდებულო“ (ჩვენი მასალა). შდრ. ქართ. კალთაზე გამოზრდა || კალთის დაჭერა, კალთაზე დაბლაუჭება || დაკიდება || დაჭიდება || მოკიდება „ვისთვისმე შეველის თხოვნა, ვისიმე ცვა-ფარვის ძებნა, ვინმეზე დამოკიდებულება“ (სახოკია 1979, 306-308). ამავე იდიომის სინონიმია მეგრ. კართეს ელასხუპინი „სხვაზე დამოკიდებულება“. ზედმიწ. „კალთაზე ჩამოკიდება; კალთაზე ხელჩაკიდებით სიარული“ (ქობალია 2010).

მეგრ. კართეშა დუდიში აწოდვალა || ლაზ. პოღიას თი გელადვალუ „ვისიმე მფარველობის ქვეშ ყოფნა, ვისიმე იმედით დარჩენა“. ზედმიწ. „(ვისიმე) კალთაში თავის დადება“. მეგრ. ჩქიმი კართეშა აწუძუნია დუდი – „ჩემს კალთაში უდევსო თავი. ლაზ. ემუს ჩქიმი პოღიას გილუძინ თი დო მოთ აშქურინასინონ „იმას ჩემს კალთაში უდევს თავი და რად შეეშიშინდება?!“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. კართეს მუთუნ ვაწუცენც „უქმად არაფერი მოვა, ვერაფერს იშოვის“. ზედმიწ. „კალთაზე არაფერი დაუცვივდება“. ართ დიხას დიმახვენც კართეს

მუთუნ გაწუცენც „ერთ ადგილას დამჯდომს, კალთაზე არაფერი დაუცვივდება“ (ქაჯაია II, 2002; სამუშია 1971, 17).

მეგრ. **კართეკინელი გილურცუ** „მათხოვრობს“. ზედმიწ. „კალთააწეული დადის“. შდრ. ქართ. **კალთააწეული** „მათხოვარი, გლახა, ღარიბი, მოწყალეების მთხოვნელი“. ზედმიწ. „კალთააწეული“ (სახოკია 1979, 306).

მეგრ. **კართეს მითოფორინი** || ლაზ. **პოდიაშა ქომუხიზუ** „(ვინმეს) იმედოდ ყოფნა“. ზედმიწ. (ვინმეს) კალთას შეფარება, შემოხიზნება“. მეგრ. **ჩქიმი კართეს მითოფორე** „ჩემს კმა-ყოფაზეა“. ლაზ. **ემუში პოდიაშა ქომუხიზუ** „იმის კალთას შემოაფარა თავი“ (ჩვენის მასალა). შდრ. ქართ. **კალთას შემოხიზნება** „ვინმეს იმედით ყოფნა, გაჭირვების დროს ვისიმე ცვა-ფარვის მოლოდინი“ (სახოკია 1979, 307).

მეგრ. **კართეში ეკოროფ/ბუა** || ლაზ. **პოდიას მონძიქუ** „გაქცევა“. ზედმიწ. კალთის აკრეფა“. ლაზ. **მუინძიქუ პოდია მუში დო მიკილუ** „კალთა აიკრიფა და გაიარა“. შდრ. ქართ. **კალთის** || **კალთების აკრეფა** „გასაქცევად კარგად მომზადება“ (სახოკია 1979, 308).

მეგრ. **კართეშა აშარდუალა** || **კართეში გეთორდუალა** || **კართეში გეტნარდი** || **კართეში ნარდიე** || **გეტნარდიე** || ლაზ. **პოდიას რდედ** „კალთაში გაზრდილი“. შდრ. ქართ. **კალთაში გამოზრდა** „ვინმეს ხელით გაზრდა, მოვლა-პატრონობა“ (სახოკია 1979, 308). მსგავსი მნიშვნელობისაა მეგრ. **კართეში მითორდუალა** „კალთისქვეშ გაზრდა“ (ქობაღია 2010).

მეგრ. **კართეში მოსოფუა** „ბევრი ხვეწნა, თხოვნა“. ზედმიწ. „კალთის ჩამოგლეჯა“ (ქობაღია 2010). შდრ. ქართ. **კალთის ჩამოგლეჯა**. კალთას არავინ არ ჩამოგლეჯს, არავინ არ შეგეხვეწება. || **კალთის დაგლეჯა** „ხვეწნა, მუდარა, ჩაცვივებით თხოვნა“ (ონიანი 1966, 99).

მეგრ. **კართეში აშარულაფა** || ლაზ. **პოდიას გელანჯიუ** „უდარდელობა, უზრუნველობა. ზედმიწ. კალთაში ჩაძინება“. ლაზ. **პოდიას გელანჯიუ** თქვს კაი აწონენ „კალთაში ჩაძინება ყველას უყვარს, მოსწონს“. შდრ. ქართ. **კალთაში ჩაძინება** „უდარდელობა, უზრუნველობა, საქმეზე თავის არიდება, სხვისი იმედით დარჩენა“ (სახოკია 1979, 307).

მეგრ. **კართეში აშახუნა** || ლაზ. **პოდიას გელახუნუ** „გაფუფუნება“. ზედმიწ. „კალთაში ჩაჯდომა“. ლაზ. **პოდიას გელახუნუ** ირდუ „ფუფუნებით გაიზარდა

(კალთაზე იყო დაბლაუჭებული)“. შდრ. ქართ. **კალთაში ჩაჯდომა** გადატ. „დაშინაურება, თავისიანად მიჩნევა“ (სახოკია 1979, 308).

მეგრ. **კართემა აწოსორგაფა** „სიკეთე, მოწყალება“. ზედმიწ. „კალთაზე დაყრა“. მეგრ. ჯგირი კოც ქობალი დო ჯიმუ **კართემა ეწუსორგუნია** „კარგ კაცს პური და მარილი კალთაზე უყრიაო (კეთილია, მოწყალება)“ (ჩვენნი მასალა).

მეგრ. **ბარგიში აკოკირუა** „სადმე წასვლა“. ზედმიწ. „ტანსაცმლის შეკვრა“. მეგრ. **ბარგი დიკირი** „სახლიდან წადი, აიკრიფე გუდა-ნაბადი“. შდრ. ქართ. **ბარგის აკვრა** „წასვლა, აყრა, სამყოფი ადგილის დატოვება (ონიანი 1966, 27). **ბარგი აიკრა** „წავიდა, იქაურობას გაეცალა, მოგეშორდა“ (სახოკია 1979, 46).

მეგრ. **ქიცა** || ლაზ. **იაზმა** || მენდილი || ლაჩქი „თავსაფარი.“

თავსაბურავი, კერძოდ, ქალისათვის მანდილი, ხოლო მამაკაცისათვის ქუდი, მათი ზნეობრიობის – მორჩილების, კდემამოსილების, ვაჟკაცობის გამოვლინება იყო. მისდამი უდიერი დამოკიდებულებითა და მისი შეუსაბამოდ გამოყენების შემთხვევაში ადამიანის ღირსება ილახებოდა. ეს ნათლად ჩანს მყარ გამონათქვამებში:

მეგრ. **ოსურიში ქიცაშ გერთუმალა** || ლაზ. **იაზმა მოთვალუ** „შერცხვენა“. ზედმიწ. „ქალის თავსაფრის დაფარება“. **ოსურიში ქიცა გიორთუნია** „ქალის თავსაფარი ახურავს“. ლაზ. კოჩობა ვადოსქიდენ დო თის **იაზმა ქომოთვეენ** „კაცობა არ დარჩენია და თავზე მანდილი დაუხურავს“; ოხორჯა მუშიქ თის **იაზმა ქომოთუ** „ცოლმა მას თავზე ლეჩაქი დაახურა (ვაჟკაცობა წაართვა)“ (ჩვენნი მასალა). შდრ. ქართ. **ლეჩაქის** || **მანდილის დახურვა** (მამაკაცის მიერ) „კაცისათვის მამაკაცურ თვისებათა წართმევა და ამ თვისებათა წილ საქალო თვისებათა მიკუთვნება, სასირცხვილო საქმის ჩადენა, აუგიანობა, საძრახისობა“ (სახოკია 1979, 357, 371). ქართ. **თავზე ლეჩაქის დახურვა** „შერცხვენა, თავის მოჭრა (იტყვიან მხდალობის ჩამდენ მამაკაცზე)“ (ონიანი 1966, 73). **მანდილი ხურავს** „მხდალია, ლაჩარია (მამაკაცი); პატიოსანია, ნამუსიანია, ყოჩალია (ქალი)“ (ონიანი 1966, 109).

ლაზ. **იაზმა** || **ლაჩაქი მოწკიმუ** „შეურაცხყოფა, შერცხვენა“. ზედმიწ. „ლეჩაქის მოხდა“. შდრ. ქართ. **მანდილის** || **ლეჩაქის მოხდა** „შეურაცხყოფა, პატივის აყრა, უსირცხვილობა, ნამუსზე ხელის აღება, ქალის მიერ სააუგო საქმის ჩადენა“ (სახოკია 1979, 358, 371); **ნამუსის ლეჩაქის ახდა** „ქალის მიერ ნამუსზე ხელის აღება“ (ონიანი 1966, 73; სახოკია 1979, 451). აქედან ნაწარმოები მიმდებოური ფორმები: ლაზ. **იაზმა** || **ლაჩაქი მოწკიმედ** „შერცხვენილი“. შდრ. ქართ.

მანდილმოსხდილი „შეურაცხყოფილი“ (სახოკია 1979, 371). მთქმელების გადმოცემით, უთავსაფრო უნამუსოს ნიშნავდა. ახლა მგლოვიარე თავზე რომ არ იფარებს, სირცხვილად მიიჩნევა. ამ იდიომთან დაკავშირებულია ერთი ეთნოგრაფიული წესი ლაზეთში: **ძაზმა** || **ლაჩაქი მოწკიმუ** – თუ ვაჟს ქალი უყვარდა და მისი ცოლად შერთვა სურდა, გოგოს კი არ უყვარდა და მშობლები არ ატანდნენ, ბიჭი მალულად ლეჩაქს მოხდიდა. გოგო ბიჭისგან ნამუსახდილი და შეურაცხყოფილი იყო, ამიტომ ბიჭს გოგო ცოლად უნდა წაეყვანა (ჩვენი მასალა). სამეგრელოში კი ქუდს ხმარობდა მამაკაცი თავისი საცოლის დასანიშნავად. თუ ესა თუ ის ქალი კაცს თვალში მოუვიდოდა, საკმარისი იყო, რომ შეთვალერებული ქალისათვის ვისიმე თანდასწრებით ქუდი ესროლა და მოეხვედრებინა, რომ იმ წუთიდან ქალი ქუდის მსროლელის დანიშნულად გამოცხადებულიყო და საქმროსაც სხვა არავინ შესცილებოდა მის თავს. იხ. მეგრ. **ქუდიშ ფაჩუა** (სახოკია 1979, 691). ქართ. **ნამუსის ლეჩაქის ახდა (ქალისათვის)** „ქალის მიერ ნამუსზე ხელის აღება“. ზედმიწ. „ქალის თავიდან ლეჩაქის მოშორება“. შდრ. ნამუსის ლეჩაქი აგვეხადა. ოჯახის სიწმინდეზე ნაცარ-ტუტა დაგვეყარა (ეკ. გაბაშვილი). როგორც ქართველი მამაკაცისათვის ქუდი (იხ. ნამუსის ქუდის ახდა), ისე დედაკაცისათვის ლეჩაქი ითვლებოდა სიმბოლოდ ნამუსიანობისა, პატიოსნებისა, ზნეობრივი სიწმინდისა, კაიქალობისა, ყოველგვარი ღირსებით შემკულობისა. ქართველ ქალს საფიცრად ჰქონდა თავისი ლეჩაქი, როცა უნდოდა ქალს ეთქვა – ზნეობრივად ფაქიზი ვარ, უყვედრელიო, იტყოდა: თუ ნამუსის ქუდი მხურავს, რასაც მოგახსენებ, სისწორეა, ერთი ბეწო სიყალბე არ ურევიაო (სახოკია 1954, 61). ქართ. **თავზე ლეჩაქის ახდა** || **ლეჩაქის მოხდა** „შერცხვენა, სახელის გატეხა, თავის მოჭრა; ნამუსის ახდა (იტყვიან ქალზე)“ (ონიანი 1966, 73).

მეგრ. **ქუდიშ ფაჩუა** „ქალის დანიშვნა ქუდის ტყორცნით“ (ქალის დანიშვნის მიზნით ვაჟის მამა ან ბიძა ჯარობაზე ცეკვისას ქუდს ესროდა ქალს. თუ ქალის მშობლები უარს ეტყოდნენ, დააჯარიმებდნენ, ქუდი მოხვდა, არ გვატანენო და მოტაცებას ეცდებოდნენ. აქედანაა გამოთქმა: ქალს ქუდი ესროლე და თუ არ წაიქცა, გასათხოვრად მომწიფებულაო)“ (ქობალია 2010).

მეგრ. **ქუდიშ განშე გილართუმალა** || **ლაზ. პაპახი ძანდა** || **ელაქთუფ მოთუმუ** „თავმომწონეობა“. ზედმიწ. „ქუდის გვერდულად დახურვა“. **ლაზ. ქიბიი კოჩი გითუმეს პაპახი ძანდა** || **ელაქთუფ**. „თავმომწონე კაცი იხურავს ქუდს

გვერდულად“. შდრ. ქართ. ქუდის დახურვა გვერდზედა „თავმომწონეობა, მხიარულად ყოფნა, უდარდებლობა (სახოკია 1979, 694).

მეგრ. ქუდი, ლაზ. ქუდი || პაპახი „ქუდი“:

მეგრ. ქუდიში გერთუმალა || პაპახი გეთუმუ „ღირსების ქონა“. ზედმიწ. „ქუდის დახურვა“. მეგრ. კონი თინა ცოფე დო ქუდი თის გენორთუენია „კაცი ის ყოფილა და ქუდი მას ჰხურებია“. ლაზ. კონითი ენ დო პაპახითი გდოთუნ „კაცია და ქუდიც ახურავს“ (ჩვენი მასალა). შდრ. ქართ. კაცი ის არის და ქუდიც იმას ხურავს „ისეთი ადამიანია, რომ ღირსია ქუდის ტარებისა, ნამდვილი ვაჟკაცია, ღირსეულია ყველაფრით“ (სახოკია 1979, 219). საინტერესოა ამ იდიომების შემცველი ანდაზები: მეგრ. სოდგია მეულუნი || მეურქუნი, თექიანი ქუდი ოკო გირთვენი || ლაზ. სო-ნა იდა დეიშა, ეკონი პაპახი გითვაგინონ || ქართ. სადაც წახვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხურო „ისე უნდა მოიქცე, როგორც გარემოებას შეეფერება.“ შდრ. მეგრ. კონიში ქუდი ვეგგორთუენია „არ იქცევი ვაჟკაცურად“. ქართ. უქუდოდ სიარული „სასირცხვილო, საძრახ, სააუგო საქმის ჩადენა“ (სახოკია 1979, 636).

მეგრ. ქუდიცალო ეკოჭყვადუა „ბოლოს მოღება“. ზედმიწ. „ქუდივით გადაყოლა, დამხობა, შეწირვა“. ქუდიცალო ეკოჭყვადუდას! „ქუდივით დაემხობილიყავი!“. ამ იდიომის გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია ერთი წესჩვეულება, რომელიც გავრცელებული იყო საქართველოში: რამეზე ფიცის მიცემის, ან სიმართლის დანახვებისათვის იცოდნენ ქუდის მოხდა და ძირს დამხობა და დატანება: ასე დამამხოს ღმერთმა, თუ ვტყუოდეო. მაშასადამე, იგულისხმებოდა, ქუდის ძირს დადებით სიმართლეს ყველასათვის აშკარად ვხდით (სახოკია 1979, 698). მეგრ. ქუდი ქუდოდვი (ქვდახვე) დო სამართალი ქოთქვია „სიტყვის კაცი იყავი, აღიარე, გამოტყედი, სიმართლე თქვი“. შდრ. ქართ. ქუდი დასდე და სამართალი ისე ჰქენიო.

ლაზ. პაპახი ჭედს გემიძინ „ამ ოჯახში ფესვები მაქვს გამდგარი, ეს ჭერი ჩემია“. ზედმიწ. „ქუდი ჭერზე მიდევს“ (ჩვენი მასალა). შდრ. ქართ. ქუდის კერა ჭერში „უზომო მხიარულება; ოჯახში ფესვების გადგმა.“ ქუდი ცაში (ჭერში) და ტანისამოსი ცეცხლში გადადიოდა „ღიდი, უზომო, თავდავიწყებითი მხიარულება“ (სახოკია 1979, 695).

მეგრ. ცაშა ქუდიშ ცოთამა ცაშა || ლაზ. ქუდიში ცაშა ოსთომილუ || ოტკორუ „უსახდვრო სიხარული“. მეგრ. ცაშა ქუ(ც)ოთი ჩქიმი ქუდი || ლაზ. პაპახი || ქუდი

ცაშა ვისტოლი „ძალიან გავიხარე, ვიმხიარულე“ (ჩვენი მასალა). || **ქუდი ცაშა ებტოჩი** (ვანილიში, თანდილავა 1984, 158). შდრ. ქართ. **ქუდი ცაში ვისტოლე** „ძალიან გავიხარე.“

მეგრ. **ქომონს ქუდი ქიგიორთუა** (|| შდრ. **ქომონს ოჭიში გაჩანუა**) „ქმარს უერთგულა, კარგ გზაზე დააყენა“. შდრ. ქართ. **ქმარს ქუდი დახურაო** – იტყვიან ქმრის ერთგულ ქალზე (სახოკია 1979, 698).

მეგრ. **ქომონს ქუდი შეურცხვინუა** „ქმარი შეარცხვინა“. ზედმიწ. „ქმარს სახელი შეურცხვინა“. შდრ. ქართ. **ქმარს ქუდი მოჰხადაო** „შეარცხვინა, სახელი გაუტეხა, თავი არსად გამოეყოფა“. საინტერესოა, რომ ძველად ქართველები ქუდებს ეკლესიაშიც არ მოიხდიდნენ. ეკლესიაში უქუდოდ დგომა ქართველებმა დაიწყეს, ალბათ, XIX ს.-ის დამდეგიდან (სახოკია 1979, 698).

ლაზ. **ქუდიში || ქუდი მოწიმიუ || მოტკომილუ** „სირცხვილი, მწუხარება“. ზედმიწ. „ქუდის მოხსნა“. ოხორჯაქ კოჩის **ქუდი ქამოწკუ** „ქალმა კაცს ქუდი მოხადა (შეარცხვინა)“ (ჩვენი მასალა). ოხორჯაქ ეში მუთხანი ყუ-ქი, კოჩი მუშის **ქუდი ქამოწკუ || ქამოტკოჩუ** „ქალმა ისეთი საქმე ჩაიდინა, რომ კაცს ქუდი მოხადა (შეარცხვინა)“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ცა ქუდო მიოჩქნია დო დისა ჩაფგლათია || დისა კუჩხის გილაბუნია** („მიწა ფეხზე ჰკიდიაო“) – ქართ. **ცა ქუდად მიაჩნია და დედამიწა ქალამნადაო**, გადატ. „არავისი და არაფრის არ ეშინია, ასე ჰგონია, იმაზე ძლიერი არავინ იყოს ქვეყანაზედ“ (თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, 1979, გვ. 799). **ე ცირასხ ხიოლითუ ცა ქუდი აფუნ დო დისა ჩაფულა** „ამ ცირას სიხარულით ცა ქუდად აქვს და მიწა ქალამნად (ფეხსაცმლად)“ (ი. ყიფში, გვ. 78) (ქაჯაია III: 557).

მეგრ. **ქუდამი დო უქუდე** || ლაზ. **ქუდოლონი დო მაზმალონი** „კაცი და ქალი“. ზემიწ. „ქუდიანი და უქუდო“. ლაზ. **მაზმალონეფე** დიდო ტეს **ქუდოლონეფეშენ** „ქალები კაცებზე მეტი იყვნენ“ (ჩვენი მასალა). შდრ. ქართ. **ქუდიანი** (|| **ქუდოსანი** – წინათ უდრიდა მამაკაცს. დღეს ქუდოსანი გვიქვია იმისათვის, ვისაც ქუდი ჰხურავს. **ქუდი გხურავს?** ე. ი არც კი გეტყობა ვაჟკაცობა, შენს ქცევას ვაჟკაცობის გარდა ყველაფერი დაერქმისო (სახოკია 1979, 692)) და **უქუდო** „ყველა, ქალი და კაცი“ (სახოკია 1979, 690).

მეგრ. **ლამუსიში || ნამუსიში ქუდი გიორთუ** || ქართ. **ნამუსის ქუდი ჰხურავსო** „კარგი, ზნეობრივი ადამიანია.“ ამის ანტონიმია შემდეგი იდიომი: მეგრ. **ღუს**

ლაფიში ქუდი გიორთუნია || ქართ. თავს ლაფის ქუდი ხურავს „შერცხვენილია“ . შდრ. ქართ. თავს ლაფის ქუდი ჰხურავსო, თავლაფის დასხმა (სახოკია 1979, 698). ამ ფრაზეოლოგიზმის წარმოშობა უნდა ვეძებოთ იმ რიტუალში, რომელიც სრულდებოდა ადამიანის დასჯისას. მას ერქვა „ლაფის დასხმა თავზე“. თავზე სქლად დარჩენილი ლაფი წარმოადგენდა ერთგვარ სარქველს თავისას ანუ ლაფის ქუდს. შდრ. ქართ. თავზე ლაფის დასხმა „გალანძღვა, გაწბილვა, საჯაროდ შერცხვენა, საქვეყნოდ შეურაცხყოფა; სააშკარაოზე გამოტანა ვისიმე სააუგო საქციელისა და უხამსობისა. ეს თქმა ჩვენი დროის იურიდიული ტერმინიც გახლავთ: ძველად ადამიანს ადათ-ჩვეულებათა კანონების, ზნეობის პრინციპების დაუვცელობისათვის მთელი სოფელი ასამართლებდა. სოფლის მიერ მისჯა ამა თუ იმ სასჯელისა და ამ განაჩენის უაპელაციოდ ასრულება ხდებოდა სოფლის მიერვე. სასჯელის ერთი სახე იყო დამნაშავისათვის თავზე ლაფის ანუ ტალახის დასხმა. დამნაშავე ქალს თუ კაცს გამოიყვანდნენ სოფლის შესაკრებელ ადგილზე. აქ ისხდნენ სოფლის მოხუცებული და თავი კაცები, რომელთაც სამართლიანი ადამიანების სახელი ჰქონდათ. მოწმე ან მოწმენი საყოველთაოდ დაადასტურებდნენ დასასჯელის დანაშაულს. სოფლის მოსამართლენი რომ მოისმენდნენ ნათქვამს, შეაფასებდნენ თავიანთი თანასოფელის მიერ ჩადენილ საძრახ საქციელს, დაგმობდნენ, ცნობდნენ სასჯელის ღირსად და იტყოდნენ: **თავს ლაფი დავასხათ!** ხალხი გუგუნით და ერთხმად ბანს მისცემდა: დავასხათ, დავასხათო! დაიწყებოდა სასჯელის ასრულების პროცესი. დამნაშავე კაცს ქუდს მოხდიდნენ, ხოლო თუ დამნაშავე ქალი იყო – მანდილს. ქუდისა და მანდილის მოხდა როგორც ერთისა, ისე მეორისათვის უკვე შეადგენდა დიდ სასჯელს, რომელიც უდრიდა თვით ლაფის დასხმას. ამის შემდეგ ყველა ვალდებული იყო, მის თავზე ლაფი დაესხა. თუ წვიმიანი ამინდი არ იყო და ლაფი არ იშოვებოდა, ხმელი მიწა წყლით უნდა აეზილათ და ტალახი ისე დაესხათ თავზე. თუ სახედარი ჰყავდათ, დამნაშავეს ზედ შესვამდნენ უკუღმა, ხელშიაც კუდს დააჭერინებდნენ და სოფელში კარდაკარ აატარ-ჩაატარებდნენ, იქაც ყველა მოურიდებლად ასხამდა თავზე ლაფს. აქედან წარმოიშვა სიტყვა თავლაფდასხმული ანუ ლაფდასხმული, რომელიც ნიშნავს საჯაროდ შერცხვენილს, აუგიანს, ზნეობრივად ბინძურს. ლაფის დასხმა ქართლ-კახეთში ამ საუკუნის დასაწყისში გადავარდა. იმერეთში გაცილებით ადრე უნდა იყოს გადავარდნილი. სამეგრელოში სიტყვა არის დარჩენილი, მაგრამ თვით სასჯელი ამ 80 წლის წინათ არავის აგონდებოდა

(სახოკია 1979, 220). ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ლაზურშიც დადასტურებული გამოთქმა: **თის ტალახი || ტოლოფი ვაგემოფა** „არ შემარცხვინო“, ზედმიწ. „თავზე ტალახი არ დამასხა“.

ლაზ. **ქუდიში ოკოდვალუ** „შეთანხმება“. ზედმიწ. „ქუდების ერთად დადება (ერთმანეთზე მიდება)“. **ქუდი ოკობდვათ** დო აბა დუღია დოპათ „საქმე საიდუმლოდ გავაკეთოთ“ (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ქუდიში კენოტთამა** „რამესთან, ან ვინმესთან კავშირის გაწყვეტა“. ზედმიწ. „ქუდის უკან მოგდება“.

მეგრ. **ქუდი** „ქუდი“ || **ნოჩაფულია** „ძველი ფეხსაცმელი“, ლაზ. **მოდვალუ** „ფეხსაცმელი“:

მეგრ. **ცა ქუდო მიოჩქენია დო დიხა ნოჩაფულიათ** „არავისი და არაფრის არ ეშინია“. ზედმიწ. ქართ. **ცა ქუდად მიაჩნია და დედამიწა ქალამნადაო**. მეგრულში გვხვდება სეთი გამოთქმაც: **სქანი ნოჩაფულია ვა ვორექ** „შენი აბუჩად ასაგდები, გამოსაყენებელი, აბუჩად ასაგდები არ ვარ.“ ზედმიწ. „შენი ფეხსაცმელი არ ვარ“. ამ მხრივ საინტერესოა ლაზურში დადასტურებული **მოდვალუსთეძ ქომოგიდუშე** „გაგანადგურებ, გაგთელაფ“. ზედმიწ. „ფეხსაცმელივით ჩაგიცვამ“.

მეგრ. **ბაშლაყი** „ყაბალახი“:

მეგრ. **ბაშლაყიშ გუმაშქუმალა** „გლოვა“. ზედმიწ. „ყაბალახის წვერის ჩამოშვება“ (ქობალია 2010).

მეგრ. **ნაბადი** „ნაბადი“:

საერთოდ, საქართველოში **ნაბადი** ძველთაგანვე აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა ადამიანისათვის. ის ვაჟკაცობისა და სიძლიერის სიმბოლო იყო. ის გვხვდება იდიომებში.

მეგრ. **ნაბადით ვარე რთვილი ქიჟანავა** „არაფერი დაიმალება“. ზედმიწ. „ნაბადით არაა გადახურული ქვეყანაო“ (სახოკია 1979, 254).

მეგრ. **ნაბადიშორო მიკოფინუა** „სიმრავლე (რადაცის ან ვიდაცის)“. ზედმიწ. „ნაბადივით მიფენა“. **ნაბადიშორო მიკოფინუდუა კოჩი** „ნაბადივით იყოლო მოფენილი ხალხი“ (ქაჯაია II, 2002).

მეგრ. **ნაბადიშორო მიკოძედუა კუნთხუს** „უყურადღებოდ, უსულო საგანივით იყო მიგდებული“. ზედმიწ. ნაბადივით იყო მიყუდებული კუთხეში (ჩვენი მასალა).

მეგრ. **ნაბადიაცალო მიკოტთამა** „უყურადღებოდ მიტოვება“. ზედმიწ. „ძველი, უვარგისი ნაბადივით მიგდება“. **ნაბადიაცალო ქიმკაღოთუა ჩილგ დო სქუა || სკუა**

„ადარ ზრუნავს ცოლ-შვილზე (ძველი, უვარგისი ნაბადივით მიაგდო ცოლ-შვილი)“.

მეგრ. **მა დო ჩქიმი ნაბადია** „მთელი ჩემი შესაძლებლობით აქა ვარ“. ზედმიწ. „მე და ჩემი ნაბადიო“.

მეგრ. **ოსარე** „პერანგი“:

